911.3
Ჯ-15

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ზურაბ დავითაშვილი

მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია

ს.ს.ი. - ბ.ბ.ბ.

911·3:32(100)(075·8)+913·1(100)(075·8)+327·2(075·8)
ლ-15

წინამდებარე წიგნი პირველი სახელმძღვანელოა ქართულ ენაზე, რომელიც ეხება მსოფლიოს ისტორიულ გეოგრაფიას უძველესი დროიდან დღემდე და თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური გეოგრაფიის ძირითად საკითხებს. სახელმძღვანელო განკუთვნილია გეოგრაფიის, ისტორიის, პოლიტოლოგიის და საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებისთვის. იგი დახმარებას გაუწევს აგრეთვე ყველას, ვისაც აინტერესებს მსოფლიო ისტორია და სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია.

რედაქტორი: გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი
დოც. **ი. სალუქვაძე**

რეცენზენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები
პროფ. **კ. ანთაძე** და პროფ. **მ. კალანდაძე**
გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი
დოც. **ა. რონდელი**

© ზ. დავითაშვილი 2001

წინასიტყვაობა

მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფიის წინამდებარე მოკლე კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა იმ ძირითად ისტორიულ-გეოგრაფიულ და პოლიტიკურ-გეოგრაფიულ პროცესებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა და აქვს მსოფლიოს ქვეყნებში.

მის შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და საერთაშორისო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გახდა, დღის წესრიგში დადგა საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალმხრივი შესწავლის აუცილებლობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მსოფლიოს სახელმწიფოთა ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა.

ცალ-ცალკე მსოფლიოს ქვეყნების ისტორიის და გეოგრაფიის შესახებ ლიტერატურა მეტნაკლებად ხელმისაწვდომია (თუმცა ამ ლიტერატურის დიდი ნაწილი რუსულ და უცხო ენებზეა, თანაც ბევრი მათგანი უკვე მოძველდა კიდეც). რაც შეეხება სახელმძღვანელოს რომელიც სრულ წარმოდგენას მოგვცემდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკის, მოსახლეობის და მეურნეობის ჩამოყალიბების ისტორიაზე და გეოგრაფიაზე უძველესი დროიდან დღემდე, იგი არა მარტო ქართულ ენაზე არ დაწერილა, არამედ არც რუსულ[1] და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია არც ევროპულ (ინგლისურ, ფრანგულ) ენებზე არ არსებობს. ცალკეული მონოგრაფიები მსოფლიოს და ევროპის გეოგრაფიაზე მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პერიოდებს მოიცავენ. (მაგ. ი. ვ. ვიტვერის ცნობილი წიგნი „ისტორიულ-გეოგრაფიული შესავალი საზღვარგარეთული მსოფლიოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში“ ეხება XV-XX საუკუნეებს). იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკური გეოგრაფიის შესახებ, რომელიც როგორც მეცნიერება საბჭოთა კავშირში ფაქტიურად არ არსებობდა და ჩვენში მხოლოდ ახლა ვითარდება.

---

[1] წინამდებარე წიგნი უკვე გადაცემული იყო დასაბეჭდად როცა გამოვიდა ვ. პ. მაკსაკოვსკის „Историческая география“. М. 1998; რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან 1918 წლამდე.

ავტორის წინაშე იდგა საკმაოდ რთული ამოცანა: – შეკუმშული სახით წარმოედგინა მთელი მსოფლიოს ისტორიული გეოგრაფია უძველესი დროიდან დღემდე და თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური გეოგრაფია. ნაშრომში ძირითადი ყურადღება ისტორიულ პოლიტიკურ გეოგრაფიას ეთმობა. მოსახლეობის და მეურნეობის ისტორიული გეოგრაფია შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი და მხოლოდ ზოგად ტენდენციებზე გვაძლევს წარმოდგენას. ამასთანავე იგულისხმება რომ მკითხველს უკვე აქვს გარკვეული ცოდნა მსოფლიო ისტორიის ძირითად მოვლენებზე და საზღვარგარეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ გეოგრაფიაზე.

ბუნებრივია, ისტორიული გეოგრაფიის შესწავლა შეუძლებელია უზარმაზარი კარტოგრაფიული მასალის გარეშე. მკითხველმა აუცილებლად უნდა გამოიყენოს მსოფლიოს ისტორიული გეოგრაფიის ატლასი. (უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნას საშუალო სკოლის ისტორიის ატლასებიც). თვითონ ჩვენს წიგნში ტექნიკური სირთულეების გამო კარტოგრაფიული მასალა წარმოდგენილი არ არის.

მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფიის კურსი განკუთვნილია როგორც სახელმძღვანელო სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის, ისტორიის და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობების სტუდენტებისთვის. იგი დაეხმარება ყველას, ვისაც აინტერესებს ისტორია, გეოგრაფია და პოლიტიკური პრობლემები.

რადგან წინამდებარე წიგნი ასეთი ტიპის სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდაა, იგი დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისაგან. ყველა საქმიან შენიშვნას და წინადადებას ავტორი მადლობით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

1. ისტორიული გეოგრაფია

1.1. ისტორიულ-გეოგრაფიული პერიოდიზაცია

ისტორიული გეოგრაფია მოსაზღვრე მეცნიერებაა, რომელიც ჩამოყალიბდა ისტორიისა და გეოგრაფიის მიჯნაზე. როგორც ყველა მოსაზღვრე მეცნიერება იგი შეიძლება განვიხილოთ ერთერთი მათგანის დომინირების თვალსაზრისით; ანუ ჩავთვალოთ ის გეოგრაფიად, რომელიც ისტორიულ ასპექტში შეისწავლის მოსახლეობის, წარმოებისა თუ სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ტერიტორიულ სტრუქტურას, ანდა მივიჩნიოთ ისტორიად, რომელიც ისტორიული პროცესის სივრცითი ასპექტების შესახებ გვაძლევს წარმოდგენას. სინამდვილეში ასეთი გამიჯვნა პირობითია და ისტორიული გეოგრაფია ერთდროულად არის როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიული მეცნიერება, რომლისთვისაც სივრცითი და დროითი მიდგომა ორივე ძირითადია.

ამგვარად, ისტორიული გეოგრაფია შეიძლება განვმარტოთ როგორც მეცნიერება, რომელიც შეისწავლის გარკვეული ტერიტორიის გეოგრაფიას გარკვეულ ისტორიულ პერიოდში.

ისტორიული გეოგრაფია იყოფა შემდეგ ძირითად ნაწილებად: 1) ისტორიული ფიზიკური გეოგრაფია (რელიეფის, კლიმატის, წყლების, ნიადაგების, მცენარეული საფარის და ცხოველთა სამყაროს ცვლილება ცალკეულ ისტორიულ ეპოქებში); 2.) მოსახლეობის ისტორიული გეოგრაფია (მოსახლეობის წარმოშობის, განვითარების, გადაადგილებას, განლაგების და სტრუქტურული ცვლილებების თვალსაზრისით); 3.) ისტორიული ეკონომიკური გეოგრაფია ანუ წარმოებისა და სამეურნეო კავშირების ტერიტორიული განლაგების ცვლილებები დროში; 4.) ისტორიული სოციალური გეოგრაფია, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა კულტურისა და რელიგიის (საეკლესიო) გეოგრაფიას ისტორიულ პროცესში და 5.) ისტორიული პოლიტიკური გეოგრაფია, რომელსაც მიეკუთვნება პოლიტიკური საზღვრების, სახელმწიფოთა და სხვა პოლიტიკური ერთეულების ტერიტორიების, ადმინისტრაციული

მოწყობის, პოლიტიკური კავშირებისა და გაერთიანებების ცვლილებების ანალიზი.

როგორც ვხედავთ ისტორიული გეოგრაფია იგივე ნაწილებისგან შედგება, რისგანაც თანამედროვე გეოგრაფია, იგი წარსულის გეოგრაფიაა. ხოლო თანამედროვე გეოგრაფია მომავლისთვის ისტორიულ გეოგრაფიად იქცევა.

მსოფლიოს პოლიტიკური რუკის, მოსახლეობისა და მეურნეობის თანამედროვე გეოგრაფიული სურათის ჩამოყალიბება ძალზე ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესია, რომლის განმავლობაში კაცობრიობამ განვლო გზა პირველყოფილი ჯოგიდან მსოფლიო ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობებამდე, ქვის ცულიდან კომპიუტერებამდე.

მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო პოლიტიკური რუკის წარმოშობა და განვითარება მიმდინარეობდა არა მარტო დროში, არამედ სივრცეშიც. მას აქვს მკაფიოდ გამოხატული გეოგრაფიული ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის გეოგრაფიული დანაწილების გაღრმავებასთან, დედამიწის ცალკეული ნაწილების განცალკევების დაძლევასთან, ხალხის განსახლებასთან და ოიკუმენის გაფართოებასთან, შესაბამისად იცვლებოდა პოლიტიკური რუკაც.

ისტორიული გეოგრაფიისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს დასაბუთებულ და ზუსტ პერიოდიზაციას, განვითარების ეტაპების გამოყოფას.

პერიოდიზაციის არა ერთი სქემა არსებობს. იმისდა მიხედვით თუ რა ფაქტორებს დავუდებთ საფუძვლად ძირითადი ეტაპების გამოყოფას, შეიძლება კაცობრიობის ისტორიის სულ სხვადასხვანაირი პერიოდიზაცია მივიღოთ.

დასავლეთის მეცნიერებაში ძალზე გავრცელებულია პერიოდიზაცია ისტორიული მოვლენების საფუძველზე. კერძოდ კაცობრიობის ისტორიის ძირითად ეტაპებს საფუძვლად უდებენ ისეთ ფაქტებს, როგორიცაა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები, რომის იმპერიის დამხობა, ბიზანტიის იმპერიის დაცემა, ნაპოლეონის ომები, პირველი მსოფლიო ომის დასასრული და ა.შ. ამის მიხედვით გამოიყოფა ძველი, შუა საუკუნეების, ახალი თუ უახლესი ისტორიის ცალკეული პერიოდების ქრონოლოგიური ჩარჩოები.

იყო ცდები პერიოდიზაცია მოეხდინათ გეოგრაფიული ფაქტორების საზოგადოებაზე გავლენის როლის მიხედვით. ამ მხრივ აღსანიშნავია რუსი გეოგრაფის ლ. მეჩნიკოვის სქემა, რომლის მიხედვითაც პერიოდიზაციის საფუძველია საწყლოსნო გზების განვითარება. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა სამდინარო (ძველი ეგვიპტე, შუამდინარეთი, ძველი ინდოეთი და ჩინეთი); ხმელთაშუა ზღვის (ფინიკია, კართაგენი., ძველი საბერძნეთი, რომი, ბიზანტია, შუა საუკუნეების იტალიის სახელმწიფოები) და ოკეანური (პორტუგალია, ესპანეთი, ჰოლანდია, საფრანგეთი, ინგლისი) პერიოდები.

უფრო გავრცელებულია პერიოდიზაცია ეკონომიკური ფაქტორების, კერძოდ წარმოების მიხედვით. მარქსიზმი სწორედ ამ პრინციპს ეყრდნობოდა, როცა საზოგადოების ისტორიის პერიოდებად დაყოფას საფუძვლად წარმოების წესის ცვლა დაუდო და კაცობრიობის განვითარების ხუთი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია გამოჰყო (პირველყოფილი თემური, მონათმფლობელობის, ფეოდალიზმის, კაპიტალიზმის, სოციალიზმის).

გარკვეული რაციონალური მარცვალი ყველა პერიოდიზაციაში შეიმჩნევა. ალბათ ყველაზე გამართლებული იქნებოდა მათი შეჯერება მოგვეხდინა და სინთეზური პერიოდიზაცია მიგვეღო, მაგრამ ეს ძალიან რთული და ძნელად გადასაჭრელი ამოცანაა. ამდენად ჩვენ აქ მხოლოდ ზოგად სქემას ვეყრდნობით და გამოვყოფთ შემდეგ ძირითად ეტაპებს.

1. უძველესი პერიოდი, ანუ საპიენტაციის დაწყებიდან პირველი სახელმწიფოების წარმოშობამდე (ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეულამდე).

2. ძველი პერიოდი (ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეულიდან ახ. წელთაღრიცხვის V საუკუნემდე).

3. შუა საუკუნეები (V-XVIII საუკუნეები).

4. ახალი პერიოდი (XIX საუკუნე – XX საუკუნის დასაწყისი).

5. უახლესი პერიოდი (1918 წლიდან დღემდე).

თითოეულ პერიოდში გამოიყოფა ქვეპერიოდები, რომელთა შესახებ დანვრილებით ქვემოთ იქნება ნათქვამი.

1.2. უძველესი პერიოდი

კაცობრიობის ისტორიის უძველესი პერიოდი ადამიანის გაჩენიდან კლასობრივ საზოგადოების ჩამოყალიბებამდე ყველაზე ხანგრძლივი ისტორიული ეპოქაა საზოგადოების განვითარებაში. მისი ქვედა ზღვარი სულ მცირე 1,5 მილიონი წლის წინანდელ დროს მოიცავს, ხოლო ზედა ზღვარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება.

ამ ისტორიული ეპოქის ყველაზე ადრინდელი პერიოდებია **ქვედა პალეოლითი** (1,5 მლნ – 100 ათასი წლის წინ) და **შუა პალეოლითი** (100-40 ათასი წლის წინ) მაშინდელი ადამიანები (უფრო სწორი იქნება გვეთქვა ადამიანთა წინაპრები) ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ მოაზროვნე ადამიანებს, ცხოვრობდნენ პირველყოფილი ჯოგის სახით, შეეძლოთ მხოლოდ პრიმიტიული ქვის იარაღების დამზადება და მათ ერთადერთ საქმიანობას შემგროვებლობა და ნადირობა წარმოადგენდა.

ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით უფრო საინტერესოა **ზედა პალეოლითი** (40-12 ათასი წელი ჩვენს ერამდე), როცა პირველყოფილი ჯოგი იცვლება პირველყოფილი თემით, ხოლო ნეანდერტალი ადამიანი თანამედროვე ადამიანით. (Homo Sapiens).

საპიენტაციის ანუ თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი, საიდანაც უკვე შეიძლება სათავე დავუდოთ ისტორიულ-გეოგრაფიულ პერიოდიზაციას, მიმდინარეობდა 40-30 ათასი წლის წინ. საპიენტაციის მამოძრავებელი ძალა იყო ინდივიდების ბუნებრივი შერჩევა, რომელიც გულისხმობს ფიზიკურ გამძლეობას, მოხერხებულობას, კოლექტივში ცხოვრების უნარს და საზოგადოებრივ-საწარმოო მოღვაწეობას. სავარაუდოა, რომ ბუნებრივმა შერჩევამ სწორედ იმ ჯგუფების რაოდენობრივ ზრდას და ტერიტორიულ გაფართოებას შეუწყო ხელი, რომლებშიც მეტი იყო სამეურნეო-კულტურული მოღვაწეობის კოლექტიური ჩვევების მქონე ადამიანთა რიცხვი.

ერთერთი სადისკუსიო საკითხია თანამედროვე სახის ადამიანის ფორმირების ადგილის პრობლემა. ამ საკითხის ირგვლივ ორი განსხვავებული ჰიპოთეზა არსებობს. ერთი მათგანის მიხედვით, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია „პო-

ლიცენტრიზმის“ სახელწოდებით ადამიანის საპიენტაცია მოხდა რამოდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელ კერაში და თანაც სხვადასხვა დროს. მეცნიერთა უმრავლესობა მხარს უჭერს „მონოცენტრისტულ“ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება მოხდა ერთ (თუმცა ძალიან ფართო) არეალში და მოიცავს სამხრეთ-დასავლეთ აზიას, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკას და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას. სწორედ ამ ტერიტორიიდან შუა და ზედა პალეოლითის მიჯნაზე იწყება მოაზროვნე ადამიანის თანდათანობითი გავრცელება ახალ ტერიტორიებზე.

ამ თავდაპირველ ოიკუმენში საწარმოო ძალთა განვითარების დონე უკიდურესად დაბალი იყო. საარსებო საშუალებათა წყაროს წარმოადგენდა შემგროვებლობა, ნადირობა და შიდა წყალსატევებში თევზაობა. ასეთ მეურნეობას უწოდებენ „მითვისებითს“. საწარმოო ძალთა განვითარება და მოსახლეობის ზრდა აიძულებდა ზედაპალეოლითის მონადირეებს და შემგროვებლებს თანდათან განსახლებულიყვნენ მანამდე აუთვისებელ სივრცეებზე. მიგრაცია საპიენტიზაციის კერიდან სამი მიმართულებით მიმდინარეობდა – სამხრეთ დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ზედა პალეოლითში დასახლებული და ათვისებული იქნა აფრიკა, ჩრდილოეთ ევროპა, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულები. დაახლოებით 30 ათასი წლის წინ ბერინგის სრუტის გავლით ზედაპალეოლითის ადამიანები გადავიდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში. ამ კონტინენტის დასახლება და ათვისება ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით მიმდინარეობდა და 12-13 ათასი წლის წინ ფაქტიურად დამთავრდა, როცა მოსახლეობა გაჩნდა ცეცხლოვან მიწაზეც. ამავე პერიოდში მოხდა ავსტრალიის დასახლება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან, ხოლო 11-12 ათასი წლის წინ ათვისებული იქნა ტასმანიაც. ამგვარად ზედა პალეოლითის ბოლოსთვის მოსახლეობა იყო ყველა კონტინენტზე.

სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში მოხვედრილ ადამიანთა ჯგუფებს გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე თანდთანობით ჩამოუყალიბდათ ურთიერთგანმასხვავებელი გარეგნული ნიშნები, რაც რასების წარმოქმნასა და განვითარებაში გამოიხატა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ყველა ძირითადი და გარდამავალი რასების უმრავლესობა, რომელთა წარმოქმნა-

ში ორი ფაქტორი – გარემოსთან შეგუება და იზოლაცია ასრულებდა გადამწყვეტ როლს.

თუმცა ზედა პალეოლითის ადამიანის ერთადერთ საქმიანობას მითვისებითი მეურნეობა შეადგენდა, დედამიწის ცალკეული რეგიონები მაინც საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან სამეურნეო კულტურის თვალსაზრისით. შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი სამეურნეო-კულტურული ოლქები: ევროპული მყინვარისპირა, ხმელთაშუაზღვისპირა – წინააზიური, აფრიკული, ციმბირ-ჩინეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური.

ვარაუდობენ, რომ პალეოლითის ბოლოსათვის (დაახლოებით 12 ათასი წლის წინ ჩვენს ერამდე) დედამიწის მოსახლეობა შეადგენდა 3 მილიონ კაცს და მხოლოდ ძნელადმისადგომი და მკაცრი ბუნებრივი პირობების მქონე რეგიონებიღა იყო დარჩენილი მოსახლეობის გარეშე. ხოლო მეურნეობის ტიპის მიხედვით საკმაოდ რთული სურათი იყო წარმოდგენილი არქტიკული მონადირეებიდან დაწყებული ეკვატორული ტყეების შემგროვებლებით დამთავრებული.

მეზოლითი ანუ შუა ქვის ხანა რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII-VIII ათასწლეულებით ათარიღებს (თუმცა სხვადასხვა რეგიონებში სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მერყეობს), პირველყოფილი საზოგადოების შემდგომი განვითარებისა და აყვავების ეპოქაა. მეზოლითის ადამიანის მთავარი მიღწევა მშვილდ-ისრის გამოგონება და ძაღლის მოშინაურებაა. ამ პერიოდში საბოლოოდ ფორმდება პირველყოფილი თემი, როგორც ძირითადი სოციალური ორგანიზმი.

მეზოლითის დასაწყისი დაემთხვა მყინვარული საფარის უკან დახევას და გლობალურ დათბობას დედამიწაზე. ამ დროს ჩამოყალიბდა თანამედროვე კლიმატი, ფლორა და ფაუნა, რელიეფის ფორმები და ჰიდროგრაფიული ქსელი. ყინულისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ჯერ ტუნდრის ლანდშაფტი ჩნდებოდა, რომელიც ყინულის მოძრაობის შესაბამისად ჩრდილოეთისაკენ ინაცვლებდა, ხოლო მის ადგილს ტყის ლანდშაფტი იკავებდა. ამ ახალ ტერიტორიებზე სახლდებოდნენ სამხრეთიდან მოსული მონადირეები, რომლებიც თანდთან ითვისებდნენ ახალ მიწებს. ასე მოხდა სკანდინავიის ნახევარკუნძულის, ციმბირის ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ

ამერიკის ჩრდილოეთ რეგიონების დასახლება და ათვისება. ნადირობასა და შემგროვებლობას საზღვაო რეწვაც მიემატა. მეზოლითშივე წარმოიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, როგორიცაა ქორწინება და ოჯახი. მანამდე არსებული მოუწესრიგებელი სქესობრივი დამოკიდებულებები შეიცვალა ჯერ კიდევ ძალზე არასრულყოფილ, მაგრამ მაინც უკვე გარკვეულად მონესრიგებული ურთიერთობის ფორმით. გვარი რომელიც დედის მხრივ სისხლით ნათესავთა კავშირი იყო მეზოლითური საზოგადოების უმცირეს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა.

მეზოლითის ეპოქიდან უკვე შეიძლება ლაპარაკი ენების, ფოლკლორის, ხელოვნებისა და რაციონალური ცოდნის საწყისების შესახებ. ამავე პერიოდში გაფორმდა პირველყოფილი რელიგიების ძირითადი ფორმები – ტოტემიზმი, ანიმიზმი, მაგია და ფეტიშიზმი, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი ავსტრალიის აბორიგენებში, პაპუასებში, ინდიელებში, აფრიკის ხალხებში და აზიის მთელ რიგ ტომებში. მატერიალური და სულიერი კულტურის პროგრესმა განაპირობა დედამიწის მოსახლეობის ზრდა და მეზოლითის ბოლოსთვის (ძვ. წ.აღ-ის VIII ათასწლეული) მსოფლიოს მოსახლეობის საერთო რიცხვმა დაახლოებით 10 მილიონი შეადგინა.

ძველი წელთაღრიცხვის VII-VI ათასწლეულებში ჯერ ევრაზიის, ხოლო უფრო მოგვიანებით სხვა კონტინენტების ცალკეულ რეგიონებშიც იწყება კაცობრიობის ისტორიის შემდგომი პერიოდი – **ნეოლითი ანუ ახალი ქვის ხანა**.

ნეოლითი ქვის ხანის უკანასკნელი და უმაღლესი სტადიაა და ხასიათდება ქვის შრომის იარაღების დამზადების ტექნიკის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით. კერძოდ ადამიანის მიერ ათვისებული იქნა ქვის დამუშავება გაპრიალებით, ხეხვით და გახვრეტით, რამაც შესაძლებელი გახადა ქვისათვის მიეცათ სასურველი ფორმა. დამუშავებისათვის ხელსაყრელი ქვების ძიებამ ნეოლითის ადამიანი მიიყვანა მის მიწისქვეშა მოპოვებამდე და სწორედ ამ პერიოდიდან არის ცნობილი პირველი კაჟის მოსაპოვებელი მაღაროები. ახალი იარაღებით შესაძლებელი გახდა ხის დამუშავებაც. ძირეულად გაუმჯობესდა მშვილდ-ისარი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მონადირე ტომების შესაძლებლობები ნანადირევის მოპოვების

თვალსაზრისით და საგრძნობლად იმოქმედა მათი ყოფითი პირობების გაუმჯობესებაზე და რიცხობრივ ზრდაზე.

ნეოლითის მნიშვნელოვანი სიახლე იყო კერამიკული წარმოების შექმნა და განვითარება – თიხის ჭურჭლის გამოძერწვა და გამოწვა ის მიღწევა იყო, რაც შესაძლებლობას აძლევდა ადამიანს ძირეულად განევითარებინა საჭმლის მომზადების ხერხები და გაეფართოვებინა მისი ასორტიმენტი. გამომწვარი თიხა პირველი გამოგონებაა, რომელიც საწყისი მასალების ტექნოლოგიური გადამუშავების შედეგად მიიღებოდა და ბუნებაში თავისთავად არ მოიპოვებოდა. მკვლევართა ნაწილი სწორედ ამ მოვლენაზე ატარებს ზღვარს ძველი საზოგადოების ისტორიის პირველ ეტაპს – ველურობასა და მეორე ეტაპს – ბარბაროსობას შორის. ნეოლითიდან შეიძლება ლაპარაკი გადაადგილების პირველი პრიმიტიული საშუალებების (ხის მორისაგან გათლილი ნავები, თხილამურები, ციგები), აგრეთვე რთვისა და ქსოვის (ველური მცენარეების ბოჭკოებიდან წვნა) ჩანასახების არსებობის შესახებ.

მაგრამ ნეოლითის უდიდესი მიღწევა, ანუ როგორც ხშირად უწოდებენ „ნეოლითის რევოლუცია" იყო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაჩენა.

მიწათმოქმედების ჩასახვის ადგილის შესახებაც ორი განსხვავებული ჰიპოთეზაა: მონოცენტრისტული და პოლიცენტრისტული. მონოცენტრისტული თვალსაზრისით მიწათმოქმედების პირველი კერაა წინა აზია, სადაც ძველი წელთაღრიცხვის VII ათასწლეულში უკვე წარმოიქმნა პრიმიტიული მიწათმოქმედება და აქედან გავრცელდა სხვა ქვეყნის ნაწილებში. პოლიცენტრისტული ჰიპოთეზით კი მიწათმოქმედება დედამიწის რამოდენიმე რეგიონში წარმოიქმნა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. კერძოდ გამოყოფენ ხუთ რაიონს: წინა აზია სადაც ძვ. წელთაღრიცხვის VII ათასწლეულიდან მოჰყავთ ქერი და ხორბალი; ხუანხეს აუზი, სადაც ძვ. წელთაღრიცხვის IV ათასწლეულიდან გავრცელებული კულტურაა ფეტვი; სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, რომელიც ითვლება ბრინჯის სამშობლოდ და ეს კულტურა უკვე V ათასწლეულებიდან არაა ცნობილი; ამერიკა სადაც არაუგვიანეს V-IV ათასწლეულებისა ცნობილია სიმინდისა და ლობიოს კულტურები და ბოლოს პერუ, სადაც ამავე პერიოდიდან მოჰყავთ გოგრა, წიწაკა და კარტოფილი.

დაახლოებით ამავე პერიოდიდან ყალიბდება მეცხოველეობა, როგორც მეურნეობის განსაკუთრებული დარგი. თუ მეზოლითში ერთადერთი მოშინაურებული ცხოველი ძაღლი იყო და მისი მოშინაურება ნადირობის საჭიროებამ გამოიწვია, ნეოლითში მოშინაურებული იქნა ღორი, ცხვარი, თხა და შესაძლოა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც. არც მეცხოველეობაშია დადგენილი წარმოშობის ადგილი. მონოცენტრისტები თვლიან რომ მეცხოველეობის სამშობლო წინა აზიაა, პოლიცენტრისტების აზრით კი სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ცხოველების მოშინაურება მოხდა.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმოქმნით მოხდა უმნიშვნელოვანესი ნახტომი ისტორიაში. ბუნებაში არსებული მზა პროდუქტების მითვისებიდან ადამიანი გადავიდა მის წარმოებაზე. იქ სადაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო (ნილოსის ხეობა, შუამდინარეთი, წინა აზია, ირანი, ინდის და ხუანხეს აუზები, აგრეთვე ცენტრალური ამერიკა და ანდების ხეობები) მიწათმოქმედება და მეცხოველეობა სწრაფად დაწინაურდა და ამ საქმიანობის მიმდევარმა ტომებმაც საგრძნობ პროგრესს მიაღწიეს მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარებაში. არახელსაყრელი გარემოს მქონე რეგიონებში კი ნადირობა, თევზჭერა და შემგროვებლობა კიდევ მრავალი საუკუნის მანძილზე დარჩა მეურნეობის ერთადერთ დარგად და ზოგან დღემდე მოაღწია.

ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში – ადამიანმა ისწავლა ლითონის გამოყენება. ქვის ხანა შეიცვალა **ლითონის ხანით**, კერძოდ ჯერ **სპილენძის (ენეოლითი)**, შემდეგ **ბრინჯაოს** და ბოლოს **რკინის ხანით**.

სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის ერთიანი ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა მთლიანად კაცობრიობისთვის შეუძლებელია, რადგან სხვადასხვა რეგიონებში ეს პერიოდები სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა. შედარებით ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობების მქონე რეგიონებში ენეოლითი უკვე III ათასწლეულის დასაწყისში შეიცვალა ბრინჯაოს ხანით, ხოლო რკინის ხანა II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში დადგა. სხვაგან ეს ცვლილებები მთელი ათასწლეულებით გვიან მოხდა, ხოლო განსაკუთრებით არახელსაყრელ გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები ტომები

(ავსტრალია, ამაზონიის ჯუნგლები, აფრიკისა და ოკეანეთის ცალკეული რაიონები) დღემდე ქვის ხანაში ცხოვრობდნენ. ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეულში, როცა ეგვიპტესა და შუამდინარეთში მონათმფლობელური სახელმწიფოების აყვავების პერიოდია, თითქმის მთელი დანარჩენი მსოფლიო ჯერ კიდევ პირველყოფილ თემური წყობილების ხანაშია. გვაროვნულ-თემური საზოგადოების დაშლა აქ შემდეგ ათასწლეულებში მოხდა და სახელმწიფოებიც გაცილებით გვიან წარმოიშვნენ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პირველყოფილი საზოგადოების რღვევა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება ყველგან დაახლოებით ერთი სქემით მიმდინარეობდა.

პირველყოფილი საზოგადოების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველი იყო ჭარბი პროდუქტის წარმოება. ეს კი შესაძლებელი იყო იმ ტომებში, რომლებიც მეცხოველეობას და განსაკუთრებით კი მიწათმოქმედებას მისდევდნენ და შრომის იარაღებად ლითონს იყენებდნენ. ისტორიაში ცნობილია ცალკეული გამონაკლისებიც როცა პირველყოფილი საზოგადოების დაშლა მაღალგანვითარებულ მონადირე-მეთევზეთა მეურნეობის საფუძველზეც ხდებოდა (ალეუტები, ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროს ინდიელები, ციმბირის ზოგიერთი ხალხი), მაგრამ ეს ერთეული შემთხვევებია და თევზისა და ზღვის ცხოველთა დიდი სიუხვით აიხსნება. მიწათმოქმედ და მესაქონლე ტომებში კი სადაც ფართოდ დაინერგა ლითონის იარაღები, ჭარბი პროდუქტის შექმნა კანონზომიერი და ბუნებრივი მოვლენაა, რაც გარდაუვლად იწვევდა კერძო საკუთრების წარმოშობას და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ნეოლითში და ენეოლითში მიწათმოქმედების ზრდა შეზღუდული იყო ქვის იარაღების ტექნიკური შესაძლებლობებით. ქვის ცულით ტყის გაკაფვა უზომო შრომას მოითხოვდა. ბრინჯაოს და განსაკუთრებით რკინის დანერგვამ ეს პროცესი ბევრად გააადვილა. ძალზე დიდი როლი ითამაშა აგრეთვე გეოგრაფიულმა ფაქტორებმა. მიწათმოქმედების პირველი კერებიდან სულ მალე დაწინაურდნენ ეგვიპტე და შუამდინარეთი, ცოტა მოგვიანებით კი ინდისა და ხუანხეს ხეობები. მცირე აზია, ირანი და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი კი შედარებით ჩამორჩნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ნილოსის, ევფრატის და ტიგროსის, ინდის და ხუანხეს ხეობები აგე-

ბულია ამ მდინარეების მიერ ჩამოტანილი ნაშალი მასალით (ალუვიონით) და გამოირჩევა ნაყოფიერი ნიადაგებით და რბილი გრუნტით. აქ ჯერ კიდევ ენეოლითში, სპილენძის იარაღებით გახდა შესაძლებელი გრანდიოზული საირიგაციო მშენებლობების ჩატარება, რამაც არნახულად გაზარდა წარმოებული პროდუქცია და ხელი შეუწყო კლასობრივი საზოგადოებისა და შესაბამისად პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. მთიან რაიონებში და მაგარი გრუნტის პირობებში კი ჭარბი პროდუქციის შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ბრინჯაოს და განსაკუთრებით რკინის იარაღების დანერგვის შემდეგ.

სწორედ რკინის ათვისებამ გახადა შესაძლებელი ნაკლებადეფექტიანი კავი და თოხი (თოხური მიწათმოქმედება) შეცვლილიყო გაცილებით ეფექტური გუთნით და საფუძველი ჩაყროდა გუთნურ მიწათმოქმედებას, სადაც გამწევ ძალად ჯერ ადამიანები, ხოლო შემდეგ ახლადმოშინაურებული ცხოველები (ხარი, ცხენი, სახედარი) გამოიყენებოდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ რეგიონებში გუთნური მიწათმოქმედება არ განვითარდა და ეს დარგი ხელის იარაღების ამარა დარჩა. ეს ეხება ტროპიკულ აფრიკას, აზიის მნიშვნელოვან ნაწილს და ამერიკას. სავარაუდოა, რომ აზიაში ეს გამოწვეული იყო ნაყოფიერი მიწების სიმცირით და რთული რელიეფით. ამერიკაში მოსაშინაურებლად ვარგისი ცხოველების არარსებობით, აფრიკაში კი ბუზ ცეცეს გავრცელებით, რომლის ნაკბენიც სასიკვდილოა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის.

ლითონის ხანის საწყის ეტაპებზე ბევრი ტომი ერთდროულად მისდევდა მიწათმოქმედებასაც და მეცხოველეობასაც. შემდგომ პერიოდში დაიწყო დიფერენციაციის პროცესი. ნაყოფიერი მიწებით მდიდარ მდინარეთა ხეობებში მცხოვრები ტომებისათვის მიწათმოქმედება ძირითადი საქმიანობა გახდა და მეცხოველეობა მხოლოდ დამხმარე როლს თამაშობდა. სტეპებსა და ნახევარუდაბნოებში მცხოვრებმა ტომებმა კი თანდათანობით შეზღუდეს მიწათმოქმედება და ძირითად საქმიანობად მეცხოველეობა გაიხადეს. ამავე ბუნებრივ ზონეში მცხოვრები ზოგიერთი ტომი კი, რომლებიც ადრე მხოლოდდამხოლოდ ნადირობას მისდევდნენ დროთა განმავლო-

ბაში მესაქონლეობაზე გადავიდნენ ისე, რომ მიწათმოქმედება მათთვის უცნობი დარჩა.

ამრიგად მოხდა კაცობრიობის ისტორიაში პირველი შრომის დიდი საზოგადოებრივი დანაწილება. სოფლის მეურნეობის მწარმოებელ საერთო მასიდან ცალ-ცალკე ჩამოყალიბდნენ მიწათმოქმედი და მეცხოველე ტომები, რომელთა შორის მიმდინარეობდა ჭარბი პროდუქციის ინტენსიური გაცვლა.

ბრინჯაოსა და რკინის გამოყენებამ მძლავრი ბიძგი მისცა ხელოსნობის განვითარებას. თუ ქვისა და ძვლის იარაღების დამზადება თემის ნებისმიერი წევრისთვის იყო ხელმისაწვდომი, ბრინჯაოს და განსაკუთრებით კი რკინის მეტალურგია მოითხოვდა სპეციალურ მომზადებას, ჩვევებს, გამოცდილებას და ცალკე ნაგებობებსაც. სწორედ ამიტომ მჭედლები, როგორც პირველი პროფესიული ხელოსნები, ყველგან წარმოადგენდნენ მოსახლეობის განსაკუთრებულ ფენას და ტომის სხვა წევრების დამოკიდებულებაც მათ მიმართ განსაკუთრებული იყო. გართულდა სხვა ხელობებიც, კერძოდ მეთუნეობა, ფეიქრობა, კალატოზობა და ა.შ. ყოველივე ეს მეტ პროფესიონალიზმს მოითხოვდა და ყველას არ შეეძლო. თემის წევრებში თანდათან გამოიყვნენ დახელოვნებული ოსტატები, რომელთა ძირითად (ხშირ შემთხვევაში კი ერთადერთ) საქმიანობას სხვადასხვა ხელოსნური ნაწარმის წარმოება შეადგენდა. **ასე დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში შრომის მეორე დიდი საზოგადოებრივი დანაწილება – ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან.** შრომის დანაწილება კი ვაჭრობის განვითარების საფუძველი გახდა და პირველი პროფესიონალი ვაჭრებიც გაჩნდნენ. არქეოლოგიური მონაცემებით დადასტურებულია სავაჭრო კავშირები ძვ. წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულებში შუამდინარეთსა და ეგვიპტის, ირანისა და კავკასიის, ინდოეთისა და შუა აზიის, ჩინეთისა და ცენტრალური აზიის ტერიტორიებზე მცხოვრებ ტომებს შორის.

გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ სტიმული მისცა მიმოსვლის საშუალებების გაუმჯობესებას. გამოგონილი იქნა ბორბალი, რამაც ურმების გავრცელებას დაუდო სათავე. გამოჩნდა პირველი ნიჩბებიანი და იალქნიანი გემები.

. განსაკუთრებით დიდი ცვლილებები მოხდა საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში. გვაროვნული თემი შეიცვალა ტერი-

ტორიული თემით, რომელიც სისხლით ნათესაობაზე არ იყო დამოკიდებული. ასეთ თემში წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება იყო დამახასიათებელი, მხოლოდ მიწა რჩებოდა კიდევ დიდი ხნის მანძილზე კოლექტიურ (თემურ) საკუთრებად. მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენით მთავრდება გვაროვნული და იწყება კლასობრივი საზოგადოების განვითარება.

საწარმოო ძალების მძლავრმა განვითარებამ ძირეულად შეცვალა შრომის დანაწილება სქესთა შორის. გუთნური მიწათმოქმედება, მეცხოველეობა თუ მეტალურგია მამაკაცის საქმე იყო. ამის გამო შეიცვალა სქესთა საზოგადოებრივი მდგომარეობაც. დედისეული ძალაუფლება (მატრიარქატი) იცვლება მამისეული ძალაუფლებით (პატრიარქატი). ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მეცხოველე და გუთნური მიწათმოქმედების ტომებში წარიმართა. პატრიარქატზე გადასვლამ შეცვალა საქორწინო ურთიერთობებიც. ოჯახის ძირითადი ფორმა გახდა მეუღლეთა მყარი კავშირი – მონოგომიური (ზოგიერთ ხალხებში პოლიგამიური) ოჯახი.

ჭარბი პროდუქტის შექმნამ და შესაბამისად კერძო საკუთრების ჩამოყალიბებამ გამოიწვია საზოგადოების კლასებად დაყოფა. გაბატონებული კლასები საჭიროებდნენ ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ერთის მხრივ დაიცავდა მათ ინტერესებს და პრივილეგიებს და მეორეს მხრივ უზრუნველყოფდა მთელი ტომის დაცვას გარეშე ძალისაგან. ასეთი ორგანიზაცია იყო სახელმწიფო, რომლის წარმოშობაც არის პირველყოფილი საზოგადოების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების დასკვნითი აქტი. სწორედ მსოფლიოს უძველესი სახელმწიფოების ჩამოყალიბება ეგვიპტესა და შუამდინარეთში ძვ. წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულების მიჯნაზე უნდა ჩაითვალოს ზღვრად, როცა მთავრდება კაცობრიობის ისტორიის უძველესი პერიოდი და იწყება მეორე პერიოდი, რომელსაც ძველ, ანუ მონათმფლობელურ ეპოქას უწოდებენ და რომელიც ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე გაგრძელდა.

ქუთ.-კუთაისის ეროვ. ბიბლიოთეკა
საკუთრების ნიშანი
№

პირველყოფილი საზოგადოების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ეპოქას ხელიყო კულტურისათვის დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მეცნიერული ცოდნის საწყისების ფორმირებაში და ხელოვნე-

- 26861 -

ბაში. ამავე პერიოდში მოხდა იდეოგრაფიული დამწერლობის გამოგონება. მოვლენა რომელიც ისტორიაში უდიდეს კულტურულ მიღწევად ითვლება და ზღვარს ავლებს ბარბაროსობასა და ცივილიზაციას შორის.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ეთნიკური და ენობრივი პროცესების განვითარების თვალსაზრისით. სისხლით ნათესაობით ერთობაზე დაფუძნებული თემები და ტომები შეიცვალნენ ახალი ეთნიკური წარმონაქმნით – თანატომობრიობებით (ამის მაგალითია აქეველები და დორიელები საბერძნეთში, ძველი სლავები და ა.შ.), რომლებიც კლასობრივ ეპოქაში ჯერ ხალხებად, შემდეგ კი ერებად იქცნენ. III ათასწლეულის დასაწყისისათვის უკვე ჩამოყალიბებულია დღეს არსებული ენობრივი ოჯახების უმრავლესობა (სემიტურ-ქამიტური, ინდოევროპული, კავკასიური, დრავიდელი, ჩინეთ-ტიბეტურ, ავსტრონეზული, ალტაური, ურალური და ა.შ.), თუმცა მათ საბოლოო ფორმირებას კიდევ დიდი დრო დასჭირდა.

1.3. ძველი პერიოდი

კაცობრიობის ისტორიის ძველ პერიოდად მიჩნეულია ეპოქა, რომელიც პირველი სახელმწიფოების წარმოქმნის ხანიდან (დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულების მიჯნა) ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე, კერძოდ რომის იმპერიის დაცემამდე გრძელდებოდა. ამ ეპოქის საწყისად კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას ხოლო დასასრულად ფეოდალიზმის გამარჯვებას თვლიან და თვით პერიოდიც უფრო ხშირად მონათმფლობელური წყობილების სახელითაა ცნობილი. უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო მეტი მკვლევარი გამოდის ასეთი სახელწოდების წინააღმდეგ. ჯერ ერთი ძველი ქვეყნების უმრავლესობაში მონათმფლობელობა სრულიადაც არ ყოფილა წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი ფორმა და ძირითად როლს აქ თავისუფალი მეთემეები თამაშობდნენ. მეორეც მონათმფლობელობის სხვადასხვა ფორმები აზიისა და აფრიკის ბევრ ქვეყანაში გაცილებით გვიან, თვით XX საუკუნემდე შეინიშნებოდა. კლასიკური მონათმფლობელობა მხოლოდ ძველ საბერძნეთში და ძველ რომში (შესაძლოა აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაშიც) იყო გავრცელებული და ამ ქვეყნების მაგალითის გავრცელება მთელს მაშინდელ მსოფლიოზე გამართლებულად ვერ ჩაითვლება. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება უბრალოდ ძველ პერიოდად მოვიხსენიოთ ის ეპოქა, რომელიც დაახლოებით 35 საუკუნეს ითვლის ეგვიპტესა და შუამდინარეთში პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბებიდან ვიდრე დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამდე და ევროპაში ფეოდალიზმის დამყარებამდე.

ეს ხანგრძლივი პერიოდი თავის მხრივ ხუთ ქვეპერიოდად შეიძლება დავყოთ წმინდა ქრონოლოგიურ საფუძველზე: 1. ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეული; 2. ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეული. 3. ძვ. წელთაღრიცხვის X-VI საუკუნეები; 4. ძვ. წელთაღრიცხვის V-I საუკუნეები; 5. ახ. წელთაღრიცხვის I-V საუკუნეები.

911

1.3.1. ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეული

ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში მთელი მსოფლიო ჯერ კიდევ პირველყოფილი საზოგადოების დონეზე იყო. გამონაკლისს ორად-ორი რეგიონი წარმოადგენდა – ნილოსის ქვემო წელი და მესოპოტამიის დაბლობი. აქ III ათასწლეულის დასაწყისისათვის უკვე შეიქმნა პირველი მონათმფლობელური სახელმწიფოები და შეიძლება ითქვას კაცობრიობის ცივილიზაციასაც ჩაეყარა საფუძველი.

როგორც ვარაუდობენ ძველი ეგვიპტის სახელმწიფო ძვ. წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის ბოლოდან არსებობს. ძველი ეგვიპტელები თავიანთ ქვეყანას შავი მიწის ქვეყანას უწოდებდნენ და ამით ხაზგასმული იყო ნილოსის ხეობის ნაყოფიერი მიწების განსხვავება გარემომცველი ტერიტორიების (ლიბიისა და არაბეთის უდაბნოები) უნაყოფო ნითელი მიწებისაგან. გეოგრაფიულად ძველი ეგვიპტე ორ ნაწილად იყოფოდა. ნილოსის დელტა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან ჩ. გ. 30°-მდე ცნობილი იყო ქვემო ეგვიპტის სახელწოდებით, ხოლო ნილოსის ვიწრო და გრძელი ხეობა ჩ. გ. 30°-დან 24°-მდე შეადგენდა ზემო ეგვიპტეს.

ძველი ეგვიპტის მოსახლეობა სამხრეთული ევროპოიდები იყვნენ შედარებით მუქი კანის ფერით და შავი სნორი თმებით. მათი ენა სემიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახის ცალკე ჯგუფს შეადგენდა (ამ ენის გვიანდელი სახესხვაობაა კოპტური ენა. რომელიც დღემდე იხმარება როგორც საეკლესიო ენა ეგვიპტელი ქრისტიანი-კოპტებისათვის) და შუალედური მდგომარეობა ეკავა სემიტურსა და ბერბერულ-კუშიტურ ენებს შორის. ეგვიპტის მეზობელი ხალხები – კუშიტურ ენებზე მოლაპარაკე ნუბიელები ანუ ნილოსის ეთიოპელები ერთის მხრივ და ლიბიურ-ბერბერული ტომები მეორეს მხრივ განვითარების გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგნენ. იგივე უნდა ითქვას ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლელ მეზობელ სემიტებზე, რომლებმაც მოგვიანებით დიდი როლი შეასრულეს მსოფლიო ისტორიასა და კულტურაში.

ძველი ეგვიპტის ეკონომიკის ძირითად დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა. ბუნებრივი პირობების გამო განსხვავდებოდა ზემო და ქვემო ეგვიპტის მეურნეობა. ზემო ეგვიპტეში ნილოსის ადიდებისას მთელი ხეობა წყლით იფარებოდა და ნაყოფიერ შლამს ტოვებდა. ამიტომ მთელი ეს ზოლი სახნავ

მიწებს ეჭირა და მოსახლეობაც საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული. ქვემო ეგვიპტეში არ იყო ისეთი ხელსაყრელი პირობები მიწათმოქმედების განვითარებისათვის, რადგან მთელი დელტის დაფარვისთვის ნილოსის წყალი საკმარისი არ იყო, სამაგიეროდ აქ უკეთესი პირობები იყო მეცხოველეობისათვის. საერთოდ ძნელია მოიძებნოს სხვა მაგალითი, სადაც ბუნებას ასეთი დიდი როლი ეთამაშოს ქვეყნის განვითარებაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ეგვიპტეში. ჰეროდოტეს სიტყვები „ეგვიპტე ნილოსის საჩუქარია" სავსებით შეესაბამება სინამდვილეს.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ეგვიპტეში იყო ხორბალი და ქერი. გავრცელებული იყო სელის, ზეთისხილის და ფინიკის წარმოება, მისდევდნენ მევენახეობასაც. ხელოსნობის დარგებიდან განსაკუთრებით დაწინაურდა სპილენძის მეტალურგია, მეთუნეობა, ტყავისა და სელის დამუშავება.

დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის 3200 წელს მოხდა ზემო და ქვემო ეგვიპტის გაერთიანება. აქედან იღებს სათავეს ეგვიპტის სახელმწიფოს ისტორია და ფარაონთა I დინასტიაც. IV-III ათასწლეულის მანძილზე ეგვიპტეში შეიცვალა რვა დინასტია. რაც მოიცავს ეგვიპტის ადრეულ სამეფოს (3200-2900 წლები, – I-II დინასტიები), ძველ სამეფოს (2900-2300 წლები III-VI დინასტიები) და ე. წ. პირველ გარდამავალ პერიოდს (2300-2100 წლები, VII-VIII დინასტიები). განსაკუთრებით აღსანიშნავია III-IV დინასტიების მმართველობა, რაც აღინიშნა მსოფლიო კულტურის გრანდიოზული ძეგლების – პირამიდების მშენებლობით.

ეგვიპტის ძველი სამეფო თავისი ძლიერების ხანაში აწარმოებდა დაპყრობით ომებს მეზობელი ტომების წინააღმდეგ. კერძოდ III-IV დინასტიების მმართველობისას (ძვ. წ. 2900-2600 წლები) ეგვიპტემ შემოიერთა სინას ნახევარკუნძული. დაიმორჩილა ლიბიელები და ნუბიელები. ხანგრძლივ ომებს ჰქონდა ადგილი ეგვიპტესა და სირია-პალესტინის ტომებს შორის ლიბანის მთების დაუფლების მიზნით, სადაც კედარის ხშირი ტყეები იყო და ეს კი გემთმშენებლობისათვის აუცილებელ მასალას წარმოადგენდა. რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო სამხრეთ სუდანში და პუნტის ქვეყანაში (დღევანდელი სომალი და ეთიოპია). VI დინასტიის უკანასკნელი ფარაონების დროს (2400-2300 წლები) შიდა ადმინისტრაციული ერთეულე-

ბის – ნომების გაძლიერებამ ცენტრალური ხელისუფლება ძალზე დაასუსტა და ქვეყანა ფაქტიურად დაიშალა. მართალია საერთო ხელისუფლება ფარაონთა VII და VIII დინასტიების სახით კვლავ არსებობდა, მაგრამ მათი ძალაუფლება ნომინალური იყო და ფარაონებიც ნომების მმართველებისაგან ბევრი არაფრით არ განსხვავდებოდნენ.

მეორე რეგიონი სადაც ეგვიპტის პარალელურად ჩამოყალიბდა სახელმწიფო და მთელი III ათასწლეულის მანძილზე განვითარებული ცივილიზაცია არსებობდა, იყო შუამდინარეთი ანუ მესოპოტამიის დაბლობი, რომელიც მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის ხეობების ქვემო წელს მოიცავდა და დღევანდელი ერაყის ტერიტორიის დიდ ნაწილს შეადგენს.

მესოპოტამიის ალუვიური ნიადაგების დამუშავება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა სპილენძის იარაღებითაც კი. სწორედ ნიადაგები და მდინარეები ევფრატი და ტიგროსი შეადგენდნენ შუამდინარეთის ძირითად (ფაქტიურად ერთადერთ) სიმდიდრეს და მოსახლეობაც თითქმის მთლიანად მდინარეების (ძირითადად ევფრატის) ნაპირებზე იყო თავმოყრილი.

ქვეყნის უძველეს მოსახლეობას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარეს შუამდინარეთის (ბევრი ავტორის აზრით საერთოდ მთელი მსოფლიოს) ცივილიზაციას შეადგენდნენ შუმერები, რომლებიც აქ უკვე ძვ. წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის შუახანებიდან ჩანან. მათი წარმომავლობა და ეთნიკური ვინაობა დღემდე სადაოა რადგან შუმერული ენა დღეს არსებულ არც ერთ ენასთან ნათესაობას არ ამჟღავნებს. (საკმაოდ გავრცელებულია აზრი შუმერების კავკასიელებთან და კერძოდ ქართველებთან სიახლოვის შესახებ). შუმერების დამსახურებაა კაცობრიობის ერთერთი უდიდესი მიღწევა – დამწერლობის შექმნა. შუმერულმა მარცვლოვან-ლურსმულმა დამწერლობამ საფუძველი დაუდო სხვა მრავალი ანბანის შექმნას და ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესახებ.

შუმერების განსახლების არეალი შუამდინარეთის უკიდურესი სამხრეთი, სპარსეთის უბის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიით განისაზღვრებოდა. აქ წარმოიშვა შუმერთა პირველი პოლიტიკური ერთეულები – ქალაქი-სახელმწიფოები,

რომლებიც მუდმივ ურთიერთბრძოლებში იყვნენ თავიანთი სამფლობელოების გაფართოების მიზნით.

ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ქალაქი-სახელმწიფო,სადაც პირველად გაჩნდა სამეფო ხელისუფლება იყო ერიდუ,, მაგრამ III ათასწლეულის დასაწყისისთვის იგი უკვე აღარ ასრულებდა მნიშვნელოვან როლს შუმერების ცხოვრებაში. ამ პერიოდში წინა პლანზე გამოდიან ქალაქები ური (ბიბლიური აბრაამის სამშობლო), ურუქი (მისი პირველი ლეგენდარული მეფე გილგამეში ძირითადი პერსონაჟია შუმერულ მითოლოგიაში), ქიში, ლარსა, უმმა, ადაბი და სხვ. XXV-XXIV საუკუნეებში პოლიტიკურად ძალიან გაძლიერდა ქალაქი ლაგაში, რომელმაც მნიშვნელოვნად გაიფართოვა საზღვრები, და როგორც ჩანს დაამყარა კავშირები ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, მცირე აზიის მთიანეთის და ირანის მთიანეთის ტომებთან, აგრეთვე ინდოეთის უძველეს, ჰარაპას ცივილიზაციის შემქმნელ ხალხებთან. შემდგომ პერიოდში ქალაქ უმის მეფემ ლუგალზაგესმა ფაქტიურად გააერთიანა შუმერული ქალაქი სახელმწიფოები, მაგრამ სასტიკად დამარცხდა შუმერთა ჩრდილოეთით უკვე დამკვიდრებულ დასავლეთიდან შემოჭრილ სემიტებთან. პირველი სემიტური ქალაქის აქადის პირველმა მეფემ სარგონმა შეიერთა მთელი სამხრეთი შუამდინარეთი. ამ პერიოდიდან (ძვ. წ. XXIV საუკუნის ბოლო) შუმერები შევიდნენ, აქადის ძლიერი სახელმწიფოს შემადგენლობაში, რასაც შემდგომში მათი სრული ასიმილაცია მოჰყვა.

სარგონმა დაიმორჩილა არა მარტო მთელი შუამდინარეთი, არამედ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, მცირე აზიის სამხრეთში მოსახლე ტომები, ილაშქრა კუნძულ კვიპროსზე და ირანის მთიანეთში არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებების წინააღმდეგ. აქადის ძლიერება შენარჩუნებული იქნა სარგონის მემკვიდრეების პერიოდშიც. მაგრამ ძვ. წ. აღ-ის XXIII საუკუნის ბოლოს აქადის სახელმწიფოში აღმოსავლეთიდან იწყეს შემოჭრა ზაგროსის მთიანეთში მცხოვრებმა მომთაბარე ტომებმა გუთიებმა, რასაც მალე შუამდინარეთში მათი გაბატონება მოჰყვა. გუთიების ასწლოვანმა ბატონობამ დიდად დააზარალა ქვეყანა, განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი რაიონები – სამხრეთი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო. სწორედ აქედან დაიწყო შუმერისა

და აქადის ხელახალი გაერთიანება ჯერ ლაგაშის ხოლო შემდეგ ურის ჰეგემონობით. ეს ხელახალი აღორძინება დაახლოებით ერთ საუკუნეს გაგრძელდა, რასაც ბოლო შუამდინარეთის აღმოსავლეთით ჩამოყალიბებულმა ელამის ძლიერმა სახელმწიფომ მოუღო. დაიშალა ერთიანი შუმერულ-აქადური სახელმწიფო, რომლის ნანგრევებზეც მოგვიანებით რამოდენიმე პატარა სახელმწიფო აღმოცენდა.

ვარაუდობენ, რომ ძვ. წ. აღ-ის III ათასწლეულში ეგვიპტისა და შუამდინარეთის გარდა სახელმწიფოები უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ ელამში და დღევანდელი სირია-ლიბანის ტერიტორიაზე – სახელმწიფო ებლა. მთელი დანარჩენი მსოფლიო ჯერ ისევ თემურ-გვაროვნულ ეტაპზე იყო. თუმცა ცალკეულ რეგიონებში უკვე ჩანდა სახელმწიფოებრიობის ჩანსახები ტომთა სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებების სახით, განსაკუთრებით დაწინაურდნენ ინდის აუზში მცხოვრები ტომები (ჰარაპას ცივილიზაცია) და ხუანხეს შუა წელში მცხოვრები ძველი ჩინური მოსახლეობა (იანშაოს კულტურა). ირანის, კავკასიის, შუა აზიის, დასავლეთ და სამხრეთ ევროპის მოსახლეობა ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული მიწათმოქმედები და მეცხოველეები იყვნენ. ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის ტომების ძირითად საქმიანობას კი ნადირობა და თევზჭერა შეადგენდა.

1.3.2. ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეული

ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეული ხასიათდება როგორც ახალი, არსებითი ცვლილებების ეპოქა წარმოების განვითარების თვალსაზრისით და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებით. ეს პერიოდი ბრინჯაოს ხანას ემთხვევა და ბრინჯაოს იარაღები ფართოდ გავრცელდა ევრაზიისა და აფრიკის სხვადასხვა რაიონებში. ბრინჯაოს იარაღების გამოყენებამ უზრუნველჰყო ჭარბი პროდუქციის შექმნა და აქედან გამომდინარე კლასობრივი საზოგადოებების წარმოშობა სულ უფროდაუფრო მეტ ტომებში. ასე თანდათანობით ჩამოყალიბდა სახელმწიფოები ნილოსისა და შუამდინარეთის აუზების გარეთ – მცირე აზიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, ირანში, ინდოეთსა და ჩინეთში.

ძვ. წ.-ის დაახლოებით 2100 წელს ფაქტიურად დაშლილი ეგვიპტე კვლავ გაერთიანდა. 400 წლის განმავლობაში (2100-

1700 წ. წ.) ეგვიპტე ერთიანი სახელმწიფოა და მისი ისტორიის ეს პერიოდი ცნობილია შუა სამეფოს ხანად. ამ ხნის მანძილზე ეგვიპტის სამეფო ტახტზე შეიცვალა ცხრა დინასტია (IX-XVII). ამ დინასტიების დროს გაფართოვდა სპილენძის მადნების მოპოვება, გაჩნდა ხელოსნობის ახალი დარგი – მინის დამზადება, გაყვანილი იქნა ახალი არხები. XII დინასტიიის ფარაონების ლაშქრობების შედეგად შემოერთებული იქნა ჩრდილოეთ ნუბია და იგი კოლონიზებულ იქნა ეგვიპტელების მიერ. ძვ. წ. XIX საუკუნიდან გაძლიერდა დაპირისპირება ნომარქებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, რამაც ქვეყნის დასუსტება გამოიწვია. ამით ისარგებლეს აზიიდან მოსულმა მომთაბარე ხალხებმა – ჰიქსოსებმა, რომლებმაც დაიპყრეს ნილოსის დელტა. ზემო ეგვიპტეში შენარჩუნებული იქნა ფარაონების ხელისუფლება, მაგრამ მათი მმართველობა ნომინალური იყო და სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მომხვდურებს. ამ მიზეზების შედეგად ქვემო ეგვიპტეში დაახლოებით 120 წელს – 1700-1580 წ. წ. ჰიქსოსებმა იბატონეს (ე. წ. II გარდამავალი პერიოდი).

ფარაონთა XVII დინასტიიდან იწყება ბრძოლა უცხო დამპყრობების განდევნისათვის ეგვიპტიდან. ამ ბრძოლამ სათავე დაუდო ეგვიპტის ისტორიის ახალ პერიოდს – ახალი სამეფოს ხანას, რომელიც ძვ. წ. XVI-XII საუკუნეებს მოიცავდა და რომლის განმავლობაშიც ქვეყანაში სამი დინასტია (XVII-XX) შეიცვალა. ეს პერიოდი ძველი ეგვიპტის აყვავების და ძლიერების ეპოქაა. ამ დროს ჩნდება პირველი რკინის იარაღები. საგრძნობლად გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ხელსაწყოები. ძალზე განვითარდა ვაჭრობა, ხოლო ეგვიპტურმა ხელოვნებამ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია.

ჰიქსოსების განდევნის შემდეგ XVIII დინასტიის პირველ ფარაონების პერიოდში ეგვიპტე დაახლოებით შუა სამეფოს ეგვიპტის საზღვრებში იქნა აღდგენილი. მაგრამ სულ მალე წარმატებული დაპყრობითი ომების შემდეგ ქვეყნის შემადგენლობაში ახალი, დიდი ტერიტორიები შევიდა. ფარაონ თუტმოს III-ის დროს (1525-1473 წ.წ.) ეგვიპტის შემადგენლობაშია სირია და პალესტინა და მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ევფრატს აღწევს, ხოლო სამხრეთით ნილოსის მეხუთე ჭორომამდე ვრცელდებოდა. ამ ტერიტორიების შე-

ნარჩუნება და მცირე აზიაში ჩამოყალიბებულ ხეთების ძლიერ სახელმწიფოსთან ბრძოლაში წარმატებებს მიაღწია ფარაონმა რამსეს II (1317-1251 წ). მაგრამ XX დინასტიის დროს ეგვიპტეს თვითონ გამოუჩნდა საშიში მტერი მისგან დასავლეთით მცხოვრები ლიბიელი ტომების სახით. გარდა ამისა, ეგვიპტეზე ილაშქრეს ჩრდილოეთიდან მოსულმა ე. წ. „ზღვის ხალხებმა". მართალია ეგვიპტემ შეძლო ამ თავდამსხმელების დამარცხება. მაგრამ გარეშე მტერთა თავდასხმებმა და შიდა მმართველების გაძლიერებამ ქვეყანა საგრძნობლად დაასუსტა. ეგვიპტემ დაკარგა საზღვარგარეთული სამფლობელოები (ნუბიის გარდა), ხოლო შიდა არეულობამ გამოიწვია ქვეყნის ორ ნაწილად გახლეჩა. ძვ. წ. XI საუკუნისათვის ქვემო ეგვიპტე (ცენტრი ტანისი) და ზემო ეგვიპტე (ცენტრი თებე) ფაქტიურად ორი სხვადასხვა ქვეყანა იყო.

ცივილიზაციის მეორე აკვანი – შუამდინარეთი ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისში პატარ-პატარა სახელმწიფოებით იყო წარმოდგენილი, რომლებიც ელამის მიერ დამარცხებულ შუმერულ-აქადური სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენდნენ. XX-XVIII საუკუნეების მანძილზე ეს სახელმწიფო-ქალაქები (ისინი, ლარსა, უშნუნა, მარი) სუსტ ქვეყნებს წარმოადგნენ, თუმცა კულტურის განვითარების მაღალი დონით გამოირჩეოდნენ. ეთნიკურად მათი მოსახლეობა სემიტური-ამორეველი ტომების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც III-II ათასწლეულების მიჯნაზე დამკვიდრდნენ სამხრეთ შუამდინარეთში. „ამარ" შუმერულად დასავლეთს ნიშნავს). ძვ. წ. XVIII საუკუნიდან ამ სახელმწიფოებს შორის დაწინაურდა შუა ევფრატზე მდებარე ქალაქი ბაბილონი, რომელმაც თავის ძლიერების მწვერვალს ხამურაბის მეფობის დროს (1792-1750) მიაღწია. ხამურაბმა გააერთიანა შუამდინარეთის დიდი ნაწილი და შექმნა უძლიერესი სახელმწიფო, რომელიც ისტორიაში ბაბილონის ძველი სამეფოს სახელით არის ცნობილი (განსხვავებით ბაბილონის ახალი სამეფოსი, რომელიც ათასი წლის შემდეგ წარმოიქმნა). ძველმა ბაბილონმა დაიმორჩილა მისგან აღმოსავლეთით მდებარე ელამის სახელმწიფოს მთელი რიგი ტერიტორიები და თავისი ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოიქცია მცირე აზიის დასავლეთი ოლქები და სირია ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე. ხამურაბის შემდგომ ბაბილონის ძველი სამეფოს ბრძოლა უხ-

დებოდა თავის მიერ დაპყრობილ ხალხებთან – ე. წ. „ზღვის ქვეყნების“ მმართველებთან, ელამელებთან და ირანის მთიანეთში მცხოვრებ კასიტებთან. ამ ბრძოლებში დასუსტებული ბაბილონი ძვ. წ. XVI საუკუნის დასაწყისში სასტიკად დამარცხდა ხეთების სახელმწიფოსაგან, შემდეგ მას „ზღვის ქვეყნების“ მმართველები დაეპატრონნენ, ბოლოს კი კასიტებმა დაამყარეს თავისი ბატონობა, რომელიც თითქმის ხუთ საუკუნეს გაგრძელდა.

ბაბილონზე კასიტების ბატონობის პერიოდში ეკონომიკური და პოლიტიკური დაწინაურება შუამდინარეთის ჩრდილოეთმა რაიონებმა განიცადეს. ეს ტერიტორია ძვ. წ.-ის III-II ათასწლეულში ხურიტული ტომებით იყო დასახლებული. შუმერები და აქადელები მათ სუბარებს (სუბართუ) უწოდებდნენ. ხურიტების ენა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს კავკასიურ ენებთან. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ხურიტებმა შექმნეს ძლიერი სახელმწიფო მითანი. რომელმაც საგრძნობლად გაიფართოვა საზღვრები სირიისა და მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონების ხარჯზე, მაგრამ მოგვიანებით ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისში თვითონ აღმოჩნდა დაპყრობილი ასურეთის უძლიერესი სახელმწიფოს მიერ.

ასურეთის ისტორია ქ. ასურთან (აშური) არის დაკავშირებული. ეს ქალაქი აქადის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ელამის მიერ შუმერისა და აქადის დაპყრობის შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ძვ. წ. XX-XIX საუკუნეებში ასური სავაჭრო კოლონიებს ქმნის მცირე აზიაში – კაპადოკიაში. ძვ. წ. XIX საუკუნის ბოლოს ასურს სემიტი-ამორეველები ეპატრონებიან და აქ ახალ სამეფო დინასტიას ქმნიან. შემდეგ საუკუნეებში ასური ჯერ ბაბილონის ძველი სამეფოს ვასალია, ხოლო ძვ. წ. XVI საუკუნიდან მითანის სახელმწიფოს შემადგენლობაში ექცევა. ხეთებთან მითანის დამარცხებით და ამ უკანასკნელის დასუსტებით (ძვ. წ. XIV საუკუნე) ისარგებლა ასურის მმართველმა ასურუბალიტმა, თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და თვით გადავიდა შეტევაზე ყოფილი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ პერიოდიდან იწყება ასურეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა და მისი აღმავლობა (ე. წ. შუა ასურელი პერიოდი ძვ. წ. XIV-XI საუკუნეები). ამ ეპოქაში ასურეთის სახელმწიფო უაღრესად აგრესიულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს. იგი იპყრობს მითანს. ლაშ-

ქრობს ბაბილონში და მცირე აზიაში, მაგრამ როგორც წესი დალაშქრული ქვეყნები ასურეთს არ ემორჩილებოდნენ და ხელახალი ლაშქრობები ხდებოდა საჭირო. ამას თან დაერთო კასიტების ბატონობის დამხობა ბაბილონში და ამ ქვეყნის ენერგიული მეფის ნაბუქოდონოსორ I-ის შემოტევა ასურეთზე. ყოველივე ამან საგრძნობლად დაასუსტა ასურეთის სახელმწიფო. მართალია, ძვ. წ. XII-XI საუკუნეებს მიჯნაზე ასურეთის დროებითი აღზევება მოხდა მეფე ტიგლათფილესერ I-ის მცირე აზიაში და ნაირის ქვეყნებში ძლევამოსილი ლაშქრობების შედეგად. მანვე აიღო და გაანადგურა ბაბილონიც, მაგრამ ეს ძლიერება არამყარი აღმოჩნდა. ტიგლათფილესერ I-ის შემდეგ იწყება ასურეთის დაცემა, რაც არამეული ტომების შემოსევებით იყო გამოწვეული. ქვეყანამ დაკარგა ყველა დაპყრობილი ოლქი და ეკონომიკურადაც დაქვეითდა.

ძვ. წ. II ათასწლეულში ყალიბდება პირველი სახელმწიფო მცირე აზიაში. ეს იყო ხეთების ძლიერი სამეფო. იგი მდებარეობდა მდ. ჰალისის (დღევანდელი კიზილ-ირმაკი) შუა წელში. ცენტრალურ ანატოლიაში; მოგვიანებით ამ ქვეყანას კაბადოკია უწოდეს. ამ ტერიტორიის უძველესი მოსახლეობა იყვნენ ხათები, როგორც ვარაუდობენ კავკასიური წარმოშობის ხალხი. (მათ ზოგჯერ პროტოხეთებსაც უწოდებენ). ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში აქ გამოჩნდნენ ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ნესიტები, რომლებიც შეერივნენ ხათებს. ასე წარმოიქმნა ხეთური ეთნოსი – პირველი ენდოევროპული ხალხი რომლებმაც თავიანთი სახელმწიფო შექმნეს. (ძვ. წ. XVII საუკუნის დასაწყისი). ხეთებმა მნიშვნელოვნად გაიფართოეს ტერიტორია ჯერ კიდევ ხეთების ძველი სამეფოს პერიოდში (1690-1500), კერძოდ მათ დაიპყრეს მცირე აზიისა და სირიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ხოლო 1595 წელს ხეთების მეფემ მურსილი I-მა აიღო ბაბილონი. მანვე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მითანის წინააღმდეგ ბრძოლებში. კიდევ უფრო გაფართოვდა ხეთების სახელმწიფო ახალი სამეფოს პერიოდში (ძვ. წ. 1450-1200 წ.). ამ დროს სირიისა და პალესტინისათვის ბრძოლაში ხეთების ინტერესები ეჯახება ეგვიპტის ინტერესებს. ძვ. წ. 1312 წელს ქადეშის ბრძოლამ ეგვიპტესა და ხეთებს შორის გამარჯვებული ვერ გამოავლინა. ხანგრძლივი შეტაკების შემდეგ ძვ. წ. 1296 წელს დაიდო ხელშეკრულება ხეთების მეფე ხათუსილ III და ეგვიპტის ფარაონ

რამსეს II-ს შორის, რომელიც ითვალისწინებდა მხარეთა შორის ურთიერთშეუვალობის უზრუნველყოფას. ეს კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა. სხვა უძველესი ქვეყნების მსგავსად არც ხეთების ძლიერება გაგრძელებულა დიდხანს. ძვ. წ. XIII საუკუნის მეორე ნახევარში მათ არ მოუპოვებიათ არც ერთი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური წარმატება. ხოლო დაახლოებით 1200 წელს ოდესღაც მრისხანე ხეთების სამეფო ვერ გაუმკლავდა ეგეოსის სამყაროს ხალხთა შემოჭრილ ბრბოებს (ეს იგივე „ზღვის ხალხებია", რომლებმაც ეგვიპტეშიც ილაშქრეს) და სამუდამოდ შეწყვიტა არსებობა.

ძვ.წ. II ათასწლეულში ჩამოყალიბდა სახელმწიფოები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეც. ესენი იყვნენ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ფინიკია, პალესტინა და სირია. ამ ქვეყნების მოსახლეობას სემიტური ტომები შეადგენდნენ. ფინიკიის და პალესტინის უძველეს მოსახლეობას ქანაანელებს უწოდებდნენ, ხოლო ამ ორივე ქვეყანას ქანაანს. სახელწოდება ფინიკიელები უფრო გვიანდელია და იგი ბერძნებმა შეარქვეს, რაც ყავისფერს, მუქს ნიშნავდა. ფინიკია ერთიანი სახელმწიფო ფაქტიურად არასოდეს ყოფილა. იგი ქალაქი-სახელმწიფოების ერთობლიობას შეადგენდა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ტვიროსი, ბიბლოსი, უგარიტი და სიდონი. ეს ზღვისპირა ქალაქები თავიანთი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობით გამოირჩეოდნენ და დიდ პოლიტიკური წარმატებებისათვის არასოდეს მიუღწევიათ. საერთოდ ფინიკიის ისტორია სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოებს შორის ამ ტერიტორიის ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლის ისტორიაა. ამავე დროს თვითონ ფინიკელებმა როგორც საუკეთესო მეზღვაურებმა და გაწაფულმა ვაჭრებმა თანდათანობით მოახდინეს ხმელთაშუაზღვისპირეთის ფართო კოლონიზაცია. მათ ფეხი მოიკიდეს და შექმნეს თავიანთი სავაჭრო კოლონიები. ურთიერთობა დაამყარეს პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერებთან. ასე შეიქმნა ფინიკური კოლონიები დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, დღევანდელი ესპანეთის, მაროკოს, ალჟირის, იტალიის, საფრანგეთის სანაპიროებზე. ფინიკიელები გავიდნენ ატლანტის ოკეანეშიც და შექმნეს ფინიკური დასახლებები აფრიკის ჩრ-დასავლეთ და პირინეის დასავლეთ სანა-

პიროებზე. ძვ. წ. IX საუკუნეში დაარსდა ტვიროსელების კოლონია კართაგენი (ტუნისის სანაპიროზე), რომელიც შემდგომში უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ფინიკურმა კულტურამ. ფინიკიელების დამსახურებაა ანბანური დამწერლობის შექმნა, რომელმაც შეცვალა მანამდე არსებული იეროგლიფური, ლურსმული და მარცვლოვანი დამწერლობა. სწორედ ფინიკიელებიდან გადაიღეს შეცდგომში ანბანური დამწერლობა ბერძნებმა და არამეელებმა. ხოლო რადგან ბერძნული და არამეული დამწერლობა დღეს არსებული დამწერლობების უმრავლესობის საფუძველია, აშკარა ხდება ფინიკური ანბანური დამწერლობის მნიშვნელობა კაცობრიობისათვის.

ფინიკიის სამხრეთით მდებარე პალესტინა ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ქანაანელი ტომებით იყო დასახლებული. მათ ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება შეადგენდა. საკმაოდ იყო განვითარებული ხელოსნობაც. II ათასწლეულის I ნახევარში პალესტინაზე პრეტენზიას ეგვიპტე აცხადებდა. პალესტინის ინტერესი ჰქონდა მითანს და ხეთების სამეფოსაც. ეს წინააღმდეგობა ხშირად ხანგრძლივ ომებში გადაიზრდებოდა ხოლმე. იმავე ათასწლეულის II ნახევარში პალესტინაში ახალი ტომები იჭრებიან. ესენი იყვნენ ფილისტიმელები (აქედან სახელწოდება პალესტინა), რომლებიც ქვეყნის სამხრეთით დამკვიდრდნენ და როგორც ვარაუდობენ „ზღვის ხალხების" კოალიციაში შედიოდნენ. უფრო მნიშვნელოვანი იყო დასავლეთ სემიტური მოდგმის ტომის ებრაელების გამოჩენა. ბიბლიური გადმოცემით პალესტინაში მოსვლამდე ისინი „ეგვიპტის ტყვეობაში" იმყოფებოდნენ. მკვლევართა ნაწილი კი თვლის, რომ ისინი მომთაბარე ხაბირუს ტომის ნაწილს შეადგენდნენ. ებრაელთა ძირითად სოციალურ უჯრედს გვარი შეადგენდა. გვარები ტომებში ერთიანდებოდნენ რომელთა რიცხვი 12-ს უდრიდა. (მათ შორის სიდიდით გამოირჩეოდნენ ეფრაიმისა და იუდას ტომები). ქანაანის დაპყრობას ებრაელები ძვ. წ. XIII საუკუნეში შეუდგნენ. ამავე დროს ისინი მძიმე ომს აწარმოებდნენ გარეშე მტრებთან – ფილისტიმელებთან და მოაბიტელებთან. ეს ომები მოითხოვდა ტომთა მტკიცე გაერთიანებას, რაც მხოლოდ სახელმწიფოს პირობებში შეიძლება მომხდარიყო. ძვ. წ. XI საუკუნის ბოლოს ებრაელი

ტომების გაერთიანების შედეგად შეიქმნა სახელმწიფო ისრაელი, რომლის პირველი მეფე გახდა საული (1050-1030).

რაც შეეხება სირიას იგი მთელი II ათასწლეულის მანძილზე ბრძოლის ველს წარმოადგენდა მეზობელ სახელმწიფოებს შორის. აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა ეგვიპტის, ბაბილონის, მითანის, ხეთების მბრძანებლობა. სირიის ქალაქი-სახელმწიფოები (ქადეში, კარკემიში, ალეპო) პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენდნენ. ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ისინი ფორმალურად დამოუკიდებელ ერთეულებად იქცნენ, სადაც ხეთური კულტურის გავლენა ძლიერი იყო და ერთერთ მათგანს ხეთის ქვეყნის სახელიც კი დარჩა. (ბიბლიური ქეტელნი).

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში წარმოიშვა პირველი კლასობრივი საზოგადოებები და შესაბამისად პირველი სახელმწიფოები ევროპაშიც. კერძოდ ეგეოსის ზღვის აუზში, ჯერ კუნძულ კრეტაზე, შემდეგ კი პელოპონესის ნახევარკუნძულზე. კრეტის უძველეს ისტორიას ჰყოფენ ადრემინოსურ (მითიური მეფის მინოსის სახელის გამო, ძვ. წ. XXX-XXII ს.ს.), შუამინოსურ (2100-1600) და გვიანმინოსურ (1600-1100 წ. წ.) ეპოქებად, ხოლო კონტინენტური საბერძნეთის ისტორიას ადრეელადურ (2600-1900 წ.წ.), შუაელადურ (1900-1600 წ.წ.) და გვიანელადურ ანუ მიკენურ (1600-1100) პერიოდებად. ადრემინოსური, შუამინოსური და ადრეელადური კულტურის შემქმნელი ხალხები პელასგების სახელით არიან ცნობილი და ისინი არაინდოევროპელები იყვნენ. დაახლოებით ძვ. წ. 2100-2000 წლებს შორის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ჩრდილოეთიდან ხდება ბერძნული ტომების შემოჭრა, რომლებმაც შემდეგ საუკუნეებში აითვისეს მთელი სამხრეთი ბალკანეთი და პელოპონესი, ხოლო მოგვიანებით ეგეოსის ზღვის კუნძულებიც. ეს ბერძნული ტომები სამი ძირითადი ჯგუფისაგან შედგებოდნენ. ეოლიელები განსახლდნენ თესალიასა და შუა საბერძნეთში, იონიელები ატიკასა (ათენის რეგიონი) და პელოპონესის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ხოლო აქაველებმა დაიკავეს მთელი დანარჩენი პელოპონესი. ძვ. წ. XV საუკუნეში აქეველებმა დაიმორჩილეს კრეტაც. გვიანმინოსური კულტურა უკვე ბერძნულია. კრეტა-მიკენური საბერძნეთის მაღალი კულტურა თანდათანობით დაქვეითდა ძვ. წ. XIII საუკუნეში, ხოლო XII საუკუნის ბოლოს ტროას ომით დასუსტებული მი-

კენი დაეცა ბერძნული ახალი ტომის დორიელების შემოსევის შედეგად. დორიელები შეერწყნენ მკვიდრ ბერძნულ მოსახლეობას, ხოლო კრეტა-მიკენურმა კულტურამ გავლენა მოახდინა საბერძნეთის შემდგომ ცივილიზაციაზე.

ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი ინდის აუზში არსებული ჰარაპასა და მოხენჯო დაროს ცივილიზაციების აყვავების პერიოდია. როგორც ვარაუდობენ ამ ცივილიზაციების შემქმნელი ხალხები დრავიდები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებისთვისაც უკვე დამახასიათებელი იყო კლასობრივი საზოგადოების არსებობა და სახელმწიფო ხელისუფლება. ეს იყო მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების (მოჰყავდათ ხორბალი, ქერი და შესაძლოა ბრინჯი, აგრეთვე ბამბა და ქუნჯუთი) და მეცხოველეობის რეგიონი. საქალაქო ცენტრებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხელოსნობას. ვარაუდობენ რომ ინდის ხეობის მოსახლეობამ პირველებმა აითვისეს ბამბის რთვა და ქსოვა. მაღალ დონეზე იყო სამშენებლო ტექნიკა და საქალაქო მეურნეობა. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ინდის ხეობის კულტურა დაემხო ინდოევროპელების (არიელების) შემოსევის შედეგად. ამის შემდეგ ინდოსტანის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი და ცენტრალური რაიონები დასახლებული იქნა ინდოევროპელი არიელების მიერ, რომლებმაც მოახდინეს მკვიდრი მოსახლეობის ასიმილიაცია და შემდგომ ათასწლეულში უაღრესად მაღალი ცივილიზაციისა და კულტურის შემქმნელად მოგვევლინენ.

II ათასწლეულის შუა ხანებში შეიქმნა პირველი სახელმწიფო ჩინეთშიც. უკვე III ათასწლეულის ბოლოს ხუანხეს აუზში ჩამოყალიბდა ტომთა რამდენიმე ძლიერი გაერთიანება. მათ შორის განსაკუთრებით დანინაურდა სიას-ს ტომი. მკვლევართა ნაწილი ამ გაერთიანებას სახელმწიფოდ თვლის და სიას სამეფოს უწოდებს. ძვ. წ. XVI საუკუნეში სიას მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდა. მეზობელ შან-ის ტომთან. ამ ბრძოლებში სია დამარცხდა და შან-ის ტომმა შექმნა კარგად ორგანიზებული სახელმწიფო, რომელიც ისტორიაში შანის (ინ-ის) სახელის არის ცნობილი. ძვ. წ. XII საუკუნეში შან-ის სახელმწიფო დამარცხდა ახალ ძლიერ ტომთან ჯოუ-სთან. XII-XI საუკუნეების მიჯნაზე ხუანხეს აუზში შეიქმნა ძლიერი ჯოუს სახელმწიფო, რომლის სახელთან არის დაკავშირებული ძველი ჩინეთის ეკონომიკისა და კულტურის მაღალი დონე.

ევრაზიის დანარჩენ ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულში სახელმწიფოების წარმოქმნას ადგილი არ ჰქონია. მაგრამ არქეოლოგიურად დადასტურებულია ბრინჯაოს კულტურის მაღალი დონე მთელ რიგ მიწათმოქმედ და მეცხოველე ტომებში. კერძოდ, აღსანიშნავია პირინეის, ცენტრალური ევროპის, ბალტიისპირეთის, ვოლგა-დონის, ყაზახეთისა და შუა აზიის მეცხოველე-მიწათმოქმედი ტომების განვითარების მაღალი დონე. ამავე პერიოდს მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი თრიალეთის ყორღანების ბრწყინვალე კულტურა.

რაც შეეხება ძვ. წ. II ათასწლეულის ეთნიკურ გეოგრაფიას, სავარაუდოა, რომ ბერძნულენოვან მოსახლეობას სამხრეთ ბალკანეთში ჩრდილოეთიდან საზღვრავდნენ ილირიული, თრაკიული ტომები, ხოლო უფრო ჩრდილოეთით განსახლებულნი იყვნენ კელტური, გერმანული და სლავური ტომების წინაპრები. პირინეის ნახევარკუნძული ამ დროს დასახლებული იყო არაინდოევროპული იბერებით, ხოლო აპენინი ეტრუსკებით. ჩრდილო-აღმოსავლეთი ევროპა და დასავლეთ ციმბირი დასახლებული უნდა ყოფილიყო უგრო-ფინური ტომებით, აღმოსავლეთ აზიის შუა და ჩრდილოეთი ნაწილი კი ალტაური და პალეოაზიური ხალხებით.

1.3.3. ძვ. წელთაღრიცხვის X-VI საუკუნეები.

ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარი ძველი საზოგადოების შემდგომი განვითარებისა და გამტკიცების პერიოდია. კლასობრივი საზოგადოებებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბება ხდება ირანში, შუა აზიაში, სამხრეთ კავკასიაში, არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით, ჩრდილოეთ ინდოეთში ინდის ხეობის გარეთ, ფართოვდება ჩინური კულტურის არეალი, ყალიბდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლება დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წარმოებაში რკინის დანერგვას. სწორედ ამ პერიოდში იწყება რკინის ხანა, რომელიც ფაქტიურად დღემდე გრძელდება. რკინის იარაღების გამოყენებამ არნახულად გაზარდა სასოფლო-სამეურნეო მოსავალი, მძლავრი სტიმული მისცა სამშენებლო ტექნიკის და ხელოსნობის განვითარებას. სწორედ რკინის იარაღების დანერგვამ წარმოებაში შექმნა ჭარბი პროდუქცია, რაც თავის მხრივ მთავარი ფაქტორი იყო

კლასობრივი დიფერენციაციისა და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის განსაკუთრებით დაწინაურდნენ წინა აზიის ქვეყნები. პალესტინაში, სირიაში, ფინიკიაში, მცირე აზიაში და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ამ დროს წარმოიქმნენ სხვადასხვა მცირე სახელმწიფოები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებით იყვნენ დასახლებულნი. პალესტინის სამხრეთ სანაპირო ზოლში ცხოვრობდნენ ფილისტიმელები (როგორც ჩანს კრეტიდან და ეგეოსის კუნძულებიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები ანუ „ზღვის ხალხების" ერთერთი შტო, რომლებიც ძველი საცხოვრებელი რაიონებიდან დორიელებმა გამოდევნეს). პალესტინის სიღრმეში დამკვიდრებულნი იყვნენ ებრაელები, აგრეთვე ქანაანურ ჯგუფის ენებზე (სემიტური ოჯახი) მოლაპარაკე სხვა ხალხები. ამავე ჯგუფის ხალხს მიეკუთვნებოდნენ ფინიკიის ქალაქი-სახელმწიფოების მოსახლეობა. სირია და ჩრდილოეთი მესოპოტამია დასახლებული იყო სხვა სემიტური მოდგმის ხალხით – არამეელებით, რომლებიც თანდათანობით აფართოებდნენ თავიანთი განსახლების არეალს და მოახდინეს ასურეთის მოსახლეობის ასიმილაცია. არამეელების ცალკე შტოს წარმოადგენდნენ ქალდეველები, რომლებიც შეადგენდნენ ბაბილონის ძირითად მოსახლეობას. მცირე აზიის სახელმწიფოების – ფრიგიის (მუშქების სამეფო), ლიდიის და მათი წინამორბედი ხეთების სახელმწიფოს მოსახლეობა ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებისაგან შედგებოდა. მცირე აზიის აღმოსავლეთი რაიონები, სომხეთის მთიანეთი და სამხრეთი კავკასია კი ხურიტებითა და მათი მონათესავე ურარტუელებით იყო დასახლებული.

ძვ.წ. XI საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებულმა ისრაელის ერთიანმა სახელმწიფომ სულ ერთი საუკუნე იარსება. ეს პერიოდი (ძვ. წ. 1050-950 წწ.), როცა ისრაელის ტახტზე საული, დავითი და სოლომონი ისხდნენ ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების, ეკონომიკური და კულტურული აყვავების ხანაა (ეს ბიბლიიდანაც კარგად ჩანს), სოლომონის მემკვიდრის რობოამის დროს ეგვიპტის ფარაონის შეშონკის ისრაელზე ლაშქრობის შემდეგ (მას ისრაელის ჩრდილოეთის ტომები უჭერდნენ მხარს და რობოამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ) ერთიანი სახელმწიფო ორ პატარა სამეფოდ გაიყო. ჩრდილოეთის –

საკუთრივ ისრაელი და სამხრეთის – იუდეა. ამას ორივეს თანდთანობითი დასუსტება მოჰყვა, რითაც კარგად ისარგებლეს მეზობელმა ძლიერმა ქვეყნებმა. ძვ.წ. 722 წელს ასურეთმა აიღო ისრაელის სამეფოს დედაქალაქი სამარია, მთელი მოსახლეობა აჰყარა და გადაასახლა. ხოლო მათ ადგილზე სხვა ხალხები ჩამოასახლა. ისრაელის სამეფომ არსებობა შეწყვიტა. იუდეამ (სადაც დავითის შთამომავლები მეფობდნენ) გაუძლო ასურელების შემოსევებს, მაგრამ ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში ახალი მძლავრი ძალის ბაბილონის ახალი სამეფოს წინააღმდეგ ვეღარაფერი გააწყო. ძვ.წ. 586 წელს ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ II-მ აიღო იუდეის დედაქალაქი იერუსალიმი და მისი მოსახლეობა ბაბილონში გადაასახლა („ბაბილონის ტყვეობის" პერიოდი ებრაელი ხალხის ისტორიაში).

ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში წინა აზიის ისტორიაში დიდ როლს თამაშობდნენ ფინიკიის ქალაქი-სახელმწიფოები, რომლებმაც ფაქტიური კონტროლი დაამყარეს ხმელთაშუა ზღვაზე. გარდა საკუთრივ ფინიკიის ქალაქებისა (ტვიროსი, სიდონი, ბიბლოსი, არვადი) ეკონომიკურად და კულტურულად ძალზე დაწინაურდნენ ფინიკიური კოლონიები მასალია (მარსელი), პალმა (ბალეარის კუნძულებზე), სიცილიისა და სარდინიის სავაჭრო კოლონიები და განსაკუთრებით კართაგენი, რომელიც პოლიტიკურადაც ძალზე მომძლავრდა და თვითონ იქცა კოლონიზატორად. ამიტომ, როცა ძვ.წ. VII საუკუნეში ფინიკია ხელახლა მომძლავრებული ეგვიპტისა და ბაბილონის დამოკიდებულების ქვეშ აღმოჩნდა, ხოლო VI საუკუნის II ნახევარში აქემენიდური ირანის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში კართაგენს ფაქტიურად მეტოქე არ ჰყოლია და ძველი ფინიკიური კოლონიებიც მის ხელში გადავიდა.

წინა აზიის სხვა სახელმწიფოებიდან X-VI საუკუნეებში აღსანიშნავია სირიის პატარ-პატარა სამეფოები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ რამდენადმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას და დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ (X-VIII საუკუნეები) თანდათანობით შევიდნენ ასურეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, ძვ. VII საუკუნის ბოლოს აქ ბაბილონი გაბატონდა, ხოლო VI საუკუნის მეორე ნახევარში – ირანი.

ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში პირველი სახელმწიფოები წარმოიშვნენ არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით. სამხრეთ არაბული ტომების უმრავლესობა მომთაბარე მეცხოველეობას მისდევდნენ (ბედუინები) და მათი ძირითადი ცხოველი აქლემი იყო. სადაც შესაძლებელი იყო (იემენი, ჰიჯაზის ცალკეული რეგიონები) მეცხოველეობასთან ერთად განვითარებული იყო პრიმიტიული მიწათმოქმედება. სწორედ სარწყავი მიწათმოქმედების საფუძველზე ჩამოყალიბდა პირველი არაბული სახელმწიფოები დღევანდელი იემენის ტერიტორიაზე. ეს ქვეყნები იყო მინეის და საბას (შებას) სამეფოები, რომლებმაც ინტენსიური კავშირები დაამყარეს წინა აზიის კულტურულ ქვეყნებთან.

მცირე აზიაში ხეთების სახელმწიფოს დაღუპვის შემდეგ, რაც გამოიწვია აქ ბერძნული, თრაკიული და დასავლეთ მცირეაზიური ტომების („ზღვის ხალხები") შეჭრამ, თანდათანობით ჩამოყალიბდნენ ახალი ინდოევროპული ეთნოსები, რომლებმაც საკუთარი სახელმწიფოები შექმნეს. ძვ.წ. VIII საუკუნეში წარმოიშვა ფრიგიის სახელმწიფო (მუშქების სამეფო). ფრიგიელები ევროპიდან, მაკედონიის მოსაზღვრე რაიონებიდან გადმოსახლებული ინდოევროპელები იყვნენ, რომლებიც მცირე აზიაში, მდინარე საკარიის აუზში (კიზილ-ირმაკის დასავლეთით) დაფუძნდნენ და მოახდინეს მკვიდრი მოსახლეობის მუშქების (მკვლევართა ნაწილი თვლის რომ ეს უკანასკნელნი ქართველური ტომები – მესხები იყვნენ) ასიმილაცია. ფრიგიის სახელმწიფოს დიდხანს არ უარსებია, სულ რაღაც 150-200 წელი (ისტორიამ და მითებმა ფრიგიის მხოლოდ ორი მეფის გორდიასის და მიდასის სახელები შემოგვინახა) და კიმერიელების შემოსევებს ემსხვერპლა. ფრიგიული კულტურის მემკვიდრე იყო მცირე აზიის დასავლეთით ეგეოსის ზღვის პირას ჩამოყალიბებული ლიდიის სამეფო. ლიდიამ წარმატებით მოიგერია კიმერიელების და თრაკიული ტომების შემოსევები, დაამყარა კავშირები ეგვიპტესთან და ასურეთთან, მცირე აზიის ბერძნულ კოლონიებთან, აგრეთვე დაუზავდა მიდიის ძლიერ სახელმწიფოს. მაგრამ VI საუკუნის II ნახევარში წინ ვერ აღდგა იმ დროის უძლიერეს სახელმწიფოს აქიმენიდურ ირანს და მის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

რკინის იარაღების დანერგვამ და მიწათმოქმედების განვითარებამ დააჩქარა საზოგადოებრივი პროგრესი ამიერკავკა-

სიასა და სომხეთის მთიანეთში. II-I ათასწლეულის მიჯნაზე აქ წარმოიქმნა რამოდენიმე სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელთა შორის განსაკუთრებული როლი ენიჭება ურარტუს სახელმწიფოს (ვანის ტბის აუზში). ეს იყო ძლიერი, განვითარებული ეკონომიკისა და მაღალი კულტურის ქვეყენა, რომელმაც თავისი ძლიერების პერიოდში (ძვ.წ. VIII საუკუნე) თავისი გავლენის ქვეშ მოიქცია მთელი სამხრეთი ამიერკავკასია (მათ შორის უძველესი ქართული გაერთიანებები დიაუხი, კოლხა, ზაბახა, ვიტერუხი, ქათარზა), აგრეთვე მის დასავლეთით მდებარე ტომთა გაერთიანებები (ხაიასა, შუბრია და სხვები, რომლებიც როგორც ჩანს დღევანდელი სომხების წინაპრებად უნდა მივიჩნიოთ) და საგრძნობლად დაუპირისპირდა ასურეთის გვლენას. ასურეთთან ხანგრძლივმა ომებმა დაასუსტა ურარტუს სახელმწიფო. ამას თან დაერთო კიმერიელებისა და სკვითების შემოსევები, რასაც ბოლოს ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა და იგი მიდიის შემადგენლობაში შევიდა.

რაც შეეხება კიმერიელებსა და სკვითებს ისინი ირანული ენობრივი ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ტომები იყვნენ, რომლებიც შავი ზღვის ჩრდილოეთისა და ვოლგა-დონის სტეპებში ცხოვრობდნენ. ისინი მომთაბარე, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას მოკლებული ხალხებს წარმოადგენდნენ და ისტორიაში წინა აზიის კულტურულ ხალხებზე თავიანთი გამანადგურებელი თავდასხმებით დარჩნენ. კიმერიელებმა როგორც უკვე ითქვა ბოლო მოუღეს ფრიგიის სახელმწიფოს და შემდეგ მცირე აზიის მკვიდრ მოსახლეობაში გაითქვიფნენ. სკვითების დიდი ნაწილი თანდათანობით უკან დაბრუნდა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში შეერია თავისივე მონათესავე ტომებს, რომლებიც შემდგომ საუკუნეებშიც საგრძნობ როლს თამაშობდნენ ამ რეგიონის პოლიტიკური და ეთნიკური რუკის ფორმირებაში.

ძვ. წ.-ის I ათასწლეულის I ნახევარში ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოს ასურეთი წარმოადგენდა. არამეული ტომების შემოჭრამ და მათ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციამ ასურეთის ძველი სახელმწიფო დაასუსტა და მისი ტერიტორიაც საგრძნობლად შეამცირა. მაგრამ უკვე ძვ.წ. IX საუკუნიდან ქვეყანა ხელახლა ძლიერდება (ასურეთის ახალი სამეფო) და ზედიზედ იერეთებს მცირე აზიისა და აღ-

მოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიებს. განსაკუთრებულ სიძლიერეს ასურეთმა ძვ. წ. VIII საუკუნის შუა ხანებში მიაღწია – ტიგლათფალასარ III-ის დროს ამ დროს დაპყრობილი იქნა სირია, ფინიკია, ისრაელი, კილიკია, ურარტუს მნიშვნელოვანი ნაწილი, სამხრეთ შუამდინარეთი (ბაბილონი). ეს უკანასკნელი არ იქნა უშუალოდ შეერთებული ასურეთთან როგორც ეს სხვა დაპყრობილი ქვეყნების მიმართ ხდებოდა, არამედ შეიქმნა ასურეთისა და ბაბილონის უნია. ბაბილონმა შეინარჩუნა საკუთარი პოლიტიკური წესრიგი და ადმინისტრაციული სტრუქტურა. ძვ.წ. VII საუკუნეში ასურეთმა დაკარგა ზოგიერთი დაპყრობილი ტერიტორია, მაგრამ შეიერთა ეგვიპტე, მაგრამ ამავე საუკუნის შუა წლებიდან ასურეთის საერთაშორისო მდგომარეობა ძალზე გართულდა. ასურეთის თანდათან უპირისპირდება მასთან უნიაში მყოფი ბაბილონი, რომელმაც კავშირი დაამყარა მიდიის ძლიერ სახელმწიფოსთან. სწორედ ბაბილონისა და მიდიის გაერთიანებულმა ლაშქარმა ძვ.წ. 605 წელს საბოლოოდ მოუღო ბოლო ასურეთის სახელმწიფოს არსებობას.

ასურეთის სახელმწიფოს დაღუპვის შემდეგ მანამდე მის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის ჩრდილოეთი და ჩრდილოაღმოსავლეთი რაიონები, აგრეთვე ურარტუსა და მანას სახელმწიფოები მიდიის ხელში გადავიდა. ასურეთის სამხრეთი რაიონები და სირია კი ბაბილონის ახალი სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. ბაბილონის ძლიერმა და ენერგიულმა მეფემ ნაბუქოდონოსორ II დაიპყრო აგრეთვე ფინიკია და იუდეა და ბაბილონში გადაასახლა იერუსალიმის მთელი ებრაული მოსახლეობა. მაგრამ არც ბაბილონის ძლიერება აღმოჩნდა ხანგრძლივი. ძვ.წ. VI საუკუნის შუა წლებში გამოჩენილმა ახალმა ძლიერმა ძალამ სპარსეთმა ჯერ მიდიის ძლიერი სახელმწიფო დაამარცხა და შეიერთა, ხოლო ძვ.წ. 538 წელს ბაბილონიც აიღო. ბაბილონი აქიმენიდური ირანის შემადგენლობაში შევიდა.

ძვ. წ. XI საუკუნის ბოლოსათვის ეგვიპტე ორ ნაწილად – ქვემო ეგვიპტელი (ცენტრი ქ. ტანისი) და ზემო ეგვიპტედ (ცენტრი ქ. თებე) იყო გაყოფილი. ქვეყნის დროებითი არამყარი გაერთიანება ძვ.წ. X საუკუნის შუახანებში მოხდა, როცა ლიბიელმა დაქირავებულმა ჯარისკაცებმა ახალ XXII დინასტიას დაუდეს სათავე. ძვ. წ. VIII საუკუნიდან ძლიერდება ეთი-

ოპიის სახელმწიფო (იგი არ უდრის დღევანდელ ეთიოპიას, არამედ ნუბიის ანუ თანამედროვე ეგვიპტისა და სუდანის ტერიტორიაზე მდებარეობდა ნილოსის I ჭორომიდან თეთრი და ცისფერი ნილოსის შესართავამდე და ისტორიაში ცნობილია აგრეთვე ნაპატის ან მეროეს სახელმწიფოს სახელით). ძვ. წ. VII საუკუნეში ეთიოპები იპყრობენ ეგვიპტეს და სათავეს უდებენ ახალ – XXV (ეთიოპურ დინასტიას). ამ დინასტიის ფარაონები აწარმოებდნენ ომს ეგვიპტეში შემოჭრილი ასურელების წინააღმდეგ. რომელთა დამარცხებაც საბოლოოდ XXVI (საისური) დინასტიის დამაარსებელმა ფსატიმექ I შესძლო, თუმცა სავარაუდოა, რომ ასურელებმა თვითონ დატოვეს ეგვიპტე ასურეთში გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო. ფსატიმექ I-ის მემკიდრეების დროს ეგვიპტე ერთიანი სახელმწიფოა და აქტიურად ცდილობს სირიისა და პალესტინის დაპყრობას. მაგრამ ბაბილონელებთან დამარცხების შემდეგ იძულებული ხდება ხელი აიღოს ამ განზრახვაზე. ფარაონ ამასისის დროს (ძვ.წ. 569-525 წწ.) ეგვიპტე რამდენადმე გაძლიერდა და თავის მოხარკედ გაიხადა კვიპროსი. მაგრამ ასპარეზზე გამოჩენილ სპარსეთის სახელმწიფოს არ გაჭირვებია ეგვიპტის დაპყრობა ძვ.წ. 525 წელს და ეგვიპტე, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოები აქიმენიდური ირანის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

ამგვარად ძვ.წ.-ის VI საუკუნის ბოლოს თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთი (არაბეთის ნახევარკუნძულის გარდა) ირანის უძლიერესი იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ირანულენოვანი ხალხები თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს ჩნდებიან. IX-VIII საუკუნეებში ჩრდილოეთ ირანში ყალიბდება ტომთა გაერთიანება, რომელიც მიდიელების სახელით არის ცნობილი. პირველ ხანებში ისინი ასურეთს ემორჩილებოდნენ, მაგრამ ძვ.წ. VII საუკუნის შუა ხანებში მიდიელებმა არა მხოლოდ დამოუკიდებლობა მოიპოვეს არამედ მათი სამხრეთი მეზობელი და მონათესავე სპარსული ტომებიც დაიმორჩილეს. VII საუკუნის ბოლოსთვის მიდია უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოა, რომელმაც ბაბილონთან კავშირში ბოლო მოუღო ასურეთს და მთელ მის ჩრდილოეთ პროვინციებს დაეუფლა. მის შემადგენლობაში შევიდა აგრეთვე მცირე აზიისა და სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიები და სახელმწიფოები (ურარტუ, მანა, სკვითების

სახელმწიფო მცირე აზიაში). მაგრამ სულ 50-ოდე წლის შემდეგ, VI საუკუნის შუა წლებში მიდიის წინააღმდეგ გამოვიდა თავისივე ვასალი პერსიდა (სპარსეთი). სპარსეთის მეფე კიროსი აქიმენიდთა დინასტიიდან ძვ.წ. 550 წელს სასტიკად ამარცხებს მიდიის მეფე ასტიაგს და მთლიანად იერთებს მიდიას და მის დაპყრობილ ოლქებს. საფუძველი ეყრება ახალ ძლიერ სახელმწიფოს სპარსეთს, რომელიც იმ პერიოდისთვის აქიმენიდების სახელმწიფოდ ან აქიმენიდურ ირანად მოიხსენიება. მოკლე ხანში კიროსი იპყრობს ლიდიას, ბერძნულ ქალაქ კოლონიებს ეგეოსის ზღვის მცირე აზიურ სანაპიროზე, ბაბილონს, და შუა აზიის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ხორეზმისა და ბაქტრიის ახალგაზრდა სახელმწიფოებს. კიროსის მემკვიდრე კამბიზმა 525 წელს აიღო ეგვიპტეც, ისე რომ ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს დარიოს I-ის მეფობის დროს აქიმენიდური ირანი გადაჭიმული იყო მდ. ინდიდან და შუა აზიიდან ეგვიპტემდე და ეგეოსის ზღვის კუნძულებამდე. სპარსეთმა თვალი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებს მიაპყრო.

საბერძნეთის ტერიტორია ძვ.წ.-ის I ათასწლეულის I ნახევარში მაღალი ცივილიზაციის ფაქტიურად ერთადერთ კერას წარმოადგენდა ევროპაში. როგორც უკვე ითქვა ძვ.წ. II და I ათასწლეულების მიჯნაზე საბერძნეთმა განიცადა დორიელების შემოსევა, რამაც ბოლო მოუღო მანამდე არსებულ ცივილიზაციას და ახალ ცივილიზაციას დაედო სათავე. ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში (ჰომეროსის ეპოქა) ბერძნები აარსებენ თავიანთ კოლონიებს მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე. ეოლიელებისა და აქეველების კოლონიები ძირითადად ეგეოსის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე და კუნძულ ლესბოსზე იყო განლაგებული. იონიელებისა აღმოსავლეთ სანაპიროზე (სმირნა, ეთესი, მილეთი) და კუნძულ სამოსზე, დორიელებმა კი სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო აითვისეს (ჰალიკარნასი, სპორადის კუნძულები და როდოსი)

ძვ.წ. VII-VI საუკუნეები, რომელიც საბერძნეთის ისტორიაში არქაიკის სახელით არის ცნობილი, ის ეპოქაა, როცა შეიქმნა ხელსაყრელი პირობები საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარებისათვის და შესაბამისად სახელმწიფოების წარმოქმნისათვის უშუალოდ კონტინენტურ საბერძნეთში. აღმოსავლეთისაგან განსხვავებით საბერძნეთში სახელმწიფოების ძირითადი ფორმა იყო ქალაქი-სახელმწიფოები ანუ პოლისები, სა-

დაც თავდაპირველად ერთპიროვნული მმართველობა იყო დამახასიათებელი (ტირანია), ხოლო უკვე VII-VI საუკუნეების მიჯნიდან მათ უმრავლესობაში რესპუბლიკური წყობა გაბატონდა საკმაოდ ფართო დემოკრატიით. ამ ქალაქ-სახელმწიფოებიდან განსაკუთრებით დაწინაურდნენ სპარტა (პელოპონესის ნახევარკუნძულზე) და ათენი. აღნიშნულმა პოლისებმა თავიანთ გარშემო შემოიკრიბეს სხვა შედარებით სუსტი პოლისები და თავისებური სამხედრო-პოლიტიკური კავშირები (სიმაქიები) შექმნეს – ლაკედემონის სიმაქია რომელიც აერთიანებდა პელოპონესის ქალაქ-სახელმწიფოებს სპარტის მეთაურობით, და დელოსის სიმაქია ათენის უპირატესი როლით.

ბერძნულმა ქალაქმა-სახელმწიფოებმა ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთშიც შექმნეს თავიანთი კოლონიები. განსაკუთრებით ინტენსიურად იქნა ათვისებული აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთი და კუნძული სიცილია, ბერძნული კოლონიები შეიქმნა კორსიკაზე და დღევანდელი საფრანგეთის სანაპიროზე. აგრეთვე აფრიკაში ლაბიისა და ეგვიპტის ნაპირებზე, ხოლო შავი ზღვის მთელი სანაპირო ბერძნული კოლონიებით იქნა დაფარული (მათ შორის საქართველოს სანაპიროზე დიოსკურია, ფაზისი, პიტიუნტი). მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის უკიდურესი დასავლეთი – დღევანდელი მაღრიბის ქვეყნებისა და ესპანეთის სანაპირო რჩებოდა ფინიკიელთა (კერძოდ კართაგენის) კოლონიათა ხელში.

ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარშივე ყალიბდება სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები იტალიაში. ამ პერიოდში აქ უკვე მოსახლეობის უმრავლესობას ინდოევროპული ტომები შეადგენენ, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ლათინები. ძველი, მკვიდრი მოსახლეობა – ეტრუსკები (მათი ეთნიკური წარმომავლობა ჯერ კიდევ პრობლემად რჩება) დღევანდელი ტოსკანის ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, თუმცა საკმაოდ ინტენსიურ კოლონიზაციას აწარმოებდნენ ცენტრალური აპენინის დასავლეთ სანაპიროზე და მდინარე პოს ხეობაში. ძვ.წ. VI საუკუნისათვის ეტრურია ჩამოყალიბებული სახელმწიფოა 12 ეტრუსკული ქალაქი-სახელმწიფოს ფედერაციის სახით. ეტრურიამ კართაგენის დახმარებით მოახერხა ბერძნების დამარცხება და ხელში ჩაიგდო მათი კოლონია კორსიკა. მაგრამ ეტრურიის გვერდით თანდათან ძლიერდებიან ლათინები, რომელთა მთავარი ქალაქი რომი (ლე-

გენდის მიხედვით ძვ.წ. 753 წელს დაარსდა) VI საუკუნის დასასრულისათვის უკვე სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს.

მთელი დანარჩენი ევროპა ამ დროისათვის ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების სტადიაზეა. პირინეის ნახევარკუნძული თითქმის მთლიანად იბერიელებს უკავიათ – დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორია და დუნაის ზემო წელი კელტებით არის დასახლებული. მოგვიანებით ისინი ბრიტანეთის კუნძულებზეც სახლდებიან. ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო დასავლეთი უკავიათ ილირიელებს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი თრაკიულ ტომებს. სამხრეთი სკანდინავია და ტერიტორია რაინსა და ელბას შორის გერმანული ტომებით არის დასახლებული. ელბის აღმოსავლეთით სლავთა წინაპრები ცხოვრობდნენ, ხოლო ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბალტიური ტომები. ჩრდილოეთი და აღმოსავლეთ ევროპის დიდ ნაწილზე უგრო-ფინური ტომები იყვნენ განსახლებულნი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში ირანულენოვანი კიმერიელი და სკვითური ტომები მომთაბარეობდნენ.

ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის გარდა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ცივილიზაციის კიდევ ორი კერა არსებობდა მსოფლიოში. – ძველი ინდოეთი და ძველი ჩინეთი (ჯოუს სახელმწიფო). სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება ინდოეთის უაღრესად თავისებური და მდიდარი კულტურის ჩასახვა (ვედები, ინდური ეპოსი, ინდური ფილოსოფია და რელიგია). ამავე დროს ჩამოყალიბდა რამოდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სახელმწიფო ინდისა და განგის აუზებში, ხოლო ცოტა მოგვიანებით ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთშიც. სულ 16-მდე სახელმწიფოს ითვლიან, რომელთა შორის გამოირჩეოდა მაგადჰას სახელმწიფო განგის შუაწელში.

ჩინეთის ისტორიაში ძვ.წ. XI-VIII საუკუნეები დასავლეთ ჯოუს პერიოდად არის ცნობილი, ხოლო VIII-V საუკუნეები აღმოსავლეთ ჯოუს ეპოქად. დასავლეთ ჯოუს დინასტიის დამხობის შემდეგ ჩინეთი არ ყოფილა ცენტრალიზებული, ერთიანი სახელმწიფო. VII-VI საუკუნეებში ჯოუს სამეფოს გვერდით ჩინეთში მაგალითად ხუთი მსხვილი სახელმწიფო იყო, რომელთაც თავის მხრივ სხვა უფრო პატარა სამეფოები

ემორჩილებოდნენ. ეს სამეფოები თავიანთ პირობებს უყენებდნენ ჯოუს დინასტიას, რომლის წარმომადგენელიც ფორმალურადღა ატარებდა მეფის ტიტულს. მიუხედავად პოლიტიკური არასტაბილობისა ჩინეთის ეკონომიკამ და კულტურამ ამ პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

აზიის დანარჩენ ტერიტორიაზე (ჩრდილოეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი) სახელმწიფოებრივი ცხოვრება ჯერ კიდევ უცნობი იყო და მოსახლეობა პირველყოფილი საზოგადოების დონეზე იმყოფებოდა.

1.3.4. ძვ. წელთაღრიცხვის V-I საუკუნეები.

ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში, როგორც უკვე ითქვა, მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს აქიმენიდური ირანი წარმოადგენდა. ამ უზარმაზარი იმპერიის შემადგენლობაში მთელი ახლო და შუა აღმოსავლეთი შედიოდა (არაბეთის ნახევარკუნძულის გამოკლებით) და ძველი აღმოსავლეთის ფაქტიურად ყველა კულტურული ხალხი, მცირე აზიის ბერძნული კოლონიების ჩათვლით სპარსეთის სახელმწიფოს ხელში იყო. ეს უზარმაზარი ტერიტორია ოც ადმინისტრაციულ ერთეულად – სატრაპიად იყო დაყოფილი (ინდოეთიდან ეთიოპიამდე), მხოლოდ კონტინენტური საბერძნეთის ქალაქი-სახელმწიფოები ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას და ბუნებრივია ასეთი მდგომარეობა გარდაუვალს ხდიდა სპარსეთ-საბერძნეთის ომს. ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისში ჯერ დარიოს I-მა, ხოლო შემდეგ მისმა მემკვიდრემ ქსერქსემ სცადეს საბერძნეთის დამორჩილება, მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადეს. მარათონის (ძვ.წ. 490 წ.), თერმოპილესა და სალამინის (ძვ.წ. 480 წ.) ბრძოლებში სპარტისა და ათენის მოსახლეობამ უბადლო მამაცობა გამოიჩინა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. სპარსეთი იძულებული გახდა საბოლოოდ ეთქვა უარი საბერძნეთზე.

ძვ.წ. V-IV საუკუნეები საბერძნეთის ისტორიის კლასიკური პერიოდია. ამ ეპოქას მიეკუთვნება ბერძნული კლასიკური კულტურის უბრწყინვალესი მიღწევები. იმდროინდელი ბერძნული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შედევრები დღემდე ითვლება მსოფლიო ცივილიზაციის მწვერვალად. ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოებრივი მმართველობის დემოკრატი-

ზაციას და სრულყოფას. კერძოდ ათენის მოსახლეობა ისეთი დემოკრატიით სარგებლობდა, რაც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობისათვის დღესაც კი მიუღწეველია.

საბერძნეთის ქალაქი-სახელმწიფოების (პოლისების) დიდი ნაწილი ორ პოლიტიკურ კავშირში იყო გაერთიანებული. დელოსის კავშირს სათავეში ათენი ედგა და იგი ათენის საზღვაო კავშირის სახელითაც არის ცნობილი. პელოპონესის კავშირის მეთაური კი სპარტა იყო. ამ კავშირებს შორის წინააღმდეგობების გამწვავებამ და მათმა ბრძოლამ საკუთარ კავშირებში (სიმაქიებში) ახალი პოლისების შეყვანისათვის გამოიწვია ამ ორ პოლიტიკურ კავშირს შორის საომარი მოქმედება – პელოპონესის ომები (ძვ.წ. 431-404 წლები), რომელიც ათენის დამარცხებით დამთავრდა. პრიორიტეტი სპარტის ხელში გადავიდა, მაგრამ არც ეს ჰეგემონია ყოფილა ხანგრძლივი. საბერძნეთის ჩრდილოეთით თანდთან გაძლიერდა მაკედონიის სახელმწიფო. ძვ.წ. IV საუკუნის 50-40-იან წლებში მაკედონიის ნიჭიერმა და ძლიერმა მეფემ ფილიპე II-მ ქვეყანაში რადიკალური ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო რეფორმები განახორციელა. კარგად ისარგებლა საბერძნეთის პოლისებს შორის არსებული დაპირისპირებით და მოხერხებული დიპლომატიითა და სამხედრო გამარჯვებების წყალობით თითქმის მთელი საბერძნეთი მისი გავლენის ქვეშ მოექცა. კორინთოს კონგრესზე (ძვ.წ. 337 წ.) საბერძნეთის ყველა ქალაქმა-სახელმწიფომ (სპარტის გარდა) ხელი მოაწერა ურთიერთსამშვიდობო ხელშეკრულებას. ფორმალურად ეს პოლისებს შორის დადებული შეთანხმება იყო. რეალურად კი აკანონებდა მაკედონიის ჰეგემონიას.

ფილიპე II-ს მემკვიდრე ალექსანდრე მაკედონელი ისტორიაში შევიდა როგორც ერთერთი უდიდესი პოლიტიკური ფიგურა. მიუხედავად ახალგაზრდობისა (იგი ტახტზე 20 წლის ასაკში ავიდა და სულ 13 წელი იმეფა) მან შესძლო თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში შეექმნა მანამდე არნახული სიდიდისა და სიძლიერის იმპერია. სასტიკად დაამარცხა რა სპარსელები ალექსანდრე მაკედონელმა ჯერ ხელში ჩაიგდო ეგვიპტე და მცირე აზია, შემდეგ სირია, ფინიკია და პალესტინა. ცოტა მოგვიანებით დაპყრობილი იქნა შუამდინარეთი და საკუთრივ ირანი, ბოლოს კი შუა აზია. აქედან მოეწყო ლაშქრობა ინდოეთში და ამ ქვეყნის დასავლეთი ნაწილი

ასევე მაკედონელის ხელში აღმოჩნდა. ამგვარად ალექსანდრეს იმპერია თითქმის მთლიანად მოიცავდა თავის თავში აქიმენიდების სახელმწიფოს და კიდევ სხვა ტერიტორიებსაც. მოულოდნელმა სიკვდილმა (ძვ.წ.-ის 323 წ.) შეწყვიტა ალექსანდრე მაკედონელის ძლევამოსილი ლაშქრობები და გადაარჩინა არაბეთი და დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი დაპყრობას. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მისი უზარმაზარი იმპერია დაიშალა.

იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული სახელმწიფოები ელინისტური სახელმწიფოების სახელწოდებითაა ცნობილი. საერთოდ ძვ. წელთაღრიცხვის III-I საუკუნეები ელინიზმის ეპოქად იწოდება. ეს ტერმინი ძირითადად კულტუროლოგიური ცნებაა და ბერძნულ და აღმოსავლურ კულტურათა თავისებურ სინთეზს გულისხმობს. ელინისტური ცივილიზაცია მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში ერთერთი ბრწყინვალე ფურცელია.

ელინისტურ სახელმწიფოთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პტოლომეიდთა სამეფო (მოიცავდა ეგვიპტეს, პალესტინასა და ფინიკიას), ანტიგონიდთა სამეფო (საბერძნეთი და მაკედონია) და სელევკიდთა ვრცელი სახელმწიფო, რომელიც სირიის სამეფოს სახელითაც არის ცნობილი და მაკედონელის ლაშქრობების დროს დაპყრობილ აზიის ქვეყნებს აერთიანებდა ეგეოსის ზღვიდან ინდოეთამდე. სხვა ელინისტური სახელმწიფოებიდან აღსანიშნავია მცირე აზიაში წარმოქმნილი იონია, კარია (ყოფილი ფრიგია) კილიკია, კაბადოკია (პირველ ხანებში აქაც სელევკიდების ძალაუფლება ვრცელდებოდა). მცირე აზიის ჩრდილოეთ, შავი ზღვის მოსაზღვრე ტერიტორიებზე ჩამოყალიბდნენ ბითვინიის, პერგამონის, გალატიის (კელტების მცირე აზიაში შეჭრის შემდეგ) და პონტოს სახელმწიფოები.

სხვაგვარად წარიმართა დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორია. ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისისათვის აპენინის ნახევარკუნძულზე ეტრუსკთა სახელმწიფოს გვერდით გამოჩნდა ახალი აქტიური ძალა – რომის სახელმწიფო. კუნძულ სიცილიაზე ჩამოყალიბდა დასავლეთ ელინთა ძლიერი ბერძნული სახელმწიფო სიცილია (დიდი საბერძნეთი). იგი თავიდანვე დაუპირისპირდა კართაგენს და ამ ორ ქვეყანას შორის რამოდენიმე საომარ კონფლიქტს ჰქონდა ადგილი. საბოლო-

ოდ ბერძნებმა შეძლეს კართაგენისა და მისი მოკავშირის ეტრუსკების დამარცხება. სიცილიაზე კართაგენელებმა ძლივსძლიობით შეინარჩუნეს რამდენიმე ძველი კოლონია. მაგრამ არც სიცილიის ძლიერება აღმოჩნდა ხანგრძლივი. ძირითადად ძალად დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში რომი გვევლინება.

როგორც უკვე ითქვა ლეგენდის მიხედვით რომი ძვ.წ.-ის 753 წელს დაარსდა და მისი დამაარსებელი ლეგენდარული რომულუსი რომის პირველ მეფედ ითვლება. ძვ.წ. VII-VI საუკუნეები რომის ისტორიაში ე.წ. მეფეთა პერიოდია, როცა რომის ტახტზე შვიდი მეფე შეიცვალა. მაშინდელი რომის საზოგადოება ორ ძირითად ფენად პატრიციებად და პლებეებად იყოფოდა. პირველ მათგანს მიეკუთვნებოდნენ გვაროვნული თემის ყველა წევრი, რომელთაც სათემო მიწებით სარგებლობის უფლება ჰქონდათ, მეორე ფენას კი თავისუფალი მოსახლეობა შეადგენდა, რომელთაც სათემო მიწებით სარგებლობა ეკრძალებოდათ და რომაელი ხალხის შემადგენლობაშიც კი არ ითვლებოდნენ. პლებეების ბრძოლამ და მეფე სერვიუს ტულიუსის განხორციელებულმა რეფორმებმა შეცვალა რომაული საზოგადოების სტრუქტურა. პლებეებმა მიიღეს ძირითადი სამოქალაქო უფლებები. ძვ.წ. 509 წელს რომი რესპუბლიკად გამოცხადდა. ამას მოჰყვა რომაელთა გამარჯვება ეტრუსკებზე და აპენინზე შემოჭრილ კელტებზე – გალებზე. ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოსთვის რომის ძალაუფლება უკვე მთელ ცენტრალურ იტალიაზე ვრცელდებოდა, ხოლო III საუკუნის პირველ ნახევარში მან მთელი აპენინის ნახევარკუნძული მოიცვა.

რომის სამხედრო წარმატებებმა შეაშფოთა კვლავ მომძლავრებული კართაგენი, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნის პირველი ნახევრისთვის ფლობდა არა მარტო დღევანდელი მაღრიბის მთელ ხმელთაშუაზღვისპირა სანაპიროს, არამედ სიცილიას, სარდინიას, კორსიკას და ბალეარის კუნძულებს. ამ დაპირისპირებამ გამოიწვია ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომები, რომლებიც ისტორიაში ცნობილია პუნიკური ომების სახელწოდებით (კართაგენელების რომაული სახელწოდების – პუნების მიხედვით). პირველ პუნიკურ ომში (ძვ.წ. 264-241 წწ.) რომაელებმა შესძლეს წაერთმიათ კართაგენელებისათვის სიცილია, სარდინია და კორსიკა. მიუხედა-

ვად ამ დამარცხებისა, კართაგენმა მოახერხა დაეპყრო ახალი ტერიტორიები – პირინეის ნახევარკუნძულის მთელი სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ამ დროს იბერული ტომებით იყო დასახლებული. მეორე პუნიკური ომის (ძვ.წ. 218-201 წწ.) დასაწყის პერიოდში კართაგენელებმა ნიჭიერი პოლიტიკოსისა და მხედართმთავრის ჰანიბალის მეთაურობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს და თვით ქალაქ რომსაც კი მიადგნენ. მაგრამ საბოლოოდ ბედი რომაელების სასარგებლოდ შეტრიალდა. მეორე პუნიკური ომი კართაგენის სრული დამარცხებით დამთავრდა, კართაგენის ყველა სამფლობელო რომის ხელში გადავიდა, რომელიც მთელი დასავლეთი და ცენტრალური ხმელთაშუაზღვისპირეთის ჰეგემონი გახდა. რომს გზა გაეხსნა აღმოსავლეთისაკენაც ძვ.წ. II საუკუნის დასაწყისისათვის მაკედონიასთან ომის შემდეგ რომის ხელში გადავიდა საბერძნეთი, (ატოლიისა და აქეის კავშირები), ხოლო ცოტა მოგვიანებით მაკედონია და ილირია (ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო). კართაგენის ხელახალმა გაძლიერებამ გამოიწვია მესამე პუნიკური ომი (149-146 წწ.) რასაც კართაგენის სრული დანგრევა და ამ ქალაქის მიწის პირისგან აჰგვა მოჰყვა. კართაგენი რომის პროვინციის – აფრიკის ნაწილად იქცა.

ძვ. წ.-ის I საუკუნის დასაწყისისათვის რომის სახელმწიფო ხმელთაშუაზღვის მთელ ჩრდილოეთ სანაპიროს მოიცავდა (პირინეის, აპენინის და ბალკანეთის ნახევარკუნძულებს მთლიანად, მცირე აზიის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილს, ილირიას, დღევანდელი საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროს, აგრეთვე ლიბიისა და ტუნისის სანაპიროს აფრიკის კონტინენქზე). ერთადერთი რეალურ ძალას, რომელმაც საფრთხე შეუქმნა რომის გავლენას მცირე აზიასა და ბალკანეთზე იყო პონტოს ელინისტური სახელმწიფო მცირე აზიის შავი ზღვის სანაპიროზე (მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს პონტოს სამეფოში ქართველური ტომები შეადგენდნენ). პონტოს ძლიერმა და მოხერხებულმა მეფემ მ̣ითრიდატე VI-მ შეძლო თავის გვერდით დაეყენებინა ყველა მეზობელი სახელმწიფო და ტომი. მის ხელში გადავიდა მთელი მცირე აზია, ელადა და შავი ზღვის მთელი სანაპირო. ხანგრძლივი ომების შემდეგ რომმა შეძლო პონტოს დამარცხება და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გაბატონება. პარალელურად ამა-

ვე პერიოდში რომი იულიუს კეისარის მეთაურობით იმორჩილებს გალიას (დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორია) და ბრიტანიას. გალების რომანიზაცია შედარებით სწრაფად მოხდა, ბრიტანია კი კელტური დარჩა.

ძვ. წ. 40-30-იანი წლების სამოქალაქო ომების შედეგად რომში რესპუბლიკური წყობა დაემხო და იგი იმპერიად გარდაიქმნა. პირველმა იმპერატორმა ოქტავიანე ავგუსტუსმა კიდევ უფრო გააფართოვა სახელმწიფოს საზღვრები. ძვ.წ. 30 წელს რომმა შეიერთა ეგვიპტეც. ამგვარად ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის მთელი ხმელთაშუა ზღვა რომის უზარმაზარი იმპერიის „შიდა ტბად" იქცა.

ამ პერიოდის ევროპის პოლიტიკური რუკა უაღრესად მარტივია. აქ ერთადერთი სახელმწიფო რომის იმპერიაა. რომელსაც ჩრდილოეთიდან გერმანული და სლავური ტომები ესაზღვრებოდნენ. ახლო აღმოსავლეთში რომის იმპერიისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ ნუბიის ეთიოპია (მეროეს სამეფო), პართია (სპარსეთი) აგრეთვე არაბები, რომელთა დიდი ნაწილისათვის სახელმწიფოებრივი ცხოვრების წესი ჯერ უცნობი იყო თუ არ ჩავთვლით სამხრეთ არაბეთის ქვეყნებს. ძვ. წ. I საუკუნეში შებას და ქათაბანის სამეფოები არაბეთს ნახევარკუნძულის სამხრეთით წყვეტენ თავიანთ არსებობას სხვა არაბული ტომების თავდასხმების შედეგად. მოსახლეობა მასიურად გადადის აფრიკაში, სადაც ახდენს ადგილობრივი კუშიტური ტომების ასიმილაციას და სათავეს უდებს დღევანდელი ეთიოპური ეთნოსების (სემიტების) წარმოშობას. მათი პირველი სახელმწიფო აქსუმი ახ. წ. I საუკუნეში წარმოიქმნა.

რომის გავლენა საკმაოდ ძლიერი იყო კავკასიისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ახალგაზრდა სახელმწიფოებზე, როგორებიც იყვნენ ბოსფორის სამეფო, ყირიმის სკვითთა სამეფო, სომხეთი, კოლხეთი, იბერია და კავკასიის ალბანეთი.

რომის იმპერიისა და მის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნებისაგან სრულიად მოწყვეტილად ვითარდებოდა სამხრეთი და აღმოსავლეთი აზია.

ჩინეთი ამ დროს (ჯოუს იმპერია) ფაქტიურად დამოუკიდებელი სახელმწიფოების კონგლომერატს წარმოადგენდა. მათ

შორის განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობდა. თანდათანობით დაწინაურდა ცინის (ჩინის) სამეფო, რომელმაც სათავე დაუდო ხანმოკლე მაგრამ ძლიერ იმპერიას. (ძვ. წ. III საუკუნე). სწორედ ამ დროს აშენდა ჩინეთის დიდი კედელი. ძვ.წ. II-I საუკუნეებში ჩინეთში ახალი – ხანის იმპერია ყალიბდება, რომლის დროსაც ძველი ჩინური კულტურა განსაკუთრებულ აყვავებას განიცდის.

ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისისათვის ინდოეთში 16 მცირე სახელმწიფო არსებობდა. მათ განიცადეს ჯერ აქიმენიდური ირანის, ხოლო შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის თავდასხმები. ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს მაკედონელები განდევნილი იქნენ ინდოეთიდან ნიჭიერი მხედართმთავრის ჩანდრაგუპტას მიერ, რომელმაც გააერთიანა მთელი ჩრდილოეთ ინდოეთი და შექმნა მაურიების ძლიერი იმპერია. ამ იმპერიაში ძირითადი რელიგია ბუდიზმი გახდა საიდანაც ეს მოძღვრება ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გავრცელდა. მაურიების იმპერია ძვ. წ. III საუკუნის ბოლოს დაიშალა. ჩრდილოდასავლეთი ინდოეთი ბერძნულ-ბაქტრიულმა ელინისტურმა სამეფომ დაიპყრო. ძვ.წ. I საუკუნეში კი აქ პართელები გაბატონდნენ. ძვ. წ. II-I საუკუნეებში პირველი სახელმწიფოები შექმნეს სამხრეთ ინდოეთის ხალხებმაც.

ძვ.წ. V-I საუკუნეებში კლასობრივი საზოგადოება ჩამოყალიბდა კორეაში, ინდოჩინეთში, ინდონეზიაში, ცეილონზე, აგრეთვე იაპონიაში, მაგრამ ნამდვილი სახელმწიფოების წარმოშობა აქ უფრო მოგვიანებით, უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მოხდა.

რაც შეეხება ცენტრალურ აზიას იგი ცალკეულ ტომთა გაერთიანებების და მათი ურთიერთბრძოლის არეალია. ძვ. წ. III-II საუკუნეებში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ჰუნებმა, რომელმაც თავიანთი გავლენა გაავრცელეს ჩინეთის მნიშვნელოვან ნაწილზე და შუა აზიის ხალხებზე.

1.3.5. ახ. წ.აღ-ის I-V საუკუნეები

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის, როგორც ვარაუდობენ, მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობამ დაახლოებით

250 მილიონს მიაღწია. რომის იმპერიის მოსახლეობა 50 მილიონს აღემატებოდა, ინდოეთისა და ჩინეთის მოსახლეობა 40-50 მილიონის ფარგლებში უნდა ყოფილიყო. ამ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკის გარდა უაღრესად მაღალ დონეს მიაღწია კულტურამ. ძველი რომაული, ინდური თუ ჩინური ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების და იდეოლოგიის მიღწევები დღესაც ითვლება ადამიანური გენიის მწვერვალებად. ამ პერიოდშივე ეყრება საფუძველი ქრისტიანულ ცივილიზაციას, რაც დღემდე მსოფლიო პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

I-II საუკუნეები რომის ადრეული იმპერიის ხანაა (პრინციპატი), კლასიკური მონათმფლობელური წყობით. მიუხედავად ცალკეული აჯანყებებისა და ბრძოლებისა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ რომის პროვინციებში (ფაქტიურად ყოფილ დამოუკიდებელ ქვეყნებში, რომლებიც რომმა სხვადასხვა დროს დაიპყრო და შეიერთა) იმპერია მაინც მყარი და ცენტრალიზებული სახელმწიფოა. რეალური მეტოქე რომს არ ჰყავს. მხოლოდ აღმოსავლეთში სომხეთსა და იბერიაში რომის ინტერესებს ეჯახება პართიის ინტერესები. რომის ძლიერება IV საუკუნიდან საბოლოოდ შეირყა ერთის მხრივ შიდა კრიზისებისა და დაპირისპირებების, მეორეს მხრივ კი იმპერიის ჩრდილოეთი მეზობლების გერმანელი ტომების გაძლიერებისა და იმპერიის მიწებზე მათი თავდასხმების გახშირების გამო.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში შუა აზიაში ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა ქუშანის სამეფო, რომელიც თავის თავში აერთიანებდა შუა აზიის ძველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს – ხორეზმს, ფერგანას, სოგდიანას და ბაქტრიას. შემდგომში ამ სახელმწიფომ მოიცვა დღევანდელი ავღანეთის, პაკისტანისა და ჩრდილოეთ ინდოეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი. ამ ძალზე თავისებურმა, კულტურული და რელიგიური სინკრეტიზმის ქვეყანამ თავის ძლიერების მწვერვალს II საუკუნეში მიაღწია, III საუკუნეში კი უკვე რღვევა დაიწყო.

მეორე ძლიერი სახელმწიფო აღმოსავლეთში იყო პართია, რომელიც აშკარად ებრძოდა რომს და ხშირად წარმატებებსაც აღწევდა. პართია ერთერთი უკანასკნელი ელინისტური სახელმწიფო იყო, სადაც I საუკუნიდან თანდათან სუსტება ბერძნული კულტურის გავლენა და სპარსული ელემენტი იწევს წინ. III საუკუნის 20-იან წლებში პართიის სამეფო შეცვალა ახალმა ძლიერმა სახელმწიფომ – სასანიდურმა ირანმა.

ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ სომხეთი, კოლხეთი, იბერია და ალბანეთი. სომხეთი შედარებით დიდი და საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო იყო. კოლხეთი, რომელიც დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა განვითარებული ეკონომიკისა და მაღალი კულტურის ქვეყანა იყო. საკმაოდ ძლიერი და ანგარიშგასაწევი ძალა იყო იბერია (ქართლი). ამ ქვეყნებზე რომის გავლენა მაინცდამაინც ძლიერი არ ყოფილა, ხოლო III საუკუნიდან პრაქტიკულად აღარც იგრძნობოდა. სამაგიეროდ ახალი მრისხანე ძალა – სასანიდური ირანი აქტიურად ცდილობდა ამ სახელმწიფოების დამორჩილებას.

ევროპის დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებში I-III საუკუნეები პირველყოფილი საზოგადოების დაშლის პერიოდია. ეს პროცესი სწრაფად მიმდინარეობდა კელტებში, გერმანელებში, დაკებში, ძველ სლავებში, შედარებით ნელა ბალტიურ და უგრო-ფინურ ტომებში. ვოლგა-დონის სტეპებში მომთაბარეობდნენ ირანულენოვანი სარმატები და ალანები. აღმოსავლეთიდან ევროპისაკენ ინაცვლებენ თურქულენოვანი ტომები, კერძოდ ჰუნები.

რაც შეეხება ჩინეთს, აქ არსებულმა ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ – ხანის იმპერიამ III საუკუნემდე იარსება და შემდეგ სამ სამეფოდ დაიშალა. ინდოეთში კი ქუშანთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა გუპტების სამეფო, რომელმაც ჩრდილოეთ ინდოეთის დიდი ნაწილი მოიცვა და VI საუკუნემდე იარსება.

IV-V საუკუნეები რომის გვიანი იმპერიის ეპოქაა (დომინანტი). ეს პერიოდი იმპერიის თანდათანობითი დაკნინების და დაცემის ხანაა. IV საუკუნის ბოლოს (395 წ.) რომის იმპერია

ორ ნაწილად გაიყო – დასავლეთ რომის იმპერია და აღმოსავლეთ რომის იმპერია (ბიზანტია). მათი ბედი განსხვავებული აღმოჩნდა. ბიზანტია სწრაფად ვითარდება და მალე მსოფლიოს მთავარი კულტურული ცენტრი ხდება. რადგან აქ მოსახლეობის უმრავლესობას ბერძნები შეადგენდნენ ბერძნულმა ენამ თანდათანობით შეავიწროვა ლათინური და ბოლოს იმპერიის სახელმწიფო ენა გახდა. დასავლეთ რომის იმპერია კი სუსტდება და მისი დაშლის საფრთხე აშკარა ხდება. ეს პროცესი ვერც ახალმა სახელმწიფო რელიგიამ – ქრისტიანობამ შეაჩერა. ძალზე დიდი როლი რომის დასუსტებასა და დაცემაში ევრაზიის ტომებმა შეასრულეს – აზიიდან ჰუნებმა, ალანებმა, ავარებმა და სხვ. ევროპიდან კი გერმანულ ტომებმა. ოსტგოთების, ვესტგოთების, ვანდალების გამანადგურებელმა თავდასხმებმა საფუძველი გამოაცალეს სახელმწიფოს არსებობას, ხოლო 476 წელს რომაელების სამსახურში მყოფმა გერმანელმა მხედართმთავარმა ოდოაკრმა ჩამოაგდო უკანასკნელი იმპერატორი რომულუსი. დასავლეთ რომის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. ამ მოვლენით მთავრდება კიდეც კაცობრიობის ისტორიის ერთი ეტაპი და იწყება მეორე ხანა – შუა საუკუნეები.

1.4. შუა საუკუნეები

შუა საუკუნეებს ჩვენ მივაკუთვნებთ პერიოდს, რომელიც V-XVIII საუკუნეებს მოიცავს და ისტორიულ ლიტერატურაში უფრო ხშირად ფეოდალიზმის პერიოდად განიხილება. ისტორიული პროგრესის შესაბამისად შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელია საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება, ახალი წარმოებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება (რაც წარმოების ზრდის სტიმული იყო) და ახალი მიღწევები მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. სწორედ შუა საუკუნეებში წარმოიშვნენ დღეს არსებული ეთნოსების უმრავლესობა და თანამედროვე სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთანავე ბევრი ხალხისთვის ფეოდალიზმი არ ყოფილა მონათმფლობელობის შემდგომი ეტაპი. თანამედროვე ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობას, ისევე როგორც შორეული აღმოსავლეთის ბევრ კულტურულ ხალხს მონათმფლობელობის პერიოდი საერთოდ არ გაუვლია.

ეკონომიკის მთავარი დარგი შუა საუკუნეების პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოში სოფლის მეურნეობა იყო. გაიზარდა დამუშავებული მიწების ფართობი, სრულყოფა განიცადა მიწის დამუშავების ტექნიკამ. განვითარდა მებოსტნეუობა, მებაღეობა, მევენახეობა. გამოიკვეთა სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის ჩანასახები. დაიწყო სასარგებლო წიაღისეულის ახალი სახეობების დამუშავება, გაიზარდა ლითონის გამოდნობა. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდა ხელოსნობა; კერძოდ მაუდის, ლითონის ნაკეთობების, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის წარმოება ევროპაში; ბამბის და აბრეშუმის ქსოვილების, ხალიჩების, ქაღალდის, ფაიფურის წარმოება აზიაში. ფართო მასშტაბებს მიაღწია ქარისა და მდინარე წყლის ენერგიის გამოყენებამ.

შუა საუკუნეების პოლიტიკური რუკის საერთო ნიშანი იყო ძლიერი დაქუცმაცებულობა. დიდი იმპერიების წარმოშობა და მათი რღვევა, უამრავი წვრილ-წვრილი სახელმწიფოების გაჩენა და დაღუპვა წითელ ზოლად გასდევს შუა საუკუნეების მთელ ისტორიას. განუწყვეტელი ომებისა და ხშირი ეპიდემიების გამო მოსახლეობა ძალიან ნელა იზრდებოდა. თუ V საუ-

კუნის ბოლოს მსოფლიოს მოსახლეობა დაახლოებით 300 მილიონს უდრიდა XV საუკუნის ბოლოსათვის 500 მილიონზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

ფეოდალიზმის ეპოქის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო მსოფლიო სივრცის დაქსაქსულობა. ცალკეული ცივილიზირებული რეგიონები ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებული ანდა ძალიან სუსტი კავშირები ჰქონდათ. სამეურნეო და კულტურული კავშირების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი მსოფლიო ოკეანე იყო. კერძოდ ოკეანემ განაპირობა ამერიკის იზოლირებული განვითარება ძველი სამყაროსგან და იქ ევროპელების მისვლამდე ფეოდალიზმი საერთოდ უცნობი იყო. ასევე დამაბრკოლებელ როლს თამაშობდნენ ვრცელი უდაბნოები (მაგ. საჰარა).

მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა XIV-XV საუკუნეებში მაინც ჩამოყალიბდა საერთაშორისო ვაჭრობის სამი მსხვილი რეგიონი. 1. სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია; 2. ევროპა (ვენეცია, გენუა, ჰანზის კავშირი); 3. ახლო აღმოსავლეთი. ამ სამი რეგიონის არსებობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო ბაზრის ფორმირების საქმეში.

შუა საუკუნეები თავის მხრივ შეიძლება ოთხ ქვეპერიოდად დავყოთ.

1. ადრეული შუა საუკუნეები (V-X სს.)
2. განვითარებული შუა საუკუნეები (XI-XV სს.)
3. გვიანი შუა საუკუნეები (XV საუკუნის ბოლოდან XVII საუკუნის პირველი ნახევარის ჩათვლით)
4. შუა საუკუნეებიდან ახალ პერიოდზე გარდამავალი ხანა (XVII საუკუნის II ნახევარი – XVIII საუკუნე).

1.4.1. ადრეული შუა საუკუნეები (V-X სს.)

ადრეული შუა საუკუნეების ევროპის პოლიტიკური რუკის ისტორიაში დიდი როლი შეასრულეს ე.წ. „ბარბაროსმა ტომებმა". ასე უწოდებდნენ ბერძნები და რომაელები ყველა არა ბერძენს და არა რომაელს. IV-V საუკუნეები ამ ტომების მასიური გადასახლებების ეპოქაა და ხალხთა დიდი გადასახლების სახელით არის ცნობილი. აზიიდან ევროპაში იჭრებიან თურქულენოვანი ჰუნები და ავარები, ირანულენოვანი ალანები,

ხდება კელტებისა და სლავების მიგრაცია, მაგრამ განსაკუთრებულ როლს მაინც გერმანული ტომები ასრულებენ.

გერმანელების თავდაპირველი სამშობლო სამხრეთი სკანდინავია იყო, საიდანაც ისინი ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებში ცენტრალურ ევროპაში გავრცელდნენ. აქ ჩამოყალიბდა გერმანელ ტომთა ორი მთავარი ჯგუფი-დასავლეთგერმანული (ალემანები, ბავარები, საქსები, ფრანკები) და აღმოსავლეთგერმანული (ლანგობარდები, ბურგუნდები, გოთები, სვევები, ვანდალები). სწორედ ამ ტომების თავდასხმებმა დაასუსტეს და ბოლოს დაამხეს კიდეც რომის იმპერია.

ჯერ კიდევ რომის იმპერიის არსებობის დროს გერმანელმა ტომებმა შექმნეს პირველი „ბარბაროსული სახელმწიფოები" საკუთრივ იმპერიის ტერიტორიაზე. პირველი ასეთი სახელმწიფო იყო ვესტგოთების მიერ შექმნილი ტულუზის სამეფო (419 წ.) სამხრეთ გალიაში – აკვიტანიაში. მეორე სახელმწიფო იყო რომის ჩრდილოაფრიკულ პროვინციაში ჩამოყალიბებული ვანდალების სამეფო (439 წ.). სხვათა შორის მანამდე ვანდალები მცირე ხნით სამხრეთ ესპანეთში დამკვიდრდნენ და ამ ტერიტორიას მათი სახელი დღემდე შერჩა – (ვ)ანდალუსია. (ასევე გოთებისა და ალანების მიერ დაპყრობილ პირინეის ჩრდ. აღმოსავლეთ ნაწილს დღემდე უწოდებენ კატალონიას რაც გოთალანიის სახეცვლილი ფორმაა). მესამე ბარბაროსული სახელმწიფო იყო ბურგუნდია (ცენტრი – ლიონი).

დასავლეთ რომის იმპერიის დამხობის შემდეგ მთელი იტალია, აგრეთვე დღევანდელი შვეიცარიის, ავსტრიის, ხორვატიისა და სლოვენიის უდიდესი ნაწილი შევიდა ოსტგოთების სახელმწიფოში (ცენტრი რავენა). დღევანდელი ესპანეთისა და პორტუგალიის დიდ ნაწილზე (ბასკეთის გარდა) ვრცელდებოდა ვესტგოთების სახელმწიფო, ხოლო პირინეის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი სვევების სახელმწიფო ეკავა.

„ბარბაროსული სამეფოებიდან" შუა საუკუნეების ევროპის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა ფრანკთა სახელმწიფომ, რომელიც VI საუკუნის დასაწყისისთვის მოიცავდა დღევანდელ ცენტრალურ და დასავლეთ საფრანგეთს (ბრეტანის ნახევარკუნძულის გამოკლებით) და დასავლეთ გერმანიის მნიშვნელოვან ნაწილს, აგრეთვე ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიას.

V-VI საუკუნეებში გერმანული ტომები ანგლები, საქსები და იუტები გადავიდნენ კუნძულ დიდ ბრიტანეთზე და მოახდინეს ადგილობრივი კელტი მოსახლეობის ასიმილაცია. შეიქმნა შვიდი სახელმწიფო: – სამი საქსების (ესექსი, უესექსი და სასექსი), სამი ანგლების (ნორთუმბრია, მერსია და ისტ-ანგლია) და ერთი იუტების (კენტი). IX საუკუნეში უესექსმა შეიერთა ყველა ეს სამეფო და ამით საფუძველი დაედო ინგლისის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. შოტლანდია, უელსი და მით უმეტეს ირლანდია ამ დროს ჯერ კიდევ კელტური იყო.

აღმოსავლეთ რომის იმპერია (ბიზანტია) VI საუკუნის დასაწყისისათვის აერთიანებდა მთელ მცირე აზიის ნახევარკუნძულს, სირიას, პალესტინას, ეგვიპტეს, საბერძნეთს, დღევანდელ ბულგარეთს, სერბიას, მაკედონიას, ალბანეთს და ბოსნიის ნაწილს. VI საუკუნის შუა წლებში მან იტალიაც შეიერთა (ოსტგოთების სახელმწიფო), მაგრამ 568 წელს ლანგობარდების შემოსევის შემდეგ ეს ტერიტორია ისევ დაიკარგა. ამასთანავე მის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით დაიწყეს შემოსვლა სლავურმა ტომებმა, რაც მომავალში ბულგარეთის და სერბიის სახელმწიფოების ჩამოყალიბების საფუძვლად იქცა.

VIII საუკუნიდან დასავლეთ ევროპაში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ ფრანკთა სამეფო ხდება, რომლის ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით. კარლოს დიდის დროს (VIII-IX საუკუნეების მიჯნა) იგი უზარმაზარ იმპერიად იქცა. მის მთავარ ნაწილებს წარმოადგენენ სამეფოები – აღმოსავლეთ ფრანკთა, ლანგობარდთა და აკვიტანია. თავის მხრივ ისინი უფრო პატარა ერთეულებად იყოფოდნენ. ჩნდება ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული – საგრაფო. იმპერიის განაპირა რაიონებში ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელი სასაზღვრო მარკები ანუ სამარკგრაფოები – დანიის, საქსონიის, სორბის, პანონიის, ფრიულიის, ესპანეთის, ბრეტონის.

კარლოს დიდის სიკვდილის შემდეგ მისი იმპერია დაიშალა. იგი განაწილებული იქნა კარლოსის მემკვიდრეებს შორის. დასავლეთ ნაწილში შეიქმნა დასავლეთ ფრანკთა სამეფო, რომელიც თავის მხრივ იყოფოდა ფეოდალურ სამფლობელოებად. მათ შორის აღსანიშნავია ფლანდრიის საგრაფო, ბრეტანის საჰერცოგო, აკვიტანიის საჰერცოგო, პუატუს საგრაფო,

ბურგუნდიის საჰერცოგო, ტულუზის, ბარსელონის, პარიზის, გასკონიის, ბლუას, ორლეანის, შამპანის საგრაფოები. X საუკუნის ბოლოსათვის დასავლეთ ფრანკთა სახელმწიფოს სახელწოდებად თანდათანობით მკვიდრდება ტერმინი „საფრანგეთი". ყალიბდება ფრანგი ერი.

კარლოს დიდის იმპერიის მეორე ნაწილი – აღმოსავლეთ ფრანკთა სამეფო ასევე შედგებოდა მრავალრიცხოვანი საგრაფოებისა და საჰერცოგოებისაგან, რომლებიც ძირითადად ტომობრივ დაყოფას ეყრდნობოდნენ. მათ შორის უმთავრესი იყო – საქსონია, ფრაკონია, ტიურინგია, შვაბია, ბავარია. აღმოსავლეთ მარკა (შემდგომში ავსტრიის საჰერცოგო) X საუკუნის II ნახევრიდან, როცა აღმოსავლეთ ფრანკთა მეფეზე საბოლოოდ დამტკიცდა იმპერატორის ტიტული, აღმოსავლეთ ფრანკთა სახელმწიფოს ეწოდა „საღვთო იმპერია", – მომავალი გერმანია.

კარლოს დიდის იმპერიის მესამე (შუა) ნაწილი – ლოტარინგია მოიცავდა ტერიტორიას ცენტრალური იტალიიდან ჩრდილოეთის ზღვამდე. ამ ძალზე მოუხერხებელი და მერიდიანული მიმართულებით გაწელილი სახელმწიფოს არსებობა ხანგრძლივი არ ყოფილა. მით უფრო რომ არც ეთნიკურად და არც ეკონომიკურად მის ცალკეულ ნაწილებს საერთო არაფერი ჰქონდათ. უკვე IX საუკუნის ბოლოს აქ ყალიბდება დამოუკიდებელი ბურგუნდიის სამეფო. ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა რომის პაპის სახელმწიფო (პაპის ოლქი). ლოტარინგიის ცალკეული ტერიტორიები თანდათანობით შედიან საფრანგეთის ან საღვთო იმპერიის შემადგენლობაში.

იმ ტერიტორიებზე, რომლებიც კარლოს დიდის იმპერიაში არ ყოფილა, ასევე ჩამოყალიბდნენ მცირე ფეოდალური ერთეულები. ჩრდილოეთ ესპანეთში ესენი იყვნენ ძველი კასტილიის, არაგონის, რიბაგორსის საგრაფოები; ნავარის, გალისიის და ოვიედოს სამეფოები. (ორი უკანასკნელის გაერთიანებით X საუკუნის ბოლოს შეიქმნა ლეონის სამეფო). ასეთივე საგრაფოები ჩამოყალიბდა იტალიაში. (ტოსკანა, ნეაპოლი, ფრიულია და სხვ.).

ადრე შუა საუკუნეების ევროპის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სკანდინავიელი ტომების (ნორმანები ანუ ვიკინგები) თავდასხმებმა. VIII საუკუნეში დანიელებმა დაიპყრეს ინგლისი, თუმცა მალევე გაითქვიფნენ ადგილობრივ

მოსახლეობაში. ასევე საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე დამკვიდრებული ნორმანები (ნორმანდიის საჰერცოგო) ძალიან მალე გადავიდნენ ფრანგულ ენაზე და ფრანგებად იქცნენ. ნორმანებმა ძლიერი სახელმწიფო შექმნეს სამხრეთ იტალიაში – სიცილიის, აპულიის და კალაბრიის ტერიტორიაზე.

საკუთრივ სკანდინავიაში ფეოდალური სახელმწიფოები VIII-X საუკუნეებში წარმოიშვნენ. პირველად ეს დანიაში მოხდა (VIII საუკუნის ბოლოს). ნორვეგიის სახელმწიფო IX საუკუნის ბოლოს შეიქმნა, ხოლო შვედეთის პირველი სამეფოს ჩამოყალიბება X საუკუნის ბოლოს განეკუთვნება. ამ დროსვე მოხდა ამ ქვეყნების გაქრისტიანება.

VII საუკუნიდან თანდათან იწყება ბიზანტიის დასუსტება. არაბების ლაშქრობის შედეგად იგი კარგავს სირიას, პალესტინას და ეგვიპტეს. მის დასავლეთ ნაწილში ყალიბდება ბულგარეთის და სერბიის სახელმწიფოები. X საუკუნეში ბიზანტია ხელახლა ძლიერდება და ისევ იერთებს ბულგარეთსა და სერბიას, მაგრამ ეს ბიზანტიის უკანასკნელი, დროებითი წარმატება იყო.

IX-X საუკუნეებში თავიანთ პირველ სახელმწიფოებს ქმნიან ხორვატები და სლოვენები, მაგრამ მალევე კარგავენ მას და გერმანული სამთავროების გავლენის ქვეშ ხვდებიან. ამავე პერიოდში იქმნება ჩეხეთისა და პოლონეთის სამეფოები. IX საუკუნეში იქმნება პირველი რუსული სახელმწიფო – კიევის რუსეთი, რომელმაც სწრაფად გააფართოვა თავისი საზღვრები და X საუკუნის ბოლოს ევროპის ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოდ იქცა. თუმცა ცენტრალური ხელისუფლება აქ თანდათან დასუსტდა და ცალკეულმა მთავრებმა დიდ უფლებებს მიაღწიეს. IX საუკუნეშივე შეიქმნა უნგრეთის სამეფო. უნგრელები (მადიარები) ევროპაში ურალისპირეთიდან მოვიდნენ, შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას (თუმცა ენა შეინარჩუნეს), გაქრისტიანდნენ და საკმაოდ ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოც შექმნეს.

ადრეულ შუა საუკუნეების დასაწყისში (V-VI საუკუნეები) ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო სასანიდური ირანი. იგი აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა კავკასიასა და შუა აზიაში და მუდმივ დაპირისპირებაში იყო ბიზანტიასთან. VI საუკუნეში ირანმა დიდ წარმატებებს მიაღწია: – ქართლი, სომხეთი და ადარბადაგანი

(დღევანდელი აზერბაიჯანი) დაიმორჩილა. VII საუკუნის დასაწყისში მან ბიზანტიას სირია, პალესტინა და ეგვიპტე წაართვა, მაგრამ მალევე იძულებული გახდა უკან დაებრუნებინა. სასანიდურ ირანს ბოლო მსოფლიო ასპარეზზე გამოჩენილმა ახალმა მრისხანე ძალამ – არაბებმა მოუღეს.

VII საუკუნის დასაწყისამდე არაბები დიდ როლს მსოფლიო ისტორიაში არ თამაშობდნენ. მათი სამშობლო არაბეთის ნახევარკუნძულია და მისი უკიდურესი სამხრეთი ნაწილის გარდა ამ ტერიტორიაზე სახელმწიფოებს არ უარსებიათ. არაბთა ძირითადი საქმიანობა მომთაბარე მეცხოველეობა, კერძოდ მეაქლემეობა იყო.

VII საუკუნის 20-იან წლებში იწყება არაბთა სწრაფი კონსოლიდაცია, რაშიც გადამწყვეტი როლი ახალმა რელიგიამ – ისლამმა ითამაშა. მოკლე ხანში შეიქმნა ძლიერი, ცენტრალიზებული, თეოკრატიული სახელმწიფო – ხალიფატი, რომელმაც არა მარტო მთელი არაბეთის ნახევარკუნძული გააერთიანა, არამედ წარმატებული დაპყრობითი ომებით მანამდე არნახული უზარმაზარი იმპერია შექმნა. სულ რამოდენიმე ათეული წლის მანძილზე არაბებმა ხელში ჩაიგდეს სირია, პალესტინა, შუამდინარეთი, ირანი, ამიერკავკასია, შუა აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი და ინდოეთის დასავლეთი რაიონები – აღმოსავლეთით, ეგვიპტე, ლიბია, ტუნისი, ალჟირი, მაროკო – დასავლეთით. VIII საუკუნის დასაწყისში არაბებმა გადალახეს გიბრალტარის სრუტე და პირინეის ნახევარკუნძულის უდიდესი ნაწილი (ჩრდილოეთის რაიონების გარდა) დაიმორჩილეს. მათ ხელში აღმოჩნდა აგრეთვე სიცილია და სარდინია. ამგვარად არაბთა ხალიფატი ინდიდან ატლანტის ოკეანემდე იყო გადაჭიმული და არაბების წინსვლა მხოლოდ 732 წელს ცენტრალურ საფრანგეთში (პუატიესთან) შეძლეს ფრანკებმა. აღსანიშნავია ისიც რომ დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობა მასიურად იღებდა ისლამს და არაბებთან ასიმილაციაც საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამის შედეგია ის ფაქტი რომ დღეს 20-მდე სახელმწიფო არაბულენოვანია ხოლო არაბების დაპყრობილი ყველა ქვეყანა საქართველოს, სომხეთის და ესპანეთის გარდა მუსლიმანურ რელიგიას აღიარებს.

მიუხედავად ამისა არაბთა ხალიფატმა, ისევე როგორც ყველა იმპერიამ საკმაოდ მალე დაიწყო რღვევა. მას ჯერ კორდო-

ვის ემირატი გამოეყო (პირინეის ნახევარკუნძულზე), შემდეგ შეიქმნა იდრისიანთა სახელმწიფო (მაროკოსა და ალჟირის ტერიტორიაზე), მოგვიანებით კი ჩამოყალიბდნენ ალღაბრიდების სამეფო (ტუნისს და ლიბიაში), ფატიმიდების სახელმწიფო (ეგვიპტეში), თაჰირიდების სახელმწიფო (ირანში), ბაღდადის ხალიფატის საზღვრები არაბეთის ნახევარკუნძულით, სირია-პალესტინითა და ერაყით შემოისაზღვრა. ხალიფატისაგან განთავისუფლდნენ შუა აზიის სახანოები და ამიერკავკასიის ქვეყნები. კერძოდ საქართველოში VIII-IX საუკუნეებში ახალი პოლიტიკური ერთეულები – ეგრის-აფხაზეთის სამეფო, ტაო-კლარჯეთის სამეფო, კახეთის სამთავრო და ჰერეთის სამეფო ჩამოყალიბდა.

ადრეული შუა საუკუნეები ფეოდალიზმის სწრაფი განვითარების ეპოქაა აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

IV საუკუნის დასაწყისში სამ სამეფოდ დაშლილი ჩინეთი კვლავ გაერთიანდა ერთიან ძინის იმპერიად, მაგრამ მალევე დაემხო ჩინეთში ჰუნების შემოჭრის გამო. IV-VI საუკუნეებში ჩინეთი სხვადასხვა სახელმწიფოების კონგლომერატია, სადაც მომთაბარე ტომების (ჰუნების. ძველი თურქების და ა.შ.) განუწყვეტელი თავდასხმები ხდება. VII საუკუნის დასაწყისიდან ჩინეთი კვლავ ერთიანი სახელმწიფოა – ტანის იმპერია, რომელიც ამარცხებს თურქთა კაგანატს და აღმოსავლეთ თურქესტანამდე (დღევანდელი სინძიან-უიგურის რაიონი ჩინეთში) და შუა აზიამდე აფართოებს თავის საზღვრებს. სწორედ ტანის იმპერიამ შეძლო არაბების აღმოსავლეთისაკენ წინსვლა შეეჩერებინა შუა აზიაში მათი დამარცხების შემდეგ. IX საუკუნიდან ტანის იმპერია სუსტდება, ხოლო X საუკუნეში მას ცვლის ახალი – სუნის იმპერია.

IV-V საუკუნეები გუპტების სახელმწიფოს აყვავების ხანაა ჩრდილოეთ ინდოეთში. V-IV საუკუნეების მიჯნაზე მას საშიში მტერი გამოუჩნდა მომთაბარე ეფტალიტების სახით, რომლებმაც თავიანთი სახელმწიფო შექმნეს შუა აზიაში და აქედან იწყეს თავდასხმები ავღანეთსა და ინდოეთზე. VI საუკუნის დასაწყისში გუპტების სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. იგი ეფტალიტების ვრცელი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა და მალე ცალკეულ სამთავროებად დაიშალა. VIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ინდოეთში არაბები შემოიჭრნენ

და ინდოსტანის სუბკონტინენტზე პირველი მუსლიმანური საემიროები შექმნეს.

ადრეული შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა პირველი ფეოდალური სახელმწიფოები ტიბეტში, კორეასა და ინდოჩინეთში. კორეაში IV საუკუნიდან არსებობდა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელთა შორის გამოირჩეოდა სილას სამეფო. ამ სამეფოს გარშემო მოხდა ორი დანარჩენი სამეფოს (კოგიურეს და პეკჩეს) გაერთიანება და შეიქმნა ერთიანი სილას სახელმწიფო, რომელიც X საუკუნეში შეცვალა კორეს სამეფომ. ინდოჩინეთში ქვეყნებიდან აღსანიშნავია ქხმერების სახელმწიფო – კამბოჯა, და კო-ვიეტის სახელმწიფო ვიეტნამში. ინდონეზიაში ჩამოყალიბდა ძლიერი და მაღალი კულტურის მქონე შრივიჯაიას სახელმწიფო. (ცნობილია ამ პერიოდის ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლი – ბორობუდური).

IV საუკუნის ბოლოს ყალიბდება პირველი ფეოდალური სახელმწიფო იაპონიაში. VII-VIII საუკუნეებში აქ უკვე ჩამოყალიბებული ფეოდალური სისტემაა, სადაც მიწაზე სახელმწიფო საკუთრება დამკვიდრდა. ამ საფუძველზე შეიქმნა ცენტრალიზებული ნარის მონარქია, იმპერატორის მეთაურობით. თუმცა რეალური ძალაუფლება რეგენტს – ფუძივარას გვარის წარმომადგენლებს ჰქონდათ.

1.4.2. განვითარებული შუა საუკუნეები (XI-XV სს.)

დასავლეთ ევროპის ისტორიაში განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდი ხასიათდება მნიშვნელოვანი სოციალური პროცესებით. ამ დროს ხდება პოლიტიკური გაერთიანებების ჩამოყალიბება, რომელთა საფუძველს წარმოადგენს არა შემთხვევითი პოლიტიკური, დინასტიური თუ სუზერენულ-ვასალური კავშირები, არამედ ტერიტორიის მოსახლეობის ეთნიკური ერთობა, საერთო ეკონომიკა და კულტურა. ე.ი. იქმნება ეროვნული სახელმწიფოები.

საფრანგეთის ტერიტორიაზე ხდება ფრანგი ერის კონსოლიდაცია, რის წანამძღვრადაც შეიძლება მივიჩნიოთ ტერიტორიული ერთეულების გაერთიანება-გამსხვილება. პოლიტიკური გაერთიანება ხდება ცენტრალური პროვინციის – ილ-დე-ფრანსის გარშემო. საფრანგეთის ცენტრალური პროვინციების წამყვანი პოზიცია ქვეყნის გაერთიანების საქმეში საბოლოოდ გამოიკვეთა საფრანგეთ-ინგლისის ასწლიანი

ომის დროს (1337-1453), როცა ამ პროვინციებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ინგლისელების განდევნაში და საფრანგეთის გამარჯვებაში. საფრანგეთის სამეფო დომენი XI საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ორლეანისა და ეტამპის საგრაფოებს მოიცავდა, XII-XIII საუკუნეებში გაფართოვდა და მოიცვა ვალუა, არტუა, ნორმანდია, პიკარდია, ანჟუ, პუატუ, ოვერნი. XIII საუკუნეში სამეფოს საზღვრებში შევიდნენ ტულუზის საგრაფო, ლანგედოკი, შამპანი, ბლუა, შარტრი. ასწლიანი ომის ბოლოს საფრანგეთში შემადგენლობაში უკვე იყვნენ გასკონია, ბურგუნდია და პროვანსი. XV საუკუნის ბოლოს საფრანგეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ორი ერთეული არ შედიოდა სამეფო დომენში – ქალაქი კალე (რომელიც ინგლისელებმა შეინარჩუნეს) და ბრეტანის საჰერცოგო. საფრანგეთი ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ იქცა, რომლის დედაქალაქიც პარიზი გახდა.

XV საუკუნეში დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა ბურგუნდიის სახელმწიფომ. ეს სახელმწიფო XIII-XIV საუკუნეებში საკუთრივ ბურგუნდიის საჰერცოგოსა და ბურგუნდიის საგრაფოს (ფრანშ-კოტე) გარდა აერთიანებდა ფლანდრიას, ჰოლანდიას, ლუქსემბურგს, ბრაბანტს. ამ ტერიტორიების ნაწილი (არტუა, ფრანშ-კონტე, ფლანდრიის ნაწილი) საფრანგეთმა შეიერთა, ძირითადი მასა კი საღვთო იმპერიის შემადგენლობაში მოხვდა. ჰოლანდია და ფლანდრიის ნაწილი დინასტიური ქორწინებით ესპანეთის ხელში აღმოჩნდა. სამხრეთ ბურგუნდიის მიწები ასევე გაინაწილეს საფრანგეთმა (ლიონი, დოფინე) და რომის პაპმა (ავინიონი) სხვაგვარი ბედი ხვდა ცენტრალური ბურგუნდიის მიწებს (მცირე ბურგუნდია). აქ XIII საუკუნის ბოლოს იქმნება თავისუფალ კანტონთა (შვიცი, ური, უნტერვალდენი, მოგვიანებით ციურიხი და ბერნი) კავშირი, რამაც სათავე დაუდო შვეიცარიის სახელმწიფოს. XV საუკუნის ბოლოსათვის იგი უკვე 13 კანტონისა და 10 მოკავშირე ტერიტორიისაგან შედგებოდა და სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია საღვთო იმპერიისაგან.

საღვთო იმპერია (XV საუკუნიდან ოფიციალური სახელწოდებაა გერმანელი ნაციის წმინდა რომის იმპერია) თავის ჩამოყალიბების პირველ ასწლეულებში (X-XI საუკუნეები) ტომობრივი საჰერცოგოების გაერთიანება იყო. შემდეგში ტერიტორიული სათავადოების ნომინალურ გაერთიანებად იქცა,

რომელთა რიცხვი XIII საუკუნის ბოლოსათვის ასს აღემატებოდა. იმპერატორის არჩევის უფლება ჰქონდათ უმსხვილესი ერთეულების მეთაურებს (კურფიურსტებს) – ჩეხეთის მეფეს, საქსონიის ჰერცოგს, ბრანდენბურგის მარკგრაფს, რაინის პფალცგრაფს და კელნის, მაინცისა და ტრირის არქიეპისკოპოსებს. სხვა ერთეულებიდან აღსანიშნავია ბავარიის, ვიურტემბერგის, ბრაუნშვეიგის და ჰოლშტეინის საჰერცოგოები, ავსტრიის საერცჰერცოგო, ჰესენის სალანდგრაფო. ტიროლის საგრაფო, ზალცბურგის, ბრემენის, მიუნსტერის საეპისკოპოსოები. XIV საუკუნეში იწყებს ჩამოყალიბებას საქალაქო კავშირები – ჰანზის, რაინის და შვაბიის. XII-XIII საუკუნეებში ხდება გერმანული მიწების გაფართოება აღმოსავლეთითა და სამხრეთით აქ მცხოვრები სლავების შევიწროების ხარჯზე. ამ ტერიტორიებზე შეიქმნა მორავიისა და ლაუზიცის სამარკგრაფოები, მეკლენბურგის, პომერანიის, სილეზიის, შტირიის და კარინტიის საჰერცოგოები.

XI-XII საუკუნეებში იტალიის ჩრდილოეთი ნაწილი (სამხრეთში ნორმანთა სახელმწიფო არსებობდა) ფორმალურად საღვთო იმპერიაზე იყო დამოკიდებული. XII საუკუნის ბოლოს იტალიის ქალაქების უმრავლესობამ მოიპოვა თვითმმართველობის უფლება. წარმოიშვნენ მრავალრიცხოვანი საქალაქო კომუნები, რომლებიც მოგვიანებით სენიორიებად გადაიქცნენ. მათ შორის უძლიერესებმა (მილანი, ფერარა, მანტუა, ვერონა) თანდათანობით დაიკავეს ჩრდილოეთ იტალიის თითქმის მთელი ტერიტორია – თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდნენ ტოსკანის და სპოლეტოს საჰერცოგოები. შუა იტალიაში უმსხვილესი სახელმწიფო იყო პაპის ოლქი. სამხრეთით ჩამოყალიბდა (XIII საუკუნეში) ნეაპოლის სამეფო რომელიც სიცილიასა და სარდინიასაც მოიცავდა. XIV-XV საუკუნეებში მთელი ევროპის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდნენ ისეთი სავაჭრო რესპუბლიკები, როგორებიც იყვნენ გენუა, ვენეცია, აგრეთვე სიენა, პიზა და სავოიის საჰერცოგო. იტალიის ქალაქი-სახელმწიფოების ეკონომიკურმა აღმავლობამ გამოიწვია მათი კულტურული აყვავება, რამაც საფუძველი ჩაუყარა საკაცობრიო კულტურის ბრწყინვალე ფურცელს – რენესანსს.

პირინეის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი XI საუკუნის დასაწყისისთვის არაბებს ეკავათ, მის ჩრდილოეთ, არაბებისაგან თავისუფალ ტერიტორიაზე XI საუკუნის შუა ხანებში ყა-

ლიბდება ნავარის, კასტილიის, არაგონის სამეფოები. ეს ორი უკანასკნელი XII საუკუნეში წარმოშობილ პორტუგალიის სახელმწიფოსთან ერთად რეკონკისტის (მუსლიმანებისაგან პირინეის განთავისუფლების) ბირთვად იქცნენ. XIII საუკუნის ბოლოსათვის გაერთიანებული კასტილიის სამეფო მოიცავდა საკუთრივ კასტილიის სამეფოს (ძველი კასტილია, ასტურია, თავისუფალი ოლქები ალავა, გვიპუსკოა, ბისკაია) და ლეონის სამეფოს (ლეონი და გალისია). კასტილიის სამეფოს შემადგენლობაში შევიდნენ ახლადშემოერთებული სამეფოები – ტოლედო (ახალი კასტილია), კორდოვა, სევილია და მურსია. გაერთიანებული არაგონის სამეფოს შემადგენლობაში გარდა ძველი ტერიტორიებისა – არაგონის სამეფოს, კატალონიისა და რუსილიონის საგრაფოებისა, შევიდნენ ახალი სამეფოები – ვალენსია, მაიორკა, სიცილია და სარდინია. არაბების ხელში ნახევარკუნძულის უკიდურესი სამხრეთი – გრენადა რჩებოდა. XV საუკუნის ბოლოს დინასტიური ქორწინებით კასტილია და არაგონი ერთიანდებიან და იქმნება ესპანეთის ერთიანი სახელმწიფო.

XI საუკუნე მნიშვნელოვანი ეტაპია ინგლისის ისტორიაში. ჩრდილოეთ საფრანგეთიდან გადასულმა ნორმანდიელებმა (სკანდინავიელი ნორმანების შთამომავლები, რომლებიც უკვე მთლანად ფრანგულენოვანები იყვნენ) დაიპყრეს ინგლისი და ტახტზე თავიანთი კანდიდატი აიყვანეს. ნორმანდიელებისა და ანგლო-საქსების შერწყმამ საფუძველი დაუდო თანამედროვე ინგლისელ ერს და ინგლისურ ენას. XII საუკუნეში ინგლისი ცენტრალიზებული, ძლიერი სახელმწიფოა. ამ დროს ჩამოყალიბებული საზღვარი ინგლისსა და შოტლანდიას შორის დღემდე უცვლელია. ასეთივე საზღვრის არსებობას არ შეუშლია ხელი ინგლისისათვის XII-XIII საუკუნეებში შემოეერთებინა უელსი. ინგლისის ოცნებას ხელში ჩაეგდო საფრანგეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ასწლიანი ომის დროს განხორციელება არ ეწერა. ინგლისი ამ ომში დამარცხდა და კონტინენტზე ერთადერთი ქალაქი – კალე შეინარჩუნა. უკვე ამ პერიოდში იწყება ინგლისის ლტოლვა შოტლანდიის შემოერთებისა და ირლანდიის ხელში ჩასაგდებად.

XII-XIII საუკუნეებში ცენტრალიზებული სახელმწიფოები წარმოიქმნა სკანდინავიაშიც, რომლებიც თავიდანვე დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. XIII საუკუნის დასაწყისში დანიამ

დაიმორჩილა პომორის სლავები, ესტონეთის ნაწილი და ელბის ქვემო წელის გერმანული ქალაქები. შვედეთმა XIII-XIV საუკუნეებში შეიერთა ფინეთი. ნორვეგიამ კი XIII საუკუნის 60-იან წლებში თავისი ძალაუფლება გაავრცელა ისლანდიაზე. 1397 წლის ქ. კალმარში ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე შვედეთი, დანია და ნორვეგია ერთ უნიაში გაერთიანდნენ (კალმარის უნია). სამივე სახელმწიფო ინარჩუნებდა შიდა დამოუკიდებლობას. სამივე სამეფოს მეფედ დანიის ტახტის მემკვიდრე იქნა არჩეული, რამაც მომავალში დანიის უპირატესობა განაპირობა.

ცენტრალურ ევროპაში ჩეხეთის, პოლონეთის და უნგრეთის სამეფოები არსებობდნენ. ჩეხეთი საღვთო იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და მის ერთერთ დაწინაურებულ ერთეულს შეადგენდა ჩეხეთის მეფე პირველი იყო იმ შვიდ კურფიურსტრს შორის, რომელსაც იმპერატორის არჩევის უფლება ჰქონდა. მიუხედავად ამისა ჩეხეთი, როგორც იმპერიის არაგერმანული სამეფო გარკვეული დისკრიმინაციას განიცდიდა, რაც ჩეხების არაერთი გამოსვლის მიზეზი იყო. პოლონეთი XI-XV საუკუნეებში ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოა. XIV საუკუნის ბოლოს იქმნება ლიტვა-პოლონეთის უნია, რომელიც მომავალში დიდ და ძლიერ სახელმწიფოდ იქცა. მთელი განვითარებული შუა საუკუნეების მანძილზე უნგრეთი ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოა, რომელმაც არა მარტო მოიგერია ერთის მხრივ გერმანელების, ხოლო მეორეს მხრივ მონღოლების შემოსევები, არამედ გარკვეულწილად გაიფართოვა კიდეც თავის საზღვრები. მხოლოდ XV საუკუნეში დაემუქრა უნგრეთს ძალზე სერიოზული საფრთხე თურქ-ოსმალების სახით. XIV საუკუნეში ჩამოყალიბდნენ ვლახეთისა და მოლდოვის სამთავრები, რომლებიც მომავალში რუმინეთის სახელმწიფოს საფუძვლად იქცნენ.

XII საუკუნეში კიევის რუსეთის ერთიანი სახელმწიფო დაიშალა და ათზე მეტი მსხვილი სამთავრო შეიქმნა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ვლადიმირ-სუზდალის, პოლოცკო-მინსკის, გალიც-ვოლინის, სმოლენსკის, კიევის, ჩერნიგოვის, მურომის, რიაზანის სამთავროები და ნოვგოროდისა და ფსკოვის ფეოდალური რესპუბლიკები.

ბიზანტიის, სამხრეთ სლავების, კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაზე განვითარებულ შუა საუკუნეებში დი-

დი გავლენა იქონია იმ პროცესებმა, რომელიც ამ რეგიონიდან საკმაოდ შორს, ცენტრალურ აზიაში იღებს სათავეს.

XI საუკუნის პირველი ნახევარი ბიზანტიის დროებითი აღმავლობის პერიოდია, როცა იმპერიის შემადგენლობაში მთელი მცირე აზია და ბალკანეთის ნახევარკუნძული შედიოდა, ხოლო იმავე საუკუნის შუა ხანებში სომხეთმა როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა და ბიზანტიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. X-XI საუკუნის მიჯნაზე იწყება საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი, როცა გაერთიანდნენ ეგრის-აფხაზეთი და ტაოკლარჯეთი (აფხაზთა და ქართველთა სამეფო). არაბთა ბატონობა მხოლოდ თბილისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიაზეღა ვრცელდებოდა (თბილისის საამირო), ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფო.

ბიზანტიისა და საქართველოს აღმავლობას სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა ცენტრალური აზიიდან დაძრულმა მრისხანე ძალამ – თურქ-სელჯუკებმა. შუა აზიაში მომთაბარე სელჯუკები XI საუკუნის 30-იან წლებში დაიძრნენ ირანისკენ. ამ დროისათვის ირანის დიდი ნაწილი ღაზნევიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, ავღანეთთან და ჩრდილოეთ ინდოეთის ნაწილთან ერთად. სელჯუკებმა სასტიკად დაამარცხეს ღაზნევიდები და მათ ჯერ ხორასანი, ხოლო 1040-1055 წლებში მთელი ირანიც წაართვეს. შემდეგ სელჯუკები დასავლეთისკენ დაიძრნენ და დაიპყრეს ერაყი, აზერბაიჯანი (ადგილობრივ მოსახლეობასთან სელჯუკების შერევამ და მათმა გათურქებამ დაუდო სათავე დღევანდელ აზერბაიჯანელ ეთნოსს) და სომხეთი (ეს უკანასკნელი ბიზანტიის ნაწილი იყო). რამდენჯერმე ილაშქრეს საქართველოში („დიდი თურქობა") და რაც განსაკუთრებით სავალალო აღმოჩნდა მართლმადიდებელი-ქრისტიანული სამყაროსათვის სელჯუკებმა დაიკავეს ბიზანტიის თითქმის მთელი აზიური ნაწილი (მცირე აზიის ნახევარკუნძული), დამკვიდრდნენ აქ და საფუძველი ჩაუყარეს თურქი ერის ფორმირებას. სელჯუკთა ხელში აღმოჩნდა სირია და პალესტინაც. XI საუკუნის ბოლოს სელჯუკთა იმპერიამ რღვევა დაიწყო. მცირე აზიაში ჩამოყალიბდა რუმის (იკონიის) სულთანატი, ასევე წარმოიქმნენ ქერმანის, სირიის

და ერაყის სულთანატები. სელჯუკთა უმაღლესი სულთნის ხელში მხოლოდ ხორასანი და შუა აზიის ნაწილი დარჩა.

სელჯუკთა იმპერიის დაშლით ისარგებლა საქართველოს ძლიერმა და ნიჭიერმა მეფემ დავით აღმაშენებელმა. დაამარცხა რა თურქები, აიღო თბილისი და დაამთავრა საქართველოს გაერთიანება. შეიქმნა ახლო აღმოსავლეთის ერთერთი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ფაქტიურად მთელს კავკასიას მოიცავდა (ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნების ჩათვლით). ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე შეიქმნა კილიკიის სომხური სამეფო. საკუთრივ სომხეთის სახელმწიფო აღარ აღმდგარა. მისი ჩრდილოეთი რაიონები საქართველოს შემადგენლობაში შევიდა, სამხრეთი კი ე.წ. შაჰ-არმენთა სახელმწიფოს ნაწილი გახდა. რაც შეეხება ბიზანტიას მან ვეღარ შეძლო წელში გამართვა და საბოლოოდ დაკარგა თავისი ტერიტორიის ძირითადი ნაწილი – მცირე აზია.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ბიზანტიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაზე იყო ჯვაროსნული ლაშქრობები. ევროპელი რაინდების მიზანი – ქრისტეს საფლავის გამოხსნა ურჯულოებისაგან შერწყმული იყო უფრო მატერიალურ მიზნებთანაც – ხელში ჩაეგდოთ ახლო აღმოსავლეთის მიწები და აქ ქრისტიანული სახელმწიფოები შეექმნათ. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა წარმატებით დასრულდა. ევროპელებმა აიღეს იერუსალიმი (1099 წ.) და ოთხი ჯვაროსნული სახელმწიფოც დააარსეს – იერუსალიმის სამეფო, ედესის საგრაფო. ანტიოქიის სამთავრო და ტრიპოლის საგრაფო. XII საუკუნის შუა წლებიდან მუსლიმანური სამთავროების შემოტევის შედეგად ჯვაროსნების პოზიციები სუსტდება. ისინი კარგავენ ედესს. ამის საპირისპიროდ მოწყობილი მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა სრული წარუმატებლობით დასრულდა. XI საუკუნის 80-იან წლებში ეგვიპტის სულთანმა სალადინმა „წმინდა ომი“ გამოაცხადა ქრისტიანების წინააღმდეგ. 1187 წელს მუსლიმანებმა აიღეს იერუსალიმი. მესამე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ შედეგი ვერ გამოიღო, იერუსალიმი მუსლიმანების ხელში დარჩა. თუმცა ევროპელებმა ინგლისის მეფის რიჩარდ ლომგულის მეთაურობით დაიკავეს კუნძული კვიპროსი და აიღეს აკრის ციხე-სიმაგრე. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიზანტიაზე. იგი განიცდიდა როგორც მუსლიმანთა შემოტე-

ვებს, ისე ძარცვა-რბევას ჯვაროსნების მხრიდან. ამან იგი საგრძნობლად დაასუსტა, რითაც ისარგებლეს ბულგარელებმა და სერბებმა და თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები აღადგინეს. ოდესღაც უზარმაზარი ბიზანტიის იმპერია საშუალოზე პატარა სახელმწიფოდ იქცა. ნამდვილი კატასტროფა იყო ბიზანტიისათვის მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა. ჯვაროსნებმა 1204 წელს აიღეს და დაარბიეს კონსტანტინოპოლი. ბიზანტიის ნანგრევებზე შეიქმნა ე.წ. „ლათინთა იმპერია" ცალკე ჩამოყალიბდნენ ნიმფეის და ტრაპიზონის იმპერიები. 1261 წელს ბიზანტიის იმპერია აღდგა, მაგრამ ის ძველი იმპერიის პატარა, საცოდავ აჩრდილსღა წარმოადგენდა.

XIII საუკუნის პოლიტიკური რუკის მთავარი მოვლენა მონღოლთა დაპყრობებია. მანამდე ნაკლებად ცნობილმა, ჩამორჩენილმა მომთაბარე ხალხმა არნახული ტერიტორიული დაპყრობები მოახდინა და ხორვატიიდან და ჩეხეთიდან ვიდრე იაპონიამდე და ინდონეზიამდე მცხოვრებ ხალხებს სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა.

მონღოლთა ცალკეული ტომების გაერთიანება მოახერხა ძლიერმა და ენერგიულმა პიროვნებამ – თემუჩინმა, რომელიც 1206 წელს ყველა მონღოლური ტომის უმაღლეს მბრძანებლად აირჩიეს და ჩინგის-ხანი უწოდეს. მონღოლთა სახელმწიფო შეიქმნა და პირველი დღიდანვე დაპყრობით ომებს შეუდგა. მოკლე ხანში მონღოლებმა დაიმორჩილეს ჩრდილოეთ ჩინეთი, კორეა, შუა აზია, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთი, ირანი, კავკასია, ყირიმი. ჩინგიზ-ხანის სიკვდილის შემდეგ დაპყრობების მასშტაბი კიდევ უფრო გაფართოვდა. XIII საუკუნის 30-40-იან წლებში მონღოლებმა დაიმორჩილეს რუსეთის სამთავროები და შეიჭრნენ პოლონეთსა და უნგრეთში. მონღოლებმა ვენას და ვენეციას მიაღწიეს, მაგრამ ძალების გამოლევის გამო შეტევა აღარ გააგრძელეს და უკან დაბრუნდნენ. 50-იან წლებში მონღოლებმა დაიმორჩილეს ირანი, 1258 წელს აიღეს ბაღდადი (ამ თარიღით მთავრდება ბაღდადის ხალიფატის ისტორია) და ეგვიპტეში შეიჭრნენ. პარალელურად მონღოლები იმორჩილებენ სამხრეთ ჩინეთს და გზავნიან ლაშქარს ინდოჩინეთისა და ტიბეტის დასამორჩილებლად. მოეწყო საზღვაო ლაშქრობები იაპონიისა და ინდონეზიის დასაპყრობად, მაგრამ ამ ექსპედიციებს წარმატება არ მოჰყოლიათ. XIII საუკუნის ბოლოს მონღოლთა იმპერია უზარმაზარ

ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული. მის ძირითად ნაწილს შეადგენდა საკუთრივ მონღოლეთი, მანჯურია და ჩრდილოეთ ჩინეთი. დანარჩენი ტერიტორია ჩინგიზ-ხანის მემკვიდრეების სამფლობელოებად იყო განაწილებული (ე.წ. ულუსები). მათ შორის სიდიდით გამოირჩეოდა ჩინგიზ-ხანის მეორე ვაჟის ჩაღატას ულუსი რომელიც მოიცავდა შუა აზიის დიდ ნაწილს (ამუ-დარიის აღმოსავლეთით), აღმოსავლეთ ყაზახეთს, დღევანდელ სინძიანს და ტიან-შანის რაიონს. კიდევ უფრო ფართო იყო ჩინგიზ-ხანის უფროსი ვაჟის ჯუჩის ულუსი რომელიც აერთიანებდა ვოლგისპირეთს, ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებს, ყირიმს, ხორეზმს, სირ-დარიისა და ირტიშის ქვემოწელს. ჯუჩის ულუსი ლიტერატურაში ხშირად ცნობილია ოქროს ურდოს სახელწოდებით. შუა აზიის ნაწილი (ამუ-დარიის დასავლეთით), ირანი, ერაყი და ამიერკავკასია შეადგენდა ჰულაგუს (ჩინგიზ-ხანის შვილიშვილი) ულუსს, რომელსაც ილხანთა სახელმწიფოს უწოდებდნენ.

XIV საუკუნის დასაწყისიდან მონღოლთა იმპერია რღვევას იწყებს და დაპყრობილ ხალხთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ დამოუკიდებელი ხდება. ზოგგან მონღოლები თვითონ გაითქვიფნენ დაპყრობილ მოსახლეობაში და მათი დაპყრობის კვალი მხოლოდ მმართველი დინასტიის წარმომავლობაშიღა ჩანდა. (მაგ. იუანის დინასტია ჩინეთში). საკუთრივ მონღოლეთი, რომელმაც სხვა ქვეყნების დაპყრობას თავისი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შეალია, მომთაბარე მეცხოველეობის უაღრესად ჩამორჩენილი, ცენტრალურ ხელისუფლებას მოკლებულ ქვეყნად დარჩა.

მონღოლური წარმოშობის იუანის დინასტიის დამხობის შემდეგ ჩინეთში გაბატონდა მინის დინასტია. მინის იმპერიამ დაპყრობითი ომები აწარმოა მეზობელი ქვეყნების მიმართ და ჩინეთის გავლენის ქვეშ მოაქცია ინდო-ჩინეთის ქვეყნები. დამოუკიდებლობა აღიდგინა კორეამაც, სადაც შეიქმნა ჩოსონის სახელმწიფო. იაპონია, რომელიც გადაურჩა მონღოლთა დაპყრობას, XIII-XV საუკუნეებში რეალურად არ წარმოადგენდა ცენტრალიზებულ, ერთიან სახელმწიფოს თუმცა ფორმალურად არსებობდა იმპერატორის ხელისუფლება.

რაც შეეხება ინდოეთს, აქ XII საუკუნეში ჩამოყალიბდა ვრცელი მუსლიმანური სახელმწიფო დელის სულთანატი, რომელიც ცალკეულ პერიოდებში სამხრეთ ინდოეთის ტერიტო-

რიასაც მოიცავდა. XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ დელის სულთანატმა შეწყვიტა არსებობა, როგორც დიდმა და ძლიერმა სახელმწიფომ. ჩრდილოეთ ინდოეთი მთელ რიგ სამთავროებად დაიშალა.

XIV საუკუნის მეორე ნახევარი და XV საუკუნის დასაწყისი აღინიშნა თემურ-ლენგის დაპყრობითი ომებით. თემურ-ლენგის სახელმწიფოს დედაქალაქი სამარყანდი იყო და თვითონ სახელმწიფო შუა აზიის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. თემურმა დაიმორჩილა ხორეზმი, გაანადგურა ოქროს ურდო, აიღო დელი, ილაშქრა ირანში, მცირე აზიაში, რვაჯერ შემოიჭრა საქართველოში და მიწასთან გაასწორა იგი. 1405 წელს თემური ჩინეთისაკენ დაიძრა, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. თემურ-ლენგის უზარმაზარი, მაგრამ ძალით შეკონწიებული იმპერია სწრაფადვე დაიშალა.

თემურ-ლენგის მიერ ოქროს ურდოს განადგურებამ კარგი პირობები შეუქმნა რუსეთს გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის. XV საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობს რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნა მოსკოვის სამთავროს ირგვლივ. XV საუკუნის ბოლოს თითქმის ყველა ყოფილი რუსული სამთავრო უკვე ერთიანი რუსეთის სახელმწიფოს ნაწილია. საქართველოზე კი თემურ-ლენგის ლაშქრობებმა დამღუპველი შედეგი გამოიღო. ქვეყანა უაღრესად დასუსტდა და დაკნინდა. გარეშე თურქულენოვანი ტომებისა და შიდა ომების შედეგად ქვეყანამ ერთიანობა ვერ შეინარჩუნა და მცირე სამეფო-სამთავროებად დაიშალა.

XIV საუკუნის დასაწყისიდან მცირე აზიაში ახალი ძლიერი ძალა ჩნდება. ჯერ კიდევ XIII საუკუნის 30-იან წლებში შუა აზიიდან რუმის სულთანატში თურქ-ოგუზთა მცირერიცხოვანი ტომი მოვიდა, რომელიც მდ. საკარიას პირას (ბიზანტიის მცირეაზიური სამფლობელობის მეზობლად) დასახლდა. XIV საუკუნის დასაწყისში რუმის სულთანატი დაიშალა ათ ემირატად. ერთ-ერთი ემირატი სწორედ ახლადდამკვიდრებული თურქ-ოგუზებს ეკუთვნოდათ, რომლებმაც თავიანთი ბელადის (ემირის) სახელის მიხედვით ოსმანის ემირატი უწოდეს თავიანთ პატარა სახელმწიფოს, ხოლო მის მოსახლეობას ოსმანლი. ასე შეიქმნა ოსმალეთის სახელმწიფო, რომელმაც შემდგომში დიდი როლი ითამაშა ისტორიაში.

ჯერ კიდევ ოსმანის მიერ დაპყრობილი იქნა ბიზანტიის მცირეაზიური სამფლობელოები და რუმის სულთანატის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ემირატების უმრავლესობა. ხოლო XIV საუკუნის შუა წლებიდან ოსმალები უკვე განუწყვეტელ თავდასხმებს აწყობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე. 60-70-იან წლებში ოსმალებმა დაიპყრეს თრაკია და დედაქალაქი ბურსიდან ადრიანოპოლში (ე.ი. ევროპის ტერიტორიაზე) გადაიტანეს. 1389 წელს თურქებმა კოსოვოს ველზე სასტიკად დაამარცხეს სერბები, და ინტენსიური თავდასხმები დაიწყეს ბულგარეთზე, ალბანეთზე, ვლახეთსა, და ტრანსილვანიაზე. აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების კოალიცია (პოლონეთი, უნგრეთი. სერბია ბულგარეთი და ვლახეთი) წინ ვერ აღუდგა თურქ-ოსმალთა გამანადგურებელ თავდასხმებს. ოსმალეთი ზედიზედ იპყრობდა ახალ ტერიტორიებს. მისი გამარჯვებათა სერია გარკვეული ხნით შეაჩერა ოსმალების მარცხმა თემურ-ლენგთან (1402 წ.). მაგრამ XV საუკუნის 20-იანი წლებიდან ოსმალთა ექსპანსია ახალი ძალით იწყება. თურქთა რკალი ბიზანტიის გარშემო თანდათან ვიწროვდება და XV საუკუნის შუა წლებში უკვე კონსტანტინეპოლს ეკვრის გარს.

1453 წლის მაისში თურქებმა აიღეს კონსტანტინეპოლი და თავიანთი იმპერიის დედაქალაქად გამოაცხადეს სტამბოლის (ისტანბულის) სახელწოდებით. ბიზანტიის იმპერია დაემხო. ამ მოვლენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის შემდგომ ისტორიაში და გარკვეული ისტორიული მიჯნის სახით წარმოგვიდგება. ევროპა იძულებული ხდება ახალი გზები ეძებოს აზიის ქვეყნებისაკენ. ეს კი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების წინაპირობა იყო.

1.4.3. გვიანი შუა საუკუნეები (XV საუკუნის ბოლოდან XVII საუკუნის შუა წლებამდე)

ეს შედარებით ხანმოკლე პერიოდი კაპიტალიზმის ჩამოყალიბების თავისებური წინა ისტორიაა. ტექნიკურმა პროგრესმა მოიცვა მრეწველობის ყველა დარგი, სტიმული მისცა ვაჭრობისა და ტრანსპორტის განვითარებას. ახლადჩამოყალიბებული ბურჟუაზიის კულტურამ გამოხატულება ჰპოვა რენესანსის იდეოლოგიაში და რეფორმაციულ მოძრაობაში. სწრაფად დაწინაურდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის ზრდასა და განლაგებაში. გაიზარდა ქალაქების რიცხვი და მათი მოსახლეობა. XVII საუკუნის დასაწყისისათვის ლონდონის მოსახლეობა 200 ათასზე მეტი იყო. ხოლო პარიზისა და ნეაპოლისა 300 ათასს აღწევდა.

ეს ცვლილებები ფაქტიურად მხოლოდ ევროპას შეეხო, კერძოდ ინგლისს, საფრანგეთს, ნიდერლანდებს, უფრო ნაკლებად იტალიას, ესპანეთს, გერმანიას. სხვა კონტინენტების ხალხები ან ფეოდალურ (აზიის ქვეყნების უმრავლესობა) ან მონათმფლობელურ და პირველყოფილი საზოგადოების დონეზე იყვნენ.

ევროპის დაწინაურება შემდეგმა ძირითადმა ფაქტორებმა განაპირობა: 1) ეკონომიკური (ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარება); 2) პოლიტიკური (მსხვილი ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოშობა); 3) სოციალური (შესაფერისი „კადრების" არსებობა); 4) ტექნიკური (კარაველის, კომპასის გამოგონება); 5) სამეცნიერო (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარება); 6) ისტორიულ-გეოგრაფიული (აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის თურქების მიერ დაპყრობა, რამაც ევროპა იძულებული გახადა საზღვაო გზები ეძებნა აღმოსავლეთისაკენ).

სწორედ დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა შეცვალა ძირეულად მსოფლიოს პოლიტიკური რუკა და სათავე დაუდო პირველი კოლონიური იმპერიების შექმნას. თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ ევროპის სახმელეთო კავშირი აზიის ქვეყნებთან შეწყვეტილი აღმოჩნდა. ევროპა იძულებული გახდა ახალი საზღვაო გზები ეძებნა ინდოეთისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ხმელთაშუა ზღვამ თავისი პირვანდელი სატრანსპორტო მნიშვნელობა დაკარგა და წინა პლანზე იმ ქვეყნებმა წამოიწიეს რომლებსაც განსაკუთრებით მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა ეკავათ ოკეანის მიმართ. ასეთი ქვეყნები პორტუგალია და ესპანეთი იყვნენ.

პორტუგალია უკვე XIV საუკუნიდან ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო დაახლოებით იმ საზღვრებში, რომელიც მას დღეს გააჩნია. ესპანეთი კი XV საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა, როცა დინასტიური ქორწინების შედეგად გაერთიანდნენ კასტილიისა და არაგონის სამეფოები. მუსლიმანების უკანას-

კნელი დასაყრდენი პირინეის ნახევარკუნძულზე – გრენადა (ყოფილი კორდოვის ემირატის ნაშთი) 1492 წელს დაეცა და ესპანეთის რეკონკისტაც დამთავრდა.

ესპანეთისა და პორტუგალიის ტახტების სამსახურში ჩადგნენ იტალიური სახელმწიფოების ბევრი მეცნიერი და მეზღვაური, რადგან სწორედ ესპანეთი და პორტუგალია გახდნენ მსოფლიოს უძლიერესი საზღვაო სახელმწიფოები.

ახალი საოკეანო გზების აღმოჩენის პიონერები პორტუგალიელები იყვნენ. XV საუკუნის პირველ ნახევარში მათ მიერ აღმოჩენილი იქნა კუნძული მადეირა, აზორის კუნძულები, მწვანე კონცხის კუნძულები, და აფრიკის დასავლეთი სანაპიროს შორეული სამხრეთი რაიონები. 1487 წელს ბართლომეო დიაშმა მიაღწია კეთილი იმედების კონცხს. ხოლო 1498 წელს ვასკო და გამას ხვდა პატივი ყოფილიყო ევროპიდან ინდოეთისაკენ საზღვაო გზის აღმომჩენი.

პორტუგალიელებისაგან განსხვავებით ესპანელებმა სცადეს ინდოეთის აღმოსავლეთ ნაპირებამდე მიეღწიათ ევროპიდან სულ დასავლეთის მიმართულებით ცურვით. ამ მიზნით შედგა ქრისტეფორე კოლუმბის ცნობილი ექსპედიცია, რომელმაც 1492 წლის 12 ოქტომბერს აღმოაჩინა მანამდე უცნობი ტერიტორია. ეს იყო კუნძული სან-სალვადორი ბაჰამის კუნძულების რიგიდან. ფაქტიურად აღმოჩენილი იქნა ახალი კონტინენტი – ამერიკა, თუმცა კოლუმბი დარწმუნებული იყო რომ ინდოეთს მიაღწია. კოლუმბის პირველი ექსპედიციის დროსვე იქნა აღმოჩენილი კუბა და ჰაიტი. შემდეგი ექსპედიციების დროს კოლუბმა მიაღწია უშუალოდ სამხრეთ ამერიკის კონტინენტს. 1497 წელს ინგლისელების ექსპედიციამ მათ სამსახურში მყოფი იტალიელის კაბოტის მეთაურობით მიაღწია ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს ლაბრადორის ნახევარკუნძულის მიდამოებში, მაგრამ ამ აღმოჩენას მაშინ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა.

ესპანელებისა და პორტუგალიელების აღმოჩენებმა სათავე დაუდო კოლონიალიზმის ეპოქას და მსოფლიოს პირველ „დაყოფას". 1494 წლის ტორდესილასის ხელშეკრულების შედეგად ესპანეთსა და პორტუგალიას შორის, რომელიც რომის პაპის ალექსანდრე VI-ის ინიციატივით დაიდო დადგენილი იქნა გამყოფი ხაზი, დასავლეთის გრძედის 46° მერიდიანი, რომლის დასავლეთით აღმოჩენილი ყველა ახალი ტერიტორია

ცხადდებოდა ესპანეთის საკუთრებად, ხოლო მისგან აღმოსავლეთით აღმოჩენილი ახალი მიწები პორტუგალიის სამფლობელოებად. ესპანეთი და პორტუგალია გახდნენ პირველი კოლონიური იმპერიები.

პორტუგალიამ მოახერხა XV საუკუნის ბოლოდან XVI საუკუნის 50-იან წლებამდე ხელში ჩაეგდო დიდი ტერიტორიები აზიასა და აფრიკაში. კერძოდ აფრიკაში – პორტუგალიის გვინეა (დღევანდელი გვინეა-ბისაუ), მწვანე კონცხის კუნძულები, სან-ტომესა და პრინსიპის კუნძულები (გვინეის ყურეში), ანგოლისა და მოზამბიკის ვრცელი სანაპიროები, კუნძული სოკოტრა, მეკობეთა ნაპირი(დღევანდელი ომანისა და არაბთა გაერთიანებული საემიროების ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი), ინდოეთის დასავლეთ სანაპიროზე პორტუგალიელებმა დააარსეს კოლონიები გოა, დიუ და დამანი (დღეს ეს სამი ტერიტორია ინდოეთის ცალკე შტატია), კუნძული ცეილონი (შრილანკა), აგრეთვე მთელი რიგი კოლონიები ინდონეზიის კუნძულებზე, რომელთა შორის თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოლუკის კუნძულები (სანელებლების წარმოების მთავარი რაიონი მსოფლიოში), პორტუგალიელების ხელში გადავიდა სამხრეთ ჩინეთის ქალაქი აომინი (მაკაო). ამ კოლონიების მნიშვნელოვანი ნაწილი კერძოდ აფრიკული კოლონიები პორტუგალიამ XX საუკუნის 70-იან წლებამდე შეინარჩუნა.

ტორდესილასის ხელშეკრულების დარღვევით პორტუგალიელებმა ფეხი მოიკიდეს 46-ე მერიდიანის დასავლეთითაც და სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე შექმნეს კოლონია ბრაზილია, რომელიც შემდგომში კონტინენტის შიდა ტერიტორიების ათვისების ხარჯზე უაღრესად გაიზარდა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის თითქმის ნახევარი შეადგინა.

პარალელურად მიმდინარეობდა ესპანეთის კოლონიური იმპერიის შექმნა და ზრდა. ესპანელების ხელში აღმოჩნდა მთელი სამხრეთ ამერიკა (ბრაზილიის გარდა), ცენტრალური ამერიკა და ვესტ-ინდოეთის კუნძულები და ჩრდილოეთ ამერიკის მნიშვნელოვანი ნაწილი (დღევანდელი მექსიკა და აშშ-ის სამხრეთი შტატები). ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ესპანელებმა ოთხი ვიცე-სამეფო შექმნეს: 1) ახალი ესპანეთი (დღევანდელი მექსიკა, ცენტრალური ამერიკა და აშშ-ის ტერიტორიის თითქმის 1/3; 2) ახალი გრენადა (დღევანდელი კოლუმ-

ბია, ვენესუელა, ეკვადორის ნაწილი); 3) პერუ (დღევანდელი პერუ, ბოლივია, ჩილესა და ეკვადორის ნაწოლი); 4) ლა-პლატა (არგენტინა, პარაგვაი, ურუგვაი).

ამასთანავე მაგელანის მოგზაურობის შემდეგ ტორდესილასის ხელშეკრულების დარღვევით ესპანეთის ხელში აღმოჩნდა ფილიპინები და მიკრონეზიის კუნძულები. ამგვარად ესპანეთი მსოფლიოს უდიდეს იმპერიად იქცა სადაც „მზე არასოდეს ჩადიოდა“.

თვით ევროპის პოლიტიკური რუკა XVI საუკუნის განმავლობაში საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ევროპის უძლიერესი სახელმწიფო ამ დროს ესპანეთია. 1516 წელს ესპანეთის მეფე გახდა კარლოს I (ჰაბსბურგთა დინასტია). 1519 წელს იგი ამავე დროს არჩეული იქნა საღვთო იმპერიის (გერმანიის) იმპერატორად. ამგვარად კარლოს I-ის (გერმანიაში კარლ V) სამეფო დასავლეთ ევროპის დიდ ნაწილს აერთიანებდა. 1555 წელს კარლოსმა გაანაწილა თავისი იმპერია. მის ვაჟს ფილიპე II-ს ესპანეთთან ერთად ერგო ნიდერლანდები, (ჰოლანდია და ბელგია), ლუქსემბურგი, ფრანშ-კოტე, მილანი და სამხრეთ იტალია სიცილიისა და სარდინიის ჩათვლით. 1581 წელს ფილიპე II-მ ხელში ჩაიგდო პორტუგალია მთელი თავისი კოლონიებით, რომელიც ესპანეთს ხელში 1660 წლამდე დარჩა.

საკმაოდ ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს წარმოადგენს აგრეთვე საფრანგეთი, რომელიც XVII საუკუნის პირველ ნახევარში აშკარად აღემატებოდა თავისი სიძლიერით მეზობელ ქვეყნებს. გერმანია ფორმალურად ერთიან საღვთო რომის იმპერიას წარმოადგენს, თუმცა ფაქტიურად დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროებისა და საჰერცოგოების კონგლომერატს შეადგენდა. მთელი სკანდინავიის ნახევარკუნძული გაერთიანებულია ერთ ე.წ. კალმარის უნიაში. (დანიის მეფის სიუზერენიტეტის ქვეშ). XVI საუკუნის 50-იან წლებში შვედეთი, რომლის შემადგენლობაში ფინეთიც შედიოდა გამოვიდა ამ უნიიდან და ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. დანია და ნორვეგია კი ნაპოლეონის ომებამდე ერთიან სახელმწიფოდ დარჩა.

იტალია ამ პერიოდში რამოდენიმე ცალკე სახელმწიფოსაგან შედგებოდა. მილანი და სამხრეთი იტალია (ნეაპოლი, სიცილია, სარდინია) ესპანეთის შემადგენლობაში შედიოდა.

ჩრდილოეთ ნაწილში დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენდნენ ვენეციის რესპუბლიკა, გენუა (კორსიკის ჩათვლით), ტოსკანის საჰერცოგო და უფრო პატარა სამთავროები – პარმა, მოდენა, ლუკა. ცენტრალურ იტალიაში მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენდა რომის პაპის სახელმწიფო.

აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო პოლონეთისა და ლიტვის გაერთიანებული სამეფო რეჩ-პოსპოლიტა იყო, რომელიც დღევანდელი ბელორუსიისა და უკრაინის დიდ ნაწილსაც მოიცავდა. ლიტვისა და ჩრდილოეთ პოლონეთში მცხოვრები ტომების – პრუსების წინააღმდეგ მოწვეულმა გერმანელმა რაინდებმა (ტევტონთა ორდენი) პრუსები კი გაანადგურეს, მაგრამ მათ ტერიტორიაზე დასახლდნენ. ცალკე სამთავრო შექმნეს, რომელსაც მომავალში არამარტო რეჩ-პოსპოლიტას შეუქმნა საფრთხე, არამედ ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდაც იქცა. (პრუსია)

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის პირველ ნახევარში ყალიბდება რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელიც სწრაფად იფართოებს საზღვრებს ჯერ სხვადასხვა რუსული სამთავროების შეერთების ხარჯზე, ხოლო შემდეგ იპყრობს ვოლგაზე მდებარე ყაზანისა და ასტრახანის სახანოებს. (XVI საუკუნის 50-იანი წლები). ამის შემდეგ რუსებს სულ ერთი საუკუნე დაჭირდათ, რომ დაემორჩილებინათ ურალი, ციმბირი და წყნარი ოკეანის ნაპირებამდე მიეღწიათ. XVII საუკუნის შუისთვის რუსეთი მსოფლიოს ყველაზე დიდ ქვეყანად იქცა.

XVI საუკუნეში მსოფლიოს ერთერთი უძლიერესი სახელმწიფოა ოსმალეთის იმპერია. 1560-იან წლებში ოსმალეთი სამ კონტინენტზეა გადაჭიმული. აზიაში გარდა საკუთრივ თურქეთისა ოსმალეთს ეკუთვნის ერაყი, სირია, ლიბანი, პალესტინა, იორდანია, ჰიჯაზი, იემენი, ომანი, მეკობრეთა ნაპირი, აფრიკაში ეგვიპტე, ლიბია, ტუნისი, ალჟირი; ევროპაში საბერძნეთი, ბულგარეთი, ბოსნია, სერბია, ხორვატიისა და უნგრეთის ნაწილი. ოსმალეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ვლახეთი, ტრანსილვანია, მოლდოვა. თურქების ძალაუფლება ვრცელდებოდა ყირიმზე და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე. ოსმალეთმა მეორე ძლიერ სახელმწიფოსთან ირანთან დაინაწილა ამიერკავკასია. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები და დასავლეთ სომხეთი

ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთი), აღმოსავლეთ სომხეთი და აზერბაიჯანი ირანის.

აზიის პოლიტიკურ რუკაზე მომხდარი ცვლილებებიდან აღსანიშნავია შუა აზიელი ფეოდალის ბაბურის მიერ 1525 წელს დელის აღება. რადგან ბაბური თავს ჩინგის ხანისა და თემურლენგის შთამომავლად თვლიდა მის მიერ შექმნილ სახელმწიფოს დიდ მოგოლთა იმპერია ეწოდა, რომელმაც XVI-XVII საუკუნეებში თითქმის მთელი ინდოსტანის ნახევარკუნძული (უკიდურესი სამხრეთის გამოკლებით) მოიცვა.

ჩინეთის მინის იმპერია წინ ვერ აღუდგა XVII საუკუნის შუა ხანებში შემოჭრილ მანჯურულ დამპყრობებს და დაემხო. მანჯურიულმა დინასტიამ – ცინის იმპერიამ XX საუკუნის დასაწყისამდე იარსება.

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ახალი მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ევროპაში. ნიდერლანდებში, რომელიც ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და მის ყველაზე განვითარებულ და მდიდარ ნაწილს შეადგენდა დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც სათავეში ახლად ჩამოყალიბებული ბურჟუაზია ედგა. ფაქტიურად ეს იყო პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია მსოფლიოში. 1579 წელს ნიდერლანდების ჩრდილოეთმა პროვინციებმა ჩამოაყალიბეს კავშირი, რომელიც საფუძვლად დაედო ჰოლანდიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს – პირველ კაპიტალისტურ სახელმწიფოს მსოფლიოში. სამხრეთი ნიდერლანდები ანუ ფლანდრია (დღევანდელი ბელგია) ესპანეთის შემადგენლობაში დარჩა.

XVII საუკუნის I ნახევარი ჰოლანდიის აყვავებისა და ძლიერების ეპოქაა. იგი არა მარტო განვითარებული ეკონომიკისა და კულტურის ქვეყნად იქცა, არამედ მოკლე ხანში მსოფლიოს უძლიერეს საზღვაო სახელმწიფოდ მოგვევლინა, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაში. ისარგებლეს რა ესპანეთის დასუსტებით, რომელიც ამ დროს პორტუგალიის კოლონიებსაც ფლობდა, ჰოლანდიამ ხელში ჩაიგდო პორტუგალიის აზიური კოლონიების ნაწილი – ინდონეზიის კუნძულები (ტიმორის აღმოსავლეთ ნაწილის გარდა), ცეილონი ანუ შრი-ლანკა, აგრეთვე დაიკავა კუნძული ფორმოზა (ტაივანი) და ერთადერთ უცხო ქვეყანას

წარმოადგენდა, რომლის გემებსაც უფლება ჰქონდათ იაპონიის ნავსადგურებში შესულიყვნენ (იაპონია ამ დროს თვითიზოლაციის პოლიტიკას ატარებდა).

ჰოლანდიელმა ზღვაოსანმა აბელ ტასმანმა XVII საუკუნის 40-იან წლებში აღმოაჩინა ავსტრალიის კონტინენტი, რომელსაც ახალი ჰოლანდია ეწოდა. მანვე აღმოაჩინა ახალი ზელანდია. მაგრამ ამ ტერიტორიების ათვისება ჰოლანდიელებმა მაშინ ვერ შეძლეს, სამაგიეროდ ინტენსიურად მიმდინარეობდა სამხრეთ აფრიკის ჰოლანდიური კოლონიის – კაპის ათვისება ჰოლანდიიდან გადასახლებული გლეხების (ბურების) მიერ. ჰოლანდიამ საკუთარი კოლონიები შექმნა დასავლეთ ნახევარსფეროში. სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე შექმნეს ჰოლანდიის გვიანა (დღევანდელი სურინამი), მათ ხელში გადავიდა ვესტ-ინდოეთის რამოდენიმე კუნძული და მცირე ხნით ბრაზილიის მნიშვნელოვან ნაწილსაც კი დაეუფლნენ. ჩრდილოეთ ამერიკაში ჰოლანდიელების კოლონია იყო ახალი ნიდერლანდები, რომლის მთავარ ქალაქსაც ახალი ამსტერდამი უწოდეს. (დღევანდელი ნიუ-იორკის შტატი და ქალაქი ნიუ-იორკი).

XVII საუკუნის I ნახევარში პირველი კოლონიები შექმნეს ინგლისმა და საფრანგეთმა. ფრანგებმა ძირითადად ფეხი მოიკიდეს მდ. წმინდა ლავრენტის გასწვრივ კანადის აღმოსავლეთ რაიონებში, საიდანაც დიდი ტბების გავლით, მისისიპის ხეობებით მექსიკის უბის სანაპირომდე მიაღწიეს. მაგრამ მცირერიცხოვნებისა და კოლონიალიზმის ხასიათის გამო (ძირითადი მიზანი ბეწვეულის შესყიდვა იყო) რამდენადმე მნიშვნელოვანი კოლონია მათ არ შეუქმნიათ (კვებეკის გარდა). უფრო სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ინგლისელებმა. ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური კოლონიები (პირველი იყო 1607 წელს დაარსებული ვირჯინია) სამეურნეო კოლონიები იყო და არა სავაჭრო ფაქტორიები. ამის გარდა ინგლისელებმა და ფრანგებმა შექმნეს კოლონიები სამხრეთ ამერიკაში საფრანგეთის გვიანა და ბრიტანეთის გვიანა (დღევანდელი გაიანა) და მთელი რიგი კუნძულოვანი ტერიტორიები წაართვეს ესპანელებს. კერძოდ ინგლისელების ხელში გადავიდა იამაიკა, ტრინიდადი, ბარბადოსი, გრენადა და სხვა კუნძულები ანტილის კუნძულთა ჯგუფიდან, აგრეთვე ტერიტორია ცენტრალურ ამერიკაში (დღევანდელი ბელიზი). საფრანგე-

თის ხელში კი გადავიდა კუნძულები მარტინიკა და გვადელუპა და ჰაიტის დასავლეთი ნაწილი. თუმცა რასაკვირველია ეს კოლონიები ძალზე უმნიშვნელო იყო ესპანეთის, პორტუგალიისა და ჰოლანდიის კოლონიებთან შედარებით.

XVII საუკუნის I ნახევრის ევროპის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 30 წლიანი ომი (1618-1648), რომელიც ჰაბსბურგების (ესპანეთი, ავსტრია, სამხრეთი გერმანია) და ანტიჰაბსბურგულ კოალიციას (ჩრდილოეთ გერმანიის სამეფო-სამთავროები, შვედეთი, დანია, აგრეთვე საფრანგეთი). ფორმალურად კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის ბრძოლის ფორმით მიმდინარეობდა. ანტიჰაბსბურგული კოალიციის გამარჯვებამ და ვესტფალიის ზავმა დააკანონა გერმანიის დაქუცმაცებულობა (300-მდე სახელმწიფო, თუმცა საღვთო იმპერია ფორმალურად შენარჩუნებული იქნა, მაგრამ სრულ ფიქციად იქცა). მნიშვნელოვნად განმტკიცდა საფრანგეთის, დანიისა და შვედეთის პოზიციები. კერძოდ ამ უკანასკნელის ხელში გადავიდა მთელი რიგი ტერიტორიები ბალტიის ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე.

1.4.4. ახალ პერიოდზე გარდამავალი ეპოქა (XVII საუკუნის შუა ხანებიდან XVIII საუკუნის ბოლომდე)

ამ პერიოდს მკვლევართა უმრავლესობა შუა საუკუნეებს არ მიაკუთვნებს და უკვე ახალ ისტორიად მიიჩნევს, რადგან მათი აზრით ინგლისის რევოლუციით მთავრდება ფეოდალიზმის ეპოქა (და შესაბამისად შუა საუკუნეები) და იწყება ახალი ერა – კაპიტალიზმის ეპოქა. მართლაც XVII საუკუნის II ნახევრისა და XVIII საუკუნის განმავლობაში ევროპის ბევრ ქვეყანაში ბურჟუაზია უკვე წამყვანი ძალაა და პროგრესის ძირითად გამტარებლად გვევლინება. მაგრამ პოლიტიკურად მხოლოდ ჰოლანდიასა და ინგლისში შეადგენენ გაბატონებულ კლასს. ევროპის დანარჩენ ქვეყნებში (რომ აღარაფერი ვთქვათ აზიაზე) ჯერ კიდევ ფეოდალიზმის სრული პოლიტიკური ბატონობაა. მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, რომელმაც პირველმა გამოაცხადა საყოველთაო დემოკრატიული იდეები, დაუდო სათავე ბურჟუაზიის გამარჯვებას ჯერ ევროპაში, ხოლო შემდეგ სხვა კონტინენტებზეც. ამიტომ ალბათ უფრო მართებული იქნება ახალი პერიოდის ათვლა XVIII საუკუნის ბოლოდან

დავიწყოთ და XVII საუკუნის მეორე ნახევარი და თითქმის მთელი XVIII საუკუნე შუა საუკუნეებს მივაკუთვნოთ, მით უფრო, რომ ევროპის გარდა, მთელს დანარჩენ მსოფლიოში ეს პერიოდი ნამდვილად ვერ ჩაითვლება ახალ ისტორიულ ეპოქად.

ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციას მარტო ის მნიშვნელობა კი არ ჰქონდა, რომ ევროპის ერთერთ უმთავრეს ქვეყანაში შეცვალა სოციალური სტრუქტურა, არამედ ისიც, რომ ინგლისი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა როგორც ძლიერი კოლონიალისტური სახელმწიფო და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკის ფორმირებაში.

XVII საუკუნის დასაწყისიდან ინგლისი და შოტლანდია ერთიან უნიაში იმყოფებოდნენ ერთი მეფის (შოტლანდიური წარმოშობის სტიუარტების დინასტია) ხელმძღვანელობით. 1642-1649 წლების რევოლუციის შემდეგ ინგლისი რესპუბლიკად გამოაცხადა. მაგრამ 1660 წელს მონარქია კვლავ აღდგა თუმცა მეფის შეზღუდული უფლებებით. 1688 წლიდან ინგლისში კონსტიტუციური მონარქიაა, სადაც მთელი ძალაუფლება პარლამენტს ეკუთვნის, მეფე კი სიმბოლურ ფიგურად რჩება. სწორედ რევოლუციის დროს მოხდა შოტლანდიის საბოლოო შეერთება ინგლისთან, ხოლო ირლანდიის დაპყრობისა და შეერთების შემდეგ (XVII საუკუნის 50-იან წლებში) სათავე დაედო ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის ერთიან სახელმწიფოს, რომელსაც XVIII საუკუნის დასაწყისიდან დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის შეერთებული სამეფო ეწოდა.

ინგლისის ახალგაზრდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ერთერთი პირველი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯი ჰოლანდიასთან დაპირისპირება იყო, რამაც ინგლის-ჰოლანდიის სამი ომი გამოიწვია (1652-54, 1665-67 და 1672-74 წლებში). ჰოლანდია დამარცხდა და პირველხარისხოვანი სახელმწიფოს მნიშვნელობა დაჰკარგა. ჰოლანდიის კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისის ხელში ადავიდა. მოგვიანებით (XVIII საუკუნის მეორე ნახევარში) ინგლისელებმა ჰოლანდიელებს წაართვეს კუნძული ცეილონიც (შრი-ლანკა). ჰოლანდიის დამარცხება ინგლისთან და მისი დაქვეითება ფაქტიურად ნიშნავდა სავაჭრო კაპიტალის დამორჩილებას სამრეწველო კაპიტალზე,

რადგან ჰოლანდიამ როგორც სავაჭრო კაპიტალის ქვეყანამ, ვერ გაუძლო ინგლისის, როგორც სამრეწველო კაპიტალის ქვეყნის დაწოლას, თუმცა რა თქმა უნდა ეს ინგლისის გამარჯვებისა და ჰოლანდიის დამარცხების ერთადერთი მიზეზი არ ყოფილა.

ჰოლანდიის დამარცხების შემდეგ ინგლისს ფაქტიურად ერთადერთი მეტოქე დარჩა. ეს იყო მაშინდელი ევროპის ყველაზე ძლიერი, დიდი და ხალხმრავალი ქვეყანა – საფრანგეთი, ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირება XVII საუკუნის ბოლოს დაიწყო და თითქმის ორი საუკუნე გაგრძელდა. ძირითადი მიზეზი ამ დაპირისპირებისა კოლონიებისათვის ბრძოლა იყო.

XVII საუკუნის II ნახევარში ინგლისელებმა და ფრანგებმა მკვიდრად მოიკიდეს ფეხი ჩრდილოეთ ამერიკაში. მართალია ამ დროისათვის ფრანგების გავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიების ფართობი აღმატებოდა ინგლისის კოლონიების ფართობს, მაგრამ როგორც უკვე ითქვა ფრანგულ კოლონიებში ძალიან ცოტა იყო მოსახლეობის რაოდენობა, რაც გამოწვეული იყო კოლონიებში იმავე წესების გავრცელებით, რაც საფრანგეთში იყო. კერძოდ ფრანგულ კოლონიებში მიწა მხოლოდ თავადაზნაურობის წარმომადგენელს შეიძლებოდა ჰქონოდა. ინგლისურ კოლონიებში კი ასეთი შეზღუდვა არ არსებობდა. ამიტომ შედარებით ხალხმრავალი და ძლიერი ინგლისური კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში ნელ-ნელა ავიწროებდნენ შედარებით სუსტ და ხალხმცირე ფრანგულ კოლონიებს. XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის იმ უზარმაზარ ტერიტორიაზე ჩრდილოეთ ამერიკაში, რომელიც საფრანგეთის კოლონიებად ითვლებოდა (კანადის საგრძნობი ნაწილი, ლუიზიანა, რომელიც დღევანდელი აშშ-ის დაახლოებით 1/3-ს მოიცავს და კანადიდან მექსიკის უბის სანაპირომდე ვრცელდებოდა) სულ 70 ათასი საფრანგეთიდან გადასახლებული ცხოვრობდა, მაშინ როცა გაცილებით მცირე ფართობის მქონე ინგლისურ კოლონიებში მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 2 მილიონს აღწევდა.

გარდა ჩრდილოეთ ამერიკისა და კარიბის ზღვის კუნძულებისა ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირებამ განსაკუთრებული სიმწვავე ინდოეთში მიიღო. XVII საუკუნის ბოლოსათვის როცა დიდ მოღოლთა იმპერია საგრძნობლად დასუსტდა, ხო-

ლო ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის როლი მკვეთრად დაეცა, ინგლისურმა ოსტ-ინდოეთის კომპანიამ ხელში ჩაიგდო ინდოეთს რამოდენიმე ზღვისპირა ქალაქი, კერძოდ ბომბეი, მადრასი და კალკუტა. სწორედ აქედან იწყება ინგლისელების მიზანსწრაფული ბრძოლა ინდოეთის ხელში ჩასაგდებად.

1674 წელს ფრანგული ოსტ-ინდოეთის კომპანია ინდოსტანის აღმოსავლეთ სანაპიროზე აარსებს თავის კოლონიას პონდიშერს. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ფრანგებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს და თავიანთ გავლენას დაუმორჩილეს ინდოსტანის ნახევარკუნძულის მნიშვნელოვანი ნაწილი. თითქოს არაფერი უშლიდა ხელს მთელი ინდოეთის დამორჩილებას საფრანგეთის მიერ, მაგრამ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ეს ევროპაში მიმდინარე პროცესებთან იყო დაკავშირებული.

ინგლისის-საფრანგეთის დაპირისპირების ერთერთ მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ბრძოლა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის (1701-1714). ომის საბაბი დინასტიური ინტერესები იყო. ესპანელი ჰაბსბურგების დინასტია შეწყდა და ტახტი უმემკვიდროდ დარჩა. საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV-ს რომელსაც ცოლად ესპანეთის უკანასკნელი მეფის და ჰყავდა სურდა თავისი შვილიშვილი გაემეფებინა, რაც საშუალებას მისცემდა მომავალში საფრანგეთს შეერთებინა ესპანეთი მთელი თავისი კოლონიებით. ცხადია ევროპისათვის ეს უზარმაზარი საფრთხე იქნებოდა. ესპანეთის ტახტის მეორე პრეტენდენტი ავსტრიელი ჰაბსბურგების შტოდან იქნა წამოყენებული. ინგლისმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ავსტრიელ პრეტენდენტს. ამგვარად დაიწყო ხანგრძლივი ომი, სადაც საფრანგეთს წინააღმდეგ გამოვიდნენ ინგლისი, ჰოლანდია, ავსტრია და პორტუგალია. 1714 წლის უტრეხტის ზავით ესპანეთის ტახტზე ლუდოვიკო XIV შვილიშვილი (ბურბონთა დინასტია) ავიდა, მაგრამ იმ პირობით, რომ არ დაიშვებოდა საფრანგეთისა და ესპანეთის ტახტების გაერთიანება. ავსტრიამ მიიღო ესპანეთის ნიდერლანდები (ბელგია) და ესპანეთის სამფლობელოები იტალიაში, მათ შორის მილანი. ამით ავსტრია ევროპის ერთერთ ძლიერ, პირველხარისხოვან სახელმწიფოდ იქცა, რომელიც უნგრეთს, ჩეხოსლოვაკიას, ხორვატიასა და სლოვენიასაც აერთიანებდა. ინგლისის ხელში გადა-

ვიდა გიბრალტარი – უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ხმელთაშუაზღვის შესასვლელში და კანადის ნაწილი – ახალი შოტლანდია. ინგლისზე აღმოჩნდა ფაქტიურად დამოკიდებული პორტუგალიის და მისი კოლონიების ვაჭრობა. ამგვარად ამ ომში გამარჯვებული ინგლისი გამოვიდა, მაშინ როცა საფრანგეთის მიერ მოპოვებული შედეგები ერთობ საეჭვო აღმოჩნდა.

ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომის პარალელურად აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარეობდა ჩრდილოეთის ომი (1700-1721 წ.), რომელშიც რუსეთი შვედეთს ეომებოდა. რუსეთის გამარჯვებამ ამ ომში მას ფართო გასასვლელი მოუპოვა ბალტიის ზღვაზე და მის ხელში გადავიდა ესტონეთი და ლატვია. ცოტა ადრე (1654 წ.) რუსეთმა შეიერთა უკრაინა. რუსეთი ევროპის უძლიერესი იმპერია გახდა.

დასავლეთ ევროპაში კი ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირებამ თავისი გამოვლინება ჰპოვა ე.წ. „შვიდწლიან ომში“ (1756-63), რამაც დაუსვა კიდეც წერტილი ამ ორი ქვეყნის მეტოქეობას ჩრდილოეთ ამერიკასა და ინდოეთში.

შვიდწლიანი ომიც ევროპული მასშტაბის ომი იყო. ახალი ძლიერი და სწრაფადმზარდი სახელმწიფოს პრუსიის აგრესიულმა პოლიტიკამ მის წინააღმდეგ შექმნა კოალიცია, რომელშიც რუსეთი და საფრანგეთიც შედიოდნენ. ინგლისი პრუსიას უჭერდა მხარს. პრუსია თითქმის უკვე დამარცხებული იყო, როცა რუსეთი ომიდან გამოვიდა და ამან სიტუაცია პრუსიის სასარგებლოდ შეცვალა. ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა ძირითადად კოლონიებში მიმდინარეობდა, განსაკუთრებით კანადაში. საფრანგეთი ამ ომში დამარცხდა. 1763 წლის პარიზის ზავით ინგლისმა მიიღო ფრანგული კანადა და აღმოსავლეთ. ლუიზიანა. დასავლეთ ლუიზიანა ესპანეთს გადაეცა (მოგვიანებით ნაპოლეონმა დაიბრუნა დასავლეთ ლუიზიანა, მაგრამ შემდეგ აშშ-ს მიჰყიდა). ამავე ზავით საფრანგეთი გამოდევნილი იქნა ინდოეთიდან, სადაც მას მხოლოდ ხუთი ცალკეული პუნქტი დარჩა, მათ შორის პონდიშერი. საფრანგეთმა შეინარჩუნა აგრეთვე რამოდენიმე კუნძული ინდოეთის ოკეანეში, კერძოდ რეუნიონი. მავრიკიზე, სეიშელის და მალდივის კუნძულებზე ინგლისელები დამკვიდრდნენ. საფრანგეთს დარჩა ორი პატარა კუნძული კანადის ნაპირებთან სენ-პიერი და მიქელონი. ჩრდილოეთ ამერიკის ფრანგული კოლონიზაციის

რეალურ ძეგლად ამჟამად შემორჩენილია „ფრანგული კანადა" – კვებეკი, რომელიც დღემდე ფრანგულენოვანია და საკმაოდ ძლიერია სეპარატისტული ტენდენციები. ერთადერთი ტერიტორიული შენამატი რომელიც ამ პერიოდში საფრანგეთმა მიიღო იყო კუნძული კორსიკა, რომელიც მან 1769 წელს გენუისაგან იყიდა.

საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ინგლისი მეთოდურად აფართოებს თავის სამფლობელოებს ინდოეთში. 1757 წელს მან დაიმორჩილა ბენგალია და დამკვიდრდა განგის დაბლობზე.

ამგვარად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისი პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც ევროპის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა. სწორედ ამ პერიოდში და ამ ქვეყანაში მოხდა სამრეწველო რევოლუცია, რამაც საფუძველი დაუდო საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობას და რეალური კაპიტალიზმის განვითარებას. სართავი და საქსოვი დაზგების, ორთქლის მანქანის გამოგონებამ არნახულად გაზარდა წარმოება და ნამდვილი რევოლუცია მოახდინა არა მარტო მრეწველობის, არამედ ტრანსპორტის განვითარებაში. ბუნებრივია, რომ ინგლისს როგორც ყველა ამ გამოგონების სამშობლოს ბადალი არ ჰყავდა წარმოების ზრდის ტემპების თვალსაზრისით. ამას ემატებოდა მისი ვრცელი კოლონიური სამფლობელოები, რომლებიც ნედლეულის იაფი წყარო იყო. პოლიტიკურადაც ინგლისს რეალური მეტოქე თითქმის აღარ ჰყავდა. მაგრამ სწორედ ამ დროს განიცადა მან ძლიერი დარტყმა – დაკარგა თავისი ჩრდილოამერიკული კოლონიების ძირითადი ნაწილი.

1776 წლის 4 ივლისს ინგლისის 13 ჩრდილოამერიკულმა კოლონიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ახალი ფედერალური სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა. ინგლისის ბრძოლა თავის ყოფილ კოლონიებთან უშედეგო აღმოჩნდა. ახლად ჩამოყალიბებულმა სახელმწიფომ სასტიკად დაამარცხა ინგლისი და შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. (აშშ-ს საგრძნობ დახმარებას საფრანგეთი უწევდა). 1787 წელს აშშ-მ მიიღო კონსტიტუცია, რომელიც დღემდე მოქმედებს, ხოლო 1788 წელს პირველი პრეზიდენტიც აირჩიეს. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ახალი, ძლიერი სახელმწიფო გამოჩნდა.

XVIII საუკუნის ბოლოს მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიის ექსპანსია სამხრეთის მიმართულებით. ოსმალეთთან ომების შემდეგ რუსეთი დაეუფლა აზოვისა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებს. 1783 წელს რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ყირიმის სახანო. იმავე წელს გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთის პროტექტორატი გახდა ქართლ-კახეთის სამეფო. ამით რუსეთმა მოახერხა ფეხი მოეკიდებინა კავკასიონის სამხრეთით. პარალელურად მიმდინარეობდა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის კოლონიზაცია, აგრეთვე ალიასკის ათვისება.

1.5. ახალი პერიოდი

ახალ პერიოდად მიჩნეულია ეპოქა, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთის დიდი რევოლუციით იწყება და 1918 წლამდე, I მსოფლიო ომის დამთავრებამდე გრძელდება. თავის მხრივ ეს ეპოქა ორ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს: 1) 1789-1871 წლები ანუ თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმის ეპოქა და 2) 1871-1918 წლები – იმპერიალიზმის ეპოქა. პირველი ქვეპერიოდისათვის დამახასიათებელია სამრეწველო რევოლუციის გავლენით საქარხნო-საფაბრიკო წარმოებაზე გადასვლა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში და ნედლეულის წყაროების ძიების მიზნით ახალი ტერიტორიების დაპყრობა-ათვისება. მეორე ქვეპერიოდში კი საბოლოოდ იკვეთება მსოფლიო მეურნეობის ერთიანი სისტემა, იქმნება ტრანსნაციონალური მონოპოლიები, ფაქტიურად დასრულდა მსოფლიოს კოლონიზაცია დ ძლიერდება დაპირისპირება მთავარ სახელმწიფოებს შორის.

1.5.1. 1789-1871 წლები

კაცობრიობის ისტორიის ახალ პერიოდს სათავე საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ დაუდო. (1789-1794 წ.). ამ რევოლუციის საყოველთაო დემოკრატიული და პროგრესული იდეები მთელს ევროპას მოედო, საბოლოოდ დაასამარა ფეოდალიზმი ოგორც საზოგადოებრივი ფორმაცია და გზა გაუხსნა ევროპის კაპიტალისტურ განვითარებას.

საფრანგეთის ფეოდალური მონარქიის დამხობას და ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნას მთელი ევროპა (სადაც შვეიცარიის გარდა ყველგან მონარქული რეჟიმი იყო) მტრულად შეხვდა. რესპუბლიკურ საფრანგეთს, შემდეგ კი ნაპოლეონის იმპერიას ბრძოლა მოუწია ევროპის უძლიერესი ქვეყნების – ინგლისის, რუსეთის, ავსტრიის და პრუსიის კოალიციასთან. ამ ომების შედეგად ევროპის პოლიტიკური რუკა არაერთხელ შეიცვალა. ნაპოლეონის ძლევამოსილი ომების შედეგად თითქმის მთელი კონტინენტური ევროპა რუსეთის, ინგლისის, პორტუგალიისა და სკანდინავიის ქვეყნების გარდა საფრანგეთის ვასალი ან მოკავშირე გახდა, ხოლო ზოგიერთი ქვეყანა

(ჰოლანდია, ბელგია, რაინის მარცხენაპირეთი გერმანია, იტალიის ნაწილი) უშუალოდ შევიდა საფრანგეთის ფარგლებში.

საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების პარალელურად (1789-1814 წწ.) საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. 1795 წელს ე.წ. პოლონეთის მესამე დაყოფის შემდეგ ამ სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. იგი განაწილებული იქნა რუსეთის, პრუსიასა და ავსტრიას შორის. გარდა ამისა ნაპოლეონმა მიაღწია იმას რომ შექმნილიყო ცალკე პოლიტიკური ერთეული – ვარშავის საჰერცოგო, რომელიც ნაპოლეონის მფარველობის ქვეშ იყო.

1801 წელს რუსეთმა გააუქმა ქართ-კახეთის სამეფო და მოახდინა მისი ანექსია. ხოლო მომდევნო წლებში სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებზეც (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) გაავრცელა თავისი პროტექტორატი. 1805-1813 წლების რუსეთ-ირანის ომის შედეგად რუსეთის შემადგენლობაში შევიდა აზერბაიჯანული სახანოები (ბაქო, თალიში, ყარაბახი, ყუბა, შემახა, განჯა, შექი) და ფორმალურად დაღესტანიც. 1806-1812 რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად კი რუსეთის ხელში გადავიდა ბესარაბია (დღევანდელი მოლდოვას რესპუბლიკა) და მისი მიმდებარე შავი ზღვის სანაპირო (ოდესა). ამ ომის ერთერთი შედეგი ისიც იყო, რომ ოსმალეთის იმპერიაში ავტონომია მიიღეს სერბიამ, ვლახეთმა და მოლდოვამ. (ეს ორი უკანასკნელი თანამედროვე რუმინეთის ნაწილია). 1809 წელს შვედეთის შემადგენლობიდან რუსეთის ხელში გადავიდა ფინეთი.

ნაპოლეონის დამარცხებისა და კოალიციის გამარჯვების შედეგად ევროპის ახალი პოლიტიკური რუკა იქნა ფორმირებული, რომელიც საბოლოოდ ვენის კონგრესის მიერ იქნა დამტკიცებული (1814-1815 წწ.).

საფრანგეთის ტერიტორია 1792 წლის საზღვრებში იქნა აღდგენილი. დამარცხებული ქვეყნისათვის ასეთი შედეგი წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რაც ვენის კონგრესზე საფრანგეთის წარმომადგენლის ტალეირანის დიპლომატიურმა ნიჭმა განაპირობა.

რუსეთის ტერიტორია მნიშვნელოვნად გაიზარდა. ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით რუსეთმა მიიღო პოლონეთის დიდი ნაწილი, მათ შორის ვარშავის საჰერცოგოც. რუსეთს

დაუკანონდა აგრეთვე უფრო ადრე შეერთებული ფინეთი და ბესარაბია.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა პრუსია. მას არა მარტო დასავლეთ პოლონური მიწები დაუკანონდა, არამედ მიიღო ფართო ტერიტორიები რაინის აუზში (რაინ-ვესტფალია და ჩრდილოეთ საქსონია) და ამით ევროპის ერთერთ უძლიერეს ქვეყნად იქცა.

ავსტრიის ისედაც ვრცელ იმპერიას მიემატა ყოფილი ვენეციის რესპუბლიკის ტერიტორია. იურიდიულად დადასტურდა საღვთო იმპერიის დაშლა და 300-ზე მეტი გერმანული სამთავროს ნაცვლად წარმოიქმნა 38 გერმანული სახელმწიფო. ამ სამეფო-სამთავროებმა (მათ შორის იყვნენ პრუსია და ავსტრიაც) შექმნეს გერმანული კავშირი, ამ კავშირში არ შესულა ავსტრიის ის ნაწილი, სადაც არაავსტრიელები ცხოვრობდნენ (უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ხორვატია, სლოვენია, ვენეცია, მილანი) და პრუსიის მიერ შეერთებული პოლონური მიწები.

გერმანიის მსგავსად დანაწილებული დარჩა იტალიაც. ჩრდილოეთ იტალიის დიდი ნაწილი ლომბარდია (მილანით) და ვენეცია ავსტრიის შემადგენლობაში დარჩა. იტალიის დამოუკიდებელი სახელმწიფოებიდან აღსანიშნავია სარდინია, რომელიც აერთიანებდა კუნძულ სარდინიას და პიემონტს (ტურინი ამ სახელმწიფოს დედაქალაქი იყო); ნეაპოლისა და სიცილიის გაერთიანებით შეიქმნა ორივე სიცილიის სამეფო, ცალკე სახელმწიფო იყო პაპის ოლქი, აგრეთვე ტოსკანა, პარმა და მოდენა.

ბელგია ანუ ავსტრიის ნიდერლანდები, რომელიც ნაპოლეონმა საფრანგეთს შეუერთა ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით ჰოლანდიას გადაეცა. მაგრამ 1830 წლის რევოლუციის შედეგად იგი ჰოლანდიას გამოეყო და ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – ბელგიის სამეფოდ გამოცხადდა.

ვენის კონგრესმა დაადგინა შვეიცარიის კონფედერაციის საზღვრები (ფაქტიურად დღემდე არ შეცვლილა) და აღიარა ამ ქვეყნის მუდმივი ნეიტრალიტეტი. ასევე კონგრესმა სცნო ნორვეგიის გამოსვლა დანიის შემადგენლობიდან, მაგრამ აღიარებული იქნა მისი უნია შვედეთთან, თუმცა საკუთარი მეფისა და კონსტიტუციის უფლებით. ნორვეგია შვედეთთან უნიაში 1906 წლამდე დარჩა.

რაც შეეხება ინგლისს მისი ტერიტორიული მონაპოვარი ევროპაში უმნიშვნელო იყო, კუნძული მალტა და კუნძული ჰელჰოლანდი ჩრდილოეთის ზღვაში (მანამდე დანიას ეკუთვნოდა). მაგრამ ინგლისმა მთავარ საწადელს მიაღწია, გზიდან ჩამოიშორა ყველაზე ძლიერი მეტოქე – საფრანგეთი და აქტიურად მოქმედების პირობები შეიქმნა კოლონიების გაფართოების თვალსაზრისით. კერძოდ ნაპოლეონის ომების პერიოდში ინგლისმა ხელში ჩაიგდო სამხრეთ აფრიკის მდიდარი კოლონია კაპი. კაპის ჰოლანდიელი კოლონიზატორები – ბურები იძულებულნი გახდნენ ჩრდილოეთით გადაენაცვლათ, სადაც მოგვიანებით ორანჟისა და ტრანსვაალის სახელმწიფოები შექმნეს. ამავე პერიოდში დაიკანონა ინგლისმა მავრიკი და სეიშელის კუნძულები. დროებით მის ხელში გადავიდა ინდონეზიაც, მაგრამ ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით იგი კვლავ ჰოლანდიას დაუბრუნდა.

მაგრამ XIX საუკუნის პირველი მეოთხედი არა მარტო ახალი კოლონიების დაპყრობებით ხასიათდება, არამედ იწყება პირველი დეკოლონიზაციის პროცესიც, რომელმაც სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის კოლონიები მოიცვა.

1803 წელს ლათინური ამერიკის პირველმა ქვეყანამ, საფრანგეთის კოლონია ჰაიტმა მოიპოვა დამოუკიდებლობა. 1810 წელს იწყება ესპანეთის კოლონიების ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე არსებული ოთხი ვიცე-სამეფო (ახალი ესპანეთი, ახალი გრენადა, პერუ და ლა-პლატა) ჭრელ კონგლომერატებს წარმოადგენდნენ, სადაც თვითოეულ ადმინისტრაციულ ოლქს თავისი საკუთარი ინტერესები ჰქონდა. წარმატებული განმანთავისუფლებელი ომების შედეგად შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. (1811-1828 წლებში), დიდი კოლუმბია, პერუ, ზემო პერუ ანუ ბოლივია, ლა-პლატა (შემდეგ მას არგენტინა ეწოდა), ჩილე, პარაგვაი, ურუგვაი, მექსიკა და ცენტრალური ამერიკის შეერთებული შტატები. 30-იან წლებში დიდი კოლუმბია დაიშალა და სამი სახელმწიფო ვენესუელა, კოლუმბია და ეკვადორი წარმოიშვა, ასევე ცენტრალური ამერიკის შეერთებული შტატების ნაცვლად შეიქმნა ხუთი დამოუკიდებელი სახელმწიფო; – გვატემალა, ჰონდურასი, სალვადორი, ნიკარაგუა და კოსტა-რიკა. 40-იან წლებში დამოუკიდებლობა მოიპოვა აღმოსავლეთ ჰაიტმა – დომინგოს რესპუბლიკამ. ამგვა-

რად ესპანეთს თავისი უზარმაზარი კოლონიური იმპერიიდან ლათინურ ამერიკაში ორად-ორი პატარა ტერიტორია დარჩა – კუბა და პუერტო-რიკო. „ზემოდან" მოიპოვა დამოუკიდებლობა პორტუგალიის უდიდესმა კოლონიამ – ბრაზილიამ. 1822 წელს გამოცხადდა ბრაზილიის იმპერია პორტუგალიის უფლისწულით სათავეში. რესპუბლიკად ბრაზილია მხოლოდ 1889 წელს გამოცხადდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არც თუ იშვიათი იყო ომი ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის, რამაც ნაწილობრივ შეცვალა ამ რეგიონის პოლიტიკური რუკა. კერძოდ ბრაზილიასთან და არგენტინასთან ომის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა პარაგვაის ფართობი, ჩილესთან ომის შემდეგ ბოლივიამ დაკარგა პირდაპირი გასასვლელი წყნარ ოკეანეში და სხვ.

XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთ-თურქეთის (1828-29 წწ.) და რუსეთ-ირანის (1826-1828) ომებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა პოლიტიკურ რუკაზე. რუსეთ-ირანის ომის შედეგად რუსეთის შემადგენლობაში შევიდა აღმოსავლეთ სომხეთი (ერევნისა და ნახჭევანის სახანოები). რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად კი რუსეთის ხელში გადავიდა ახალციხის საფაშო (სამცხე-ჯავახეთი). ამავე ომის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა სერბიის, ვლახეთისა და მოლდოვის ავტონომია. თურქეთმა სცნო საბერძნეთის დამოუკიდებლობა, თუმცა მაშინდელი დამოუკიდებელი საბერძნეთი დღევანდელის მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავდა.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ახალი ეტაპი იწყება კოლონიების ხელში ჩასაგდებად. სწორედ ამ პერიოდში იქმნება ბრიტანეთის იმპერია. მთავარი წარმატებები დიდმა ბრიტანეთმა ინდოეთში მოიპოვა. მოხერხებულად გამოიყენა რა ინდოეთის ეთნიკური სიჭრელე და სამთავროებს შორის არსებული დაპირისპირება XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსთვის მთელი ინდოსტანის სუბკონტინენტი ბრიტანეთის კოლონია გახდა. აქედან ხდება იმპერიის გაფართოება ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის მიმართულებით. ინგლისელებმა ხელში ჩაიგდეს ბირმის (მიანმის) სანაპირო ზოლი, თავიანთ გავლენის ქვეშ მოიქციეს მალაის სულთნები. ერთერთი მათგანისაგან შეიძინეს კუნძული სინგაპური (1819 წ.), რომელიც შემდგომში უაღრესად მნიშვნელოვანი კოლონია გახდა და ინგლისის შემდგომი ექსპანსიის ბაზად იქცა. ამის შემდეგ დიდ-

მა ბრიტანეთმა აქტიურად დაიწყო ავსტრალიის კოლონიზაცია. 1840 წელს ინგლისის სამფლობელოდ გამოცხადდა ახალი ზელანდია, მაგრამ მკვიდრი მოსახლეობის – მაორების დამორჩილებას თითქმის 30-წლიანი ომი დასჭირდა. სხვა ტერიტორიებიდან რომელიც ამ პერიოდში ბრიტანეთმა ჩაიგდო ხელში აღსანიშნავია ადენი (სამხრეთი იემენი), მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ინდოეთის ოკეანეს წითელ ზღვას შორის, რომლის როლი განსაკუთრებით გაიზარდა სუეცის არხის აშენების შემდეგ (1869 წ.), გარდა ამისა ინტენსიურად მიმდინარეობდა კანადის კოლონიზაცია, რომელიც 1867 წელს ბრიტანეთის დომინიონად გამოცხადდა. 1870 წლისთვის ბრიტანეთის კოლონიათა საერთო ფართობმა 22,5 მილიონი კმ2, ხოლო მოსახლეობა 252 მილიონი კაცი შეადგინა.

მეორე ქვეყანა, რომელიც ამავე პერიოდში საკუთარი კოლონიური იმპერიის შექმნა დაიწყო საფრანგეთი იყო. 1830 წელს საფრანგეთმა თურქეთს წაართვა და თავის კოლონიად გამოაცხადა ალჟირი(ხმელთაშუაზღვისპირა ტერიტორია). 40-50-იან წლებში იგი მკვიდრდება ოკეანეთის ცალკეულ კუნძულებზე (ახალი კალედონია, ტაიტი, მარკიზის კუნძულები) და ინდოჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე (სამხრეთი ვიეტნამი). საფრანგეთი მეორე კოლონიური იმპერია ხდება.

XIX საუკუნის 30-60-იან წლებში რუსეთის ტერიტორიული გაფართოება კავკასიისა და შუა აზიის ხარჯზე ხდებოდა. თითქმის 30-წლიანი სისხლისმღვრელი ომი დასჭირდა რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილებისათვის. მხოლოდ 1859 წელს შეძლო რუსეთმა დაღესტნისა და ჩეჩნეთის დაპყრობა და იმამ შამილის დატყვევება. ხოლო ადიღეელების და უბიხების წინააღმდეგობა 1864 წლამდე გაგრძელდა. პარალელურად რუსეთი ფეხს იკიდებს შუა აზიაში, იმორჩილებს თურქმენებს, ხოლო შუა აზიის სახანოები (ბუხარა, ხივა, ყოყანდი და სხვ.) მისი პროტექტორატი ხდება. ამავე პერიოდში დგინდება რუსეთის საზღვრები ამურისპირეთში და შორეულ აღმოსავლეთში.

XIX საუკუნის I ნახევარი აშშ-ის სწრაფი ტერიტორიული გაფართოების პერიოდია. აშშ-ს თავდაპირველი 13 შტატი მოიცავდა ტერიტორიას ატლანტის ოკეანესა და აპალაჩებს შორის. აღმოსავლეთ ლუიზიანას (მისისიპის მარცხენა სანაპი-

რო) კოლონიზაცია შედარებით სწრაფად XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან დაიწყო. 1803 წელს აშშ-მ საფრანგეთისგან იყიდა დასავლეთ ლუიზიანის უზარმაზარი ტერიტორიები (მექსიკის უბიდან კანადამდე, მისისიპის მარჯვენა სანაპირო და მისურის ხეობა), ხოლო 1819 წელს ესპანეთისგან შეიძინა ფლორიდა. 30-იან წლებში ინგლისმა აშშ-ს დაუთმო ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიები (დიდი ტბების დასავლეთი და სამხრეთი რაიონები, ხოლო 40-იან წლებში წყნარი ოკეანის სანაპირო ტერიტორია (დღევანდელი ვაშინტონისა და ორეგონის შტატები). 1845 წელს აშშ-ის შემადგენლობაში შევიდა ტეხასი, ხოლო 1846-48 აშშ-მექსიკის ომის შემდეგ დღევანდელი კალიფორნია, ნევადა, იუტა, არიზონა და ნიუ-მექსიკო. ე.ი. 50-იანი წლებისათვის აშშ-ს ტერიტორია იმ საზღვრებშია, რაც დღეს მის კონტინენტურ (ძირითად) ნაწილს უკავია. 1867 წელს აშშ-მ რუსეთისაგან იყიდა ალიასკა.

თავისებური ცვლილებები მოხდა შორეულ აღმოსავლეთში. ჩინეთის უზარმაზარი ცინის იმპერია თანდათანობით ექცევა ევროპული ქვეყნების, პირველ რიგში ინგლისის გავლენის ქვეშ, რაც არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებებში და ინგლისელებისათვის პრივილეგიებში გამოიხატა. ხოლო ის მეზობელი ქვეყნები რომელიც ტრადიციულად ჩინეთის სუზერენიტეტის ქვეშ იმყოფებოდნენ ნელ-ნელა ევროპული ქვეყნების (ინგლისისა და საფრანგეთის) კოლონიურ ქსელში ებმევიან. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1868-69 წლების მეიძის რევოლუციას იაპონიაში. ეს იყო პირველი რევოლუცია აზიაში, რამაც მანამდე თვითიზოლაციაში მყოფი და ჩამორჩენილი იაპონია აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით კაპიტალისტური განვითარების გზაზე დააყენა და ძლიერ სახელმწიფოდ აქცია.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ძირითადი მოვლენა მსოფლიო პოლიტიკური რუკის ისტორიაში არის გერმანიის ერთიანი ცენტრალიზებული იმპერიის შექმნა და იტალიის გაერთიანება. ევროპის პოლიტიკურ რუკაზე ორი ახალი ძლიერი სახელმწიფო შეიქმნა, რომლებმაც მომავალში დიდი როლი ითამაშეს ისტორიულ პროცესში (განსაკუთრებით გერმანიამ).

იტალიის გაერთიანება მოხდა სარდინიის სამეფოს გარშემო (ამ სამეფოს მთავარი ცენტრი პიემონტის პროვინცია, ხოლო დედაქალაქი ტურინი იყო. თვით კუნძული სარდინია ამ

სამეფოს შემადგნელობაში დიდ როლს არ თამაშობდა). 1859-60 წლებში მას შეუერთდა ლომბარდია (ავსტრიელების განდევნის შემდეგ), ტოსკანა, პარმა და მოდენა. გარიბალდისა და მაძინის ხელმძღვანელობით განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ მთელი სამხრეთ იტალია (ორივე სიცილიის სამეფო) ასევე გაერთიანებული სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. 1866 წელს ავსტრიელების დამარცხების შემდეგ იტალიას დაუბრუნდა ვენეცია. ხოლო 1870 წელს აღებული იქნა რომი. პაპის სახელმწიფო გაუქმდა და პაპი მხოლოდ რელიგიურ ხელმძღვანელად დარჩა. (1929 წელს აღდგენილი იქნა პაპის მიკროსახელმწიფო – ვატიკანი). ამგვარად 1870 წელს დასრულდა იტალიის გაერთიანება. ამ ახალი სახელმწიფოს დედაქალქი გახდა რომი.

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცენტრალურ ევროპაში ახალი უძლიერესი სახელმწიფოს გერმანიის ერთიანი იმპერიის შექმნას. გერმანულ სამეფო-სამთავროებს შორის ორი ჰეგემონი არსებობდა პრუსია და ავსტრია. ის პრობლემა თუ რომელი ქვეყნის გარშემო მოხდებოდა გერმანული მიწების გაერთიანება გარდუვალს ხდიდა ავსტრია-პრუსიის კონფლიქტს. გადამწყვეტ ბრძოლაში სადოვოისთან (ხორვატია) 1866 წელს პრუსიამ სრული გამარჯვება მოიპოვა. ავსტრიის უზარმაზარ, მაგრამ ეთნიკურად ჭრელ (ავსტრიელები იმპერიის მოსახლეობის 20%-ს არ აღემატებოდნენ) იმპერიას დაშლის საფრთხე შეექმნა. ავსტრიის ხელისუფლება იძულებული შეიქმნა დათმობებზე წასულიყო და ავსტრიის იმპერია დუალისტურ სახელმწიფოდ ავსტრია-უნგრეთად გარდაექმნა. ერთიანი დარჩა არმიის, საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის ორგანოთა ხელმძღვანელობა. ავსტრიის იმპერატორი იმავდროულად იყო უნგრეთის მეფე. სხვა მხრივ ავსტრიასაც და უნგრეთსაც თავიანთი პარლამენტები, სამინისტროები და სახელმწიფო ენები ჰქონდთ. ავსტრიის შემადგენლობაში შედიოდნენ ჩეხეთი, მორავეთი, გალიცია, ბუკოვინა, სლოვენია და დალმაცია, ხოლო უნგრეთს შემადგენლობაში ხორვატია, სლოვაკეთი და ტრანსილვანია.

ავსტრიის დამარცხების შემდეგ პრუსიის კანცლერს ბისმარკს გზა გაეხსნა პრუსიისათვის შეეერთებინა გერმანული სამეფო-სამთავროები. მათი ნაწილი პოლიტიკური გზით, ნაწილი კი ცეცხლითა და მახვილით იქნა შეყვანილი პრუსიის

შემადგენლობაში. 60-იანი წლების ბოლოსათვის შეიქმნა ჩრდილოეთ გერმანული კავშირი, რომელშიც პრუსიასთან ერთად შედიოდა 20-ზე მეტი გერმანული სამთავრო. მხოლოდ სამხრეთ გერმანული სამთავროები ბავარია, ბადენი, ვიურტემბერგი, რეინლანდი და პფალცი რჩებოდნენ კავშირის გარეთ. გერმანიის გაერთიანების საფრთხემ შეაშფოთა რუსეთი და საფრანგეთი. ამ უკანასკნელისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა მეზობლად ძლიერი, ერთიანი იმპერიის არსებობა. ამ დაპირისპირებამ გამოიწვია 1870-71 საფრანგეთ-პრუსიის ომი, რომელიც საფრანგეთის დამარცხებით დამთავრდა. გერმანელებმა აიღეს პარიზი და ვერსალის სასახლეში დადეს ზავი საფრანგეთთან. ამ ზავის პირობებით სამხრეთ გერმანული სამთავროები უერთდებოდნენ ჩრდილოეთ გერმანულ კავშირს და იქმნებოდა გერმანიის ერთიანი იმპერია, ამასთანავე ამ ახალი სახელმწიფოს ხელში გადადიოდა საფრანგეთის ორი აღმოსავლეთი პროვინცია ელზასი და ლოტარინგია.

1.5.2. 1871-1918 წლები

ამ პერიოდს საბჭოთა ლიტერატურაში ხშირად იმპერიალიზმის პირველ ეტაპს უწოდებდნენ. იმპერიალიზმის დამახასიათებელ ეკონომიკურ ნიშნებს შორის ხუთი მთავარი ნიშანი გამოიყოფა 1) წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია და მონოპოლიების შექმნა; 2) საბანკო კაპიტალის შერწყმა სამრეწველოსთან და ფინანსური ოლიგარქიების წარმოქმნა; 3) კაპიტალის გატანა საქონლის გატანისაგან განსხვავებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს; 4) იქმნება საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირები რომლებიც ინაწილებენ მსოფლიოს; 5. მთავრდება მსოფლიოს ტერიტორიული გადანაწილება უმთავრეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის.

იმპერიალიზმის საწყის ეტაპთან დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, რამაც არნახულად გაზარდა წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1870-1913 წლებში ნახშირის მსოფლიო მოპოვება გაიზარდა ექვსჯერ, თუჯის გამოდნობა ასევე ექვსჯერ, ბამბის მოხმარება სამჯერ. მსოფლიო სარკინიგზო ქსელის სიგრძე 5,5-ჯერ გადიდდა, ხოლო სავაჭრო ფლოტის ტონაჟი სამჯერ. ფართო გამოყენებას იძენს ელექტროენერგია, იქმნება კავშირგაბმულობის ახალი ტექნიკა (ტელეფონი, ტელეგრაფი), უდიდეს

მნიშვნელობას იძენს ნავთობი. შიგაწვის ძრავის გამოგონებამ სათავე დაუდო ავტომობილებისა და თვითმფრინავების წარმოებას.

მძიმე მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით იცვლება ბევრი სამრეწველო ცენტრის სპეციალიზაცია. კერძოდ პარიზში ვითარდება ავტომშენებლობა, ბერლინში ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობა, ახალი სამრეწველო რაიონები იქმნება აშშ-ში, გერმანიაში, იაპონიასა და რუსეთში. ჩამორჩენილ ქვეყნებში ფართოვდება ნედლეულის მოპოვება: მექსიკაში – ვერცხლის, ნავთობის და ფერადი ლითონების, ჩილეში გვარჯილისა და სპილენძის, მალაიასა და ინდონეზიაში კალის, სამხრეთ აფრიკაში ოქროს და ალმასების.

სპეციალიზაცია ვლინდება სოფლის მეურნეობაშიც. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პროცესი. ამერიკაში და ავსტრალიაში იქმნება მარცვლეული მეურნეობის და მეცხოველეობის ახალი რაიონები, რომელთა პროდუქციას საექსპორტო მნიშვნელობა აქვს. კოლონიურ და ჩამორჩენილ ქვეყნებში იქმნება ტექნიკური კულტურების ახალი რაიონები: ბამბის (ეგვიპტე) კაუჩუკის (მალაია, ინდონეზია), შაქრის ლერწმის (ვესტ-ინდოეთი, ფილიპინები)ჩაის (ინდოეთი, ცეილონი), ყავის (ბრაზილია).

სწრაფად ვითარდება ტრანსპორტი. რკინიგზებმა გადაკვეთეს მანამდე გადაულახავი მთები. შეიქმნა ტრანსკონტინენტური რკინიგზები. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება საზღვაო ტრანსპორტის მნიშვნელობა. საზღვაო ტვირთბრუნვის მიმართულებების შეცვლაში დიდი როლი ითამაშა სუეცის (1869) და პანამის (1914) არხების მშენებლობამ.

ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს კაპიტალის გატანა სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც წარმოების ხარჯები დაბალია და მოგებასთან ერთად იძლევა საშუალებას განმტკიცდეს ბატონობა დამოკიდებულ ქვეყანაზე. კაპიტალის ექსპორტში მთავარ როლს თამაშობდა დიდი ბრიტანეთი, მას მისდევდნენ საფრანგეთი და გერმანია.

მსოფლიოს ყველაზე უფრო შორეული რაიონების ჩართვამ მსოფლიო ეკონომიკაში საბოლოოდ ჩამოაყალიბე მსოფლიო მეურნეობა, როგორც ერთიანი სისტემა და ახალი ხასიათი მისცა შრომის საერთაშორისო ტერიტორიულ დანაწილებას.

მსოფლიო ბაზრის ფორმირებამ, ფართო საზღვაო და სარკინიგზო გზების ქსელმა, კაპიტალის ექსპორტმა და სხვა ფაქტორებმა მჭიდროდ დააკავშირა სხვადასხვა ხალხები და ქვეყნები. ამ თავისთავად დადებით და პროგრესულ მოვლენას უარყოფითი მხარეც გააჩნდა, რაც სახელმწიფოების მთელი რიგის ვიწრო სპეციალიზაციასთან და მონოკულტურულ ქვეყნებად გადაქცევასთან არის დაკავშირებული. კერძოდ XX საუკუნის დასაწყისში ბრაზილიის ექსპორტის 2/3 მოდიოდა ყავაზე, ჩილის ექსპორტის 80%-ზე მეტი გვარჯილასა და სპილენძზე, ეგვიპტის 80% ბამბაზე და ა.შ.

აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელია სერიოზული დემოგრაფიული ძვრებიც. სიკვდილიანობის საგრძნობმა შემცირებამ გაზარდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება (ძირითადად ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში). მნიშვნელოვნად გაიზარდა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, უფრო ნაკლებად საფრანგეთის მოსახლეობა და ეს მიუხედავად ინტენსიური ემიგრაციისა ამერიკაში და ნაწილობრივ სხვა ზღვისგაღმა ქვეყნებში. ვარაუდობენ რომ 1870-1914 წლებში ევროპიდან წასული ემიგრანტების საერთო რიცხვი 25-30 მილიონი კაცის ფარგლებში უნდა იყოს. საგრძნობ მასშტაბებს მიაღწია ემიგრაციამ აზიის ქვეყნებიდანაც. პირველ ხანებში ეს სამუშაოდა გაყვანილი მუშა-ხელი იყო, შემდგომში კი თავისუფალი ემიგრაცია, ძირითადად ჩინეთიდან ინდოეთიდან და იაპონიიდან. ერთერთი დამახასიათებელი ნიშანი რაც XIX საუკუნის ბოლო მესამედს და XX საუკუნის დასაწყისს ახასიათებს არის ურბანიზაციის პროცესის დაჩქარებული განვითარება. იზრდება ქალაქი-გიგანტების რიცხვი, სადაც მოსახლეობის დიდი რაოდენობის კონცენტრაცია ხდება.

მთავარი ნიშანი, რომელიც ამ პერიოდს ახასიათებს არის წინააღმდეგობის გამწვავება წამყვან სახელმწიფოებს შორის და ბრძოლა კოლონიებისათვის. მიმდინარეობს მსოფლიოს გადანაწილება, რის შედეგადაც მთელი დედამიწა ჩართული აღმოჩნდა ამა თუ იმ იმპერიალისტური ქვეყნის ინტერესებში. ჯერ კიდევ 1876 წელს აფრიკის კონტინენტის მხოლოდ 1/10 იყო დაპყრობილი ევროპული სახელმწიფოების მიერ. 1914 წლისთვის აქ თითქმის არ დარჩენილა ტერიტორია, რომელიც

რომელიმე ევროპული სახელმწიფოს კოლონია ან პროტექტორატი არ ყოფილიყო.

აფრიკის კოლონიზაციაში მთავარი როლი ძველმა კოლონიურმა სახელმწიფოებმა ინგლისმა და საფრანგეთმა შეასრულეს. მათი ინტერესები ხშირად ეჯახებოდა ერთმანეთს, მაგრამ საბოლოოდ კომპრომისით და ტერიტორიების გაყოფით მთავრდებოდა.

სუეცის არხის გაყვანის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა ეგვიპტე. იგი ფორმალურად ოსმალეთის ვასალი იყო, თუმცა ეგვიპტის ხედივი (ოსმალეთის სულთანის ნაცვალი) ფაქტიურად დამოუკიდებლად მოქმედებდა. ეგვიპტის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ მოიზიდა ინგლისი და საფრანგეთი და მათ ერთობლივი კონტროლი დააწესეს ეგვიპტის ფინანსებზე. 1881-82 წლებში ეგვიპტეში იფეთქა ეროვნულმა აჯანყებამ, რომელიც მიმართული იყო ევროპელთა გავლენის წინააღმდეგ. ინგლისმა ეს მომენტი გამოიყენა და „თურქეთის დახმარების მიზნით" შეიყვანა თავისი ჯარები ეგვიპტეში. ფორმალურად 1914 წლამდე ეგვიპტე ოსმალეთის ვასალად დარჩა, სინამდვილეში კი მას ინგლისი მართავდა. ეგვიპტის დამორჩილებასთან პარალელურად ინგლისმა დაიწყო სუდანის დაპყრობა, სადაც 1881-82 წლებში ფართოდ გაიშალა რელიგიურ-ნაციონალური ბრძოლა და შეიქმნა სახელმწიფო, რომელსაც ამ ბრძოლის მეთაურის მაჰდის სახელის მიხედვით მაჰდის სახელმწიფო ეწოდებოდა. 1898 წელს ინგლისმა მოახდინა სუდანის ოკუპაცია. სუდანი ინგლისს დაემორჩილა თუმცა ოფიციალურად ინგლის-ეგვიპტის ერთობლივ სამფლობელოდ (კონდომინიუმად) გამოცხადდა.

სუდანის დაპყრობამ გაამწვავა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა, მაგრამ მალე იქნა მიღწეული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საფრანგეთი უარს ამბობდა პრეტენზიებზე ნილოსის ხეობაზე, ხოლო ინგლისი ტუნისსა და მაროკოზე. ამ შეთანხმებით ინგლისს გზა გაეხსნა აღმოსავლეთ აფრიკაში და მოკლე ხანში დაიმორჩილა კენია, უგანდა, სომალის ნაწილი (ბრიტანეთის სომალი) და კუნძული სოკოტრა.

ინგლისის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სამხრეთ აფრიკაში არსებული ბურების დამოკიდებული რესპუბლიკები ორანჟი და ტრანსვაალი. ეს ინტერესი განსაკუთრებით გა-

იზარდა მას შემდეგ რაც ორანჟში აღმოჩენილი იქნა ალმასის უმდიდრესი საბადოები (კიმბერლი), ხოლო ტრანსვაალში ოქროს უდიდესი საბადო (იოჰანესბურგი). დაიმორჩილა რა ბეჩუანალენდი (დღევანდელი ბოტსვანა), ნიასალენდი (მალავი) ჩრდილოეთი და სამხრეთი როდეზია (ზამბია და ზიმბაბვე), აგრეთვე სვაზილენდი და ბასუტოლენდი (ლესოტო) ინგლისი რკალად შემოერტყა ბურების რესპუბლიკებს. ორანჟისა და ტრანსვაალის სამხრეთით მდებარე კაპი, რომელიც ადრე ასევე ბერებს ეკუთვნოდათ ინგლისმა XIX საუკუნის დასაწყისში ჩაიგდო ხელთ და აიძულა ბურები ჩრდილოეთისკენ გადანაცლვებულიყვნენ (სწორედ მაშინ აითვისეს ბურებმა ორანჟი და ტრანსვაალი). 1899-1902 წლების ინგლის-ბურების ომი ბურების გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად ინგლისის გამარჯვებით დასრულდა. ორივე რესპუბლიკა გაერთიანებული იქნა ინგლისის ძველ კოლონიებთან კაპთან და ნატალთან და 1910 წელს შეიქმნა სამხრეთ აფრიკის კავშირი – ბრიტანეთის დომინიონის სტატუსით. გასათვალისწინებულია, რომ ბურები თვითონ იყვნენ კოლონიზატორები სამხრეთ აფრიკაში, ამდენად ინგლის-ბურების ომი არ იყო ჩვეულებრივი ომი აფრიკის ჩამორჩენილი ხალხის დაპყრობისა და კოლონიზაციის მიზნით. ეს უფრო უკვე არსებული კოლონიების გადანაწილებად უნდა ჩაითვალოს.

დასავლეთ აფრიკაში ინგლისს არ მოუპოვებია ისეთი გაბატონებული მდგომარეობა როგორც აღმოსავლეთ აფრიკაში, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიფართოვა ის პატარა სანაპირო ტერიტორიები, რომლებსაც ადრევე ფლობდა. ასე ჩამოყალიბდა დასავლეთ აფრიკაში ბრიტანეთის კოლონიები ნიგერია (აფრიკის ყველაზე დიდი ქვეყანა მოსახლეობის რაოდენობით), სიერა-ლეონე, ოქროს ნაპირი (დღევანდელი განა) და გამბია.

უზარმაზარი ტერიტორიები ჩაიგდო ხელთ აფრიკაში საფრანგეთმა, რომელიც 1870 წლისთვის მხოლოდ ალჟირს (ძირითადად სანაპირო ზოლს), სენეგალსა და გვინეის უბის ნაპირებზე გაფანტულ რამოდენიმე პატარა ტერიტორიას ფლობდა.

ალჟირის დაპყრობის შემდეგ ფრანგულმა კაპიტალმა ფეხი მოიკიდა ტუნისში, რომელიც ოსმალეთის ვასალი იყო და მაროკოს დამოუკიდებელ სულთანატში. 1881-82 წლებში საფ-

რანგეთმა მოახდინა ტუნისის ოკუპაცია. ამან გაამწვავა მისი ურთიერთობა იტალიასთან, რომელსაც ასევე პრეტენზიები გააჩნდა ტუნისზე. კიდევ უფრო მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა საფრანგეთს მაროკოს ხელში ჩასაგდებად. ამ ქვეყანაზე პრეტენზიას აცხადებდა ესპანეთი, რომელსაც ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან ეკავა მაროკოს სანაპირო ქალაქები სეუტა და მელილია. მაროკოს ხელში ჩაგდებას ცდილობდა გერმანიაც. ამ ნიადაგზე გერმანია-საფრანგეთის დაპირისპირება უკიდურესად დაიძაბა და კინაღამ ომი გამოიწვია. მაროკოს საკითხი საბოლოდ 1912 წელს გადაწყდა, როცა მისი დიდი ნაწილი საფრანგეთის ხელში აღმოჩნდა, ხოლო მცირე ნაწილი (ხმელთაშუა ზღვის სანაპირო) ესპანეთს გადაეცა. გერმანიამ უარი თქვა მაროკოზე, რის საფასურადაც საფრანგეთმა დაუთმო თავისი სამფლობელოების ნაწილი კონგოში. იტალიას მიეცა თავისუფალი მოქმედების საშუალება ლიბიაში.

ალჟირიდან საფრანგეთმა გაავრცელა თავისი სამფლობელოები სამხრეთით, ხოლო სენეგალიდან დასავლეთით, ასევე არსებითად გააფართოვა თავისი ყოფილი მცირე კოლონიები გვინეის უბის სანაპიროზე. ამ ღონისძიებების შემდეგ საფრანგეთის ხელში აღმოჩნდა დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის უზარმაზარი ტერიტორიები, რომელიც მოიცავდა დღევანდელი სენეგალის გარდა მავრიტანიას, მალის, ნიგერს, ზემო ვოლტას (ბურკინა-ფასო), გვინეას, დაგომეას (ბენინი), სპილოს ძვლის ნაპირს (კოტ-დივუარი). ეს კოლონიები გაერთიანდა საფრანგეთის დასავლეთი აფრიკის სახელწოდებით. საფრანგეთის ეკვატორიალურ აფრიკას მიეკუთვნებოდა ჩადი და შარი-უბანგი (დღევანდელი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა). ხოლო საფრანგეთის შუა კონგოს შემადგენლობაში შედიოდნენ დღევანდელი კონგო და გაბონი. აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში საფრანგეთის კოლონიები გახდნენ მადაგასკარი, კომორის კუნძულები და საფრანგეთს სომალი (ჯიბუტი). სულ საფრანგეთის ხელში აღმოჩნდა აფრიკის მთელი ფართობის 1/3 (თითქმის 10 მილიონი კმ2) თუმცა ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოებსა და ტროპიკულ ჯუნგლებს ეკავათ.

XIX საუკუნის 80-იან წლებში იწყება გერმანიის კოლონიური დაპყრობები. 1884 წელს მან მოახდინა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის (დღევანდელი ნამიბია) ოკუპაცია. იმავე წელს

მან ხელში ჩაიგდო ტანგანიკა, რუანდა და ბურუნდი (გაერთიანდნენ გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის სახელწოდებით), ხოლო დასავლეთ აფრიკაში გერმანიის კოლონიები გახდნენ კამერუნი და ტოგო 1890 წელს გერმანია მოემზადა კუნძულ ზანზიბარის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ დაუთმო იგი ინგლისს კუნძულ ჰელჰოლანდის (ჩრდილოეთის ზღვაში) სანაცვლოდ.

ამავე პერიოდში კოლონიური დაპყრობების ასპარეზზე გამოდის იტალია. 1885 წელს იგი იპყრობს ერიტრეას, შემდეგ სომალის დიდ ნაწილს (სომალის დანარჩენი მიწები ინგლისისა და საფრანგეთის ხელში აღმოჩნდა) და უშედეგოდ ცდილობს ეთიოპიის დამორჩილებას. 1911-12 წლებში მიეცა რა თავისუფალი მოქმედების საშუალება, იტალიამ საომარი მოქმედება გააჩაღა თურქეთის წინააღმდეგ და წაართვა მას ლიბია, აგრეთვე დოდეკანოზის კუნძულები და კუნძული როდოსი (ეგეოსის ზღვაში).

პატარა, მაგრამ ეკონომიკურად ძლიერი ბელგია იწყებს მდ. კონგოს აუზის ბუნებრივი რესურსების ათვისებას. 1885 წელს შეიქმნა „კონგოს დამოუკიდებელი სახელმწიფო", რომლის მეთაურადაც გამოცხადდა ბელგიის მეფე. 1908 წელს ეს „სახელმწიფო" გარდაიქმნა კოლონია ბელგიის კონგოდ (ზაირი).

პორტუგალიამ ინგლისის მხარდაჭერით შეინარჩუნა ჯერ კიდევ XV-XVI საუკუნეში დაპყრობილი ტერიტორიები ანგოლა, მოზამბიკი, პორტუგალიის გვინეა (ბისაუ), მწვანე კონცხის კუნძულები, სან-ტომესა და პრინსიპის კუნძულები. აგრეთვე კუნძული მადეირა და აზორის კუნძულები (ეს ორი უკანასკნელი პორტუგალიის ნაწილად ითვლებოდა და კოლონიებად არ მიაჩნდათ).

ესპანეთს აფრიკაში ძველი დროიდანვე ეკუთვნობა კანარის კუნძულები (მეტროპოლიის ნაწილად ითვლება) და ქალაქები სეუტა და მელილია. კოლონიური დანაწილების პერიოდში მათ მიემატა ესპანეთის მაროკო, რიო-დე-ორო (დღევანდელი დასავლეთი საჰარა), კუნძული ფერნანდო-პო და ტერიტორია გვინეის უბის სანაპიროზე (რიო-მუნი). ამ ორი უკანასკნელი კოლონიის გაერთიანებით შეიქმნა კოლონია ესპანეთის გვინეა (დღევანდელი ეკვატორული გვინეა).

ამგვარად 1914 წლისთვის აფრიკაში ფორმალურად ორადორი დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. ეთიოპია ანუ აბისინია

(ხანგრძლივი და მდიდარი ისტორიის მქონე ძველი ქრისტიანული ქვეყანა) და ლიბერია, რომელიც 1847 წელს შეიქმნა აშშ-დან დაბრუნებული ზანგების მიერ. რეალურად ეს აშშ-ზე დამოკიდებული სახელმწიფო იყო.

აშშ რომელიც XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ეკონომიკურად მსოფლიოს ყველაზე მძლავრი სახელმწიფო ხდება, პოლიტიკური თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ თამაშობდა წამყვან როლს. კოლონიებისათვის ბრძოლაში აშშ მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს ჩაება, როცა თითქმის მთელი დედამიწა უკვე განაწილებული იყო ძველი კოლონიზატორი სახელმწიფოების მიერ. ამიტომ აშშ-ს ბრძოლა მოუწია არა თავისუფალი მიწების ხელში ჩასაგდებად, არამედ შედარებით სუსტი სახელმწიფოსთვის კოლონიების წართმევის მიზნით. ასეთი ქვეყანა ესპანეთი იყო. (პორტუგალიის უკან დიდი ბრიტანეთი იდგა და მასთან ომი აშშ-თვის ხელსაყრელი არ იყო). აშშ-ესპანეთის 1898 წლის ომის შედეგად, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო გადანაწილებისათვის წარმოებულ პირველ ომად იმპერიალიზმის ეპოქაში, აშშ-მ ესპანეთს წაართვა მისი უკანასკნელი კოლონიები ლათინურ ამერიკაში – კუბა და პუერტო რიკო, აგრეთვე ფილიპინები და კუნძული გუამი (ოკეანეთში). კუბამ ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოს სტატუსი მიიღო, რეალურად კი აშშ-ს ნახევრადკოლონიად იქცა. დანარჩენი ქვეყნები აშშ-თან მიერთებულ სახელმწიფოებად გამოცხადდა, რაც არაფრით არ განსხვავდებოდა ტიპიური კოლონიებისაგან. იმავე 1898 წელს აშშ-მ ხელში ჩაიგდო ჰავაის კუნძულები, ხოლო გერმანიასთან ერთად გაიყო სამოას კუნძულები. დასავლეთ სამოა გერმანიას ხვდა წილად, აღმოსავლეთი სამოა კი აშშ-ს. 1903 წელს აშშ-მ მოახერხა კოლუმბიისთვის წაეგლიჯა პანამის ყელი და შეექმნა აქ პანამის რესპუბლიკა, რომელიც მთლიანად აშშ-ზე იყო დამოკიდებული, გაეყვანა წყნარი და ატლანტის ოკეანის დამაკავშირებელი პანამის არხი, რომელიც ფაქტიურად აშშ-ს საკუთრება გახდა, ხოლო პანამის არხის ზონა XX საუკუნის ბოლომდე აშშ-ს ტერიტორიად ითვლება. 1917 წელს აშშ-მ დანიასგან იყიდა ვირგინიის კუნძულების დანიის კუთვნილი ნაწილი.

XX საუკუნის ბოლოს მიმდინარეობს ოკეანეთის გაყოფა. ინგლისმა დაიკავა ფიჯი, ტონგა, სოლომონის კუნძულები და სხვა მცირე სიდიდის ტერიტორიები (გილბერტის, ელისის

კუნძულები). საფრანგეთის ხელში აღმოჩნდა ტაიტი, ახალი კალედონია, მარკიზის კუნძულები და სხვ. ახალი ჰებრიდის კუნძულებზე ინგლის-საფრანგეთის ერთობლივი მმართველობა (კონდომინიუმი) დამყარდა. ახალი გვინეა სამ ნაწილად გაიყო. დასავლეთი ნაწილი ჰოლანდიის საკუთრება გახდა და ჰოლანდიის ინდოეთის (ინდონეზიის) შემადგენლობაში შევიდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ინგლისი დაეუფლა (შემდგომში ეს ბრიტანეთის დომინიონის – ავსტრალიის კავშირის სამფლობელო გახდა), ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი გერმანიის კოლონიად გამოცხადდა. გერმანიის ხელში გადავიდა აგრეთვე ახალი გვინეის ახლოს მდებარე კუნძულები – ბისმარკის არქიპელაგი და სოლომონის კუნძულების ნაწილი. გერმანია დაეუფლა მიკრონეზიის კუნძულებსაც. ჯერ ხელში ჩაიგდო მარშალის კუნძულები. ხოლო აშშ-ესპანეთის ომის შემდეგ ესპანეთისგან იყიდა მარიანისა და კაროლინის კუნძულები. აშშ-თან შეთანხმებით გერმანიამ მიიღო სამოას დასავლეთი კუნძულები.

როგორც ახალი იმპერიალისტური სახელმწიფო არენაზე გამოვიდა იაპონიაც. მისი კოლონიური დაპყრობები იწყება ჩინეთთან 1894-95 წლების ომით. ამ ომის შედეგად იაპონიამ ჩინეთს წაართვა კუნძული ტაივანი და პენხულედაოს კუნძულები, კონტროლი დააწესა კორეაზე, რომელიც 1910 წელს ანექსირებული იქნა და იაპონიის კოლონიად იქცა. 1904-05 წლის რუსეთ-იაპონიის ომის შედეგად იაპონიამ რუსეთს წაართვა სამხრეთი სახალინი, კურილიის კუნძულები, და რუსეთის მიერ ჩინეთისგან იჯარით აღებული კვანტუნის ნახევარკუნძული პორტ-არტურისა და დალნის ბაზებით.

მთავარმა იმპერიალისტურმა ქვეყნებმა XIX საუკუნის ბოლოს გავლენის სფეროებად დაყვეს ჩინეთი. რუსეთის გავლენის სფერო გავრცელდა მანჯურიასა და გარე მონღოლეთზე. გერმანიისა შანდუნის ნახევარკუნძულზე, იაპონიისა კვანტუნზე, ინგლისისა ტიბეტსა და აღმოსავლეთ ჩინეთზე, საფრანგეთისა სამხრეთ ჩინეთზე. ინგლისმა 1898 წლის 99 წლის ვადით იყიდა მნიშვნელოვანი ქალაქი სამხრეთ ჩინეთის ზღვის სანაპიროზე სიანგანი (ჰონგ-კონგი). 1911 წელს ცინის იმპერია დაემხო და ჩინეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. მაგრამ ამას ჩინეთის ნახევრადკოლონიური მდგომარეობა არ შეცვლია. პირიქით, 1914 წელს რუსეთმა თავის პროტექტო-

რატებად გამოაცხადა ადრე ჩინეთის კუთვნილი გარე მონღოლეთი და ტუვა.

მსოფლიოს გადანაწილება მთავარ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის შეეხო აზიის უზარმაზარ ტერიტორიებსაც. საფრანგეთმა 1884-85 წლებში დაიპყრო მთელი ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა და შექმნა ვრცელი კოლონია – საფრანგეთის ინდოჩინეთი. ინგლისმა გააფართოვა თავისი კოლონიები მალაიაში, შემოიერთა მთელი ბირმა (მიანმა) და კალიმანტანის ანუ ბორნეოს ჩრდილოეთი ნაწილი (საბახი, სარავაკი და ბრუნეის სულთანატი). სიამი ანუ ტაილანდი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დარჩა, თუმცა განაწილებული იქნა ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფეროებად.

ინგლისმა გააფართოვა თავისი სამფლობელოები ინდოეთში დაიკავა რა ბელუჯისტანი და ავღანეთის აღმოსავლეთი რაიონები. თავისი გავლენა გაავრცელა ნეპალსა და ბუტანზე. ინგლისის დახმარებით ჰოლანდიამ დაიმორჩილა ინდონეზიის პატარა სამთავროები და XX საუკუნის დასაწყისისათვის მთელი ეს უზარმაზარი ქვეყანა ჰოლანდიის კოლონია იყო ნიდერლანდების ინდოეთის სახელწოდებით.

გარკვეული ცვლილებები მოხდა ახლო და შუა აღმოსავლეთში. რუსეთისა და ინგლისის დაპირისპირება ირანსა და ავღანეთში დამთავრდა 1907 წლის შეთანხმებით. რუსეთმა უარი თქვა პრეტენზიებზე ავღანეთში, ხოლო ირანი განაწილებული იქნა გავლენის სფეროებად, ჩრდილოეთი რუსეთის, სამხრეთი ინგლისის, ხოლო შუა – ნეიტრალური. სულ უფრო-დაუფრო ექცევა ევროპული ქვეყნების ნახევრადკოლონიურ დამოკიდებულებაში თურქეთი. გარდა საკუთარი ტერიტორიისა XX საუკუნის დასაწყისში აზიაში მისდამი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ტერიტორიებს წარმოადგენდნენ ერაყი, სირია, ლიბანი, პალესტინა, იორდანია, ჰიჯაზი (არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი წითელი ზღვის სანაპიროთი ქალაქების მექის და მედინის ჩათვლით), ჩრდილოეთ იემენი. არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი და აღმოსავლეთი სანაპიროს ფეოდალური სამთავროები ბრიტანეთის პროტექტორატებს წარმოადგენდნენ (ადენი, ომანი, ხელშეკრულებითი ომანი ანუ დღევანდელი არაბთა გაერთიანებული

საემიროები, კატარი, ბაჰრეინი). XX საუკუნის დასაწყისიდან ინგლისის პოზიციებს ამ რეგიონში სერიოზული საფრთხე დაემუქრა გერმანიის სახით, რომელმაც დაიწყო ბაღდადის რკინიგზის გაყვანა, რომელსაც ბერლინი სტამბოლის გავლით უნდა დაეკავშირებინა სპარსეთის ყურესთან. ამ მშენებლობაში ინგლისი ხედავდა გერმანიის პოზიციების განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში და მიახლოებას ინდოეთთან.

რაც შეეხება ევროპას, 1871-1914 წლებში მის პოლიტიკურ რუკაზე ცვლილებები ძირითადად ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიულ დანაკარგებთან არის დაკავშირებული.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად რუსეთმა მიიღო ბათუმის, ართვინის, არტაანის და ყარსის ოლქები. სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს სერბიამ და რუმინეთმა (ვლახეთისა და მოლდოვის გაერთიანებულმა სამეფომ). შეიქმნა ბულგარეთის სახელმწიფო, ჯერ დუნაისა და სტარაპლანინას ქედს შორის, ხოლო 1885 წელს მას შეუერთდა ჩრდილოეთ რუმელია (ბულგარელებით დასახლებული ტერიტორია სტარა-პლანინას სამხრეთით). თურქეთმა დაკარგა ბოსნია-ჰერცოგოვინა, რომელიც ოკუპირებული იქნა ავსტრია-უნგრეთის მიერ, ხოლო 1908 წელს ანექსირებულიც. მიუხედავად ამ დამარცხებისა თურქეთის ხელში მაინც რჩებოდა საკმაოდ მნნიშვნელოვანი ტერიტორიები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, რაც ბალკანეთის ქვეყნებისა და თურქეთის დაპირისპირების წყარო იყო. ამ დაპირისპირებამ გამოიწვია 1912-13 წლების ბალკანეთის ომები. ბალკანეთის პირველ ომში (1912 წ.) თურქეთის წინააღმდეგ გამოვიდა ბულგარეთის, სერბიის, ჩერნოგორიისა და საბერძნეთის კოალიცია. თურქეთი დამარცხდა და ყველა ევროპული სამფლობელო დაკარგა, გარდა აღმოსავლეთ თრაკიის მცირე ნაწილისა. ბულგარეთმა მიიღო გასასვლელი ეგეოსის ზღვაზე და მაკედონიის ნაწილი. მნიშვნელოვნად გაიზარდა საბერძნეთის ტერიტორია სამხრეთ მაკედონიის შეერთების ხარჯზე და სერბიის ტერიტორია ჩრდილოეთ მაკედონიისა და კოსოვოს ხარჯზე. ტერიტორია შეემატა ჩერნოგორიასაც. შეიქმნა დამოუკიდებელი ალბანეთის სახელმწიფო. მაკედონიის გაყოფამ წარმოშვა კონ-

ფლიქტი ბულგარეთსა და სერბიას შორის, რამაც ბალკანეთის მეორე ომი გამოიწვია (1913). ბულგარეთის წინააღმდეგ გამოვიდნენ სერბია, ჩერნოგორია, რუმინეთი, საბერძნეთი და თურქეთი. ბულგარეთი დამარცხდა და იძულებული გახდა მისი კუთვნილი მაკედონიის ნაწილი საბერძნეთისა და სერბიისათვის გადაეცა. რუმინეთმა მიიღო სამხრეთ დობრუჯა, ხოლო თურქეთმა პირველ ომში დაკარგული აღმოსავლეთ თრაკიის მნიშვნელოვანი ნაწილი ადრიანოპოლის ჩათვლით. მიუხედავად სერიოზული ტერიტორიული დანაკარგებისა ბულგარეთმა შეინარჩუნა გასასვლელი ეგეოსის ზღვაზე.

XX საუკუნის 10-იან წლებში საბოლოოდ გამოიკვეთა შეურიგებელი წინააღმდეგობა ძირითად იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. გერმანიის კაპიტალი ცდილობდა შეჭრილიყო ინგლისის კოლონიებში. გერმანიის ფლოტის ზრდა საფრთხეს უქმნიდა ინგლისის საზღვაო ძლიერებას. ბაღდადის რკინიგზის გაყვანამ შეარყია ინგლისის პოზიციები ახლო აღმოსავლეთში და დაემუქრა მის ინტერესებს ინდოეთში. გერმანია ილტვოდა ასევე ხელში ჩაეგდო საფრანგეთის რკინის მადნის მდიდარი საბადოები, მაშინ როცა საფრანგეთი არ ურიგდებოდა ელზასისა და ლოტარინგიის დაკარგვას. გერმანიის პოზიციების გაძლიერება შავი ზღვის სრუტეებზე შეეხო რუსეთის ინტერესებს. სერიოზული წინააღმდეგობები იყო რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს, ავსტრია-უნგრეთსა და იტალიას შორის.

ამ ძირითადმა წინააღმდეგობამ გამოიწვია იმპერიალისტური სახელმწიფოების ორი დაჯგუფების ჩამოყალიბება. სამთა შეთანხმება ანუ ანტანტა, რომელშიც შედიოდნენ ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი და სამთა კავშირი – გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და იტალიის შემადგენლობით. (მოგვიანებით იტალია გამოვიდა სამთა კავშირიდან და ანტანტას მიემხრო) ასეთ დაძაბულ პირობებში საკმარისი იყო მცირე საბაბიც, რომ ომი დაწყებულიყო. ასეთ საბაბად იქცა ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის ფრანც-ფერდინანდის მკვლელობა სერბი ნაციონალისტების მიერ სარაევოში 1914 წლის 28 ივნისს. გერმანიის მიერ წაქეზებულმა ავსტრია-უნგრეთმა

ომი გამოუცხადა სერბიას. რუსეთმა მხარი დაუჭირა სერბიას, რის გამოც გერმანიამ რუსეთს გამოუცხადა ომი. ასე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი (1914-1918 წ. წ.) რომელშიც ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ ერთის მხრივ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი და ბულგარეთი, ხოლო მეორეს მხრივ ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია, სერბია, ჩერნოგორია, საბერძნეთი, რუმინეთი. მოგვიანებით ანტანტის მხარეზე ომში ჩაებნენ აშშ და იაპონია.

ომი ხანგრძლივი და მომქანცველი აღმოჩნდა. 1917 წელს რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად რუსეთი გამოვიდა ომიდან და სეპარატიული ზავი დადო გერმანიასთან რომლის მიხედვითაც იგი თმობდა ტერიტორიების ნაწილს. (მათ შორის კავკასიაში). მაგრამ ამან ვერ უშველა გერმანიას. რესურსებით გაცილებით უკეთ უზრუნველყოფილი ანტანტის ქვეყნები და მათი მოკავშირეები უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. 1918 წლის სექტემბერში ბულგარეთმა იარაღი დაყარა, ოქტომბერში ომიდან გამოვიდა თურქეთი, ნოემბრის დასაწყისში წინააღმდეგობა შეწყვიტა უკვე ფაქტიურად დაშლილმა ავსტრია-უნგრეთმა, ხოლო 11 ნოემბერს გერმანია იძულებული გახდა ხელი მოეწერა კაპიტულაციისათვის.

1.6. უახლესი პერიოდი

უახლესი პერიოდი მოიცავს კაცობრიობის ისტორიის მოკლე მონაკვეთს – 1918 წლიდან დღემდე. მიუხედავად ასეთი მცირე დროითი ჩარჩოებისა ეს პერიოდი თავისი მნიშვნელობით და როლით შეუდარებელია სხვა ისტორიულ ეპოქებთან. ის ცვლილებები რაც მოხდა მსოფლიო პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში გაცილებით აღემატება წინა პერიოდებში მომხდარ მოვლენებს თავისი მნიშვნელობით და შედეგებით. უახლესი პერიოდი ეს არის წარმოების, არნახული ზრდის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციაში გადაზრდის, ურბანიზაციის, სოციალური პროგრესისა და ახალი კულტურული მიღწევების ეპოქა. ეს არის პერიოდი, როცა ადამიანის ჩვეულებრივ, რიგით ყოფით დეტალად იქცა ელექტრონი, რადიო, ტელევიზია, ტელეფონი, ავტომობილი, თვითმფრინავი, კომპიუტერი. ადამიანი ჩასწვდა ატომისა და უჯრედის საიდუმლოებას, ფეხი დაადგა მთვარეს, კოსმოსური ხომალდები გაგზავნა მზის სისტემის სხვადასხვა პლანეტებზე და შეძლო თავის სამსახურში ჩაეყენებინა ბუნების მრავალი მოვლენა. ამასთანავე ეს არის პერიოდი დამანგრეველი ომებისა, ატომური კატასტროფისა, დაპირისპირებისა და შეურიგებელი იდეოლოგიური ბრძოლისა. უახლესი პერიოდი ის ეპოქაა, როცა კაცობრიობა ყველაზე ახლოს არის როგორც კეთილდღეობასა და აყვავებასთან, ისე განადგურებასთან და დაღუპვასთან.

უახლესი პერიოდი ძირითადად ორ ქვეპერიოდად შეიძლება დავყოთ: 1.) 1918-1945 წლები, როცა ბოლშევიზმის გამარჯვებამ რუსეთში და ფაშიზმის გამარჯვებამ გერმანიასა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში თავისი კორექტივები შეიტანა მსოფლიო განვითარების პროცესში და კაცობრიობა კატასტროფულ ომამდე მიყვანა; 2.) 1945 წლიდან დღემდე როცა მსოფლიო განვითარების ძირითადი შინაარსი ე. წ. სოციალისტური სისტემას და კაპიტალიზმის სამყაროს დაპირისპირება იყო და „ცივი ომის" სახელწოდებითაა ცნობილი. 80-იანი წლების ბოლოდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა სოციალისტურმა სისტემამ არსებობა შეწყვიტა და ცივი

ომიც წარსულს ჩაბარდა. როგორც ჩანს 80-იანი წლების ბოლოდან დაიწყო უახლესი პერიოდის ახალი მესამე ქვეპერიოდი, რომელიც თავის შინაარსით საგრძნობლად განსხვავდება 1945–1988 წლების პერიოდისაგან, მაგრამ, რადგან ეს მესამე ქვეპერიოდი ჯერჯერობით სულ რამოდენიმე წელს ითვლის მისი ცალკე განხილვა ნაადრევია და ჩვენ მას სპეციალურად არ გამოვყოფთ.

1.6.1. 1918-1945 წლები

ამ პერიოდის ძირითადი ნიშანი მსოფლიოს ახალი გადანაწილება და უმთავრეს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ბრძოლის გამწვავებაა. მეორე მთავარი ნიშანი უზარმაზარი კომუნისტური იმპერიის – საბჭოთა კავშირის შექმნაა, რომელიც მსოფლიო რევოლუციის ლოზუნგებით გამოდიოდა და მტრულ დამოკიდებულებაში იყო „კაპიტალისტურ სამყაროსთან“.

ცხადია ამ პერიოდისთვისაც იყო დამახასიათებელი ზოგიერთი საერთო ნიშანი საწარმოოს ძალების განვითარების თვალსაზრისით, როგორიცაა მაგალითად ახალი დარგების შექმნა (ელექტროენერგეტიკა, ნავთობის მრეწველობა, ალუმინის გამოდნობა, ავტომშენებლობა, პლასტმასების წარმოება), აგრეთვე ტრანსპორტის (საავტომობილო, საჰაერო, მილსადენი) და კავშირგაბმულობის (რადიო) ახალი სახეების გამოყენება; სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. გაიზარდა მოსახლეობის ზრდის ტემპი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ 2,2 მილიარდ კაცს მიაღწია. ამასთანავე დაჩქარდა ურბანიზაციისა და მთელი რიგ ახალ ერთა ფორმირების პროცესი.

ამასთანავე საერთო-საყოველთაო პროცესებთან ერთად თავი იჩინა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ქვეყნების განვითარების პრინციპულად სხვადასხვა გზამ-გეგმიანმა მეურნეობამ და საბაზრო ეკონომიკამ. წარმოების ზრდის თვალსაზრისით საბჭოთა კავშირის უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ამას არ გამოუწვევია მისი მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდა.

მაგრამ მთავარი ნიშანი ამ პერიოდისათვის მსოფლიო პოლიტიკური რუკის ძირეული ცვლილება იყო.

ხანგრძლივი დიპლომატიური ომი რომელიც პირველი მსოფლიო ომის დამთავრებას მოჰყვა, დასრულდა გამარჯვებული ქვეყნების ზავით გერმანიასთან, რომელიც ვერსალის საზავო ხელშეკრულებით არის ცნობილი. ამ ხელშეკრულებასთან არის დაკავშირებული სხვა საზავო ხელშეკრულებებიც, რომლებმაც პოლიტიკური რუკის ომისშემდგომი ცვლილებები დააკანონეს, კერძოდ სენ-ჟერმენის ხელშეკრულება ავსტრიასთან, ტრიანონის-უნგრეთთან და ნეის ბულგარეთთან.

ამ ხელშეკრულებებით გერმანიას დაკარგა თავისი ყველა კოლონია, რომლებიც გამარჯვებულ ქვეყნებს გადაეცათ როგორც სამანდატო ტერიტორიები და ფაქტიურად მათ კოლონიებად იქცნენ. ტოგო და კამერუნი გაინაწილეს ინგლისმა და საფრანგეთმა (ძირითადი ნაწილი საფრანგეთს ერგო). სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა (ნამიბია) ბრიტანეთის დომინიონს – სამხრეთ აფრიკის კავშირს გადაეცა. გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის ძირითადი ნაწილი (ტანგანიკა) ინგლისმა მიიღო, მცირე ნაწილი კი (რუანდა და ბურუნდი) ბელგიამ. გერმანიის კუთვნილი კუნძულები წყნარ ოკეანეში ასევე სამანდატო ტერიტორიებად გამოცხადდა. ეკვატორის ჩრდილოეთით მდებარე კუნძულები (კაროლინის, მარიანის, მარშალის) იაპონიას გადაეცა, სამხრეთით მდებარე კუნძულები კი ბრიტანეთის დომინიონებს; კერძოდ ავსტრალიამ ახალი გვინეის გერმანული ნაწილი მიიღო, ახალმა ზელანდიამ კი დასავლეთი სამოა. გერმანიის გავლენის სფეროები ჩინეთში ჯერ იაპონიამ დაისაკუთრა, მაგრამ შემდეგ ჩინეთს დაუბრუნდა.

საკუთრივ ევროპაში გერმანიის ტერიტორია 13%-ით შემცირდა იმ მიწების დაკარგვის გამო, რომელიც ადრე გერმანიამ მეზობელ ქვეყნებს წაართვა. ელზასი და ლოტარინგია დაუბრუნდა საფრანგეთს, ეიპენისა და მელმედის ოლქები ბელგიას, ჩრდილოეთ შლეზვინგი პლებისციტის შედეგად დანიას გადაეცა, პოზნანი, პრუსიის მცირე ნაწილი და ზემო სილუზიის ნაწილი ახლად ჩამოყალიბებულმა პოლონეთის სახელმწიფომ მიიღო, ხოლო კლაიპედა ლიტვამ. გდანსკი (დანცინგი) „თავისუფალ ქალაქად“ გამოცხადდა ერთა ლიგის (ვერსალის ხელშეკრულებით შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს წინამორბედი) კონტროლის ქვეშ. საარის ოლქი 15 წლის ვადით გადაეცა „საერთაშორისო კომისიას“ და შემდეგ

უნდა გადაწყვეტილიყო მისი ტერიტორიული მიკუთვნებულობის საკითხი. ლუქსემბურგი, რომელიც ომამდე გერმანიასთან საბაჟო კავშირში იყო, ომის შემდეგ ბელგიასთან შევიდა ასეთ კავშირში.

მრავალეროვანი ავსტრია-უნგრეთის იმპერია პირველი მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად ნაწილებად დაიშალა. წარმოიქმნა ავსტრიის რესპუბლიკა და უნგრეთის სამეფო (1919 წლიდან რესპუბლიკა), ამასთანავე თითოეული მათგანის ფართობი ომამდელ ფართობთან შედარებით სამჯერ ნაკლები იყო და ფაქტიურად ეთნიკურ საზღვრებს ემთხვეოდა (თუმცა უნგრელებით დასახლებული ვრცელი ტერიტორიები უნგრეთის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა). ავსტრია-უნგრეთის დანარჩენი მინები ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების – ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის და იუგოსლავიის შემადგენლობაში შევიდნენ, ნაწილი კი რუმინეთსა და იტალიის გადაეცა.

ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში შევიდნენ ჩეხეთი, მორავეთი და ჩეხეთის სილეზია ავსტრიიდან, სლოვაკეთი და იმიერკარპატეთის უკრაინა უნგრეთიდან. ავსტრია-უნგრეთის სამხრეთი ოლქები (ბოსნია და ჰერცოგოვინა, ხორვატია, სლოვენია და დალმაცია) გაერთიანდნენ სერბიასთან და ჩერნოგორიასთან და შეიქმნა სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფო (1929 წლიდან იუგოსლავიის სამეფო). ამის გარდა ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა ვოევოდინა (უნგრელებით დასახლებული რეგიონი სერბიის ჩრდილოეთით), ხოლო ბულგარეთისგან მიიღო მაკედონიის ნაწილი. ამგვარად მაკედონიის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი იუგოსლავიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

თითქმის ორჯერ გაიზარდა რუმინეთის ტერიტორია. მის ხელში გადავიდა ტრანსილვანია, ბუკოვინა და ბანატი. რომლებიც ადრე ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში შედიოდნენ. რუმინეთმა შეიერთა ბესარაბიაც (რუსეთის იმპერიის ნაწილი) და დიდ მრავალეროვან სახელმწიფოდ იქცა. იტალიამ ავსტრიისაგან მიიღო სამხრეთი ტიროლი და ისტრიის ნახევარკუნძული (იულის კრაინა). გარდა ამისა იტალიის ხელში გადავიდნენ ადრიატიკის ნავსადგურები ტრიესტი, რიეკა და ზადარი.

ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოებს შორის ყველაზე დიდი, მაგრამ საკმაოდ არამყარი იყო პოლონეთი. იგი აერთიანებდა იმ მიწებს, რომლებიც ომამდე გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის შემადგენლობაში შედიოდნენ. პოლონეთის ხელში აღმოჩნდა დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია, ხოლო დასავლეთ პოლონური მიწების დიდი ნაწილი, ისევე როგორც აღმოსავლეთ პრუსია, გერმანიის შემადგენლობაში დარჩა. აღმოსავლეთ პრუსია გერმანიის დანარჩენი ტერიტორიიდან ვიწრო პოლონური ტერიტორიით იყო გამოყოფილი, რომელიც თავის მხრივ პოლონეთს აკავშირებდა ბალტიის ზღვასთან. (გდანსკი როგორც ითქვა პოლონეთს არ ეკუთვნოდა) პოლონეთმა ხელში ჩაიგდო აგრეთვე ლიტვის ისტორიული დედაქალაქი ვილნიუსი. ამგვარად პოლონეთი მრავალეროვანი ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც უკრაინელებს ხვედრითი წილი მოსახლეობის 1/3-ს აღწევდა.

როგორც ომში დამარცხებულმა ქვეყანამ ბულგარეთმა დაკარგა ტერიტორიის ნაწილი. კერძოდ დასავლეთ თრაკია საბერძნეთმა მიიღო და ამით ბულგარეთს გადაეკეტა პირდაპირი გასასვლელი ეგეოსის ზღვაზე. იუგოსლავიას გადაეცა ბულგარეთის მაკედონიის ნაწილი.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ არსებობა შეწყვიტა ოსმალეთის იმპერიამაც. სევრის ხელშეკრულების თანახმად ოსმალეთი კარგავდა არა მარტო თავის ყველა სამფლობელოს, არამედ საკუთრივ თურქული ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილს. აღმოსავლეთ თრაკია და იზმირი მიმდებარე ტერიტორიით საბერძნეთს უნდა გადაცემოდა. აღმოსავლეთ რაიონებში გათვალისწინებული იყო სომხეთისა და ქურთისტანის სახელმწიფოების შექმნა. თურქეთის ტერიტორიად მხოლოდ მცირე აზიის დასავლეთი და ცენტრალური რაიონები განისაზღვრებოდა. თურქეთში გაჩაღებულმა ეროვნულმა მოძრაობამ, ქემალ ათა თურქის მეთაურობით და მისმა გამარჯვებამ საბერძნეთზე გადაარჩინა თურქეთი სრულ დაშლას. მეტიც, 1921 წელს დადებული რუსეთ-თურქეთის ყარსის ხელშეკრულებით თურქეთმა დაიბრუნა საქართველოს და სომხეთის ის ტერიტორიები, რომელიც მან რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის დროს დაჰკარგა (ბათუმისა და აჭარის გარდა).

რაც შეეხება თურქეთის აზიურ ვასალურ ტერიტორიებს ისინი განაწილებულნი იქნენ ინგლისისა და საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიებად. სირია და ლიბანი საფრანგეთს ერგო, ერაყი, პალესტინა და იორდანია – ინგლისს. ბრიტანეთის ცალკე პროტექტორატად გამოცხადდა კუვეიტი, რომელიც ომამდე ერაყის ნაწილად ითვლებოდა. ორი ტერიტორია – ჰიჯაზი და ჩრდილოეთ იემენი ევროპული ქვეყნების მანდატის ქვეშ არ მოხვედრილან. ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქნენ აღიარებული. ჩრდილოეთ იემენმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. ჰიჯაზი კი შეერთებული იქნა ნეჯდის სახელმწიფოსთან, რომელიც ადრევე დამოუკიდებელი იყო და არაბეთის ნახევარკუნძულის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებს მოიცავდა. ახლად შექმნილ სახელმწიფოს ნეჯდის სულთანის იბნ-საუდის სახელის მიხედვით საუდის არაბეთი ეწოდა.

ამ პირველ დამოუკიდებელ არაბულ სახელმწიფოებს 1922 წელს მიემატა ეგვიპტეც, თუმცა ინგლისის გავლენა აქ ძალზე ძლიერი იყო. 1934 წელს ბრიტანეთმა მოხსნა მანდატი ერაყზე და ეს არაბული ქვეყანაც ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

პირველი მსოფლიო ომის შედეგების გარდა მსოფლიო პოლიტიკური რუკის ცვლილებაზე დიდი როლი შეასრულა იმპერიის დამხობამ და ბოლშევიკურმა რევოლუციამ რუსეთში. უკვე 1917 წლის დეკემბერში ფინეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა. 1918 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვეს ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, საქართველომ, აზერბაიჯანმა, სომხეთმა. შეიქმნა ეროვნული მთავრობები უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში და შუა აზიაში. მაგრამ ბოლშევიკურმა რუსეთმა სამხედრო ძალით სცადა ახლადჩამოყალიბებული ეროვნული სახელმწიფოების გასაბჭოება და მათი შეერთება. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და ფინეთმა შეძლეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება, სხვა რესპუბლიკები და ხალხები კი კვლავ ოკუპირებული და ანექსირებულნი აღმოჩნდნენ. 1922 წლის დეკემბერში შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელშიც თავდაპირველად ოთხი სუბიექტი შევიდა – რსფსრ, უკრაინა, ბელორუსია და ამიერკავკასიის ფედერაცია. 1924 წელს მათ მიემატათ უზბეკეთის და თურქმენეთის, ხოლო 1929 წელს ტაჯიკეთის რესპუბლიკები. 1936 წლის კონ-

სტიტუციით ყაზახეთი და ყირგიზეთი, რომლებიც მანამდე რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკები იყვნენ მოკავშირე რესპუბლიკებად გარდაიქმნენ, ხოლო ამიერკავკასიის ფედერაცია გაუქმდა და საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი უშუალოდ შევიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამგვარად 1936 წლისათვის სსრკ-ს შედგენილი რესპუბლიკების რაოდენობამ თერთმეტს მიაღწია.

მეორე ქვეყანა, სადაც სოციალისტური წყობა დამკვიდრდა იყო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც ფაქტიურად საბჭოთა კავშირის დანამატს წარმოადგენდა.

20-30-იანი წლების მიჯნაზე მსოფლიო მოიცვა დიდმა ეკონომიკურმა კრიზისმა. ამასთანავე ომისშემდგომი მსოფლიო მოწყობის ვერსალის მოდელმა ბევრი ისეთი წინააღმდეგობა შექმნა, რომლის გადაჭრაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ასეთ პირობებში ზოგიერთ ქვეყანაში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა უკიდურესად რეაქციული ნაციონალისტურ-მილიტარისტული, ტოტალიტარული რეჟიმების გამარჯვებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა ნაციზმის გამარჯვება გერმანიაში და სახელმწიფოს სათავეში ჰიტლერის მოსვლა. ასევე საშიში მოვლენა იყო მილიტარისტული და ნაციონალისტური სულისკვეთების სწრაფი ზრდა იაპონიაში და მუსოლინის ფაშისტური რეჟიმის განმტკიცება იტალიაში. სწორედ ეს სახელმწიფოები მოგვევლინენ მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებლად.

მეორე მსოფლიო ომის პირველი კერა შორეულ აღმოსავლეთში გამოიკვეთა. 1931 წელს იაპონია თავს დაესხა ჩინეთს და წაართვა მას მანჯურია და შიდა მონღოლეთის ნაწილი. ამ ტერიტორიაზე შეიქმნა მარიონეტული სახელმწიფო „მანჯოუ-გო“ ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორის პუ ის მეთაურობით. 1937 წელს იაპონია შეიჭრა ჩინეთის სხვა რაიონებშიც და სასტიკი ომი გააჩაღა. იაპონიის ხელში აღმოჩნდა ჩინეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი რაიონები და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები.

1935 წელს იტალია თავს დაესხა ეთიოპიას (აბისინიას) და 1936 წელს დაიმორჩილა იგი. ამ დროსვე ხდება გერმანიის და იტალიის დაახლოება („ღერძი ბერლინი-რომი“) და ორივე მათგანის დაახლოება იაპონიასთან.

გერმანიის სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ გერმანია იწებს დაჩქარებულ შეიარაღებას. 1935 წელს იღებს კანონს საყოველთაო სამხედრო სამსახურის შესახებ, ხოლო 1936 წელს ჯარები შეიყვანა რაინის დემილიტარიზებულ ზონაში, რითაც დაარღვია ვერსალის ხელშეკრულების პირობები. 1936 წელს გერმანიის და იტალიის ხელშეწყობით ესპანეთში მოხდა სამხედრო ამბოხება, რასაც სამწლიანი სამოქალაქო ომი მოჰყვა და ფრანკოს პროფაშისტური რეჟიმის გამარჯვებით დასრულდა.

1938 წლიდან გერმანია იწყებს ტერიტორიულ ექსპანსიას. 1938 წლის მარტში იგი უომრად იერთებს ავსტრიას (ანშლუსი), იმავე წლის ოქტომბერში ინგლისისა და საფრანგეთის თანხმობით ჩეხოსლოვაკიას წაგლიჯა მისი დასავლეთი ოლქები – სუდეტები, ხოლო 1939 წლის მარტში ბოლოს უღებს ერთიანი ჩეხოსლოვაკიის არსებობას. ჩეხეთი გამოცხადდა გერმანიის პროტექტორატად ბოჰემიის სახელწოდებით. ხოლო სლოვაკეთის დიდ ნაწილზე შეიქმნა სლოვაკეთის „დამოუკიდებელი" სახელმწიფო, რომელიც ფაქტიურად გერმანიის მარიონეტს წარმოადგენდა. სლოვაკეთის დანარჩენი ნაწილი უნგრეთმა და პოლონეთმა მიიღეს. ლიტვისაგან გერმანიამ მიისაკუთრა მემელის ოლქი. ამავე პერიოდში იტალიამ დაიმორჩილა ალბანეთი.

1939 წლის აგვისტოში დაიდო თავდაუსხმელობის პაქტი საბჭოთა კაშირსა და გერმანიას შორის. რომლის დამატებით საიდუმლო ხელშეკრულებით (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი) საბჭოთა კავშირმა და გერმანიამ გავლენის სფეროები გაიყვეს და ერთმანეთს თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცეს.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. ინგლისმა და საფრანგეთმა როგორც პოლონეთის სუვერენიტეტის გარანტებმა ომი გამოუცხადეს გერმანიას, მაგრამ რეალური წინაღმდეგობა არ გაუწევიათ. ადვილად დაიმორჩილა რა პოლონეთი 1940 წლის გაზაფხულ-ზაფხულში გერმანიამ დაიკავა დანია, ნორვეგია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი, 1940 წლის ივნისში კაპიტულაცია მოახდინა საფრანგეთმა. 1941 წლის გაზაფხულზე გერმანიამ დაიკავა საბერძნეთი და იუგოსლავია. (ამ უკანასკნელში მას ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა). 1940-41 წლებში გერმანია ინ-

ტენსიურად ბომბავდა ინგლისის ქალაქებს, თუმცა შეჭრა ბრიტანეთის კუნძულებზე ვერ გაბედა.

პარალელურად 1939-1940 წლებში საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვნად გაიფართოვა თავისი საზღვრები. პოლონეთზე გერმანიის თავდასხმისთანავე 1939 წლის სექტემბერში საბჭოთა ჯარებმა გადალახეს პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი და საბჭოთა კავშირს შეუერთეს დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ვრცელი ტერიტორიები. 1940 წელს საბჭოთა კავშირმა თავის შემადგენლობაში შეიყვანა ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რომლებსაც მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სტატუსი მიენიჭათ. იმავე წელს საბჭოთა კავშირმა აიძულა რუმინეთი გადმოეცა ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა. პირველ მათგანს შეუერთდა უკრაინის შემადგენლობაში მყოფი მოლდავეთის ასსრ (დღევანდელი დნესტრიისპირეთი) და შეიქმნა მოლდავეთის მოკავშირე რესპუბლიკა. ჩრდილოეთ ბუკოვინა კი (ჩერნოვცის ოლქი) უშუალოდ შევიდა უკრაინის სსრ-ს შემადგენლობაში. ამგვარად მოკავშირე რესპუბლიკების რიცხვმა 15-ს მიაღწია. ამ იოლი გამარჯვებებისაგან განსხვავებით სსრკ-ფინეთის ომმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო საბჭოთა კავშირისათვის. ის მცირე ტერიტორიული შენამატები რომელიც მან მიიღო ფინეთისაგან, უმნიშვნელო იყო იმ მიზანთან შედარებით რასაც იგი ისახავდა. ფინეთმა არა მარტო შეინარჩუნა სრული დამოუკიდებლობა არამედ სერიოზული დანაკლისიც განაცდევინა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის ჯარებს.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. იმავე წლის დეკემბერში იაპონიამ დაბომბა აშშ-ის სამხედრო ბაზები ჰავაის კუნძულებზე. აშშ ჩაება ომში იაპონიასთან, რის საპასუხოდაც გერმანიამ და იტალიამ ომი გამოუცხადეს ამერიკას. თავის მხრივ ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობამ გერმანიას და იაპონიას გამოუცხადა ომი. ამგვარად ომმა მოიცვა მთელი მსოფლიო, თუმცა სხვადასხვა ქვეყნების მონაწილეობის მასშტაბები ძალიან განსხვავდებოდა. გერმანიის მხარეზე გარდა იტალიისა და იაპონიისა გამოდიოდნენ ფინეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი. თურქეთი ლოდინის პოლიტიკას ადგა და მხოლოდ 1945 წლის გაზაფხულზე გამოუცხადა ომი გერმანიას. ესპანეთი და პორტუგალია თანამშრომლობდნენ გერმანიასთან, მაგრამ ომში არ

ჩაბმულან. შვედეთი, შვეიცარია და ირლანდია (ეს ქვეყანა 1921 გამოეყო დიდ ბრიტანეთს და დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა) ნეიტრალიტეტს იცავდნენ.

მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირ-ამერიკა-ინგლისის კოალიციის სრული გამარჯვებით დამთავრდა. 1945 წლის 8 მაისს გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას, 2 სექტემბერს თავი დამარცხებულად ცნო იაპონიამ. გამარჯვებული სახელმწიფოების მეთაურთა იალტისა და პოტსდამის შეხვედრებზე დამტკიცდა ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის ძირითადი პრინციპები.

გერმანიის ტერიტორია მნიშვნელოვნად შემცირდა. ლიკვიდირებული იქნა აღმოსავლეთ პრუსია. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ქალაქ კენიგსბერგის ჩათვლით გადაეცა საბჭოთა კავშირს და დღეს რუსეთის კალინინგრადის ოლქის სახელითაა ცნობილი. მცირე ნაწილი კი პოლონეთის ხელში გადავიდა. პოლონეთმა ასევე მიიღო მისგან დასავლეთით მდებარე მიწები, რომლებიც ომამდე გერმანიას ეკუთვნოდა. გერმანია-პოლონეთის საზღვრად მდინარეები ოდერი და ნეისე დამტკიცდა. დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია საბჭოთა კავშირს დარჩა. ამგვარად პოლონეთის ტერიტორიამ ომამდელთან შედარებით დასავლეთით გადაინია. იმერკარპატეთის უკრაინა ასევე საბჭოთა კავშირმა, კერძოდ უკრაინის რესპუბლიკამ მიიღო. ფინეთისაგან საბჭოთა კავშირს გადაეცა პეჩენგის რაიონი ბარენცის ზღვაზე და ამით იგი უშუალოდ დაუმეზობლდა ნორვეგიას. ამ ტერიტორიულ ცვლილებებს მოსახლეობის დიდი მასების გადასახლებები ახლდა თან.

გარკვეული ტერიტორიული ცვლილებები განიცადა იტალიამაც. ისტრიის ნახევარკუნძული იუგოსლავიას გადაეცა (თუმცა ქ. ტრიესტი იტალიას დარჩა). საფრანგეთის სასარგებლოდ შესწორდა იტალია-საფრანგეთის საზღვარი ალპებში. დოდეკანოზის კუნძულები გადაეცა საბერძნეთს.

გერმანია და ავსტრია (აგრეთვე გერმანიის დედაქალაქი ბერლინი) დაიყო ოთხ საოკუპაციო ზონად (საბჭოთა, ამერიკული, ინგლისური და ფრანგული) გეგმა ითვალისწინებდა გერმანიის (ასევე ავსტრიის) ერთიან სახელმწიფოდ დარჩენას, რომელიც აღარასოდეს შეუქმნიდა საფრთხეს მშვიდობას.

მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად იაპონიამ დაკარგა არა მარტო ომის დროს დაპყრობილი ტერიტორიები (ჩინეთში და ინდოჩინეთში), არამედ ადრე მითვისებული მიწებიც. საბჭოთა კავშირს დაუბრუნდა სამხრეთ სახალინი და მთელი კურილიის კუნძულები. იაპონიას გამოეყო კორეა. მარიანის, მარშალის და კაროლინის კუნძულები აშშ-ის სამეურვეო ტერიტორიებად იქცნენ. კუნძულ ოკინავაზე აშშ-ის სამხედრო ბაზები დაფუძნდა.

1944 წლის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა ტუვა.

იალტა-პოტსდამის შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებით შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის უმაღლესი ზესახელმწიფოებრივი საერთაშორისო ორგანიზაცია.

1.6.2. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი (1945 წლიდან დღემდე)

ამ პერიოდის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის არნახული დაჩქარება. რამაც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია გამოიწვია. სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ კი გამოიწვია საწარმოო ძალების თვისობრივი გარდაქმნა. მკვეთრად გაიზარდა სამეცნიერო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესი. წარმოებაში ძირეული ცვლილებებმა გამოიწვია ძვრები მსოფლიო მოსახლეობაში. ამ ძვრების ძირითადი ნიშნებია მოსახლეობის რაოდენობის დაჩქარებული ზრდა, რამაც „დემოგრაფიული აფეთქების" სახელი მიიღო, ურბანიზაციის პროცესის ფართო გავრცელება, ცვლილებები დასაქმების სტრუქტურაში და ეთნიკური პროცესების განვითარება.

მიუხედავად ამ პროგრესული საერთო-საყოველთაო ტენდენციებისა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდი დაძაბულობების და დაპირისპირებების ხანაა, რაც მსოფლიოს ორ სისტემად გათიშვამ გამოიწვია. მსოფლიო სოციალიტური სისტემის შექმნამ უაღრესად გაართულა საერთაშორისო ურთიერთობები და ბევრჯერ დააყენა მსოფლიო ახალი დიდი ომის წინაშე. მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისიდან შენელდა დაძაბულობა. დამთავრდა ცივი ომი და მესამე მსოფლიო ომის საშიშროებამ საგრძნობლად იკლო. ყოველივე ეს სოცია-

ლისტური სისტემის რღვევამ და ამ სისტემის უარმყოფელი ქვეყნების დემოკრატიზაციის შედეგია.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკური რუკისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი არა იმდენად ტერიტორიული ცვლილებებია, რამდენადაც თვით სახელმწიფოთა პოლიტიკური სტატუსის, მმართველობის ფორმებისა და სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში მომხდარი გარდაქმნები.

ორი მთავარი ნიშანი, რომელიც ახასიათებს ომისშემდგომ პოლიტიკურ რუკას არის მსოფლიოს სოციალისტური სისტემის შექმნა და კოლონიალიზმის როგორც სისტემის რღვევა;

ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ და საბჭოთა ჯარების მიერ აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების განთავისუფლებამ გერმანული ნაცისტებისა და ადგილობრივი ფაშისტური რეჟიმებისაგან, საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს ამ ქვეყნებში მდგომი თავისი ჯარების იმედით და ადგილობრივ კომუნისტებზე დაყრდნობით დაემყარებინა კომუნისტური რეჟიმები. ასე აღმოჩნდნენ სოციალიტურ ბანაკში პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია და ალბანეთი (ორ უკანასკნელში საბჭოთა კავშირის როლი შედარებით ნაკლები იყო, რადგან ადგილობრივ კომუნისტებს, რომლებიც სათავეში ედგნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, საერთო მხარდაჭერა ჰქონდათ ხალხში). 1949 წელს გერმანიის საბჭოთა საოკუპაციო ზონის ტერიტორიაზე შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კომუნისტური რეჟიმით. დასავლეთის სამი სახელმწიფოს საოკუპაციო ზონის ტერიტორიები გაერთიანდნენ და შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპულიკა. ამგვარად გერმანია ორ ნაწილად იქნა გაყოფილი და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში მყოფ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ქვეყნებად იქცნენ. ორად გაყოფილი აღმოჩნდა ბერლინიც. აღმოსავლეთ ბერლინი გდრ-ის დედაქალაქად გამოცხადდა, დასავლეთ ბერლინს კი განსაკუთრებული სტატუსი მიეცა და ოფიციალურად გფრ-ის ნაწილად არ ითვლებოდა. გერმანიისაგან განსხვავებით ავსტრია გადაურჩა დაყოფას და 1955 წელს საოკუპაციო ჯარებმა ეს ქვეყანა დატოვეს. იგი ერთიან და ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ამგვარად 1945-49 წლებში ევროპაში რვა სოციალისტური სახელმწიფო ჩამოყალიბდა.

ამავე პერიოდში კომუნისტური რეჟიმები იმარჯვებენ აზიის ზოგიერთ ქვეყნებში, სადაც ომამდე ასეთი რეჟიმი მხოლოდ ერთ სახელმწიფოში – მონღოლეთში იყო.

იაპონელებისაგან ჩინეთის განთავისუფლები შემდეგ ამ ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო, სადაც ერთმანეთის წინააღმდეგ მმართველი პარტიის – გომინდანის და კომუნისტების მომხრეები გამოვიდნენ. სამწლიანი ბრძოლის შემდეგ კომუნისტებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს. 1949 წლის ოქტომბერში გამოცხადდა ჩინეთის სახალხო პრესპუბლიკა, რომლის იურისდიქცია 1951 წელს ტიბეტზეც გავრცელდა და იგი ჩინეთის ავტონომიურ ერთეულად იქცა. გომინდანის მთავრობამ ძალაუფლება მხოლოდ ტაივანზე შეინარჩუნა და დღემდე იქ მმართველი ძალაა. ტაივანი არ შედის ჩინეთის სახალხო რესპულიკის შემადგენლობაში და ცალკე ე.წ. ჩინეთის რესპუბლიკის სახელით იწოდება, თუმცა ოფიციალურად მას თითქმის არც ერთი ქვეყანა არ სცნობს და მასთან მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებით შემოიფარგლებიან.

კორეის განთავისუფლების შემდეგ მის ტერიტორიაზე ორი საოკუპაციო ზონა შეიქმნა. ჩრდილოეთი – საბჭოთა და სამხრეთი – ამერიკის. შესაბამისად ჩრდილოეთში კომუნისტური, პროსაბჭოთა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპულიკა ჩამოყალიბდა, სამხრეთში კი პროამერიკული კორეის რესპულიკა. ამ ორ კორეულ სახელმწიფოს შორის 1950-53 წლებში სასტიკი ომი მიმდინარეობდა. ფაქტიურად ეს ორი რეჟიმის, ორი სისტემის ბრძოლა იყო. ომს შედეგი არ მოუტანია. ქვეყანა კვლავ გაყოფილი დარჩა და ეს მდგომარეობა დღემდე უცვლელია. ჩრდილოეთ კორეა დღესაც კომუნისტური რეჟიმის ყველაზე აშკარა წარმომადგენელია მსოფლიოში.

ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ პერიოდში ვიეტნამის ჩრდილოეთ ნაწილში შეიქმნა კომუნისტური რეჟიმის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. საფრანგეთმა სცადა აღედგინა თავისი კოლონიური სამფლობელო, მაგრამ 1954 წელს იძულებული გახდა შეწყვიტა საომარი მოქმედება. ვიეტნამის ტერიტორიაზე, ორი სახელმწიფო შეიქმნა – კომუნისტური ვდრ და სამხრეთ ვიეტნამი, სადაც აშშ-ის გავლენა ძალიან დიდი იყო. 60-70-იან

წლების ხანგრძლივი ომი, რომელსაც აშშ აწარმოებდა ვიეტნამის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. 1976 წელს ვიეტნამი გაერთიანდა და შეიქნა ვიეტნამის სოციალისტური რესპულიკა. იმავე პერიოდში კომუნისტური რეჟიმი დამკვიდრდა ლაოსის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1959 წელს კომუნისტურმა რეჟიმმა გაიმარჯვა კუბაში და ეს ქვეყანა პირველ სოციალისტურ სახელმწიფოდ იქცა ლათინურ ამერიკაში.

ამგვარად სოციალისტური ქვეყნების რაოდენობამ მსოფლიოში 15-ს მიაღწია (8 ევროპაში, 5 აზიაში, ერთი ლათინურ ამერიკაში და თვითონ საბჭოთა კავშირი). ამ ქვეყნების უმრავლესობა გაერთიანებული იყო ეკონომიკურ (ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო) და პოლიტიკურ (ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია) კავშირებში, სადაც საბჭოთა კავშირის უპირატესობა და პრიორიტეტი აშკარა იყო.

კიდევ უფრო სერიოზული ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე შეიტანა მასობრივმა დეკოლონიზაციის პროცესმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო და დღეს უკვე ფაქტიურად დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს.

დამოუკიდებლობა პირველებმა აზიის იმ სახელმწიფოებმა მოიპოვეს, რომელთაც ასე თუ ისე ჰქონდათ სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილება და მეტნაკლებად მზად იყვ-ენ ამ მოვლენისათვის. 1945 წელს დამოუკიდებელი ხდება ინდონეზია, 1946 წელს ფილიპინები. 1947 წელს ბრიტანეთის უდიდესი კოლონია ინდოეთი ხდება თავისუფალი, მაგრამ რელიგიური პრინციპით იყოფა ორ სახელმწიფოდ – ინდოეთად (სადაც მოსახლეობის 85%-ზე მეტი ინდუიზმის მიმდევარია) და პაკისტანად (მუსლიმანების ხვედრითი წილის დიდი უპირატესობით). 1950 წელს ინდოეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. თავის მხრივ პაკისტანი ორ, ერთმანეთისგან მოწყვეტილ ტერიტორიას – დასავლეთ პაკისტანს და აღმოსავლეთ პაკისტანს აერთიანებდა, რაც დიდ პრობლემებს ქმნიდა. 1971 წელს აღმოსავლეთ პაკისტანი დამოუკიდებელ ბანგლადეშის რესპუბლიკად გამოცხადდა. 1948 წელს დამოუკიდებლობას იღებს ცეილონი ბრიტანეთის დომინიონის სტატუსით, ხოლო 1972 წლიდან შრი-ლანკის რესპუბლიკად გარდაიქმნა. 1948

წელს დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა ბირმა (მიანმა), ხოლო 50-იანი წლების დასაწყისში ინდოჩინეთისა და მალაკის ნახევარკუნძულის ქვეყნები ლაოსი, კამბოჯა, მალაია. 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში განთავისუფლებული ბრიტანეთის კოლონიები სინგაპური, საბახი და სარავაკი (ჩრდილოეთ ბორნეოზე) 1963 წელს გაერთიანდნენ მალაიასთან და შექმნეს მალაიზიის ფედერაცია. 1965 წელს სინგაპური გამოვიდა ფედერაციიდან და ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

40-იანი წლების მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ რუკაზეც. 1944 წელს მოიხსნა საფრანგეთის მანდატი სირიასა და ლიბანზე, ხოლო 1946 წელს ამ ქვეყნებმა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს (ესენი იყვნენ პირველი არაბული რესპუბლიკები).

ომის შემდეგ გაუქმდა ბრიტანეთის მანდატი იორდანიასა და პალესტინაზე. იორდანია დამოუკიდებელ სამეფოდ გამოცხადდა. პალესტინის ტერიტორიაზე კი გაეროს 1947 წლის ნოემბრის რეზოლუციით უნდა შექმნილიყო ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო – არაბული და ებრაული. პალესტინის ებრაული სახელმწიფო – ისრაელი 1948 წლის მაისში გამოცხადდა. მაგრამ მაშინვე მის წინააღმდეგ არაბული ქვეყნების აგრესია განხორციელდა. ისრაელმა არა მარტო შეძლო დამოუკიდებლობისა და საკუთარი ტერიტორიის შენარჩუნება, არამედ საგრძნობლად გაიფართოვა ტერიტორიები პალესტინის არაბული სახელმწიფოსათვის განკუთვნილი მიწების ხარჯზე. პალესტინის დანარჩენ ტერიტორიას ეგვიპტე და იორდანია დაეუფლა. ამგვარად პალესტინის სახელმწიფოს შექმნა არ მოხერხდა, რამაც ახლო აღმოსავლეთი პერმანენტური ომის კერად აქცია. 1967 წლის ისრაელ-არაბების ომის შემდეგ ისრაელი დაეუფლა მთელ პალესტინას, აგრეთვე სირიის კუთვნილ გოლანის მაღლობებს და ეგვიპტის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ნაწილს – სინას ნახევარკუნძულს. 70-იანი წლების ბოლოს ეგვიპტესთან მოლაპარაკების შემდეგ ისრაელმა მას დაუბრუნა წართმეული ტერიტორიები, ხოლო 1994 წელს დათანმდა ავტონომია მიენიჭებინა ღაზისა და იერიქონის სექტორებისათვის, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას პალესტინელი არაბები შეადგენენ. როგორც ჩანს პალესტი-

ნის არაბული სახელმწიფოს შექმნა რეალობად იქცა. ერთადერთი რის დათმობასაც ისრაელი არ აპირებს (გაეროს რეზოლუციის მიუხედავად) ეს ქალაქი იერუსალიმია, რომელიც ამჟამად ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქად არის გამოცხადებული.

50-იანი წლებიდან იწყება დეკოლონიზაციის პროცესი აფრიკაში. 1950 წლისთვის აქ სულ ოთხი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო: – ეთიოპია, ლიბერია, ეგვიპტე და სამხრეთ აფრიკის კავშირი (ბრიტანეთის დომინიონი). 1951 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა ლიბიამ, 1952 წელს ერიტრეამ, რომელიც ეთიოპიასთან გაერთიანდა. (1994 წლიდან კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფოა) სომალიზე დამყარდა გაეროს კონტროლი იტალიის მანდატის სახით, ხოლო 1960 წელს ამ ქვეყანამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1956 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა სუდანმა. იმავე წელს საფრანგეთი იძულებული გახდა ეცნო მაროკოსა და ტუნისის დამოუკიდებლობა. (თავის მხრივ ესპანეთმაც აღიარა ესპანეთის მაროკოს დამოუკიდებლობა და ერთიანი მაროკოს სამეფო აღსდგა). გაცილებით რთული სიტუაცია შეიქმნა ალჟირში, სადაც 1954 წლიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი მიმდინარეობდა. მხოლოდ 1962 წელს ცნო საფრანგეთმა ალჟირის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1957 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა შავი აფრიკის პირველმა კოლონიურმა ქვეყანამ – ოქროს ნაპირმა (განამ), ხოლო 1958 წელს შავი აფრიკის პირველმა ფრანგულმა კოლონიამ – გვინეამ.

1960 წელი აფრიკის წლად ითვლება. იმ წელს აფრიკის 17 ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რომელთა აბსოლუტური ურავლესობა საფრანგეთის კოლონია იყო.

60-იანი წლებიდან დეკოლონიზაციის პროცესი დაიწყო აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაშიც. დამოუკიდებლობა მოიპოვეს ბელგიის კოლონიებმა კონგომ (ზაირმა), რუანდამ და ბურუნდიმ, ბრიტანეთის კოლონიებმა კენიამ, მალავიმ, ჩრდილოეთ როდეზიამ (ზამბია), ბოტსვანამ, ლესოტომ, სვაზილენდმა, ტანგანიკამ და ზანზიბარმა (ეს ორი უკანასკნელი გაერთიანდა და შექმნა ტანზანიის რესპუბლიკა). 1965 წელს დამოუკიდებელი ხდება სამხრეთ როდეზია, მაგრამ ამ ქვეყანაში დამყარებული აპარტეიდული რეჟიმის გამო იგი არ იქნა ცნო-

ბილი მსოფლიო საზოგადოების მიერ. 1980 წელს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით პრობლემა გადაიჭრა და შეიქმნა ზიმბაბვეს რესპუბლიკა. 60-იანი წლების მეორე ნახევარში დამოუკიდებლობა მოიპოვეს ესპანეთის კოლონიამ ეკვატორულმა გვინეამ და აფრიკის აღმოსავლეთით მდებარე ბრიტანეთის კუნძულოვანმა კოლონიებმა (მავრიკი, სეიშელი).

70-იანი წლების დასაწყისისთვის ერთადერთი ქვეყანა რომელმაც ვრცელი კოლონიები შეინარჩუნა აფრიკაში იყო პორტუგალია. 1974 წლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ როცა ამ ქვეყანაში დაემხო ტოტალიტარული რეჟიმი, დამოუკიდებლობა მოიპოვეს მისმა კოლონიებმა – ანგოლამ, მოზამბიკმა, გვინეა-ბისაუმ, მწვანე კონცხის კუნძულებმა, სან-ტომესა და პრინსიპის კუნძულებმა. 70-იანი წლების მეორე ნახევარში დამოუკიდებელნი გახდნენ საფრანგეთის უკანასკნელი კოლონიები აფრიკაში – ჯიბუტი (საფრანგეთს სომალი) და კომორის კუნძულები. დასავლეთ საჰარა, რომელიც ესპანეთმა 1976 წელს დატოვა, მაროკომ შეიერთა, თუმცა მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა ამას არ სცნობს.

80-იან წლებში აფრიკის კონტინენტზე ერთადერთ კოლონიად (თუ არ ჩავთვლით მაროკოს სანაპიროზე ესპანეთის კუთვნილ ქალაქებს სეუტას და მელილიას) რჩებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის (1960 წელს სამხრეთ აფრიკის გამოვიდა ბრიტანეთის თანამეგობრობისაგან და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკად გამოცხადდა) მიერ ოკუპირებული ნამიბია. 1989 წელს ნამიბიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებით შეიძლება ითქვას, რომ დეკოლონიზაციის პროცესი აფრიკის კონტინენტზე დასრულდა.

რაც შეეხება აზიას, აქ დამოკიდებული ქვეყნების უმრავლესობა 40-50-იან წლებში განთავისუფლდა. 60-იან წლებში დამოუკიდებლობა მოიპოვეს არაბეთის ნახევარკუნძულისა და სპარსეთის უბის სანაპიროს ბრიტანეთის არაბულმა პროტექტორატებმა – ადენმა (1963 წელს გამოცხადდა სამხრეთ იემენის დემოკრატიულ რესპუბლიკად, ხოლო 1990 წელს შეუერთდა ჩრდილოეთ იემენს და შეიქმნა ერთიანი იემენის რესპუბლიკა), კუვეიტმა, ომანმა, კატარმა, ბაჰრეინმა, ხელშეკრულებითმა ომანმა. ამ უკანასკნელში შემავალი შვიდი ემირატი 1971 წელს გაერთიანდნენ და შექმნეს ფედერაციული სახელმწიფო – არაბთა გაერთიანებული საემიროები. 1968

წელს დამოუკიდებელი გახდა მალდივის რესპუბლიკა, 1971 წელს ბუტანი ხოლო 1984 წელს ბრუნეის სულთანატი. ბრიტანეთის კოლონია ჰონგკონგი 1997 წელს ჩინეთს დაუბრუნდა. ამგვარად აზიაში კოლონიები პრაქტიკულად აღარ დარჩა.

ლათინურ ამერიკაში ქვეყნების უმრავლესობამ დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში მოიპოვეს. 60-იანი წლების დასაწყისისათვის კოლონიურ სამფლობელოებს ინგლისის, საფრანგეთის და ჰოლანდიის პატარ-პატარა, ძირითადად კუნძულოვანი ტერიტორიები წარმოადგენდნენ. 60-იან წლებში განთავისუფლდნენ ბრიტანეთის გვიანა (გაიანა) და ჰოლანდიის გვიანა (სურინამი), აგრეთვე ინგლისის კოლონიები იამაიკა, ტრინიდადი და ტობაგო, ბარბადოსი, ხოლო 70-იან წლებში, გრენადა, სენტ-ლუსია, ანტიგუა და ბარბუდა, სენტ-კრისტოფერი და ნევის-ანგილია, დომინიკა, სენტ-ვინსენტი და გრენადინი, ბაჰამის კუნძულები. დეკოლონიზაციის პროცესი არ შეხებია საფრანგეთის სამფლობელოებს. საფრანგეთის გვიანა, მარტინიკა და გვადელუპა საფრანგეთის ზღვისგაღმა დეპარტამენტებად რჩება.

ყველაზე გვიან დეკოლონიზაცია ოკეანეთში განხორციელდა. 60-იან წლებში წარმოიშვნენ პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოები – დასავლეთ სამოა, ნაურუ, ტონგა, 70-იან წლებში მათ მიემატა ფიჯი, პაპუა - ახალი გვინეა, ხოლო 80-იან წლებში სოლომონის კუნძულები, ვანუატუ (ახალი ჰებრიდის კუნძულები), კირიბატი (გილბერტის კუნძულები), ტუვალუ (ელისის კუნძულები). 90-იან წლებში კი დამოუკიდებლები გახდნენ მარშალის კუნძულები, პალაუ და მიკრონეზიის ფედერალური შტატები) ჯერჯერობით დამოკიდებულ ტერიტორიებს ინარჩუნებენ აშშ (აღმოსავლეთ სამოა, მიკრონეზიის ნაწილი, კერძოდ მარიანის კუნძულები), საფრანგეთი (ახალი კალედონია, საფრანგეთის პოლინეზია) და ახალი ზელანდია (კუკის კუნძულები).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკური რუკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია აგრეთვე ცვლილებები სახელმწიფოთა მმართველობის ფორმებში. კერძოდ მონარქიული წყობა რესპუბლიკური მმართველობით შეიცვალა ეგვიპტეში, ერაყში, ირანში, ავღანეთში, ლიბიაში, ლაოსში, საბერძნეთში და ა.შ;

მაინც ძირითადი ნიშანი მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პოლიტიკური რუკის ფორმირებაში იყო დაპირისპირება „დასავლეთი-აღმოსავლეთი“ ანუ ის რასაც საბჭოთა კავშირში სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ხოლო დასავლეთში ტოტალიტარიზმსა და დემოკრატიას შორის დაპირისპირებად მიიჩნევდნენ.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. საბჭოთა კავშირის ახალი ხელისუფლების მიერ გატარებული იქნა „პერესტროიკის“ კურსი, რომელიც ქვეყნის დემოკრატიზაციასა და ეკონომიკის ლიბერალიზაციას გულისხმობდა. ამ კურსმა გამოიწვია ისეთი მასშტაბის პოლიტიკური ცვლილებები, რომ თამამად შეიძლება ითქვას; 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში კაცობრიობის ისტორია შევიდა ახალ პერიოდში, რომელიც თავის შინაარსით მკვეთრად განსხვავდება 40-80-იანი წლების პერიოდისაგან.

ამ ახალი პერიოდის ძირითადი ნიშანია, რომ მოიშალა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რამაც ფაქტიურად მოსპო დაპირისპირება „დასავლეთი-აღმოსავლეთი“ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების დიდი უმრავლესობა გადავიდა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე, მრავალპარტიულ სისტემაზე, სიტყვის თავისუფლებაზე და სხვა დემოკრატიულ ღირებულებებზე. ასეთმა მდგომარეობამ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო პოლიტიკა – დაიშალა ვარშავის ხელშეკრულების კავშირი და გაუქმდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო. საბჭოთა კავშირმა გამოიყვანა თავისი ჯარები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, რაც თავისი მნიშვნელობით უნიკალურ მოვლენას შეიძლება შევადაროთ. აღნიშნულმა პირობებმა რეალური გახადა გერმანიის გაერთიანება. 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის ერთიანი სახელმწიფო აღდგა ამგვარად მესამე მსოფლიო ომის გარეშე მოხერხდა აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლება კომუნისტური რეჟიმისაგან და გერმანიის გაერთიანება.

დემოკრატიზაციის პროცესმა გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმ ხალხებს შორის, რომლებიც ძალდატანებით იყვნენ გაერთიანებული ხელოვნურად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებში. ასეთი სახელმწიფოების შენარჩუნება უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა.

1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთმა, უკრაინამ და ბელორუსიამ, როგორც საბჭოთა კავშირის დამფუძნებელმა რესპუბლიკებმა გამოაცხადეს საბჭოთა კავშირის დაშლა და რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად ჩამოყალიბება. იმავე წლის 21 დეკემბერს ალმა-ატაში საბჭოთა კავშირის დაშლა ოფიციალურად იქნა აღიარებული მისი შემადგენელი 11 რესპუბლიკის მიერ, რომლებმაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) დაარსების ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. საქართველოს რესპუბლიკა ამ ხელშეკრულებას მოგვიანებით, 1993 წლის ოქტომბერში შეუერთდა. რაც შეეხება ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს მათ დამოუკიდებლობა ცოტა ადრე 1991 წლის აგვისტოში მოიპოვეს და დსთ-ს შემადგენლობაში არ შესულან. ამგვარად ერთი საბჭოთა კავშირის ნაცვლად თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიქმნა.

1991-92 წლების მიჯნაზე დაიშალა იუგოსლავიის სახელმწიფოც. დამოუკიდებლობა მოიპოვეს სლოვენიამ, ხორვატიამ, ბოსნია-ჰერცოგოვინამ და მაკედონიამ. რაც შეეხება სერბიასა და ჩერნოგორიას მათ შეინარჩუნეს კავშირი და მცირე იუგოსლავიის სახელწოდებით ერთიან სახელმწიფოდ წარმოდგება საერთაშორისო ასპარეზზე. 1993 წელს ჩეხოსლოვაკია ორ სახელმწიფოდ ჩეხეთად და სლოვაკეთად გაიყო.

ცხადია ეს პროცესები უმტკივნეულოდ არ მომხდარა. მთელ რიგ ქვეყნებში (საქართველო, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა, სერბია, ბოსნია-ჰერცოგოვინა და თვით რუსეთშიც) თავი იჩინა სეპარატისტულმა მოძრაობამ, რამაც არა მარტო საფრთხის წინაშე დააყენა ამ სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა, არამედ ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი კონფლიქტების მიზეზადაც იქცა. დღევანდელი მსოფლიოს ერთერთი უმთავრესი პრობლემა სწორედ სეპარატიზმი და აქედან გამომდინარე ეთნოკონფლიქტებია, რაც არცთუ ისე ადვილი გადასაჭრელია და მთელი მსოფლიო საზოგადოების სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს.

2. თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფია

პოლიტიკური გეოგრაფია საზოგადოებრივი გეოგრაფიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელიც შეისწავლის პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის და სახელმწიფო საზღვრების, მსოფლიო პოლიტიკური რუკის ფორმირების, სახელმწიფო წყობილების და ტერიტორიულ-ადმინისტაციული მოწყობის, პოლიტიკური ძალების განლაგების, შიდა პოლიტიკური პროცესების და საერთაშორისო ურთიერთობების გეოგრაფიულ საკითხებს. აგრეთვე საზოგადოების განვითარებაზე და სახელმწიფოს პოლიტიკაზე გეოგრაფიული ფაქტორების გავლენას. საზოგადოებრივი გეოგრაფიის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დარგი ყოფილ საბჭოთა კავშირში არ განვითარებულა იდეოლოგიური და სხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. მხოლოდ ახლა, მსოფლიოში მიმდინარე სერიოზული პოლიტიკური ცვლილებებისა და „პოლიტიკური ლანდშაფტის" გარდაქმნის პირობებში ინტერესი პოლიტიკური გეოგრაფიის მიმართ საგრძნობლად გაიზარდა და იგი ნელნელა იკავებს კუთვნილ ადგილს მეცნიერებათა სისტემაში.

პოლიტიკური გეოგრაფიის ერთერთი ძირითადი საკითხი – მსოფლიო პოლიტიკური რუკის ფორმირება ზემოთ, ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაწილში იყო განხილული. აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ თანამედროვე პოლიტიკური რუკის ძირითად საკითხებს და პოლიტიკური გეოგრაფიის კვლევის მთავარი ობიექტის-სახელმწიფოების შიდა და გარე პოლიტიკური პრობლემების გეოგრაფიულ ასპექტებს.

2.1. თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა ტიპოლოგია და კლასიფიკაცია

თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე დაახლოებით 230 სახელმწიფოა. აქედან 190-ზე მეტი პოლიტიკურად დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანაა. დანარჩენი ქვეყნები ჯერ კიდევ დამოკიდებული, არასუვერენული ტერიტორიებია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, პატარა კუნძუ-

ლოვანი ქვეყნებია. ამ სახელმწიფოთა საერთო ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა მსოფლიოს მთელი ფართობისა და მოსახლეობის ნახევარ პროცენტსაც არ შეადგენს. ამდენად კოლონიალიზმი, როგორც სისტემა უკვე წარსულის კუთვნილებაა და კაცობრიობის დღევანდელ ცხოვრებაში არსებით როლს დამოუკიდებელი ქვეყნები თამაშობენ.

თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოთა ეს მრავალრიცხოვანი მასა ძალზე ჭრელი და არაერთგვაროვანია. ამიტომ აუცილებელია მათი გარკვეული დაჯგუფება. იმის და მიხედვით თუ რა კრიტერიუმს ვუდებთ საფუძვლად ქვეყნების ტიპოლოგია-კლასიფიკაციას, ერთი და იგივე სახელმწიფო შეიძლება სულ სხვადასხვა ჯგუფში მოხვდეს.

დაჯგუფების ერთერთი გავრცელებული კრიტერიუმია სახელმწიფოთა კლასიფიკაცია **ტერიტორიის სიდიდის და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.** ეს თავისთავად მნიშვნელოვანი, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სიძლიერის არაძირითადი ფაქტორია. ტერიტორიის სიდიდის მიხედვით გამოყოფენ დიდ, საშუალო და მცირე ქვეყნებს. (ზოგჯერ ცალკე გამოიყოფა ე; წ; „ჯუჯა სახელმწიფოები") ამასთანავე გასათვალისწინებელია თუ რა მასშტაბით ვიხილავთ ქვეყნებს. კერძოდ ევროპის მასშტაბით საშუალო სახელმწიფოები მსოფლიო მასშტაბით განხილვისას მცირე ქვეყნების კატეგორიაში აღმოჩნდება. მთლიანად მსოფლიოში სახელმწიფოს ტერიტორიული სიდიდის დიაპაზონი ძალიან ფართოა. კერძოდ თუ რუსეთის ფედერაციის ფართობი 17 მილიონ კმ^2-ის აღემატება (კანადა 10 მილიონი, ჩინეთი და აშშ 9 მილიონზე მეტი თითოეული) ვატიკანის ფართობი სულ 0,44 კმ^2, მონაკოსი 1,5 კმ^2, ნაურუსი 20კმ^2 და ა. შ. მსოფლიოს შვიდი ქვეყნის წილად რომელთაგანაც თითოეული მათგანის ფართობი 3მლნ კმ^2-ს აღემატება (რუსეთი, კანადა, ჩინეთი, აშშ, ბრაზილია, ავსტრალია, ინდოეთი) მოდის მსოფლიო ხმელეთის ნახევარზე მეტი.

ასევე დიდი სხვაობაა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ზოგიერთ ქვეყანას სულ რამოდენიმე ათასი კაცი ცხოვრობს (ვატიკანი, ნაურუ, ანდორა, ლიხტენშტეინი, მონაკო) მაშინ როცა ჩინეთის მოსახლეობა 1,2 მილიარდს აღწევს, ინდოეთისა კი 900 მილიონს. ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობა100 მილიონზე მეტია (ჩინეთი, ინდოეთი, აშშ, რუსეთი, ინ-

დონეზია, ბრაზილია, იაპონია, ბანგლადეში, ნიგერია, პაკისტანი) თავმოყრილია მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

სახელმწიფოთა კლასიფიკაცია შეიძლება **ტერიტორიის ფორმისა და საზღვრების კონფიგურაციის** მიხედვით. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ კომპაქტურ და არაკომპაქტურ ქვეყნებს. კომპაქტურად ითვლება ისეთი ქვეყანა, რომლის ტერიტორიის ფორმა მაქსიმალურად უახლოვდება წრეს ან კვადრატს. ასეთი ქვეყნების მაგალითია პოლონეთი, საფრანგეთი, ბელორუსია და სხვა. არაკომპაქტური ქვეყნის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ჩილე, რომელსაც უკიდურესად წაგრძელებული, შეიძლება ითქვას ხაზობრივი კონფიგურაცია აქვს.

სახელმწიფოთა დაჯგუფების ერთერთი საინტერესო სახეა ქვეყნების ტიპოლოგია **პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის** თვალსაზრისით. არჩევენ მაკრო, მეზო და მიკროგეოგრაფიულ მდებარეობას. **მაკროგეოგრაფიული მდებარეობის** დროს ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მდებარეობას მსოფლიო მნიშვნელობის სამხედრო-პოლიტიკური ცენტრების მიმართ, რაც ფაქტიურად განაპირობებს სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს და მის მონაწილეობას რეგიონულ გაერთიანებებში თუ სამხედრო პოლიტიკურ ბლოკებში. მაკროგეოგრაფიული მდებარეობის შეფასებისას ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მდებარეობის მსოფლიო ეკონომიკური ცენტრებისა და სატრანსპორტო მაგისტრალების მიმართ. **მეზომდებარეობა** გულისხმობს სახელმწიფოს გეოგრაფიულ ადგილს რეგიონში. ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმაზე თუ როგორი პოლიტიკური ორიენტაციისა არიან მეზობელი ქვეყნები როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ მოცემულ ქვეყანასთან, როგორია მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე და ა. შ. ისრაელის მდებარეობა არაბული ქვეყნების გარემოცვაში ამ ქვეყნის მეზოგეოგრაფიულ მდებარეობას უარყოფით ელფერს სძენს, მაშინ როცა შვეიცარიის მეზოგეოგრაფიული მდებარეობა ამ ქვეყნის აყვავების ერთერთი ფაქტორია. მეზოგეოგრაფიულ მდებარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც ხმელეთზე მეზობელი დიდი ქვეყნების

ტერიტორიით არიან შემოსაზღვრულნი (ლესოტო, სვაზილენდი, გამბია, ბრუნეი და ა.შ)

მიკრომდებარეობაში განიხილება სახელმწიფოს საზღვრების ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით შეფასება. მაგალითად პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი და სტაბილურია ის საზღვრები რომლებიც ძნელად გადასალახავ ბუნებრივ ზღუდეებზე (ქედები, დიდი მდინარეები) გადის. ასევე დადებით ფაქტორად ითვლება როცა სახელმწიფო საზღვრები ეთნიკურ საზღვრებს ემთხვევა.

ამასთანავე გათვალისწინებულია ის ფაქტი, რომ პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ხშირად განსხვავებულია ეკონომიკურ-გეოგრაფიული თუ ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობისაგან. კერძოდ შესაძლებელია ქვეყანას მოხერხებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდეს, მაგრამ ვერ იყენებდეს მას არახელსაყრელი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო. გეოგრაფიული მდებარეობის ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უშუალო გასასვლელის არსებობას მსოფლიო ოკეანეზე, რაც ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის აუცილებელ პირობად ითვლება. მსოფლიოს 230-ზე მეტი სახელმწიფოდან სულ 40-მდე ქვეყანაა, რომელთაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვთ. ცხადია ასეთი მდებარეობა უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ერთერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია სახელმწიფოს **მმართველობის ფორმა.** მმართველობის ორი მთავარი ფორმა არსებობს – რესპუბლიკური და მონარქიული. თავის მხრივ რესპუბლიკა შეიძლება იყოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია მთელი მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტი, რომელსაც ფართო უფლებამოსილება გააჩნია. საპრეზიდენტო რესპუბლიკის მკაფიო მაგალითია აშშ, აგრეთვე ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა (მათ შორის საქართველოც) საპარლამენტო რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლე-

ბა პარლამენტს ეკუთვნის საპარლამენტო არჩევნებში გამარ-ჯვებული პარტია ქმნის მთავრობას – მინისტრთა კაბინეტს. პრემიერ-მინისტრის უფლებები აქ ძალზე მნიშვნელოვანია. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი როგორც წესი პარლა-მენტის მიერ აირჩევა. მისი ფუნქციები შეზღუდულია და ძი-რითადად წარმომადგენლობითი სტატუსით განისაზღვრება. საპარლამენტო რესპუბლიკებია ევროპის სახელმწიფოთა უმ-რავლესობა. გვხვდება აგრეთვე შერეული ტიპის საპრეზი-დენტო-საპარლამენტო რესპუბლიკებიც. (მაგ. საფრანგეთი)

მონარქიათა რაოდენობა დღევანდელ მსოფლიოში ოცდაა-თამდეა. მონარქიებიც ორი სახისაა – კონსტიტუციური და აბ-სოლუტური. კონსტიტუციურ მონარქიებში მონარქი „მე-ფობს, მაგრამ არ მართავს", აქ მთელი ძალაუფლება პარლა-მენტის ხელშია. თანამედროვე მონარქიების დიდი უმრავლე-სობა სწორედ კონსტიტუციურ მონარქიებს განეკუთვნება (დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ნორვეგია, ბელგია, ნიდერლან-დები, ესპანეთი, იაპონია). აბსოლუტურ მონარქიებში მეფის უფლებები შეუზღუდავია და იგი სახელმწიფოს ერთპიროვ-ნულ მმართველს წარმოადგენს. აბსოლუტური მონარქიების რიცხვი, დღეს ძალიან ცოტაა და ძირითადად სპარსეთის უბის არაბული სახელმწიფოებით შემოიფარგლება (საუდის არაბე-თი, ომანი, კატარი, ბაჰრეინი, არაბთა გაერთიანებული საემი-როები). ცალკე გამოყოფენ თეოკრატიულ მონარქიებს, როცა მონარქი რელიგიური ხელმძღვანელიცაა. თანამედროვე მსოფლიოში თეოკრატიული მონარქიის მაგალითს წარმოად-გენს ვატიკანი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები ორ ჯგუფად იყოფა. სახელმწიფოთა უმ-რავლესობა უნიტარული (ერთიანი) ქვეყნებია, შედარებით მცირე ნაწილი კი ფედერაციულ სახელმწიფოებს წარმოად-გენს. ასეთი ქვეყნების ადმინისტრაციული ერთეულები (შტა-ტები, პროვინციები, მიწები, კანტონები, ზოგან კი რესპუბლი-კები) ფართო ავტონომიით სარგებლობენ და საკუთარი პარ-ლამენტი, მთავრობა და კანონმდებლობა გააჩნიათ თუმცა მა-

თი მოქმედება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთ-სახელ-მწიფო ინტერესებს. ფედერაციული სახელმწიფოებია აშშ, გერმანია, კანადა, შვეიცარია, ინდოეთი, ბრაზილია, მექსიკა, ნორვეგია, და ზოგიერთი მონარქიაც კი (მალაიზია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბელგია).

სახელმწიფო კლასიფიკაციის ერთერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო ქვეყნების დაჯგუფება **სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის** მიხედვით. საბჭოთა ლიტერატურაში მსოფლიოს ქვეყნების ტიპოლოგიისას ძირითად კრიტერიუმად სახელმწიფოთა სოციალურ-პოლიტიკური წყობას თვლიდნენ. ამ თვალსაზრისით გამოყოფდნენ სოციალისტურ, კაპიტალისტურ, და განვითარებად ქვეყნებს. ამასთანავე სოციალისტურ ქვეყნებს შორის დიფერენციაციას არ ახდენდნენ მიუხედავათ იმისა, რომ განვითარების დონეში სხვაობა აშკარა იყო. მაგალითისათვის ჩეხოსლოვაკია და ლაოსი, ანდა გდრ და მონღოლეთი) განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების კატეგორიაში განიხილავდნენ დაახლოვებით 25 სახელმწიფოს, რომელთაც სამ ძირითად ჯგუფად ჰყოფდნენ ა) უმთავრესი იმპერიალისტური სახელმწიფოები (აშშ, იაპონია, გფრ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, და კანადა ანუ ე. წ. „დიდი შვიდეული" ბ) მაღალგანვითარებული შედარებით პატარა კაპიტალისტური ქვეყნები (შვედეთი, ნორვეგია, დანია, ფინეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, შვეიცარია, ავსტრია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა; გ) საშუალოდ განვითარებული სახელმწიფოები (ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, ირლანდია და ისლანდია). განვითარებადი ქვეყნების (120-ზე მეტი სახელმწიფო) სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია არსებობდა. განვითარების დონის მიხედვით განვითარებად ქვეყნებში გამოიყოფოდნენ ა) შედარებით განვითარებულ ქვეყნებს (ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა, ჩილე, სამხრეთ კორეა, სინგაპური, მალაიზია, ფილიპინები, თურქეთი და სხვა) ბ) მაღალი ეროვნული შემოსავლის მქონე მინერალური რესურსებით (ძირითადად ნავთობით) მდიდარ სახელმწიფოებს, (კერძოდ ნავთობის ექსპორტიორი არაბული ქვეყნები); გ) აგრა-

რულ ქვეყნებს სუსტად განვითარებული მრეწველობით (ძირითადად მოპოვებითი მრეწველობის დარგები, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობა), რომელთაც მიეკუთვნებოდა განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა და დ) უღარიბეს სახელმწიფოებს პრიმიტიული სოფლის მეურნეობითა და კუსტარულ-ხელოსნური მრეწველობით (აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა)

დღევანდელ პირობებში, როცა სოციალისტური სისტემა აღარ არსებობს და ქვეყნებს დაჯგუფების იდეოლოგიურ კრიტერიუმს სერიოზულად აღარავინ განიხილავს. ძირითადი ყურადღება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს ეთმობა. ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს როგორიცაა მოსახლეობის ჯანმრთელობა, კვების რაციონი და კალორიულობა, განათლება, შრომის პირობები, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, პიროვნული თავისუფლება და ა. შ. ამ მაჩვენებელთა კომბინირებული შეფასებით სახელმწიფოებს ჰყოფენ განვითარებად, ზომიერად განვითარებულ და მაღალგანვითარებულ ქვეყნებად. თითოეული მათგანის შიგნით კიდევ რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოიყოს.

მსოფლიო სახელმწიფოების ტიპოლოგია შეიძლება მოხდეს ქვეყნების (ტერიტორიების) **საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის** მიხედვით. როგორც ითქვა მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობას დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი აქვს. გარდა ამისა არსებობს საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის შემდეგი სახეები:

კოლონია – ქვეყანა ან ტერიტორია მთლიანად სხვა სახელმწიფოს (მეტროპოლიის) დამოკიდებულების ქვეშ არის და იმართება სპეციალური რეჟიმის მიხედვით;

პროტექტორატი – ქვეყანა შედარებით დამოუკიდებელია შინაურ საქმეებში, ხოლო თავდაცვა და საგარეო პოლიტიკა მთლიანად მეტროპოლიის ხელშია;

ვასალიტეტი – დამოკიდებულობის ფორმა როცა ერთი სახელმწიფო (ვასალი) ემორჩილება მეორე სახელმწიფოს (სუ-

ზერენს). როგორც წესი ვასალური სახელმწიფო სუზერენს უხდის გადასახადს და ვალდებულია სამხედრო დახმარება გაუწიოს მას. დამოკიდებულების ეს უძველესი ფორმა როგორც რელიქვია შემორჩენილია ევროპაში ანდორის სახელმწიფოს სახით, რომელიც საფრანგეთისა და ესპანეთის ურხელის ეპისკოპოსის ვასალია.

კონდომინიუმი – ერთი სახელმწიფოს ან ტერიტორიის ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ მართვა. ამის მაგალითებია ინგლის-ეგვიპტის კონდომინიუმი სუდანზე და ინგლის-საფრანგეთის კონდომინიუმი ახალი ჰებრიდის კუნძულებზე.

დომინიონი – ფორმალური დამოკიდებულების სახე ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალი ზოგიერთი სახელმწიფოსათვის (კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია.), სადაც მიუხედავად სრული დამოუკიდებლობისა ამ ქვეყნების სახელმწიფო მეთაურად ინგლისის დედოფალი ითვლება.

თავისუფალი ქალაქი – ნეიტრალური და დემილიტარიზებული ტერიტორიულ-პოლიტიკური წარმონაქმნი, რომლის სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება საერთაშორისო ხელშეკრულებით და გარანტირებულია სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. თავისუფალი ქალაქების სტატუსი სხვადასხვა დროს მიიღეს დანციგმა (1919), ტანჟერმა(1923), ტრიესტმა (1947), იერუსალიმმა (1947), დასავლეთ ბერლინმა (1971). ამჟამად ასეთი სტატუსის ქალაქი არ არის.

სამანდატო ტერიტორიები – პირველი მსოფლიო ომის შემდეგ არსებული სტატუსი როცა გერმანიას ყოფილი კოლონიები და თურქეთის ზოგიერთი სამფლობელო სამართავად გადაეცათ გამარჯვებულ ქვეყნებს გარკვეული ვადით. ამჟამად აღარ არსებობს.

სამეურვეო ტერიტორიები – გაეროს მიერ განსაზღვრული ყოფილი სამანდატო ან მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ ქვეყნებს ჩამორთმეული ტერიტორიაა, რომელიც სამეურვეოდ გადაეცა რომელიმე სახელმწიფოს. (ამჟამად აშშ-ის სამეურვეო ტერიტორიაა მიკრონეზიის კუნძულების ნაწილი – მა-

რიანის კუნძულები, დანარჩენმა მიკრონეზიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა).

სახელმწიფო დაჯგუფების ერთერთი სახეა ტიპოლოგია *საგარეო პოლიტიკური კურსის* მიხედვით ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს სახელმწიფოთა შემდეგი ჯგუფები:

ნეიტრალური ქვეყნები. როცა სახელმწიფო უარს ამბობს საომარ კონფლიქტებში მონაწილეობაზე. ნეიტრალიტეტი შეიძლება იყოს ევენტუალური და მუდმივი. ევენტუალური ნეიტრალიტეტი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ ომში ნეიტრალიტეტის დაცვას. მუდმივი ნეიტრალიტეტის დროს ქვეყანა არ იღებს მონაწილეობას არც ერთ სამხედრო კონფლიქტში და არ შედის არც ერთი სამხედრო ბლოკში, აგრეთვე არ დაუშვებს საკუთარ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების ჯარებისა და ბაზების არსებობას. მუდმივი ნეიტრალიტეტი ზოგჯერ (მაგრამ არა ყოველთვის) გარანტირებულია სხვა სახელმწიფოების მიერ. მუდმივი ნეიტრალიტეტის კლასიკური მაგალითია შვეიცარია.

მიუმხრობელი ქვეყნები. სახელმწიფოთა დიდი ჯგუფი, რომელთა საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში არმონაწილეობა და მიუმხრობლობა წარმოადგენს. ნეიტრალური ქვეყნებისაგან განსხვავებით მიუმხრობელი ქვეყნებისათვის ომი დასაშვები ფორმაა. ამასთანავე, მათ არც შესაბამისი საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი გააჩნიათ.

ბლოკური ქვეყნები. - იმ სახელმწიფოთა პირობითი სახელწოდებაა, რომლებიც ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში არიან გაერთიანებულნი. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნებიან ნატოს წევრი სახელმწიფოები, ანზიუსისა და აზპაკის წევრები. ადრე კი ის ქვეყნები, რომლებიც ახლა დაშლილ სენტოში, სეატოში და ვარშავის პაქტში შედიოდნენ.

მსოფლიო ქვეყნებს აჯგუფებენ აგრეთვე ***ფასეულობათა სისტემის*** მიხედვით; ფასეულობათა სისტემაში იგულისხმება ის მსოფლმხედველობრივი და ზნეობრივი ღირებულებები, რომლებიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და გარკვეულ-

წილად საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებს განსაზღვრავენ. თავის მხრივ ეს იმ რელიგიურ ბაზის ეყრდნობა, რამაც მოსახლეობის სულიერი განვითარება გამოიწვია. ცხოვრების ის წესები და ნორმები რომლებიც საფუძვლად უდევს ცივილიზირებულ სამყაროს ძირითადად ქრისტიანულ წიაღში აღმოცენდა. ამავე დროს არსებობს სხვა ფასეულობათა სისტემა, რომელსაც ძირითადად ისლამი ასაზრდოებს. ალბათ შეიძლება საუბარი ბუდისტურ და ინუისტურ ფასეულობათა სისტემებზეც. დღევანდელ მსოფლიოში არსებული დაძაბულობა გარკვეულწილად ამ ფასეულობათა შორის ბრძოლითაც არის გაპირობებული (ძირითადად ქრისტიანულსა და ისლამურს შორის) ამ დაპირისპირებას ხშირად „ჩრდილოეთსა" (ე.ი. განვითარებული ქვეყნები) და „სამხრეთის" (მესამე სამყარო ანუ განვითარებადი ქვეყნები) შორის დაპირისპირებასაც უწოდებენ.

მას შემდეგ რაც სოციალისტური სისტემა დაიშალა დაპირისპირება „დასავლეთი" „აღმოსავლეთი" ე. ი. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებსა და ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაზე აგებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, არსებული კონფლიქტი წარსულს ჩაბარდა. ამჟამად ძირითადი დაპირისპირება „ჩრდილოეთი" – „სამხრეთია". ამასთან დაკავშირებით მსოფლიოს ხშირად ჰყოფენ „ბირთვად" და „პერიფერიად". ბირთვს აკუთვნებენ ჩრდილოეთ ამერიკას, დასავლეთ ევროპას და იაპონიას, ხოლო პერიფერიას – მესამე სამყაროს ქვეყნებს. მათ შორის არსებობს გარდამავალი „ნახევრად-პერიფერიული" ქვეყნებიც. ამ კატეგორიის ქვეყნებში არიან ახლა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც, რომელთაგანაც ნაწილს აქვს შანსი ბირთვის კატეგორიაში გადაინაცვლოს, უმრავლესობა კი ალბათ პერიფერიის ქვეყნებს შეემატება.

2.2. შიდა პოლიტიკური პროცესების გეოგრაფია

პოლიტიკური გეოგრაფიის ერთერთი საინტერესო დარგია შიდა პოლიტიკური პროცესების გეოგრაფია. შიდა პოლიტიკურ პროცესებში ვგულისხმობთ პოლიტიკურ ძალთა განლაგებას სახელმწიფოს შიგნით რაც ძირითადად არჩევნების შედეგების მიხედვით ფასდება. ამის გარდა შიდა პოლიტიკურ პროცესებს მიეკუთვნება შიდა დაძაბულობები, დაპირისპირებები, კონფლიქტები, სეპარატიზმის, ნაციონალიზმისა თუ ტრაიბალიზმის გამოვლინებები.

მთელ რიგ ქვეყნებში შიდაპოლიტიკური დაძაბულობები და კონფლიქტები ისეთ მასშტაბებს აღწევს, რომ ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებში გადაიზრდება ხოლმე. ბევრგან სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება ურთულეს პრობლემად იქცა. ხოლო ზოგიერთმა ქვეყანამ ვერ შეინარჩუნა ერთიანობა და დაიშალა კიდეც.

შედარებით წყნარ და სტაბილურ სახელმწიფოებში შიდა პოლიტიკური პროცესების ძირითადი გამოხატულება არჩევნების შედეგებია, რომლებიც პოლიტიკურ ძალთა განლაგებაზე გვაძლევს წარმოდგენას. პოლიტიკურ ძალთა შორის როგორც წესი წამყვანი ადგილი პოლიტიკურ პარტიებს ეკუთვნის და მათი გავლენის გეოგრაფია მნიშვნელოვანწილად ასახავს ყველა პოლიტიკური ძალის ტერიტორიულ განლაგებას.

პარტიულ-პოლიტიკურ ძალთა განლაგების გეოგრაფიული ანალიზი საკითხთა ოთხ ურთიერთდაკავშირებულ ჯგუფს მოიცავს:

1. პოლიტიკურ-პარტიულ ძალთა განლაგების განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა; 2. საარჩევნო სისტემის მექანიზმის მოქმედების ტერიტორიული ასპექტების შესწავლა; – ხშირია შემთხვევა რომ ხელისუფლების სათავეში მდგომი ძალები მარჯვედ ახერხებენ წარმომადგენლობით ორგანოებში ადგილების მათთვის სასურველ განაწილებას; 3. ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში „პოლიტიკური თამაშის“ სპეციფიკის შესწავლა. აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა ხშირად არ ემთხვევა პოლიტიკურ ძალთა რეალურ განლაგებას. ზოგიერთი მცირერიცხოვანი და

ნაკლები გავლენის მქონე პარტია ერთგვარ ბალანსის როლს თამაშობს მსხვილ პარტიებს შორის და ერთერთის მიმხრობით ცვლიან პოლიტიკურ სიტუაციას.ასეთ როლს თამაშობდნენ გფრ-ის თავისუფალი დემოკრატიული პარტია, დიდი ბრიტანეთის ლიბერალური პარტია, იტალიის სოციალისტური პარტია. ასეთ პარტიათა რეალური პოლიტიკური წონა და გავლენა გაცილებით აღემატება მათ პოპულარობას და გავლენას მასებში; 4. პარტიულ-პოლიტიკურ ძალთა განლაგებასა და არჩევნების ორგანიზაციის ტერიტორიულ ასპექტებს შორის უკუკავშირების შესწავლა, რაც ხელისუფლების ორგანოთა პოლიტიკის ანალიზსაც გულისხმობს. ამ პოლიტიკის მიზანი ამომრჩეველთა გარკვეულ სოციალურ თუ ტერიტორიულ ჯგუფში სასურველ პარტიის გავლენის გაძლიერება. ამ მიზნის მიღწევის ცდები შეიძლება იყოს გრძელვადიანი (საარჩევნო კანონის შეცვლა ან საარჩევნო ოლქებს შორის ამომრჩეველთა მიზანდასახული გადაადგილება) და მოკლევადიანი (მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიისა და პარტიული პროპაგანდისათვის საჭირო სახსრების რაციონალური ტერიტორიული განლაგება, „ხმების ყიდვა" სხვადასხვა დაპირებებითა თუ რეალურ დახმარებებით, საარჩევნო უბნების საზღვრებით მანიპულირება და ა. შ.)არჩევნების შედეგებზე ძალზე დიდ როლს თამაშობენ საარჩევნო სისტემის ტიპები, რომელთა კლასიფიკაციისას მხედველობაშია მისაღები თითოეული ამომრჩევლის ხმათა რაოდენობა, ამომრჩეველთა ტერიტორიული დაჯგუფების ხერხი და თითოეული საარჩევნო ოლქიდან არჩეულ წარმომადგენელთა რაოდენობა. ამ ნიშანთა შეხამების საფუძველზე სამი ძირითადი სისტემა გამოიყოფა – მაჟორიტული, პროპორციული და შერეული.

მაჟორიტული სისტემა ყველაზე გავრცელებული და მარტივი სახეობაა. ქვეყნის ტერიტორია იყოფა საარჩევნო ოლქებად საიდანაც თითო დეპუტატი აირჩევა. გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი რომელიც ყველაზე მეტ ხმებს დააგროვებს (შესაძლებელია უპირატესობამ სულ ერთი ხმა შეადგინოს) გამარჯვებულის კონკურენტების მიერ მიღებული ხმები, რომლებიც ჯამში შეიძლება რამდენჯერმე აღემატებოდეს გამარჯვებულისათვის მიცემული ხმების რაოდენობას – იკარგება. კანდიდატს შეიძლება ამომრჩეველთა არა თუ უმრავლესობა, არამედ მესამედიც არ უჭერდეს მხარს და მაინც

გახდეს დეპუტატი. ასეთი ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემა მოქმედებს აშშ-ის. დიდი ბრიტანეთის, კანადის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საპარლამენტო არჩევნებისას. გარდა ერთმანდატიანისა არსებობს მრავალმანდატიანი სისტემა, როცა ერთ საარჩევნო ოლქიდან რამოდენიმე დეპუტატი უნდა აირჩეს. ასეთ შემთხვევაში თითოეულ ამომრჩევლს იმდენი ხმა აქვს რამდენი დეპუტატიც უნდა აირჩეს ოლქიდან. აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებისას გამოიყენება „ანონილი" წარმომადგენლობის მაჟორიტარული სისტემა. ამომრჩევლები ირჩევენ არა უშუალოდ პრეზიდენტს, არამედ შტატის ამომრჩეველთა კოლეგიას, რომელთა რაოდენობა უდრის მოცემული შტატიდან არჩეული სენატორების (ე. ი.ორი) და წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებს (რიცხვი დამოკიდებულია შტატის მოსახლეობის რაოდენობაზე) ჯამს. შტატიდან არჩეული კოლეგია ვალდებულია იმ პარტიას მისცეს ხმა, რომელმაც მოცემულ შტატში ხმების უბრალო უმრავლესობა მიიღო. ამგვარად დიდ შტატებში მცირე უპირატესობით გამარჯვებას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვიდრე მცირე მოსახლეობის მქონე შტატებში დიდი უპირატესობით გამარჯვებას. აშშ-ის ისტორიაში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როცა პრეზიდენტად ის კანდიდატი გამხდარა რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით უფრო ნაკლები ხმები ჰქონდა მიღებული ვიდრე მოწინააღმდეგეს, მაგრამ სულ მცირე უპირატესობით გამარჯვება ისეთ შტატებში როგორიცაა ნიუ-ორკი, კალიფორნია, ტეხასი, ილინოისი, მთლიანად ცვლის სურათს. მაჟორიტარული სისტემის გაუმჯობესებული, მაგრამ რთული ფორმაა პრეფერენციალური სისტემა, რომელიც გულისხმობს ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების რანჟირებას ამომრჩევლის მიერ.

პროპორციული სისტემისას ამომრჩეველი ხმას აძლევს არა კონკრეტულ პიროვნებას არამედ პოლიტიკურ პარტიას ან ბლოკს. ასეთი არჩევნებისას შეიძლება მთელი ქვეყანა ერთ საარჩევნო ოლქს წარმოადგენდეს და პარტიას მის მიერ ქვეყნის მასშტაბით მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობის შესაბამისი დეპუტატთა რიცხვი გაჰყავს პარლამენტში. თუ რამდენიმე საარჩევნო ოლქია, მაშინ ოლქში მიღებული ხმების ხვედრითი წილი განსაზღვრავს პარტიის ადგილების რიცხვს პარლამენტში. თითოეული ოლქიდან ასარჩევი დეპუტატთა

საერთო რაოდენობა ოლქის მოსახლეობის რიცხოვნების პროპორციულია. კონკრეტულად დეპუტატების ვინაობას თვითონ პარტია განსაზღვრავს პარტიული სიების შესაბამისად. ზოგიერთ ქვეყანაში ამომრჩეველი ამა თუ იმ პარტიის მისთვის სასურველ წრეებსაც მიუთითებს.

შერეული სისტემის დროს ერთდროულად ხდება დეპუტატების არჩევა მაჟორიტარული და პროპორციული წესით – კერძოდ დეპუტატთა ნაწილი აირჩევა უშუალოდ ერთმანდატიან ოლქებში, ნაწილი კი პროპორციულად პარტიული სიების შესაბამისად. ამგვარად თითოეულ ამამრჩეველს ორი ხმა აქვს.ერთს აძლევს კონკრეტული პიროვნებას, რომელიც კენჭს იყრის მაჟორიტარული სისტემით მოცემულ ოლქში, ხოლო მეორე ხმა ეძლევა პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ამომრჩეველმა უპირატესობა მიანიჭა. არჩევნების შერეული სისტემაა გერმანიაში, რუსეთში, საქართველოში და სხვა.

ერთერთი საინტერესო დეტალი, რომლის მეშვეობითაც მმართველ პარტიას მანიპულირების საშუალება ეძლევა არის საარჩევნო ოლქის საზღვრების ისეთნაირად გამოყოფა რაც უზრუნველყოფს ხმების მაქსიმალური რაოდენობის მოგროვებას. ამ პოლიტიკურ ილეთს „ჯერიმენდერინგი“ უწოდეს, მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორ ე. ჯერის სახელის მიხედვით. მან 1812 წელს ბოსტონის ჩრდილოეთ ნაწილში უცნაური ფორმის და მოხაზულობის საარჩევნო ოლქი გამოჰყო რომელიც სალამანდრას მოგვაგონებდა (სალამანდრა- მენდერინგ, აქედან ჯერიმენდერინგი)ამ ოლქის საზღვრები ისეთნაირად იყო გატარებული, რომ უზრუნველყოფდა ჯერის გამარჯვებას.

დღეს ჯერიმენდერინგები საკმაოდ გავრცელებულია მთელ რიგ ქვეყნებში და ორ ძირითად სახედ იყოფა ა) პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა განსახლების არეალის მიერთება საიმედო ოლქებთან და ამით საწინააღმდეგოთ მიცემული ხმების „ჩაკარგვა“ მხარდამჭერ ხმებში, ბ) ოპოზიციის მხარდამჭერთა განსახლების არეალის დაყოფა რამდენიმე ოლქად, რათა თითოეული ოლქი თავისი საკუთარი კანდიდატის გამარჯვებით იყოს დაინტერესებული (რომელთა გამარჯვების შანსი უფრო მცირეა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა მსხვილ ოლქში ოპოზიციის მხარდამჭერი მოსახლეობა ერთ კანდიდატზე „იმუშავებდა“).

არჩევნების პოლიტიკურ-გეოგრაფიული ანალიზი სხვადასხვა ქვეყნებში გვიჩვენებს, რომ არსებობს მთელი რიგი კანონზომიერებები არჩევნების შედეგებსა და ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ინდუსტრიალიზაციის ხარისხი, ურბანიზაცია, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, რელიგიურობა და ა. შ. კერძოდ შემთხვევითი არ არის რომ აშშ-ის სამხრეთ შტატებში როგორც წესი დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერთა წილი ჭარბობს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთში რესპუბლიკელებისა. იტალიის სამხრეთ ოლქებში ამომრჩეველთა უმრავლესობა მკვეთრად მემარცხენე ან მემარჯვენე პარტიებს აძლევს ხმას და ცენტრისტული მიმართულების პარტიები აქ წარმატებებს ვერ აღწევენ, მაშინ როცა ინდუსტრიული ჩრდილოეთის ოლქებში მოსახლეობა სწორედ ცენტრისტულ ძალებს უჭერს მხარს. თუ მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში დემოკრატიული მიმართულების პარტიებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში კომუნისტები სარგებლობენ პოპულარობით. საქართველოში 1990 წელს ჩატარებული პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში იმ რაიონებში სადაც არაქართველი მოსახლეობა ჭარბობდა ხმების უმრავლესობა კომუნისტებმა მიიღეს, მაშინ როცა დასავლეთ საქართველოს ეთნიკურად ერთგვაროვან რაიონებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა რადიკალურ-ნაციონალისტური მიმართულების ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“.

ყოველივე ამ მოვლენის ღრმა ანალიზი და მისი სივრცითი კანონზომიერებების დადგენა პოლიტიკური გეოგრაფიის ერთერთი მთავარი ამოცანაა, რაც საშუალებას იძლევა აიხსნას პოლიტიკურ ძალთა ტერიტორიული განლაგების თავისებურება, განისაზღვროს ამ პროცესის განვითარების ტენდენციები და გაკეთდეს მნიშვნელოვანი სამომავლო პროგნოზები.

დღევანდელი მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ძალზე მწვავე პრობლემაა შიდაპოლიტიკური დაძაბულობები, რომლებიც სხვადასხვა სახით შეიძლება გამომჟღავნდეს.

სახელმწიფოს შიდა ტერიტორიული ერთეულების არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, რაც მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი ზოგან ძალზე დიდ მასშტაბებს აღწევს. ქვეყანაში წარმოიქ-

მნება დეპრესიული რაიონები, სადაც ეკონომიკური სისუსტისა და სერიოზული სოციალური პრობლემების გამო მოსახლეობა მასიურად მიდის ემიგრაციაში და ხდება რეგიონის დეპოპულაცია. ეს პრობლემა არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურია, არამედ პოლიტიკურ ელფერსაც ატარებს და ამდენად მარტო ერთი რეგიონის პრობლემა კი არ არის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს გადასაწყვეტია. შიდა რეგიონული პრობლემების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს სამხრეთ იტალია, ცენტრალური მასივი საფრანგეთში, ბრაზილიის შიდა რაიონები, რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი ოლქები ან თუნდაც კავკასიონის მთიანი რაიონების პრობლემა საქართველოში.

თუ შიდა რეგიონული პრობლემები გადახლართულია ეთნიკურ პრობლემებთან მაშინ მდგომარეობა გაცილებით რთულდება და შესაძლოა ეთნოკონფლიქტებიც გამოიწვიოს. იმ შემთხვევაში როცა დეპრესული რეგიონის მოსახლეობას ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები შეადგენენ მაშინ სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეები პოლიტიკურ და ნაციონალურ ელფერს იძენს. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები ასეთ დროს დარწმუნებულები არიან რომ მათ ქვეყნის ხელისუფლება ჩაგრავს მხოლოდ იმიტომ რომ ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნებიან. ასეთი განწყობა უკვე კარგი ნიადაგია ნაციონალისტური იდეების დასაფუძნებლად. ცენტრალური ხელისუფლება ამ შემთხვევაში იძულებულია გადადგას რადიკალური ნაბიჯი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შეიარაღებული ეთნოკონფლიქტი, და მისი მასშტაბები შორს გასცდეს სახელმწიფოს საზღვრებს ე. ი. მოხდეს კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია.

მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება იმ შემთხვევაში, როცა ეროვნული უმცირესობის განსახლების არეალი სასაზღვრო რეგიონშია, ხოლო თუ ისინი ესაზღვრებიან თავიანთი ისტორიულ სამშობლოს, მაშინ კონფლიქტის საფრთხე გაცილებით რეალურია. (ირიდენტიზმი, ანუ ისტორიულ სამშობლოსთან შეერთება) განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები აქტიური მხარდაჭერით სარგებლობენ გარედან.

შიდა დაძაბულობის ერთერთი უკიდურესი ფორმაა სეპარატიზმი, როცა სახელმწიფოს რომელიმე რეგიონი (როგორც წესი ეროვნული უმცირესობებით დასახლებული) ცდილობს

გამოვიდეს სახელმწიფოს შემადგენლობიდან და პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვოს. დღევანდელ მსოფლიოში სეპარატიზმი უაღრესად გავრცელებული მოვლენაა და როგორც წესი ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლასთან არის გაიგივებული მსოფლიო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოდგენაში. სინამდვილეში ამ ორ ცნებას შორის დიდი განსხვავებაა: სეპარატიზმი გულისხმობს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ერთიანი ორგანიზმის დაშლას, მაშინ როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დამონებული, კოლონიზირებული ან ანექსირებული ერის ბრძოლაა დამოუკიდებლობისათვის. ერთა თვითგამორკვევის პრინციპი არ ნიშნავს იმას, რომ რომ ყველა ეთნოსს თავისი სახელმწიფო ჰქონდეს (მაშინ მსოფლიოში თითქმის 4 ათასი ქვეყანა უნდა იყოს) ამიტომაც არც ერთი სახელმწიფო არ დათანხმდება მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. (ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების უცვლელობის პრინციპი საერთაშორისო სამართლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია) ასეთ შემთხვევაში ხდება კონფლიქტი ცენტრალურ ხელისუფლებასა და სეპარატისტულ მოძრაობას შორის. სწორედ ასეთი ხასიათისაა მიმდინარე კონფლიქტების დიდი უმრავლესობა (ბოსნია, სერბია, ჩეჩნეთი, დნესტრისპირეთი, მთიანი ყარაბახი, აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთი, შრი-ლანკის ჩრდილოეთი, კვიპროსი და ბევრი სხვა). განსაკუთრებით სერიოზული კონფლიქტები მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია (ბოსნია, ჩეჩნეთი, აფხაზეთი) და მათი გადაჭრა საერთაშორისო ორგანიზაციებისა (პირველ რიგში გაერო) და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების აქტიური ჩარევის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

აზიისა და აფრიკის მრავალი სახელმწიფოს სერიოზული შიდაპოლიტიკური პრობლემაა ტრაიბალიზმი, ანუ ტომობრიობა. ერთი და იგივე ტომის წარმომადგენლები ხშირად ერთიანი მოთხოვნებით ხასიათდებიან. ამასთანავე პოლიტიკურ ბრძოლაში ან არჩევნებში ამომრჩეველი მხარს უჭერს მხოლოდ თავისი ტომის წარმომადგენელს და ნაკლებად აინტერესებს მისი როგორც პოლიტიკური მოღვაწის დონე და შესაძლებლობები. ტომობრივმა დაპირისპირებამ შეიძლება კატასტროფიული შედეგები მოიტანოს. 1994-95 წლებში რუან-

დას ორი ძირითადი ტომის ხუტუსა და ტუტსის დაპირისპირებამ ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საერთოდ შიდაპოლიტიკური პრობლემები საკმაოდ ძნელად გადასაჭრელია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ერთერთი მეთოდი ამ პრობლემების შედარებით მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით არის სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტარციული მოწყობის ისეთი სქემის შემუშავება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს სეპარატიზმისა და საერთოდ კონფლიქტების საფრთხე.კერძოდ გარდა იმ აუცილებელი მოთხოვნისა, რომ თითოეული ადმინისტრაციული ერთეული უნდა წარმოადგენდეს მსგავსი ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობების მქონე, ეკონომიკურად ერთიან და გარკვეული სპეციალიზაციის მქონე რეგიონს, აუცილებლად გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა და ძირითადი ეთნოსის ხვედრითი წილი რაიონის მოსახლეობაში. თუ მკვიდრი ეთნოსი უმცირესობაა და ისიც სასაზღვრო რაიონებში მაშინ კონფლიქტის ალბათობა სწრაფად იზრდება. ამიტომ თვითონ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა არ უნდა უშვებდეს კონფლიქტის წარმოშობას ან უკიდურეს შემთხვევაში მინიმუმამდე დაჰყავდეს ასეთი საშიშროების შესაძლებლობა.

2.3. საგარეო პოლიტიკური პროცესების გეოგრაფია

თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ერთერთი ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის ძირეული ცვლილებების საფუძველზე ხდება საერთაშორისო ურთიერთობათა მთელი სისტემის ღრმა გარდაქმნა. გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული საერთაშორისო ურთიერთობებში წამყვან როლს თამაშობდნენ ძლიერი სახელმწიფოები, რომელთა საგარეო პოლიტიკის საფუძველს ექსპანსია და აგრესია წარმოადგენდა და სხვა ხალხებისა და მიწების დამორჩილებით ქმნიდნენ ერთგვარ პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელსაც იმპერია ეწოდება.

ახალ ისტორიულ პერიოდში სულ ცამეტი იპერიალისტური სახელმწიფო იყო, რომელთაგან ექვსი მსხვილ კოლონიზატორთა კატეგორიას განეკუთვნება. XVII საუკუნემდე კოლონიები ესპანეთსა და პორტუგალიას ჰქონდათ. შემდეგ ასპარეზზე გამოჩნდნენ ნიდერლანდები, საფრანგეთი, ინგლისი, აგრეთვე ბალტიის სახელმწიფოები – დანია, შვედეთი, პრუსია. მოგვიანებით, იმერიალიზმის ხანაში გააქტიურდნენ ბელგია, გერმანია, იტალია, იაპონია, აშშ. ამავე პერიოდში მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიის ფორმირებაც, რომელმაც 1917 წლიდან (ფორმალურად 1922 წლიდან 1991 წლამდე) საბჭოთა კავშირის სახით გააგრძელა არსებობა. ამ სახელმწიფოებიდან ესპანეთი, პორტუგალია, ნიდერლანდები, საფრანგეთი და ინგლისი უზარმაზარ კოლონიებს ფლობდნენ თავიანთი ძირითადი ტერიტორიიდან ათასობით კილომეტრის დაცილებით, სხვადასხვა კონტინენტებზე, ცოტა განსხვავებულ მდგომარეობაში იყო მეექვსე კოლონიური იმპერია – რუსეთი, რომელსაც ზღვის გაღმა კოლონიები არ ჰქონია (ალიასკის გარდა, რომელიც ვერ შეინარჩუნა და აშშ-ის მიჰყიდა) მაგრამ უზომოდ გაიფართოვა თავისი საზღვრები მეზობელ ქვეყნებისა და ხალხების დამორჩილების, ანექსიისა და კოლონიზაციის გზით.

იმპერიული სახელმწიფოების კოლონიურ აქტივობის ოთხი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა: 1. პირველი არაკონკურე-

ციული ერა (XVI საუკუნე) როცა იპერიულ სახელმწიფოებს მხოლოდ ესპანეთი და პორტუგალია წარმოადგენენ.

2. პირველი კონკურეციული ერა (XVII და XVIII საუკუნეები) როდესაც იპერიალისტურ ექსპანსიას ესპანეთისა და პორტუგალიის ნაცვლად აწარმოებდნენ ნიდერლანდები, საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი, შვედეთი, დანია, პრუსია და ავსტრია.

3. მეორე არაკონკურეციული ერა (XIX საუკუნის შუა წლები), როდესაც ბრიტანეთის ჰეგემონია აშკარაა. ამ პერიოდში მხოლოდ ინგლისი და საფრანგეთი აწარმოებდნენ იმპერიალისტურ ექსპანსიას.

4. მეორე კონკურეციული ერა (XIX საუკუნის ბოლო XX საუკუნის დასაწყისი) როდესაც მსოფლიო გადანაწილებისათვის აქტიურად იბრძვიან ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, გერმანია, აშშ, იაპონია და ბელგია.

თუ ამ ქვეყნების მიერ სხვადასხვა დროს კოლონიზირებულ ან დაპყრობილ ტერიტორიებს რუკაზე დავიტანთ, აღმოჩნდება რომ ძალიან ცოტაა ის ქვეყნები, რომლებიც სხვადასხვა დროს რომელიმე ევროპულ იმპერიალისტურ სახელმწიფოზე არ ყოფილა დამოკიდებული (კერძოდ ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება იაპონია, კორეა, ჩინეთი, ტაილანდი, ნეპალი, ირანი, თურქეთი, არაბეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური რაიონები (ნეჯდი, ჰიჯაზი, ჩრდილოეთ იემენი), გარკვეული თვალსაზრისით აგრეთვე ავღანეთი და ეთიოპია.

რაც შეეხება დეკოლონიზაციის პროცესს, აქ სამი ტალღის გამოყოფა შეიძლება.

პირველმა ტალღამ ლათინური ამერიკა მოიცვა (XIX საუკუნის დასაწყისში), იგი სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმის პერიოდის დასასრულს დაემთხვა და საფუძვლად ლიბერალიზმის იდეოლოგია ედო.

მეორე ტალღა ძირითადად XX საუკუნის 40-60-იან წლებში განხორციელდა და მას ევროპის წამყვანი სახელმწიფოების კოლონიების განთავისუფლება მოჰყვა. ეს ტალღა სამრეწველო კაპიტალიზმის დასასრულს დაემთხვა და სოციალისტური იდეოლოგიით წარიმართა.

მესამე ტალღამ, რომელიც XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე წარიმართა, საბჭოთა კავშირი მოიცვა და ლიბერალური პრინციპების აღიარების ნიშნით მიმდინარეობდა.

XX საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო პოლიტიკური რუკა გამოხატულება იყო ამ პერიოდში ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობების რეალური სურათისა. ეს იყო ე. წ. ბლოკური საერთაშორისო სისტემა, რომელიც გამოიხატება მსოფლიო სახელმწიფოების დაჯგუფებაში დაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებად. დასავლეთის სახელმწიფოების მთავარი პოლიტიკური-სამხედრო ორგანიზაცია – ნატო და სოციალისტური ქვეყნების სამხედრო ბლოკი – ვარშავის ხელშეკრულების კავშირი იყო ის ორი ძირითადი ძალა, რომელთა წინააღმდეგობა უდიდეს საფრთხეს უქმნიდა კაცობრიობას და აყენებდა მას მესამე მსოფლიო ომის რეალური საფრთხის წინაშე. 80-90-იანი წლების მიჯნაზე მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა, რაც სოციალისტური სისტემის დაშლაში გამოიხატა, თანამედროვეობის მთავარი წინააღმდეგობა „დასავლეთი-აღმოსავლეთი" ფაქტიურად მოხსნა. მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში სხვა მრავალი წინააღმდეგობა და კონფლიქტი არსებობს, რომელთაც საკმაოდ ღრმა მიზეზები და ფაქტორები (მათ შორის პოლიტიკურ-გეოგრაფიული) გააჩნიათ. ამიტომ ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ნაწილში ჩნდება საერთაშორისო დაძაბულობის კერები, ე. წ. „ცხელი წერტილები" სადაც სერიოზული სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები მიმდინარეობს. (ამ შემთხვევაში შიდა კონფლიქტებს არ ვგულისხმობ, თუმცა ხშირად ისინიც საერთაშორისო კონფლიქტების სახეს იღებენ).

საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორის) კონფლიქტებს შორის გეოგრაფიის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო გარემოს ირგვლივ წამოჭრილი კონფლიქტებია. ასეთი კონფლიქტები ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნილების ზრდასთან, ტერიტორიული რესურსების ხელახალი განაწილების ცდასთან და ეკოლოგიური სიტუაციის მკვეთრ გაუარესებასთან არის დაკავშირებული. ეს გასაგებიცაა რადგან თანამედროვე მსოფლიოში ენერგეტიკული, სანედლეულო, სასურსათო და ეკოლოგიური კრიზისების საფრთხე რეალურად იქცა და ისინი გლობალურ, საყოველთაო პრობლემებს მიეკუთვნებიან.

გარემოსთან დაკავშირებული კონფლიქტები სამ ჯგუფად იყოფა – **ტერიტორიული, რესურსული, და ეკოლოგიური.** ამ კონფლიქტებს ის საერთო გარემოება აერთიანებთ, რომ მათი

წარმოქმნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს გეოგრაფიულ მოვლენათა ფონზე სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავება წარმოადგენს.

ტერიტორიული კონფლიქტები. ბუნებრივია ძირითადად მეზობელ სახელმწიფოთა შორის ხდება, თუმცა შესაძლებელია ტერიტორიულად დაშორებულქვეყნებს შორისაც მოხდეს (მაგალითად კოლონიების განაწილების დროს).

ტერიტორიისათვის დავას სხვადასხვა მიზეზი აქვს, ძირითადი ფაქტორი ამა თუ იმ ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის ხელსაყრელობა, სამხედრო-სტრატეგიული ან ეკონომიკური მნიშვნელობაა. ისტორიულად მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს ძირითადი გეოპოლიტიკური მიზანი იყო ზღვაზე პირდაპირი გასასვლელის მოპოვება, რაც უმწვავესი ტერიტორიული კონფლიქტებისა და ომების მიზეზი ხდებოდა.

თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი ტერიტორიული კონფლიქტების მაგალითია ისრაელის და მისი მეზობელი არაბული ქვეყნების კონფლიქტი, პერუსა და ეკვადორის, ინდოეთისა და პაკისტანის (ქაშმირის გამო), ირან-ერაყის, სომხეთ-აზერბაიჯანის, ეთიოპია-სომალის და სხვა კონფლიქტები. ტერიტორიული პრეტენზიები არსებობს სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორის, იაპონია-რუსეთის, რუსეთ-ჩინეთის და უკრაინა-რუსეთის (ყირიმის გამო) შორის. მნიშვნელოვანი ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ ერთმანეთთან აფრიკის ყოფილ კოლონიურ ქვეყნებს. ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური საზღვრები უმრავლეს შემთხვევაში კოლონიზატორულ ქვეყნებს შორის შეთანხმებით დგინდებოდა და ძირითადად ასტრონომიული პარამეტრებით (მიყვება მერიდიანებს და პარალელებს) განისაზღვრება. როცა სახელმწიფო საზღვარი ეთნიკურ ან ბუნებრივ-გეოგრაფიულ საზღვრებს არ ემთხვევა ეს უკვე ტერიტორიული კონფლიქტების წყარო ხდება. თუმცა გათვალისწინებულია რომ აფრიკაში სახელმწიფო საზღვრების გავლება ეთნიკური საზღვრების საფუძველზე პრაქტიკულად შეუძლებელია, როადგან ასეთ შემთხვევაში აფრიკულ სახელმწიფოთა რიცხვი 250-300-მდე გაიზრდებოდა.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტერიტორიული კონფლიქტების რიცხვი გაიზარდა მსოფლიო ოკეანეშიც. საზღვაო საზღვრები 150-ზე მეტ ქვეყანას გააჩნია, რომელთა უმრავ-

ლესობისათვის ტერიტორიული წყლების სიგანე 3-12 მილია. თევზჭერის განვითარებასა და კონტინენტური შელფის მინერალური რესურსების ათვისებასთან ერთად მრავალმა ქვეყანამ 200-მილიანი ზონა შემოიღო, რამაც გაამწვავა ტერიტორიული დავა ზღვებზე. აქ უკვე წმინდა ტერიტორიული კონფლიქტი აღარ არის და იგი კონფლიქტის მეორე სახეობას – ბუნებრივ-რესურსულ კონფლიქტებს ერწყმის.

ბუნებრივ-რესურსული კონფლიქტი ისეთი კონფლიქტია, როცა ერთი ქვეყანა მეორეს ბუნებრივ რესურსებზე აცხადებს პრეტენზიას. ასეთი კონფლიქტების ყველაზე გავრცელებული და ძველი სახე სანაპირო წყლებში თევზჭერის შესახებ წარმოშობილი დავა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ 1982 წლიდან საერთაშორისო ხელშეკრულებით სანაპირო წყლებში 200-მილიანი ეკონომიკური ზონა გამოიყო, ბევრი ქვეყნისათვის ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი, მაგალითად ჩრდილოეთ ატლანტიკაში, სადაც 200-მილიანი ზონის შემოღება 15 ქვეყანას შეეხო, მხოლოდ ისლანდია, ირლანდია და შვედეთი ანარმოებენ საკუთარ წყლებში რეწვას. დანარჩენი ქვეყნები ხშირ შემთხვევაში მეზობლების ხარჯზე ეწევიან თევზჭერას. ამ ნიადაგზე ისე გართულდა ისლანდიის ურთიერთობა ინგლისთან, რომელიც ისლანდიის წყლებში ეწეოდა თევზჭერას რომ დროებით მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობაც კი გაწყდა.

საერთაშორისო კონფლიქტები ხშირ შემთხვევაში ბუნებრივი მინერალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამო ხდება. ადრე ასეთი რესურსები ოქრო იყო, ახლა კი მთავარი ყურადღება ნავთობს, ურანს, ბუნებრივ გაზს და იშვიათ ლითონებს ეთმობათ. როგორც კი ჩრდილოეთის ზღვაში ნავთობი აღმოჩნდა, მაშინვე მოხდა მისი აკვატორიის დანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ და ეს მუდმივი დავის საგანია. იგივე შეიძლება ითქვას კასპის ზღვის აკვატორიაში ნავთობის უზარმაზარი საბადოს აღმოჩენის შესახებ. იგი აზერბაიჯანის ტერიტორიულ წყლებშია, თუმცა მასზე თავისი პრეტენზიები რუსეთსაც გააჩნია.

ეკოლოგიური კონფლიქტები. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს ერთერთ უმწვავეს გლობალურ პრობლემად ეკოლოგიური პრობლემები იქცნენ. ცნობილი ისეთი უარყოფითი ეკოლოგიური მოვლენები როგრიცაა გაბინძურებული

ჰაერის მასებისა და მდინარის წყლების ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში გადატანა, მიწების გაუდაბნოების პროცესი, რომელიც ერთ ქვეყანაში შეიძლება დაიწყოს და სხვა ქვეყნებიც მოიცვას და ა. შ. ყოველივე ეს ხშირად სახელმწიფოებს შორის კონფლიქტური სიტუაციის ჩამოყალიბების მიზეზი ხდება.

ყველაზე გავცელებულია ატმოსფეროს დამბინძურებელთა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანის შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტები. ევროპაში მთავარი დამაბინძურებელი ქვეყნები გერმანია და ინგლისია, მათი „მსხვერპლი" კი ნორვეგია, დანია, შვედეთი და ფინეთი. კერძოდ ნორვეგიაში მოსულ ატმოსფერულ დამაბინძურებელთა მხოლოდ 10%-ია ადგილობრივი წარმოშობის, დანარჩენი სხვა ქვეყნებიდან მოდის.

უდიდესი კატასტროფა, რომელსაც ძალზე უარყოფითი ეკოლოგიური შედეგები მოჰყვა, იყო ჩერნობილის აეს-ის ავარია. ჰაერის მასების ნაკადებმა რადიოაქტიური ღრუბელი ათასობით კილომეტრზე გადაიტანა. რადიოაქტიური ნალექები სკანდინავიის ქვეყნებში, ინგლისში და საფრანგეთში იქნა აღმოჩენილი. თუმცა კონფლიქტურ სიტუაციას ადგილი არ ჰქონია.

1983 წელს ირან-ერაყის ომის დროს დაზიანდა არაერთი ნავთობის ჭაბურღილი. წყალქვეშა ჭაბურღილების დაზიანებამ ზღვაში რამდენიმე ათასი კვ. კმ-ის ფართობის ნავთობის ლაქა გააჩინა, რომელმაც უმძიმესი ეკოლოგიური შედეგები მოუტანა სპარსეთის უბის არაბულ სახელმწიფოებს. კიდევ უფრო უარესი შედეგები მოჰყვა ერაყის მიერ კუვეიტის ნავთობმომპოვებელი ობიექტების დაზიანებას 1991 წლის ომის დროს.

საერთაშორისო კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს მსხვილ სამრეწველო კომპანიების მიერ თავიანთი ფილიალების სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგება, რომლებიც როგორც წესი მოკლებულნი არიან გამწმენდ ნაგებობებს. ფაქტიურად ეს არის მეურნეობის „ბინძური" დარგების ექსპორტი. 1984 წელს ინდოეთის ქალაქ ბჰოპალში, ამერიკული კომპანიის „უნიონ კარბაიდის" ქიმიურ საწარმოში ათასობით ტონა შხამქიმიკატის გაჟონვა მოხდა. რამაც 2,5 ათასი კაცი იმსხვერპლა, ხოლო 30 ათასი მძიმედ მოიწამლა. ინდოეთმა მოიგო საერთაშორისო სასამართლო პროცესი და ამერიკულ

მხარეს მატერიალური და მორალური ზარალი აანაზღაურებინა.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია **საერთაშორისო ორგანიზაციების** როლის სწრაფი ზრდა. ამჟამად მსოფლიოში ასეულობით საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციაა, რომელთა მეშვეობით ხდება გლობალური პრობლემებისა თუ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ცალკეული ასპექტების მოგვარება. დანიშნულების მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება იყოს უნივერსალური, ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური და სხვა.

მთავარი საერთაშორისო უნივერსალური ორგანიზაცია – *გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)*. იგი შეიქმნა 1945 წელს და მისი ამოცანა იყო მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება, დაძაბულობის შენელება და სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარება. გაეროს წევრია პრაქტიკულად ყველა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო (გამონაკლისია შვეიცარია და ოკეანეთის და ევროპის ზოგიერთი ჯუჯა სახელმწიფო) 2000 წლის იანვრისათვის გაერო 189 წევრ სახელმწიფოს ითვლიდა . გაეროს ძირითად მუშა ორგანოს უშიშროების საბჭო წარმოადგენს, რომელიც ხუთი მუდმივი წევრისაგან შედგება. (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი და ჩინეთი) და თითოეულ მათგანს ვეტოს უფლება აქვს. გარდა ამისა მთავარი ორგანოებია გენერალური ანსამბლეა, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო. გაეროში გაერთიანებულია აგრეთვე რამდენიმე სპეციალიზირებული ორგანიზაცია (მაგ. იუნესკო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ა. შ.) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინა ნიუ-იორკში მდებარეობს.

ევროპის საბჭო ევროპის სახელმწიფოების კონსულტაციური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციაა. იგი შეიქმნა 1949 წელს და წესდების მიხედვით მისი წევრი შეიძლება გახდეს ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ცნობს კანონის უზენაესობას და სადაც დაცული და გარანტირებულია ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები. ევროპის საბჭოს

ფუნქციების ძირითადი სფეროა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის საკითხები, ჰემანისტური თანამშრომლობა, კულტურისა და ეკოლოგიის საკითხები. 80-იანი წლების ბოლომდე ევროპის საბჭოს წევრები, მხოლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნები იყვნენ; შემდეგ მის შემადგენლობაში ზოგიერთი ყოფილი სოციალისტური სახელმწიფო და ადრე საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკა (ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, უკრაინა, მოლდოვა, რუსეთი, ხოლო 1999 წელს საქართველოც.), ევროპის საბჭოს მთავარი ორგანოებია მინისტრთა კომიტეტი და საკონსულტაციო ასამბლეა. მინისტრთა კომიტეტში შედიან საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, საკონსტიტუციო ასამბლეა კი შედგება წევრი სახელმწიფოების პარლამენტების წარმომადგენლებისაგან. ევროპის საბჭოს შტაბ-ბინა მდებარეობს სტრასბურგში (საფრანგეთი)

დღევანდელ მსოფლიოში ერთერთ ყველაზე ქმედითუნარიანი და ავტორიტეტული ორგანიზაციაა ***ევროპული თანამეგობრობა (ევროკავშირი)*** იგი მსოფლიოში დემოკრატიისა და სამართლიანობის დაცვის ერთერთ საყრდენად იქცა. ევროპელთა თანამეგობრობას საფუძველი ჯერ კიდევ 1952 წელს ჩაეყარა, როცა შეიქმნა „ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება". მასში შემავალმა ექვსმა წევრმა (გფრ, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი) 1957 წელს შექმნეს „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება" (საერთო ბაზარი). 1973 წელს ამ ორგანიზაციას შეუერთდნენ დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი, 1980 წელს საბერძნეთი, 1986 წელს კი ესპანეთი და პორტუგალია. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მიზანი იყო ევროპის ხალხთა ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა, განვითარებულ და ჩამორჩენილ რეგიონებს შორის განსხვავებების გაწონასწორება. თანდათანობით ორგანიზაციის მოღვაწეობის არე გაფართოვდა და მან პოლიტიკური საკითხებიც მოიცვა. ამის შედეგად 1992 წლის თებერვალში მაასტრიხტში (ნიდერლანდები) ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად ევროპული თანამეგობრების 12 წევრმა ქვეყანამ გამოაცხადა ევროკავშირის შექმნა, რომელიც ფართო პოლიტიკურ ინტეგრაციას ითვალისწინებს. 2002 წლისათვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ექნებათ ერთიანი ვალუტა,ერთიანი პოლიტიკა თავდაცვისა

და უშიშროების სფეროში და საერთო მოქალაქეობა. 1995 წელს ევროკავშირს შეუერთდნენ ავსტრია, შვედეთი და ფინეთი. ამგვარად ევროპული თანამეგობრობის წევრთა რიცხვმა 15-ს მიაღწია და პრაქტიკულად მთელი დასავლეთი ევროპა მოიცვა (შვეიცარიის, ნორვეგიის და ისლანდიის გარდა). ევროპული თანამეგობრობის (ევროკავშირის) აღმასრულებელი ორგანოს ფუნქცია აკისრია ევროპის კომისიას. საკანონმდებლო ორგანოა – ნევრ სახელმწიფოთა მინისტრთა საბჭო. საბჭო გადაწყვეტილებებს ევროპის კომისიის მიერ შეტანილ წინადადებების საფუძველზე იღებს. თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების ყველა მოქალაქე ირჩევს ევროპარლამენტს, სადაც დეპუტატთა რაოდენობა წევრი სახელმწიფოების მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულია. ევროპარლამენტი განიხილავს კანონებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცემს მათ დასამტკიცებლად საკანონმდებლო ორგანოს, მინისტრთა საბჭოს. ევროპარლამენტს აქვს უფლება დაითხოვოს აღმასრულებელი ორგანო – ევროკომისია. რეგულარულ შეხვედრებს 15 ქვეყნის ხელმძღვანელებს შორის ევროპული საბჭო ეწოდება (არ აგვერიოს ევროპის საბჭოში) მისი ძირითადი ფუნქციაა ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების საერთო ორიენტაციის შემუშავება. ევროკავშირის ცენტრად ბრიუსელი ითვლება.

თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში უაღრესად დიდ როლს თამაშობს ისეთი მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაცია ***ნატო (ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია)***. იგი 1949 წელს შეიქმნა ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ და მიზნად ისახავდა ერთიან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს საბჭოთა და კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ. ნატოში 19 სახელმწიფოა გაერთიანებული. სოციალისტური სისტემის კრახის შემდეგ ნატოს ფუნქციები შეიცვალა. იგი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკიდან ფართო პროფილის პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა და ევროპაში უსაფრთხოებისა და სიმშვიდის ძირითადი გარანტის ფუნქციას იძენს. (ნატომ ყველაზე ეფექტური როლი ითამაშა ბოსნიის და კოსოვოს კონფლიქტების შედარებით დარეგულირების საქმეში) ამჟამად აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას აქვს სურვილი გახდეს ნატოს წევრი, რადგან ამაში ხედავს თავისი მომავალი უსაფრთხოებისა და

აყვავების გარანტიას. ნატოს გაფართოების საკითხი (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხარჯზე) აქტიურად დგას დღის წესრიგში, მაგრამ იგი რუსეთის გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წლის დეკემბერში შეიქმნა ***დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)***, რომელშიც 11 ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა გაერთიანდა. საქართველო ამ თანამეგობრობაში 1993 წლის ოქტომბერში შევიდა . ფორმალურად დსთ თანასწორუფლებიანი სახელმწიფოთა ორგანიზაციაა, მაგრამ რუსეთის ტერიტორიული, ეკონომიკური თუ სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობა ყველა დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით, ფაქტიურად ამ ორგანიზაციას არაქმედითუნარიანად აქცევს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი როცა ეპოქის ძირითად შინაარსად სოციალიზმისა და კაპიტალიზმის დაპირისპირება და ბრძოლა ითვლებოდა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებების შექმნის და მათი ურთიერთწინააღმდეგობის ხანაა.

1955 წელს შეიქმნა სოციალისტური ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ***ვარშავის ხელშეკრულების კავშირი***, რომელშიც შევიდნენ სსრკ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, გდრ და ალბანეთი (ეს უკანასკნელი მოგვიანებით გამოვიდა ამ ორგანიზაციიდან). ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ძირითადი მიზანი კომუნისტური რეჟიმის განმტკიცება და აღმოსავლეთ ევროპის შენარჩუნება იყო. სოციალისტური სისტემის დანგრევის შემდეგ 1990 წელს ეს ორგანიზაცია გაუქმდა. ასევე დაიშალა სოციალისტური ქვეყნების ***ეკონომიკური ორგანიზაცია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო***, რომელიც 1949-89 წლებში ფუნქციონირებდა ერთიანი სოციალისტური ეკონომიკური სისტემი ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას ისახავდა მიზნად. ამ ორგანიზაციაში გარდა ევროპის სოციალისტური ქვეყნებში შედიოდნენ აგრეთვე მონღოლეთი, ვიეტნამი და კუბა.

70-იან წლებში დაიშალა აგრეთვე 1954-55 წლებში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები ***სენტო*** (ცენტრალური ხელშეკრულების კავშირი), რომლის წევრები იყვნენ დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ერაყი (ადრევე გა-

მოვიდა ბლოკიდან) და **სეატო** (სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია), რომელშიც შედიოდნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ტაილანდი, ფილიპინები და პაკისტანი. რეალურად აღარ ფუნქციონირებს ***აზია-წყნარი ოკეანის საბჭო (აზპაკი)*** რომლის დამფუძნებელი წევრები (1966 წ.) იყვნენ იაპონია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ტაილანდი, ფილიპინები, მალაიზია, სამხრეთ კორეა, ტაივანი, და სამხრეთ ვიეტნამი. ფორმალურადღა არსებობენ ***ანზიუსი*** (ავსტრალია, ახალი ზელანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანება) და ***ანზიუკი*** (ავსტრალია, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი). გაცილებით სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია ***(ასეანი)***. იგი 1967 წელს შეიქმნა და აერთიანებდა ინდონეზიას, მალაიზიას, სინგაპურს, ტაილანდსა და ფილიპინებს. 1984 წელს მათ მიემატათ ბრუნეი, 1996 წ. ვიეტნამი, 1997 წელს კი კაბოჯა და ბირმა (მიანმა) ამ პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ორგანიზაციამ დადებითი როლი ითამაშა მისი წევრი ქვეყნების ეკონომიკურ წინსვლაში, მათ სამეურნეო ინტეგრაციაში და პოლიტიკურ სტაბილიზაციაში რეგიონში.

დღევანდელ მსოფლიოში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ისეთი რეგიონული ორგანიზაციები, როგორიცაა ***ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია***, რომლის წევრებიც არიან აშშ და ლათინური ამერიკის ქვეყნები (კუბის გარდა), ***აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია*** (შეიქმნა 1963 წელს და აერთიანებს აფრიკის თითქმის ყველა სახელმწიფოს), ***არაბული ქვეყნების ლიგა***, ფუნქციონირებს 1945 წლიდან და მიზნად ისახავს არაბული სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ეკონომიკური სიძლიერის განმტკიცებას, მათ ინტეგრაციას და საერთო სტრატეგიის შემუშავებას, ***ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია*** (გვატემალა, ჰონდურასი, სალვადორი, ნიკარაგუა, კოსტა-რიკა), ***ჩრდილოეთის საბჭო*** – დანიის, ისლანდიის, ნორვეგიის, შვედეთისა და ფინეთის პარლამენტების საკონსულტაციო ორგანიზაცია, ***ისლამური კონგრესი (ისლამური კონფერენცია)*** – 40-ზე მეტი მუსლიმანური სახელმწიფოს ორგანიზაცია, რომლის ძირითად მიზნად გამოცხადებულია „ისლამური სოლიდარობა“. 1992 წელს შეიქმნა ***შავი ზღვის ქვეყნების თანამეგობრობა (ბისეკი)***, რომე-

ლიც შავი ზღვის აუზის 11 სახელმწიფოს აერთიანებს (მათ შორის საქართველოსაც).

იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის რომლებსაც ძირითადად ეკონომიკური პროფილი აქვთ (თუმცა ეკონომიკა ხშირ შემთხვევაში როგორც ცნობილია პოლიტიკის საფუძველიც ხდება) უნდა აღინიშნოს ***ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნების ორგანიზაცია (ოპეკი)***, რომელიც ნავთობის მომპოვებელ და ექსპორტიორ 13 სახელმწიფოს აერთიანებს. ოპეკის ძირითადი მიზანი ამ ქვეყნების ინტერესების დაცვაა მსოფლიო ბაზარზე, რაც ნავთობის მოპოვების რაოდენობისა და მისი საბაზრო ფასების რეგულირებით მიიღწევა. მნიშვნელოვან გავლენას მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობაზე ახდენენ აგრეთვე ***ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, გენერალური ხელშეკრულება ტარიფებზე და ვაჭრობაზე*** და სხვა ეკონომიკური ორგანიზაციები.

მსოფლიოს თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები გვაფიქრებინებს, რომ მომავალში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ეს კი ასახვას მსოფლიო პოლიტიკურ რუკის შემდგომ ჩამოყალიბებაში ჰპოვებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია. ვ. პ. მაქსაკოვის რედაქციით, ნაწილი I, თბილისი, 1988.

2. გეოპოლიტიკა. კონსპექტი ESM - თბილისის სტუდენტებისათვის. ავტორი არჩილ გეგეშიძე, თბილისი, 1997

3. Экономическая география зарубежных стран. Под редакцией проф. Б. Н. Семевского. Москва, 1960

4 Экономическая география капиталистических и развивающихся стран. Под редакцией В.В. Вольского, Л. И. Бонифатьевой, Ю. А. Колосовой, А. Е. Слуки. Москва, 1986

4. Социалньно-экологическая география зарубежного мира. под. Ред. В.В. Вольского. М. 1998

5. Страны и народы. В 20 томах. Москва, 1978-1985 г.г.

6. Всемирная история. В 13 томах. Москва, 1955-1983 г.г.

7. Витвер И. А. Историко-географическое введение в экономическую географию зарубежного мира. Москва, 1963

8. Колосов В. А. Политическая география. Ленинград, 1968

8. Максаковский В. П. Историческая географиа Мира. М. 1998.

9. Жекулин В. С. Историческая география. Москва, 1976

10. Яцунский В. К. Историческая география. Москва, 1955

11Муравьев А. В. , Самаркин В. В. Историческая география эпохи феодализма. Москва, 1973

12. Taylor P. Political geography

13. Roberts J.M. History of the world 1992

14. J.M. Zambin, J Martin, P. Derplanguer Histoire-geographie Paris 1988

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
1. ისტორიული გეოგრაფია 5
1.1. ისტორიულ-გეოგრაფიული პერიოდიზაცია 5
1.2. უძველესი პერიოდი 8
1.3. ძველი პერიოდი 19
1.3.1. ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეული 20
1.3.2. ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეული 24
1.3.3. ძვ. წელთაღრიცხვის X-VI საუკუნეები 33
1.3.4. ძვ. წელთაღრიცხვის V-I საუკუნეები 43
1.3.5. ახ. წ.აღ-ის I-V საუკუნეები 49
1.4. შუა საუკუნეები 53
1.4.1. ადრეული შუა საუკუნეები 54
1.4.2. განვითარებული შუა საუკუნეები 61
1.4.3. გვიანი შუა საუკუნეები 71
1.4.4. ახალ პერიოდზე გარდამავალი ეპოქა 79
1.5. ახალი პერიოდი 86
1.5.1. 1789-1871 წლები 86
1.5.2. 1871-1918 წლები 94
1.6. უახლესი პერიოდი 107
1.6.1. 1918-1945 წლები 108
1.6.2. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი 117
2. თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფია 127
2.1. თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა ტიპოლოგია და კლასიფიკაცია 127
2.2. შიდა პოლიტიკური პროცესების გეოგრაფია 137
2.3. საგარეო პოლიტიკური პროცესების გეოგრაფია 145
გამოყენებული ლიტერატურა 157

სააქციო საზოგადოება
"პირველი სტამბა"
თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50

შეკვეთა № 23

ფასი სახელშეკრულებო